სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

**ხვიჩა ხოზრევანიძე**

# ტალიბანი და ავღანეთის სახელმწიფოს გამოწვევები

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დისერტაცია**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი 0141 საქართველო 2024

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და მასში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ხვიჩა ხოზრევანიძე

20.06.2024

## ანოტაცია


აღმოსავლეთი მსოფლიოსთვის ერთ-ერთი გამოწვევებით სავსე რეგიონია. მასში შემავალი ქვეყნების უმრავლესობაში ხშირია კონფლიქტები. ამას ემატება ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური ორგანიზაციების მოქმედებებით გამოწვეული სირთულეები, რაც სცდება რეგიონის ფარგლებს და გლობალურ ხასიათს იძენს.

ამ მხრივ, გამორჩეულია ავღანეთი და ავღანური ისლამისტური ორგანიზაცია ,,ტალიბანი", რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გამოჩნდა ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე. ამ ორგანიზაციამ სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა, არა მარტო საკუთრივ ავღანეთი, არამედ მისი მეზობელი ქვეყნებიც. ტალიბანმა ორჯერ მოახერხა ძალაუფლების ხელში აღება ავღანეთში: პირველად გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, ხოლო მეორედ-2021 წლიდან. ტალიბანის ქმედებათა უარყოფითი შედეგების შესამცირებლად ავღანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ერევიან, როგორც შიდა რეგიონული, ისე გარე აქტორები. მათ მიზნად დაისახეს, ტალიბანის პოზიციების არამარტო შესუსტება, არამედ მისი განადგურებაც. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ტალიბანის პოზიციების შესუსტება ვერ მოხერხდა. პირიქით, მან, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ორჯერ შეძლო ქვეყნის მმართვის სადავეების ხელში აღება.

ტალიბანის მმართველობის პირველი პერიოდის დასრულების შემდეგ, აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა სცადეს ამ ისლამისტური ორგანიზაციის ჩამოშორება ქვეყნის პოლიტიკური ასპარეზიდან. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად შევიდნენ აშშ-ისა და მისი მოკავშირე ძალები ავღანეთში. მათი ამ ქვეყანაში სამხედრო მისიის ყოფნის პერიოდი ოცი წელი გაგრძელდა. ეს პერიოდი უარყოფითად აისახა, როგორც ავღანელი ხალხის, ისე ტალიბანის, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მდგომარეობაზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ავღანეთში მშვიდობა ვერ დამყარდა. მიუხედავად ხანგრძლივი მცდელობისა, ტალიბანის შესუსტება და ავღანეთის პოლიტიკური დღის წესრიგიდან მისი ჩამოცილება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ოცწლიანი მცდელობის მიუხედავად, აშშ და მისი მოკავშირეები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ავღანეთი და ქვეყნის მართვა კვლავ ისლამისტური ორგანიზაცია ტალიბანისთვის დაეთმოთ. ამ ნაბიჯით ქვეყანა იგივე რეალობას დაუბრუნდა, როგორშიც იყო ტალიბანის მმართველობის პირველ პერიოდში. ავღანეთი არის ის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც მართავს

ისლამისტური ორგანიზაცია. აქედან გამომდინარე ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დგას როგორც რეგიონული, ისე მსოფლიო მასშტაბით.

დისერტაციაში აღნიშნული პრობლემები შესწავლილი და გაანალიზებულია. მასში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ავღანეთში ისლამიზმის განვითარებისთვის პოლიტიკური ნიადაგის მომზადებას, რამაც შემდეგ გზა გაუხსნა ტალიბანის აქტიურობას ავღანეთის პოლიტიკურ ასპარეზზე, რაც დღემდე გრძელდება. ფაქტობრივად, ამ ისლამისტური ორგანიზაციის პოზიციების შესუსტება ვერ მოხერხდა. ტალიბანი კვლავ ანგარიშვასაწევ ძალად და დიდ გამოწვევად რჩება.

## Annotation

The east still remains as the region full of challanges for the whole world. Most of the eastern countries often face conflicts. All this is accompanied by the difficulties that are led by the actions of the Islamic-Fundamentalist organizations. All this goes far beyond the region and becomes of global nature.

In this respect, Afghanistan and Afghan Islamic organization Taliban deserves emphasis. The latter showed up in 1990s on the country's political and military arena. This organization made Afghanistan and its neighbourhood face severe challenges. succeeded in taking power in Afghanistan twice: first, at the end of the 1990s, and second, in 2021. To reduce the negative outcomes of the Taliban activities, internal regional and external factors interfere with the political life of Afghanistan intensely. They aimed to weaken the Taliban's positions and destroy it afterwards. Despite many attempts, it was impossible to weaken Taliban's positions but the organization succeeded in taking control of the country twice, as we noted above.

When the first period of the Taliban rule ended, the US and its allies tried to push this Islamic organization off Afghanistan's political arena. With this goal, the troops of the US and its allies entered Afghanistan. The military mission presence continued 20 years in the country. This period had a negative influence on the condition of the Afghan people and the condition of Taliban, US and its allies as well. during this entire period, it was impossible to establish peace in Afghanistan. Despite long-term efforts, it was impossible to weaken Taliban and make it be far from the Afghan agenda.

Despite their 20-year efforts, the US and its allies had to leave Afghanistan and concede the rule for the Islamic organization Taliban again. Due to this step Afghanistan returned to the same reality, as it was in the initial period of the Taliban rule. Afghanistan is the only country in the world that is ruled by an Islamic organization. Therefore, the country faces gross challenges from both regional and global perspectives.

The present thesis studies and analyses these problems. It broadly discusses a political environment that laid the groundwork for the development of Islamism in Afghanistan. Afterwards, it gave a path for the Taliban's activity on the Afghan political arena that continues again. In fact, the positions of this Islamic organization could not be weakened and Taliban remains a significant force and big challenge.

# მადლიერების გვერდი

მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელთა ჩართულობაც დამეხმარა კვლევის წარმატებით განხორციელებასა და დასახული მიზნის მიღწევაში.

პირველ რიგში, მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, მაია კაპანაძეს ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის და საქართველოში პოლიტიკის მეცნიერებების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან ერთად აკადემიური საქმიანობის დაწყების შესაძლებლობისთვის. დიდ მადლობა მინდა გადავუხადო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, ქალბატონ თამარ კიკნაძესა და დოქტორანტურის სამსახურის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო მინდიაშვილს გაწეული მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. ასევე, მადლობას ვუხდი დარგის ექსპერტებსა და სპეციალისტებს ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობის მიღებისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს დას, ხათუნა ხოზრევანიძეს ნაშრომზე მუშაობის პროცესში მოწოდებული რჩევებისათვის.

# სარჩევი

შესავალი ........................................................................................................................ 1

I.თავი. ავღანეთის სახელმწიფო გამოწვევების ისტორიული და თეორიული საფუძვლები ........................................................................................................ 12

1.1. ავღანეთი და რეგიონული განვითარების თავისებურებები 13

1.2. ავღანეთის სახელმწიფოს ფორმირების ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები 28

1.3. ორგანიზაცია ტალიბანის, ჩამოყალიბების მიზეზები და მისი მმართველობის პირველი პერიოდი 34

II. თავი. პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და მისი გავლენა ქვეყნის პოლიტიკაზე ........................................................................................................ 59

2.1. პოლიტიკური ისლამი, როგორც გარე ძალებისადმი რეზისტენციის მექანიზმი 59

2.2. გარე აქტორების გავლენა და ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობა, როგორც სახელმწიფოებრიობის გამოწვევა 76

2.3. ავღანეთის მონარქიული სახელმწიფო და მისი დასავლური პოლიტიკური ღირებულებები 88

III. თავი. ახალი პოლიტიკური რეალობა და ტალიბანის პოლიტიკური აქტივობა .. 102

3.1. ქვეყნის დემოკრატიზაციის მცდელობა და ჰუმანიტარული ინტერვენცია 102

3.2. დემოკრატიზაციის კრიზისი და ავღანეთის ახალი პოლიტიკური რეალობა 127

3.3. ემპირიული კვლევა - ექსპერტების გამოკითხვა, ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ 154

დასკვნა ........................................................................................................................ 184

ბიბლიოგრაფია ........................................................................................................ 187

# შესავალი
## საკითხის  წინაპირობა და თემის აქტუალურობა

ავღანეთის საკითხი დიდი ხანია მსოფლიო ყურადღების ცენტრში დგას. თემა განსაკუთრებით გააქტიურდა, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში საბჭოთა კავშირის ჯარი შევიდა. პარალელურად, გასული საუკუნის 90-იან წლებში ავღანეთში გააქტიურდნენ ისლამისტები, რის შემდეგაც ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ისლამისტურ-ტერორისტული ორგანიზაცია ტალიბანი, რომლის წევრებმაც წვრთნები პაკისტანსა და ირანში გაიარეს. პირველად ორგანიზაცია ხუთი წლის განმავლობაში მართავდა ავღანეთს, მის მმართველობას წერტილი დაესვა 2001 წლის 11 სექტემბერს, ცნობილი ტერაქტის შემდეგ. თუმცა, ტალიბანი მაინც დარჩა ანგარიშგასაწევ ძალად ავღანეთში. აღნიშნული ორგანიზაცია ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა სამშვიდობო მისიას, აშშ-ის მეთაურობით - 20 წლის განმავლობაში. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ტალიბების დამარცხება შეუძლებელი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც აშშ-ის ჯარები გამოვიდნენ ავღანეთიდან (2021 წლის სექტემბერში), პოლიტიკური ძალაუფლება კვლავ ტალიბანმა აიღო ხელში, რაც მოსალოდნელი იყო. ტალიბანი კვლავ სერიოზულ გამოწვევად დარჩა, არა მხოლოდ ავღანეთის სახელმწიფოს,  არამედ მსოფლიოს უსაფრთხოებისთვისაც. ეს არის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც ისლამისტურ-ფუნდამენტალისუტრი ორგანიზაცია (ტალიბანი) მართავს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე თემა აქტუალურია თანამედროვე ეპოქისთვის.

## კვლევის მიზნები და ამოცანები

**კვლევის მიზანია:**

- ტალიბანი და ავღანეთის სახელმწიფო გამოწვევებისა და მისი ისტორიული საფუძვლების მეცნიერული კვლევა;
- პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და ქვეყნის პოლიტიკაზე მისი გავლენის შესწავლა;
- ტალიბანის, როგორც პოლიტიკური ძალის მეცნიერული კვლევა.

**კვლევის ამოცანა:**

- ავღანეთის სახელმწიფოს ფორმირების ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლების ანალიზი;
- ავღანეთის მონარქიული სახელმწიფოსა და მისი დასავლური პოლიტიკური ღირებულებების კვლევა;
- პოლიტიკური ისლამის, როგორც გარე ძალებისადმი რეზისტენციის მექანიზმის მეცნიერული შესწავლა;
- გარე აქტორების გავლენისა და ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობის, როგორც სახელმწიფოებრიობის გამოწვევის შესწავლა და განხილვა;
- ორგანიზაცია ტალიბანის ჩამოყალიბების მიზეზებისა და მისი მმართველობის პირველი პერიოდის მეცნიერული კვლევა და ანალიზი;
- ქვეყნის დემოკრატიზაციის მცდელობა და ჰუმანიტარული ინტერვენციის შესწავლა;
- დემოკრატიზაციის კრიზისისა და ავღანეთის ახალი პოლიტიკური რეალობის მეცნიერული კვლევა და ანალიზი.

## საკვლევი კითხვები

- რა თავისებურებებით გამოირჩევა ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი?
- რამ განაპირობა ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და რა გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკაზე?
- როგორ მოქმედებს ტალიბების მიერ ქვეყნის მმართველობის კვლავ ხელში აღება ავღანეთის უსაფრთხოებაზე?
- რა ტიპის სახელმწიფოებრიობის პრობლემის წინაშე დგას ავღანეთი, ტალიბანის მმართველობის პირობებში?

## ჰიპოთეზა

ორგანიზაცია ტალიბანი, უკვე დიდი ხანია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ავღანეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად გარე აქტორების დიდი ძალისხმევისა, ამ ორგანიზაციის გავლენა და როლი ავღანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ შესუსტებულა. პირიქით, ის მეტად გაძლიერდა და ბევრად უფრო ანგარიშგასაწევი ძალა გახდა, როგორც რეგიონული, ისე გარე აქტორებისათვის. ტალიბანის მიერ ავღანეთის ხელისუფლებაში კვლავ მოსვლის შედეგად, განხორციელდა ადამიანის (განსაკუთრებით ქალების) უფლებების სისტემური დარღვევა. ტალიბანმა შეძლო ურთიერთობების დამყარება სხვა ქვეყნებთანაც. ეს არის ნელი, მაგრამ მიმდინარე პროცესი, რითაც მათ მიერ იზოლაციონალიზმის პოლიტიკა უარყოფილ იქნა. ის მკაფიოდ გმობს ტერორიზმს და ძალადობას მსოფლიოში.

## კვლევის საგანი და ობიექტი

**კვლევის საგანს** წარმოადგენს ავღანეთის პრობლემის შესწავლა - ტალიბების მიერ ხელისუფლების კვლავ ხელში აღების პირობებში და ამ ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები.

**კვლევის ობიექტი** არის ტალიბანის პირველ და მეორე მმართველობის პერიოდებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების შესწავლა. ასევე, ავღანეთის იმ პრობლემების წარმოჩენა, რომელებიც შესაძლოა სხვა ქვეყნებთან შეექმნას.

## კვლევის თეორიული საფუძვლები

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო და ისტორიული წყარო. საკვლევ საკითხთან მიმართებით განხილულია სხვადასხვა თეორია, რომლის მეშვეობითაც გაანალიზებული და ახსნილია ავღანეთში განვითარებული პროცესები. ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომში გამოყენებულია **ჰუმანიტარული ინტერვენციის თეორია**[1]. მისი გამოყენებით ახსნილია, თუ როგორ გაერთიანდა ჰეგემონური ძალის ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები ავღანელი მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად. მათ სურდათ ტერორისტული ორგანიზაცია ტალიბანის დასუსტება/განადგურება, რათა ჩამოეყალიბებინათ დემოკრატიული სახელმწიფო და მშვიდობიან მოსახლეობას მისცემოდა განვითარების საშუალება. **ჰეგემონური სტაბილურობის თეორია**[2] არის ყველაზე პოპულარული და გავლენიანი თეორია საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის მიმართულებით, თანამედროვე ეპოქაში. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი მოითხოვს ჰეგემონური ან დომინანტი ძალის არსებობას, რომელიც ფართო მხარდაჭერას იღებს სხვა ქვეყნებისგან. გარე აქტორები და საერთაშორისო

[1] რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011 წელი.
[2] Charles P. Kindleberger, The World in Depression, 1929–1939, University of California Press Berkeley and Los Angeles, Printed in the United States of America, 01 Jun, 1987.

ორგანიზაციები დაინტერესდნენ ავღანეთის სტრატეგიული ადგილმდებარეობითა და ბუნებრივი რესურსებით, რათა გაემყარებინათ ეკონომიკური პოზიციები აღმოსავლეთ რეგიონში. გარე აქტორებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ქვეყნის სპეციპიკიდან გამომდინარე ნაწილობრივ შეძლეს მიზნების მიღწევა, თუმცა ჩინეთი წარმოებული პოლიტიკით დღემდე ახორციელებს ავღანეთში გარკვეული სახის ინვესტიციებს, რაც პოზიტიურად აისახება მის საერთაშორისო ვაჭრობის ეკონომიკურ მიმართულებაზე.

## კვლევის მეთოდები

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები:

- **კონტენტ ანალიზი** - გამოყენებულია, როგორც საშუალება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებიდან, სამეცნიერო ჟურნალებიდან და სხვადასხვა სახის წყაროებიდან, მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და სიღრმისეული ანალიზისათვის.
- **ისტორიული ანალიზი** - საფუძველზე შესწავლილია აღმოსავლეთ რეგიონის ჩამოყალიბებისა და განვითარების ფაქტორები, უძველესი პერიოდიდან - დღევანდელ დღემდე.
- **შემთხვევების შესწავლა (case study)** – კვლევის ჩატარებისას შევისწავლეთ ავღანეთის მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში.
- **შედარებითი ანალიზი** - სხვადასხვა ტიპის მონაცემები დაჯგუფებულია და აღნიშნული მეთოდით განხილულია საკვლევი თემის ირგვლივ არსებული საკითხები.

- **ჩაღრმავებული სტრუქტურირებული ინტერვიუ** - მეთოდის მეშვეობით რესპონდენტებისაგან მოწოდებული ინფორმაცია შეგროვებული და გაანალიზებულია ნაშრომში.

## ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომს აქვს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის **თეორიულ** მნიშვნელობას განაპირობებს კონცეპტუალურ დონეზე ისლამიზმის მახასიათებლების დადგენა და აღწერა, რაც გავრცელებულია სხვადასხვა მუსლიმურ ქვეყანაში. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ავღანეთსა და იქ არსებულ დომინანტ ისლამისტურ ორგანიზაცია ტალიბანზე.

ნაშრომის **პრაქტიკული** მნიშვნელობა ის არის, რომ მასში წინა პლანზე წამოწეულია ისლამისტური ორგანიზაციის მსოფლმხედველობა, რაც შესაძლებლობას მისცემს ისლამიზმით, ავღანეთის საკითხით და კონკრეტულად, ტალიბანით დაინტერესებულ მკვლევარებს გამოიყენონ აღნიშნული ნაშრომი, მათი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე, ვფიქრობთ, ის საინტერესო იქნება მათთვის, ვინც დაინტერესებულია ისლამიზმითა და ისლამისტური ორგანიზაციებით, განსაკუთრებით ტალიბანით. აღნიშნული ნაშრომი გამოსადეგი იქნება საუნივერსიტეტო - სასწავლო (სამივე საფეხურის) პროგრამებში.

ქართულ სამეცნიერო წრეებში ტალიბანისა და ზოგადად, ავღანეთის შესახებ სამეცნიერო წყაროების სიმცირე ნაშრომს აქცევს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვლევად.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ავღანეთის საკითხის შესწავლით არაერთი მკვლევარია დაინტერესებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური სამეცნიერო მიმართულების წყაროები ნაკლებად მოიპოვება ქართულ ენაზე. უცხო ენებზე (ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ) არსებობს არაერთი სამეცნიერო კვლევა თუ ცალკეული სამეცნიერო სტატია. არსებული წყაროების რაოდენობა გამომდინარეობს მსოფლიოს ავღანეთისა და ტალიბანის მიმართ დაინტერესებით.

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია გამოყენებული წყაროების გარკვეული ნაწილი:

- **დონაძე, ვარლამ. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორია[3].**

ნაშრომში აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან ერთად ავტორი სიღმისეულად განიხილავს ავღანეთსაც. ამ წიგნში ავტორი ავღანეთის შესახებ წარმოადგენს ინფორმაციას გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებული - ტალიბანის მმართველობის პირველი პერიოდის ჩათვლით.

- **სანიკიძე, გიორგი - ისლამიზმი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი, ინტეგრიზმი, ტრადიციონალიზმი, ცნებათა განმარტებისთვის[4].**

აღნიშნულ სამეცნიერო კვლევაში ავტორი განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ისლამიზმი და მისი წარმოშობის მიზეზები. ასევე, მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ფუნდამენტალიზმის განსაზღვრასაც. დამატებით, გ.სანიკიძე განიხილავს ტერორიზმისა და ტრადიციონალიზმის მნიშვნელობას.

---

[3] დონაძე, ვარლამ. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორია . გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1971.

[4] სანიკიძე, გიორგი - ისლამიზმი ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი ,ინტეგრიზმი , ტრადიციონალიზმი , ცნებათა განმარტებისთვის. „პერსპექტივა“, N3, 2002.

- **ქაროსანიძე, თინათინ. ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში ,,მუსლიმი ძმების“ და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია[5].**

ნაშრომი ეგვიპტეში მიმდინარე ისლამიზმის პროცესებს ასახავს, მიუხედავად ამისა, მაინც რელევანტურია ავღანეთში განვითარებულ მოვლენებთან. ავტორი, არაბულ წყაროებზე დაყრდნობით, განიხილავს ისლამიზმის ჩამოყალიბების პოლიტიკურ მიზეზებსა და ისლამისტურ ორგანიზაციებს, რომელთა არსებობაც მხოლოდ ეგვიპტისათვის არ იყო დამახასიათებელი. ავტორი გარკვეულ ადგილს უთმობს ისლამისტურ ორგანიზაცია ,,მუსლიმ ძმებს“, რომელიც იყო ძირითადი იდეოლოგი ყველა ისლამისტური ორგანიზაციის, მათ შორის ტალიბანის.

- **აჰმედ რაშიდი, შეერთებული შტატები და ერის მშენებლობა პაკისტანში, ავღანეთსა და ცენტრალურ აზიაში[6].**

აჰმედ რაშიდის ნაშრომში ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და პაკისტანის გვერდით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ავღანეთის პრობლემის გაანალიზებასაც. ავტორი ვრცლად განიხილავს ქვეყანაში ტალიბანის მმართველობის პირველი პერიოდის დასრულების შემდეგ, აშშ-ის ჯარების შესვლასა და გამოწვეულ შედეგებს, 2001-2008 წლებში.

---

[5] ქაროსანიძე, თინათინ. ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში ,,მუსლიმი ძმების“ და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია. გამომცემლობა ,,ნეკერი ‘’, თბილისი 2009.

[6] Ahmed Rashid, The United States and the Failure of Nation Building in Pakistan, Afghanistan, and Central Asia, Vicing Press, viking, New York, 2008.

- **ენდრიუ ბუნკომბი, ბუში უარყოფს ტალიბანის შეთავაზებას ბინ ლადენის დათმობაზე, დამოუკიდებელი[7].**

სამეცნიერო სტატიაში ავტორს გაანალიზებული აქვს ის მიზეზები, რომლებიც გახდა საფუძველი ავღანეთში ტალიბანის მმართველობის პირველი პერიოდის დასრულების. ასევე, განხილულია ის ხელშემყობი ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვია ქვეყანაში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების შესვლა.

- **გრეჰემ-ჰარისონი, ემა, მაკოი, ახტარ მოჰამედ, „ტალიბებმა ჩემი ცხოვრების წლები წაიღეს": „ომის ჩრდილში მცხოვრები ავღანელი ქალები"[8].**

ნაშრომში განხილულია ტალიბების მმართველობის პირველ პერიოდში შექმნილი მძიმე პირობები ავღანელი ქალებისთვის. მსგავსი ქმედებები გრძელდებოდა ავღანეთში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ყოფნის პერიოდშიც. ნაშრომში აღწერილია ის რთული ცხოვრებისეული პირობები, რომელებსაც ისლამისტური ორგანიზაცია უქმნის ავღანელ ქალებს.

- **გრანტ ფარი, ირანი და ავღანეთი: მზარდი დაძაბულობა ტალიბების დაბრუნების შემდეგ, ელექტრონული საერთაშორისო ურთიერთობები[9].**

ნაშრომში ზოგადად განხილულია ტალიბან-ირანის ურთიერთობები. ასევე, მასში ავტორი აღწერს მათ ურთიერთობებში არსებულ პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს - რა შეიძლება იყოს მათ შორის შეთანხმებისა და შეუთახმებლობის მიზეზები. ავტორი ნათლად აღწერს 2022 წლის ზაფხულში, ავღანეთსა და ირანს შორის მომხდარ მცირე სასაზღვრო ინციდენტს.

---

[7] Andrew Buncombe, Bush rejects Taliban offer to surrender bin Laden, INDEPENDENT, Washington, 15 October, 2001.

[8] Graham-Harrison, Emma, Makoii, Akhtar Mohammad, "'The Taliban took years of my life': the Afghan women living in the shadow of war", 9 Feb. 2019.

[9] Grant Farr, Iran and Afghanistan: Growing Tensions after the Return of the Taliban, E-international Relations, 23 Aug. 2022.

- **ჰოლი ო’მაჰონი, უმცროსი მკვლევარი, EIAS, ევროკავშირი-ჩინეთის უსაფრთხოების თანამშრომლობა: ინტერესთა კვეთა?[10].**

სამეცნიერო კვლევაში ვრცლად არის განხილული ტალიბანის მმართველობის მეორე პერიოდში ჩინეთსა და ევროკავშირის დამოკიდებულება/პოზიციები ავღანეთის მიმართ. ავტორი ხაზს უსვამს ევროკავშირისა და ჩინეთის კონტრასტულად განსხვავებულ დამოკიდებულებას ტალიბანის რეჟიმისადმი.

- **შანონ ტიეზი, „ჩინეთი ადასტურებს, რომ ტალიბანის მთავრობასთან ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნდა“[11].**

შენონ ტიუზის აღნიშნულ ნაშრომში განხილულია მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური აქტორის, ჩინეთის ურთიერთობის დამყარება ტალიბანის ავღანეთთან, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ტალიბანის ხელისუფლება მსოფლიოს ქვეყნებთან ეტაპობრივად ამყარებს დიპლომატიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს.

- **ნოჯუმი, ნეამათოლა. ტალიბანის აღზევება ავღანეთში: მასობრივი მობილიზაცია, სამოქალაქო ომი და რეგიონის მომავალი პალგრეივი [12].**

მოცემულ ნაშრომში ავტორს ყურადღება გამახვილებული აქვს ტალიბანის მმართველობის დამყარების პირველ პერიოდზე ავღანეთში. კონკრეტულად ნაშრომში ხაზგასმითაა აღწერილი ის მძიმე ვითარება, რაც ამ ქვეყანაში 1995 წლიდან შეიქმნა, როდესაც ავღანეთი საკმაოდ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა.

---

[10] Holly O’Mahony, Junior Researcher, EIAS, EU-China security cooperation: An intersection of interests?, EIAS LATEST, 03 May. 2021.

[11] Shannon Tiezzi, “China signals it’s back to business as usual with Taliban government,” Diplomat, 25 Mar. 2022.

[12] Nojumi, Neamatollah. The Rise of the Taliban in Afghanistan: Mass Mobilization, Civil War, and the Future of the Region  Palgrave, New York, 2002.

არსებულმა სიტუაციამ განაპირობა მაშინდელი მსოფლიოს დიდი გამოწვევების წინაშე დაყენება.

- **ხუაჯა ბასირ აჰმადი, სავარაუდო ჯაშუშები ამბობენ, რომ ირანის რევოლუციური გვარდია ტალიბებს წვრთნიდა [13].**

აღნიშნულ ნაშრომში ავტორი განიხილავს ტალიბებისა და ირანის ისლამური რევოლუციის გვარდიის ურთიერთობებს, რომელზეც აქცენტი ხშრიდ კეთდებოდა. აქედან გამომდინარე, ნაშრომი ჩვენი კვლევისთვის საინტერესო აღმოჩნდა.

## ნაშრომის სამეცნიერო სიახლე

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, ავღანეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კვლევითი ნაშრომის სახით წარმოდგენის პირველი მცდელობა ქართულ სამეცნიერო სივრცეში. ნაშრომში ჩვენს მიერ პირველად იქნა გამოკვეთილი ის საფრთხეები, რომლებიც ავღანეთის დემოკრატიულ პროცესსა და დემოკრატიულ ინსტიტუტებს შეექმნათ, 2001-2021 წლებში - იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სამხედრო ქვედანაყოფები იყვნენ განლაგებულნი. ასევე, ნაშრომის სამეცნიერო სიახლეა ისიც, თუ როგორ უპასუხა ტალიბანმა თანამედროვე გამოწვევებს, დემოკრატიული პროცესების უგულებელყოფის გზით.

დისერტაციაზე მუშაობის შედეგად, ჩვენს მიერ გამოიკვეთილ იქნა შემდეგი გარემოება - ტალიბების მიერ ავღანეთის კვლავ ხელში აღების პირობებში, ქვეყანა არ აღმოჩნდა იზოლირებული გარე სამყაროსგან, რასაც ვარაუდობდნენ, ვინაიდან

[13] Khwaja Basir Ahmad, Alleged spies say Iran's Revolutionary Guards trained them, Wayback Mashine, 07 May. 2012.

ტალიბანმა ეტაპობრივად შეძლო ურთიერთობების დამყარება გარე სამყაროსთან. განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა ტალიბანის პირველი და მეორე მმართველობას შორის განსხვავებული სტილი. ქვეყანაში, როგორც მათი მმართველობის პირველი პერიოდის დროს, ახლაც უგულებელყოფილია ადამიანისა და განსაკუთრებით ქალთა უფლებები.

ასევე ჩვენს მიერ ამ კვლევაში პირველად იქნა წარმოდგენილი ის ფაქტი, რომ პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიაზე დაფუძნებული ტალიბები გმობენ ტერორიზმსა და ძალადობას. თუმცა, ორგანიზაცია ტალიბანი მაინც დიდ გამოწვევად რჩება ავღანეთის სახელმწიფოსთვის.

## ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურა. საერთო გვერდების რაოდენობა არის 201.

## I.თავი. ავღანეთის სახელმწიფო გამოწვევების ისტორიული და თეორიული საფუძვლები

### 1.1. ავღანეთი და რეგიონული განვითარების თავისებურებები

ტერმინი აღმოსავლეთი მოიაზრებს სხვადასხვა კულტურას, სოციალურ სტრუქტურას და ერების სისტემას, რომლებიც ერთმანეთისაგან შინაარსობრივად განსხვავდებიან. აღმოსავლეთი ძირითადად მოიცავს აზიის ნაწილს, ხმელთაშუა ზღვის რეგიონს, არაბული სამყაროს ქვეყნებს და შესაბამისად მათ კულტურებსაც[14].

აღმოსავლეთში შემავალი რეგიონები მრავალფეროვანია, ძნელია განზოგადება, რადგან არ აქვთ საერთო მემკვიდრეობა. თუმცა, აღმოსავლური სამყაროს სხვადასხვა ნაწილს ბევრი საერთო ნიშან-თვისება აქვს. მათ შორის ყველაზე გამორჩეული არის გლობალური სამხრეთი, რადგან ისტორიულად არასოდეს განუსაზღვრავთ საკუთარი თავი ერთიანად. ამ ტერმინს თავდაპირველად გააჩნდა პირდაპირი გეოგრაფიული მნიშვნელობა, აღნიშნავდა ძველი სამყაროს აღმოსავლეთ ნაწილს, აზიის კულტურებსა და ევროპის ცივილიზაციებს (დასავლური სამყაროს). ტრადიციულად, ეს მოიცავს ცენტრალურ აზიას (აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას) და „ახლო აღმოსავლეთს“[15]. შინაარსობრივად საზღვარი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არის კულტურული და არა გეოგრაფიული. მაგალითად, ავსტრალია და ახალი ზელანდია დაარსდა ბრიტანეთის კოლონიებად. ისინი ერთიანდებიან დასავლურ სამყაროსთან, მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიულად უფრო ახლოს არიან აღმოსავლურ სამყაროსთან. ყოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აზიაში მდებარე ქვეყნები, რომელთაც მნიშვნელოვანი დასავლური გავლენა აქვთ, ჯგუფდებიან აღმოსავლეთ კულტურასთან.

[14] William T, Hickey J, Society in Focus ,,Pearson plc.”, Boston, 2005.

[15] Lee, Sandra S.; Mountain, Joanna; Koening, Barbara A. "The Meanings of 'Race' in the New Genomics: Implications for Health Disparities Research" ,,Yale Journal of Health Policy, Law, and Ethics.” Archived from the original (PDF), 2001.

მსოფლიოს სხვა რეგიონების მსგავსად, აზიაც შედგება სხვადასხვა მრავალფეროვანი ქვეყნის, ეთნიკური ჯგუფისა და კულტურისაგან. ზოგიერთი ქვეყნისთვის აზიური იდენტობა ასოცირდება სამხრეთ აზიის ხალხთან[16]. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს აღმოსავლური სამყაროს ცალკეული კულტურათა მრავალფეროვნება, მასში ერთიანდება ქვეჯგუფები, როგორებიცაა აღმოსავლეთ აზიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ან სამხრეთ აზიის ქვეყნები, ისევე, როგორც სინკრეტიზმი ამ რეგიონებში. ვარაუდობენ, რომ, სწორედ ამ ადგილებიდან გავრცელდა აღმოსავლური რელიგიები (ბუდიზმი, ინდუიზმი, სხვა), ტრადიციები და ენობრივი ოჯახები.

აღმოსავლეთის რეგიონი მოიცავს არაბულ ქვეყნებს: ირანს, თურქეთს, ავღანეთს, ისრაელს და სხვა. აღმოსავლეთის ქვეყნებს მრავალი ატრიბუტი აერთიანებთ, როგორიცაა: ენა, რელიგია, ისტორია, კულტურა და საერთო მისწრაფებები. აღმოსავლეთ რეგიონი არის მსოფლიოს ყველაზე ღირებული ენერგიის წყაროს (ნავთობის) უდიდესი მარაგის მფლობელი, რომელმაც ჩამოაყალიბა ურთიერთობები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან, განსაზღვრა მისი როლი საერთაშორისო თანამეგობრობაში და კაპიტალის ბაზრებზე. თუმცა, რეგიონი ნელა ვითარდებოდა პოლიტიკური არასტაბილურობის, ექსტრემიზმის, ტერორიზმის, მუდმივი კონფლიქტებისა და შიდა არეულობის ფონზე.

აღსანიშნავია, რეგიონისთვის დამახასიათებელი რელიგიური მრავალფეროვნება, სადაც დომინირებს ისლამი. აღმოსავლეთში რელიგია კვლავ აგრძელებს ტრადიციული როლის შესრულებას და იგი ხშირად გამოიყენება, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების გამართლების ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უშლის სტრუქტურულ და ინსტიტუციურ ცვლილებებს რიგ ქვეყნებში[17].

---

[16] Khatib L. Filming the modern Middle East, politics in the cinemas of Hollywood and the Arab world, ,,Tauris'', 2006.

[17] Kazem Alamdari, Why the Middle East Lagged Behind: The Case of Iran, University Press of America, 2015.

XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ტერმინი შუა აღმოსავლეთი, რომელსაც იმპერიული სტრატეგიის ფუნქცია ჰქონდა. ამერიკელი ადმირალის, მაჰანის მიერ 1902 წელს შემოღებული ტერმინი „შუა აღმოსავლეთი“ მოიაზრებდა ოსმალეთის სამფლობელოებს, ყოფილი ოსმალეთის იმპერიის პროვინციებს, არაბეთის ნახევარკუნძულს, ირანს, ინდოეთსა და შორეულ აღმოსავლეთს. ტერმინი მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც გავრცელდა, მაშინ, როდესაც ბრიტანელმა სამხედროებმა ომში ჩართულ ქვეყნებში შექმნეს „ახლო აღმოსავლეთის“ სარდლობა. 1945 წლის შემდეგ ტერმინმა „შუა აღმოსავლეთმა“ შეიძინა საერთაშორისო მნიშვნელობა. საბჭოთა სამყაროში ეს ტერიტორია ცნობილი იყო როგორც „ცენტრალური აღმოსავლეთი“ და „ახლო აღმოსავლეთი“[18].

ტერმინი ,,აღმოსავლეთი'' მოიაზრებდა გეოკულტურულ და გეოგრაფიულ განზომილებებს. გავლენიანი ისტორიკოსის მარშალ ჰოჯსონის თქმით, ეს იყო მუსლიმური საზოგადოების კულტურული ბირთვი, რადგან, სწორედ აქ იყო ყველაზე ავტორიტეტული სახელმწიფოები და სასამართლო ინსტიტუტები ისლამური სახალიფოს აყვავების პერიოდში. ისინი წარმოადგენდნენ კულტურულ მოდელებს, რომელთაც დანარჩენი მუსლიმური სამყარო მიჰყვებოდა[19].

თანამედროვე აღმოსავლეთი, რომელიც იქმნებოდა საუკუნეების განმავლობაში, არის რეგიონში (ახლო, შუა, შორეული) არსებული სახელმწიფოებისა და კულტურების ევოლუციის პროდუქტი. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემებმა გავლენა იქონია თანამედროვე აღმოსავლეთზე. თუმცა, მანამდე, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ახლო და შუა აღმოსავლეთის დიდი ნაწილი შედგებოდა პროვინციებისაგან, რომლებსაც მმართავდნენ ოსმალეთ-თურქული და სპარსელი მმართველები. ოსმალეთის იმპერიის დასასრულს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რეგიონში სიტუაცია შეიცვალა. აღმოსავლეთ რეგიონი ბრიტანეთისა

[18] Bernard Lewis - The Middle East: A Brief History of the Last 2,000 Years Paperback, ,,Scribner", 1997.
[19] Charles L, The Islamic Middle East: Tradition and Change, wiley-blackwell, London, 2002.

და საფრანგეთის კონტროლის ქვეშ მოექცა[20]. შესაბამისად, პირველმა მსოფლიო ომმა რეგიონში გავლენა იქონია თანამედროვე სახელმწიფო სისტემების ჩამოყალიბებაზე.

რეგიონის სახელმწიფოები და მათი სისტემები მრავალფეროვანია. ეს საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ შემავალი ქვეყნების მმართველობის პოლიტიკური ხასიათი და ზოგადად, რეგიონის პოლიტიკური ცხოვრების წესი. ზოგიერთი მეცნიერი, მათ შორის ჯაკომო ლუსიანი, ილია ჰარიკი, როჯერ ოუენი, საიმონ ბრომელი, ნაზიჰ აიუბი და მრავალი სხვა ისტორიკოსი ამ ქვეყნების კლასიფიკაციას და მოდელებს გვთავაზობენ. ოუენი თავის ნაშრომებში ხაზს უსვამს სტრუქტურალისტურ მიდგომას. ის აქცენტს აკეთებს კლასობრივ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რომლებზეც გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორები. სტრუქტურალისტური მიდგომის საშუალებით განსაზღვრავს რეგიონში გავრცელებული სამი სახელმწიფოს ტიპს:

- კოლონიური სახელმწიფო - არსებობდა I მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ეგვიპტე, სირია, ლიბანი და ერაყი. ისინი გამოირჩეოდნენ „ცენტრალური ადმინისტრაციით“, კოლონიური ძალაუფლების პოლიტიკითა და კოლონიალიზმით;
- ქვეყნები, რომლებიც მანამდე დამოუკიდებლად არსებობდნენ და იბრძოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებით. ასეთი ქვეყნები მიისწრაფოდნენ სახელმწიფო სისტემის კონსოლიდაციისკენ, რომელიც დაფუძნებული იყო სხვადასხვა იდეოლოგიაზე, მათ შორის - ირანი, ავღანეთი და სხვა ქვეყნები;
- ავტორიტარული სახელმწიფო, სადაც არ იყო დემოკრატია და დომინირებდა ერთპარტიული წესები, ემყარება ძლიერ სამხედრო და შიდა უსაფრთხოების სტრუქტურებს. ასეთ სახელმწიფოდ, ოუენს მიაჩნია - ლიბია და ყურის ქვეყნების ნაწილი.

---

[20] Lenczowski G, The Middle East in World Affairs 3rd ed, ,,Cornell University Press", 1980.

ისტორიკოსი ილია ჰარიკი როჯერ ოუენისგან განსხვავებით ამტკიცებს, რომ ბევრი თანამედროვე აღმოსავლური სახელმწიფო რეგიონის ძირძველი პროდუქტია და არა კოლონიური ქმნილებები. იგი განსაზღვრავს სახელმწიფოს ხუთ ტრადიციულ ტიპს[21]:

- სახელმწიფო სისტემა, სადაც ავტორიტეტი არის სულიერი ლიდერი (იემენი, ირანი და ახლა უკვე ავღანეთი);
- სახელმწიფო სისტემა, სადაც მთავარი ფიგურა არის ლიდერი ან მონარქი (საუდის არაბეთი);
- ტრადიციული სეკულარული სისტემა, სადაც გამოირიცხება სამეფო დინასტიები და არის რელიგიური თავისუფლება (ლიბანი);
- სახელმწიფო მთავარი მახასიათებელი არის ბიუროკრატულ-სამხედრო ოლიგარქიის ტიპის ავტორიტეტი, რომელიც დროთა განმავლობაში ავითარებს და ქმნის ფართო ბიუროკრატიულ აპარატს (ალჟირი, ეგვიპტე და თუნისი);
- კოლონიების დროს შექმნილი სისტემა - სახელმწიფოები, რომლებიც შეიქმნა დაშლილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიებზე, უცხოური იმპერიული ინტერესების საფუძველზე  (ერაყი, სირია, იორდანია და ისრაელი).

ი. ჰარიკის მოდელების დაყოფა მიგვანიშნებს იმაზე, რომ აღმოსავლეთის რეგიონში თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია ტომის პოლიტიკურმა ძალაუფლებამ, რელიგიურმა ლიდერმა, ეთნიკურმა ჯგუფმა და ძალაუფლების ისეთმა ბაზისმა, როგორიცაა სამხედრო ხასიათი. ისტორიკოს ნაზიჰ აიუბის განმარტებით ყველა არაბული სახელმწიფო ამ რეგიონში, როგორი სახითაც

[21] Mazharul Islam, Good, Bad and Ugly: The Historical Evolution of the Middle East ,,The geopolitics (TGP)", ,,Routledge", London, 2018.

არ უნდა არსებობდეს, არის მეტ-ნაკლებად ავტორიტარული, მსგავსი სახელმწიფოები მოქალაქეების წინააღმდეგ იყენებენ ძალადობრივ მეთოდებს.[22].

ავტორიტარული პოლიტიკური სტრუქტურა არის სისტემის ფორმა, რომელიც ურთიერთქმედებს სპეციალიზებულ ერთეულებსა და ინსტიტუტებთან, როგორებიცაა აღმასრულებელი ხელისუფლება, საკანონმდებლო ორგანოები, სასამართლოები, ბიუროკრატია და მრავალი არასამთავრობო უწყება. აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში მმართველობის სტრუქტურები ჩამოყალიბდა ტრადიციების, ჩვევების, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების არსებული მოდელების გათვალისწინებით. პარალელურად არსებობს მცირე ინსტიტუტები, რომლებიც ემსახურებიან ოლიგარქიული მმართველობის ფარგლებში ხელისუფლების ცენტრალიზაციას და არ ერთვებიან სხვა პოლიტიკურ სტრუქტურების ფუნქციონირებაში. რეფორმების გატარების მიუხედავად, ლიდერის მმართველობის ქვეშ ექცევა სახელმწიფოს ყველა ინსტიტუტი, შედეგად ისინი ინარჩუნებენ ერთპიროვნულ მმართველობას. არაბული სახელმწიფოების უმრავლესობაში არცერთ კონკურენტულ პოლიტიკურ პარტიას ან ასოციაციას არ აქვს სრულყოფილი პოლიტიკური საქმიანობის ფუნქციონირების შესაძლებლობა. ზოგიერთ ქვეყანაში მათი საქმიანობა სრულიად აკრძალულია[23]. ქვეყნის მმართველები საკუთარი მიზნებისა და ინტერესებისათვის ხშირად იყენებენ გარე დომინანტურ ძალების მხარდაჭერას რეჟიმის უსაფრთხოებისა და გადარჩენისთვის.

მმართველობა არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელება სათანადო ინსტიტუტების (აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო), ურთიერთქმედებით. უილიამ კვანდტის[24] დაასკვნით აღმოსავლეთისათვის ყველაზე დიდ გამოწვევას ისეთი მმართველობის სისტემების ჩამოყალიბება

---

[22] Nazih Ayubi, Overstaying the Arab State: Politics and Society in the Middle East, ,, IB Taurus", London, 2009.
[23] Report of the UNDP and Regional Bureau of the Arab States, Building a Knowledge Society, New York, 2019.
[24] William B. Quandt. https://en.wikipedia.org/wiki/William_B.Quandt . (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას საკუთარი ხალხის წინაშე[25].

აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში მმართველობის სისტემა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, ესენია: ძალაუფლების თავმოყრა ერთი პიროვნების ხელში, ანუ, ძალაუფლების პერსონალიზება. ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის პრობლემა, ფართოდ გავრცელებული კორუფცია და არაპირდაპირი გზით არჩეული ხელისუფლებების სისტემები, რომლებიც არ არიან ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე. მსგავსი მმართველობის სისტემები ვერ განვითარდა და ვერც ავთენტური მხარე შეინარჩუნა. ამ ქვეყნებში საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში ან შეზღუდულია, ან აკრძალულია.

მრავალი ათწლეულის მანძილზე აშშ-ის პოლიტიკა სტაბილურად იცავდა პოლიტიკურ სტატუს-კვოს აღმოსავლეთის რეგიონში. ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის შეკავებით, ნავთობის რესურსების შენარჩუნებითა და ისრაელის დაცვით, შეერთებულ შტატებს არ სურდა არსებული სიტუაცია გამოეყენებინა პოლიტიკური ცვლილებებისათვის, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ბევრად დამოუკიდებელი და ეფექტური მთავრობების შექმნა. ცივი ომის დასრულებასთან ერთად, ბაზარზე ნავთობის მოთხოვნის ზრდამ და აშშ-ის სამხედრო უპირატესობამ განაპირობა აღმოსავლეთში შემავალი ქვეყნების სტრატეგიული მიზნების თავიდან ჩამოყალიბება.

აღმოსავლეთის რეგიონში არსებობს სხვადასხვა რელიგია და რელიგიური ჯგუფები. ესენია: იუდაიზმი, ქრისტიანობა, ზოროასტრიზმი, ისლამი, ბუდიზმი ინდუიზმი. გარდა ამისა, არსებობს ცალკეული მიმდინარეობები და სექტები. ცალკე შეგვიძლია გამოვყოთ ისლამი, რომლის აღმსარებლებიც რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობაა. აღმოსავლეთის რეგიონი უმეტესად მუსლიმებით დასახლებული

[25] William B. Quandt, “The Middle East on the Brink, Prospects for Change in the 21st Century” ,,Middle East Institute”, Washington, 1995.

ტერიტორიაა. დასავლეთისგან განსხვავებით, რელიგია აღმოსავლეთის რეგიონში კვლავ აგრძელებს ტრადიციული როლის შესრულებას[26]. ისლამი ორ ძირითად განშტოებად - შიიზმად და სუნიზმად იყოფა. მათ შორის მნიშვნელოვანი იდეოლოგიური განსხვავებებია, რაც დიდ გავლენას ახდენს ამ რეგიონის პოლიტიკაზე. ქვეყნები, რომელთაც სუნიტური მთავრობები ჰყავთ, განსაკუთრებულ მეტოქეობას უწევენ ქვეყნებს, სადაც შიიტი მოსახლეობა დომინირებს.

რეგიონის მუსლიმური ქვეყნები განიცდიან უპრეცედენტო სირთულისა და მასშტაბის კრიზისს. ამ ქვეყნების მმართველობის სისტემებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს თანამედროვე ინსტიტუციური სისტემების ჩამოყალიბება. ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ: ავტოკრატიული, არაანგარიშვალდებული და არაწარმომადგენლობით რეჟიმები. არადემოკრატიულმა ინსტიტუტების პრაქტიკამ და ლიდერის მემკვიდრეობითობის წესებმა გამოავლინა მმართველის არაკომპეტენტურობა, რამაც სახელმწიფოს შიგნით არსებული სირთულეები გაამწვავა. რეგიონში არსებული რეჟიმების წარუმატებლობა არ შემოიფარგლება არასწორი განვითარებით, არამედ მას აქვს ისეთი მრავალი ხარვეზი, როგორიც არის: სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ზრდის ნელი ტემპი, კანონის უზენაესობის არარსებობა და ზოგადი სამართლიანობის არქონა. პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც სარგებლობენ აბსოლიტური ძალაუფლებით, ეწინააღმდეგებიან დემოკრატიული პრინციპებით ქვეყნის მართვას და ხელს უშლიან დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. პოლიტიკური ლიდერი ჯერ კიდევ ნიშნავს მის მემკვიდრეს და იყენებს გარე ძალებს მის მხარდასაჭერად, რათა შეინარჩუნოს სტატუს-კვო. ეს არის ისტორიული დილემა, რომლის წინაშეც ჯერ კიდევ დგას ამჟამინდელი აღმოსავლური პოლიტიკური სისტემის გარკვეული ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება სტაბილურ პოლიტიკურ განვითარებას[27].

[26] Kazem Alamdari, Why the Middle East Lagged Behind: The Case of Iran, University Press of America, 2015.
[27] Good, Bad and Ugly: The Historical Evolution of the Middle East. https://thegeopolitics.com/good-bad-and-ugly-the-historical-evolution-of-the-middle-east/#_edn18. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

ტალიბანის მმართველობის პერიოდში ავღანეთის სახელმწიფოს პრობლემები არის აღმოსავლეთ რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გამოწვევა, რომელიც დღემდე იპყრობს მსოფლიოს ყურადღებას და არ წყდება მის მიმართ ინტერესი. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები იმდენად კომპლექსურია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებზე დაყრდნობითაც კი საკმაოდ რთულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების პროგნოზირება.

**ჰუმანიტარული ინტერვენციის თეორია** - არის ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დიპლომატიური, ეკონომიური და სამხედრო რესურსების მიმართვა მეორე სახელმწიფოს მშვიდობიანი მოსახლეობის საფრთხისგან დაცვის მიზნით, რომელიც შეიძლება იყოს საომარი მოქმედებების ან სხვა სოციალური კატაკლიზმებისგან გამოწვეული. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების შემდეგ, ავღანეთში განვითარებული მოვლენები არის კიდევ ერთი ჰუმანიტარული ინტერვენციის გამოვლინების მაგალითი. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ქმედებები მიმართული იყო ავღანეთში განვითარებულ მოვლენებში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისაკენ.

თავდაპირველად, ჰუმანიტარული ინტერვენციის არსი განისაზღვრებოდა, როგორც რისკის ქვეშ მყოფი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენა. პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო წითელი ჯვარი, რომელიც ახორციელებდა სხვადასხვა მოქმედებებს მშვიდობიანი მოსახლეობის დასახმარებლად. მოგვიანებით, ჰუმანიტარული ინტერვენცია უფრო ფართო ცნება გახდა და საერთაშორისო ორგანიზაციები ამტკიცებდნენ, რომ მათი ჩარევა მიუკერძოებელი და ნეიტრალური იყო. ავღანეთში განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენციის მიმდინარეობისას დაირღვა როგორც მიუკერძოებლობის, ასევე ნეიტრალურობის პირობები. ქვეყანაში განვითარებულ პროცესებში ჩართული, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ისე ავღანეთის

მეზობელი ქვეყნები და გარე აქტორები, მოქმედებდნენ მხოლოდ საკუთარი მიზნების მისაღწევად[28] .

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ჰუმანიტარული ინტერვენციის კონცეფცია კვლავ გაფართოვდა და სამხედრო ელემენტი მოიცვა. მისი მიზანი საფრთხის შემცველი ძალის შეკავება ან დამარცხება იყო. სწორედ ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მიერ ავღანეთში განხორციელებული სხვადასხვა მასშტაბის მქონე ოპერაციების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. გარე აქტორების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ტერორისტული ორგანიზაცია ტალიბანისაგან მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, მოძრაობა ტალიბანის გავლენის შესუსტება და დემოკრატიული სახელმწიფოსათვის საჭირო ყველა პირობის შექმნა. შედეგად, ავღანეთის მშვიდობიანი მოსახლეობა დაცული იქნებოდა და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები დაიწყებოდა. ავღანეთში განვითარებული ოცწლიანი მოქმედებები უშედეგო აღმოჩნდა და ქვეყნის მართვა კვლავ ხელში აიღო ტერორისტულმა ორგანიზაცია ტალიბანმა, რომელმაც ქვეყნის მართვა თავის წესებით (შარიათი) დაიწყო.

სუვერენიტეტის ნორმა სახელმწიფოს უკრძალავს სხვა აღიარებული სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩარევას. აქედან გამომდინარე, ომის კანონიერად წარმოება შესაძლებელი გახდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკით და არა მისი შიდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევით. ეს პრინციპი განმეორებულ იქნა გაეროს წესდებაშიც, რომელმაც ქვეყნებს შორის სწორი დიპლომატიური ურთიერთობები უფრო გაამყარა. ჰუმანიტარული ინტერვენციის მასშტაბების სწრაფი ზრდა, განსაკუთრებით სამხედრო ძალის გამოყენებით, ცივი ომის დასრულების შემდეგ დაიწყო. ინტერვენციების სიმრავლე განაპირობა სხვადასხვა ქვეყნის მიერ საკუთარი მოქალაქეების გენოციდმა (მაგ: ერაყი, სომალი, ბოსნია, აღმოსავლეთ ტიმორი და სხვა). გაერომ მოუწოდა წევრ ქვეყნებს გაერთიანებისაკენ, რათა სხვადასხვა მოქმედებებით წვლილი შეეტანათ მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვაში. ავღანეთში

[28] რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011 წელი, გვ: 428-441.

განვითარებული მოვლენები კარგად წარმოაჩენს მშვიდობიანი მოსახლეობის რეპრესიების სიმძიმეს. ხშირი იყო მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობის როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური შემთხვევები.

აღნიშნულ მოქმედებებს გენოციდი არ უწოდეს ოფიციალურად, თუმცა ჰუმანიტარული ინტერვენციის წესების გათვალისწინებით, საერთაშორისო ორგანიზაციები და დიდი ქვეყნები განვითარებული გამოწვევების გადაჭრაზე შეთანხმდნენ (სამხედრო ძალა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური).

სამოქალაქო კონფლიქტებში დროული ჩარევის ხელის შემშლელი რამდენიმე ფაქტორი არსებობს. მათგან უმთავრესია პოლიტიკური ნების არარსებობა[29]. ძლიერ სახელმწიფოებს სამხედრო კუთხით ჩარევა შეუძლიათ, თუმცა ამას არ აკეთებენ, რადგან ჰუმანიტარულ საკითხებს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ეროვნულ ინტერესთან შედარებით. ასევე, ჰუმანიტარულ ინტერვენციას შეიძლება გარკვეული გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს და უარყოფითად აისახოს კონკრეტულ პირებსა თუ ორგანიზაციებზე. ტერორისტული ორგანიზაცია ტალიბანის ხელმეორედ მოსვლა ავღანეთის ხელისუფლებაში ნათლად მოწმობს, რომ ძლიერი სახელმწიფოები პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, დროულად არ ჩაერივნენ განვითარებულ მოვლენებში. ამიტომ, შექმნილმა მდგომარეობამ შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს, როგორც ქვეყნის მშვიდობიან მოსახლეობაზე, ასევე მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე. ასევე, დიდია რისკი, ავღანეთი აღმოჩნდეს ტერორისტული ჯგგუფებისთვის უსაფრთხო თავშესაფარი ტერაქტების დაგეგმვის, მომზადებისა და განხორციელების მხრივ მსოფლიო მასშტაბით.

**ჰეგემონური სტაბილურობის თეორია** - არის ყველაზე პოპულარული და გავლენიანი თეორია საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის მიმართულებით თანამედროვე ეპოქაში. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი მოითხოვს ჰეგემონური ან დომინანტი ძალის არსებობას, რომელიც ფართო მხარდაჭერას ინარჩუნებს სხვა ქვეყნებისაგან. ჰეგემონური სტაბილურობის თეორია იყო მეორე

[29] Samantha Power, "A Problem from Hell", PublisherBasic Books, May 14, 2013.

მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობების დაკვირვებების შედეგად შექმნილი თეორია. აშშ-ის დომინირებამ (ჰეგემონია) განაპირობა მსოფლიოს კაპიტალისტური ეკონომიკის წარმატება, 1945 წლის შემდეგ. სამი ათწლეულის განმავლობაში, ორ დესტრუქციულ ომში ჩარევის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდა საერთაშორისო პოლიტიკური სტრუქტურის ფუნდამენტური ცვლილება. კერძოდ, მას სურდა ეკონომიკური ურთიერთობების მის ლიბერალურ იდეალებთან შესაბამისობაში მოეყვანა. აშშ-ის ომის შემდგომი ძალაუფლების მთავარი მემკვიდრეობა იყო ბრეტონ ვუდსის საერთაშორისო მონეტარული სისტემა და GATT-ზე დაფუძნებული მრავალმხრივი სავაჭრო რეჟიმი. თუმცა, 1970-იანი წლების დასაწყისში არსებული ფულადი და სავაჭრო რეჟიმები საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მსხვილ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის მზარდი ეკონომიკური კონფლიქტითა და შეერთებული შტატების შედარებითი ეკონომიკური ვარდნის პირობებში[30]. ამ თეორიის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების მიზანი მისი გავლენის სფეროს გაფართოება იყო აღმოსავლეთის რეგიონის მიმართულებით. ამიტომ, აშშ-მა ავღანეთში დაიწყო გარკვეული ინვესტიციების განხორციელება ცივი ომის მიმდინარეობის პერიოდში და შემდგომაც. ვინაიდან, იგი დაინტერესდა ავღანეთის გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობით, რომელიც დიდ უპირატესობას მიანიჭებდა საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით, აღმოსავლეთ რეგიონში. აშშ-ისა და ავღანეთს შორის დაიდო არაერთი გრძელვადიანი ხელშეკრულება სხვადასხვა მიმართულებით (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამხედრო და სხვა). ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, ავღანეთის გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობით და ბუნებრივი რესურსებით დაინტერესდა დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი, რომელიც ცნობილია როგორც დიდი თამაშები. ავღანეთის მიმართ ინტერესი დღემდე არ წყდება და ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ჩინეთი, რომელიც მრავალ ინვესტიციას ახორციელებს

[30] Charles P. Kindleberger, The World in Depression, 1929–1939, University of California Press Berkeley and Los Angeles, Printed in the United States of America, 01 Jun, 1987, pp 292.

ავღანეთში და ცდილობს ავღანეთის სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამოყენებას საერთაშორისო ვაჭრობის ჭრილში. ავღანეთის უახლოეს ისტორიაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერც ერთმა ქვეყანამ თავის მიზანს ვერ მიაღწია ამ ქვეყანაში და ვერ შეძლო ავღანეთის დემოკრატიულ/განვითარებად ქვეყნად ჩამოყალიბება. ავღანეთს კვლავ ტერორისტული ორგანიზაცია ტალიბანი მმართავს და ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნის პროცესი უფრო და უფრო ჩიხში შედის.

ჰეგემონური სტაბილურობის თეორია ორ ძირითად მიმართულებად იყოფა - ნეო-ლიბერალურ და ნეორეალისტურად[31]. ამ ორიდან, ამჟამად ყველაზე განხილვადი ვერსია ნეოლიბერალურია, რომელშიც საერთაშორისო საზოგადოებრივი საქონლის იდეა ცენტრალურ როლს თამაშობს. საერთაშორისო სისტემაში, რომელშიც ძალაუფლება სწორად არის გადანაწილებული სახელმწიფოებს შორის, ყურადღება ექცევა საერთაშორისო კოლექტიური საქონლის მიწოდებას, როგორიცაა ფინანსური დახმარება კრიზისის დროს ან საერთაშორისო ვაჭრობის კარგად დამკვიდრებული წესების დაცვა. აღწერილი პროცესი ცალკეულ სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას ერთად გაიღონ საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფის ხარჯები, ნაცვლად ინდივიდუალურისა. საერთაშორისო მმართველობის გარეშე, მხოლოდ ჰეგემონურ სახელმწიფოს შეუძლია კოლექტიური საქონლის მიწოდება. ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის ნეოლიბერალურ ჭრილში განხილვისას, ავღანეთში განვითარებულ მოვლენებში წამყვან ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ძალაუფლება სწორად იყო გადანაწილებული, რადგან იბრძოდნენ ერთი საერთო მიზნისთვის (ამერიკა, ნატოს პარტნიორი და არაპარტნიორი ქვეყნები), გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების შემდგომ. გარე აქტორებმა, შეიძლება ითქვას, რომ საერთო მიზანს მეტ-ნაკლებად მიაღწიეს ავღანეთში.

---

[31] US-Western European Economic Relations, 1940-197, https://personal.lse.ac.uk/WYATTWAL/images/THEUS.pdf (ბოლოს გადამოწმდა - 08.09.2024).

ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის ნეორეალისტური ვერსია ნაკლებად იზიარებს საერთაშორისო საზოგადოებრივი სიკეთის იდეას. ნეორეალისტები თვლიან, რომ სახელმწიფოებს განსხვავებული პოლიტიკის პრეფერენციები აქვთ, რაც დამოკიდებულია მათ  პოზიციაზე მსოფლიო ეკონომიკაში. ჰეგემონური სახელმწიფო, ხელს უწყობს ღია მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებს, განსხვავებით საშუალო ზომის სახელმწიფოებისაგან. ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის ნეორეალისტურ მიდგომაში არსებობს ექსპლუატაციის ელემენტი. ჰეგემონი აყალიბებს სისტემას საკუთარი მიზნის მისაღწევად, თუმცა, შესაძლებელია სასარგებლო იყოს განვითარებადი ქვეყნებისთვისაც. ჰეგემონი იყენებს თავის ძალაუფლებას სხვა სახელმწიფოებზე გავლენის მოსაპოვებლად[32]. ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის ნეორეალისტური მიდგომის მიხედვით, ავღანეთში წარმოდგენილი იყო გარე აქტორები, რომლებსაც სურდათ ინდივიდუალური გავლენის მოპოვება ქვეყანაში საკუთარი მიზნების მისაღწევად. პაკისტანი დაინტერესებული იყო ავღანეთის ხელისუფლებაში თავისი წარმომადგენლების მოყვანით, რათა გამხდარიყო დომინანტი გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობის გაკონტროლებით რეგიონში, რითაც განიმტკიცებდა ქვეყნის უსაფრთხოებასა და საერთაშორისო ვაჭრობიდან მიიღებდა დიდ ეკონომიკურ მოგებას. თუმცა, პაკისტანმა ვერ მიაღწია ვერცერთ  მიზანს ავღანეთის უახლესი ისტორიაში, ვინაიდან ავღანეთის ხელისუფლება ნეიტრალური პოლიტიკის პრინციპების დაცვით ურთიერთობდა პაკისტანთან.  ჩინეთმა შეძლო და ავღანეთის უახლოეს ისტორიაში ყველაზე დიდი ინვესტიციები განახორციელა ქვეყნის ტერიტორიაზე. ამიტომ, მას შეუძლია საერთაშორისო ეკონომიკური ვაჭრობის წარმოება და ავღანეთის გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობის გამოყენება საკუთარი შეხედულებისამებრ. ჩინეთი დღემდე აგრძელებს ინვესტირებას ავღანეთში და ტერორისტული ორგანიზაცია ტალიბანთან სწორი პოლიტიკის წარმოებას. შეიძლება ითქვას, რომ

[32] Stephen D. Krasner, State Power and the Structure of International Trade, published by The Johns Hopkins University Press, Apr, 1976.

ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც შეძლო ყველაზე დიდი წარმატების მიღწევა ავღანეთში. სხვა ჰეგემონურმა ქვეყნებმა კი ნაწილობრივ მიაღწიეს მიზანს, თუმცა ბოლოს მაინც მოუწიათ ავღანეთის დატოვება.

ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის ორივე მიმართულებისათვის საერთო არის სტრუქტურული აქცენტი. კერძოდ, საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ღიაობა და სტაბილურობა არის სახელმწიფოთა შორის ძალაუფლების განაწილების შედეგი. სახელმწიფოები ითვლებიან რაციონალურ აქტორებად, ხოლო შიდა პოლიტიკა წარმოდგენილია სისტემური ფაქტორების პროდუქტად[33]. ამ თეორიის მიხედვით ავღანეთის უსაფრთხოების საკითხი ნაკლებად იყო გათვალისწინებული. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების გასვლა ავღანეთიდან და ტერორისტული ორგანიზაცია ტალიბანის პირისპირ ქვეყნის დატოვება. დღემდე, არც ერთი ჰეგემონური ქვეყანა არ ცდილობს უსაფრთხოების კუთხით სიტუაციის გამოსწორებას ავღანეთში.

[33] Robert O. Keohane, after hegemony, Cooperation and Discard in the world Political Economy, Published by Princeton University Press, 1984.

## 1.2. ავღანეთის სახელმწიფოს ფორმირების ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები

ავღანეთის უძველესი ისტორია სავსეა სხვადასხვა კულტურით, რომელშიც ერთიანდებიან ადრეული მომთაბარე ტომები: აქემენიდურ სპარსეთს, სელევკიდებს, მაურიელებს, პართიელებს, სასანიდებს, დასტეპებს, როგორიცაა კუშანები და ჰეფტალიტები და სხვა. ყველა ამ ცივილიზაციამ დატოვა თავისი კვალი ამ ქვეყანაში, რამაც კულტურებისა და რელიგიების უნიკალური შერწყმა გამოიწვია.

ეს ქვეყანა ერთ-ერთი მთავარი დამაკავშირებელია ცენტრალურ და სამხრეთ აზიას შორის. ამ ფაქტმა ავღანეთის ტერიტორიას უზარმაზარი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭა. ათასწლეულების განმავლობაში სასიცოცხლო მნიშვნელობის სტრატეგიული, საომარი და სავაჭრო გზები გადიოდა თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიებზე. მათ შორის მნიშვნელოვანი არის აბრეშუმის გზა და ხეიბერის უღელტეხილი. როგორც ადრე, დღესაც, მოსახლეობის უმეტესობა მოკრძალებული ფერმერი ან მესაქონლეა. ამიტომ, მდინარეები და ნაკადულები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ურბანული სტრუქტურების ჩამოყალიბებაში. უძველესი ცივილიზაციები განვითარდნენ წყალთან ახლოს არსებულ ადგილებში, როგორიცაა მდინარეები - ჰელმანდი, ქაბული და ოქსუსი. ავღანეთი ასევე მდიდარია ბუნებრივი მინერალური რესურსით. სამწუხაროდ, მთიანი და უხეში რელიეფი ამ რესურსების მოპოვებას ართულებდა. ამიტომ, ავღანეთის ადრეულ მაცხოვრებლებს მძიმე შრომა უწევდათ ძვირფასი მადნების მოსაპოვებლად.

არტეფაქტებზე დაყრდნობით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ადამიანები ავღანეთში ცხოვრობდნენ სულ მცირე 52 000 წლის წინ. არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ცხადყო, რომ ავღანეთის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ ძველი ქვის ხანაში უცხოვრია (ყარა-ყამარის გამოქვაბული). ძველი წელთაღრიცხვით პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ავღანეთის ტერიტორიაზე გაჩნდა პირველი მონათმფლობელური სახელმწიფოები. შემორჩენილი უძველესი

ცნობებიდან პირველი არის ოქსუს-ის[34] ცივილიზაცია, რომელსაც ასევე უწოდებენ ბაქტრია-მარგანიას არქეოლოგიურ კომპლექსს (BMAC), მდებარეობდა დღევანდელი ავღანეთის ჩრდილოეთ მხარეში. მეცნიერების მოსაზრებით, ეს იყო პირველი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, გამაგრებული დასახლებებითა და ლითონის დამუშავების გამორჩეული უნარებით.

დაახლოებით ძვ. წ. 500 წლიდან მოყოლებული, სხვადასხვა ცივილიზაცია ქმნიდა რეგიონის ისტორიას. მათგან გამორჩეულნი იყვნენ ირანელები, რომლებმაც დაახლოებით ძვ. წ. 550 წელს დაამარცხეს მიდიელები და ინტეგრირდნენ აქემენიდთა სპარსეთის იმპერიაში. აქემენდირები მომდევნო 200 წლის განმავლობაში მართავდნენ ამ ქვეყანას, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ავღანეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი.

ძვ. წ. 327 წლისათვის ალექსანდრე მაკედონელმა მოიპოვა კონტროლი ბაქტრიის სატრაპიაზე, რომელიც დღევანდელი ავღანეთი ტერიტორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მმართველობისას ალექსანდრემ შექმნა მრავალი ქალაქი რეგიონში და მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა და პოლიტიკური ცვლილებები. ალექსანდრეს შექმნილ უზარმაზარ იმპერიაში, მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის გარეშე ყოფნამ ცალკეულ სამეფო მეთაურებს შორის ლიდერობისთვის ბრძოლა გამოიწვია. გრძელვადიანი კონტროლი აღმოსავლეთ ნაწილებზე, მათ შორის თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიებზე, გადაეცა სელევკოს I ნიკატორს (ძვ. წ. 358-281 წწ.). ასე დაიწყო სელევკიდების დინასტიის გავლენა ავღანეთზე, რაც გაგრძელდა მომდევნო 100 წლის განმავლობაში. დაახლოებით ძვ.წ 250 წელს, სელევკიდებმა თანდათან დაკარგეს კონტროლი თავიანთ სამფლობელოებზე, რამაც შეასუსტა მათი გავლენა თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიებზე[35]. მომდევნო ათწლეულების განმავლობაში, ოდესღაც ძლევამოსილი სელევკიდების იმპერია დაიშალა აჯანყებებისა და (სამოქალაქო) ომების გამო. ბაქტრიელებმა გამოიყენეს

---

[34] Mark kenoyer. M, Ancient Cities of the Indus Valley Civilization, Oxford University Press, 1998.

[35] The Journal of Hellenic studies, Society for the Promotion of Hellenic Studies, London, 2011.

არასტაბილურობა, თავიანთი ძალაუფლების გასავრცელებლად თანამედროვე ინდოეთში.

ავღანეთის ისტორიისთვის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სასანიანთა იმპერიის მართვის პერიოდი, რომელმაც დაამარცხა პართიის იმპერია და გაანადგურა ინდო-პართიელთა ნაშთები 224 წელს. სასანიანთა მმართველობით რეგიონში ირანული კულტურა აღორძინდა და ზოროასტრიზმი კიდევ ერთხელ განისაზღვრა სახელმწიფო რელიგიად. ზოგიერთი წყარო ამტკიცებს, რომ სასანიანთა მმართველობის დროს პირველად გაჩნდა ტერმინი „ავღანელი“ ან „აზგანი“ და მოიაზრებდა დღევანდელი ფუშტუნების ტომობრივ წინაპრებს.

V-VI საუკუნეების მიჯნაზე ავღანეთი დაიმორჩილეს ჰეფტალიტებმა, რომლებსაც ზოგჯერ თეთრ ჰუნებად მოიხსენიებენ. ისინი ავღანეთის ისტორიის ასპარეზზე გამოჩნდნენ 442 წელს. ათწლეულის ომის შემდეგ, თეთრმა ჰუნებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს სასანიებს ჰერათის ბრძოლაში, 484 წელს. მომდევნო წლებში ჰეფთალიტებმა დაიმორჩილეს აღმოსავლეთ სასანური სამფლობელოს დიდი ნაწილი. ამით ისარგებლეს სხვა ტომობრივმა გაერთიანებებმა და სამხრეთ ავღანეთში დასახლდნენ. ჰეფთალიტების მმართველობა დაასრულა სასანიანთა იმპერიამ VI საუკუნის შუა პერიოდში, ბიზანტიელებთან წარმატებული ომის შემდეგ. ჰეფთალიტები მცირე სამეფოებად დაიშალნენ და ვეღარასოდეს გაბატონდნენ ავღანეთზე. VII-VIII საუკუნეებში ავღანეთის დიდი ნაწილი არაბებმა დაიმორჩილეს.

IX საუკუნეში ავღანეთს მმართავდნენ თაჰერიდების[36] და საფარიდების[37] დინასტიები. ეს პერიოდი რეგიონისთვის მნიშვნელოვანია სამეურნეო-კულტურული აღმავლობით. X საუკუნის მეორე ნახევრიდან ავღანეთი

---

[36] თაჰერიდები - სპარსული დეჰკანის წარმოშობის არაბიზებული სუნიტი მუსლიმური დინასტია, რომელიც მართავდა როგორც ხორასანსა და ბაღბასებს 821-დან 873 წლამდე.
[37] საფარიდები - ეს დინასტია მართავდა სისტანს 861-დან 900 წლამდე, დღევანდელი ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილებს.

ემორჩილებოდა ღურიდების სახელმწიფოს, რომლის ბირთვი იყო ჰერათის მთიანი მხარე ღური. ღურები შემდგომ მოიხსენიებიან ავღანებად. XII-XIV საუკუნეებში მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ავღანეთისა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში. ავღანი ხალხის ეთნოგენეზის პროცესში მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ ირანული ტომები.

დღევანდელ ავღანეთს 1219-1332 წლებში მონღოლთა იმპერია მართავდა.[38] მონღოლთა შემოსევებმა დროებით შეაფერხა ავღანეთის საზოგადოების განვითარება. XIV საუკუნის ბოლოს ავღანეთი დაიპყრო თემურ ლენგმა. თემურიდების მმართველობის დროს განმტკიცდა ფეოდალური ურთიერთობები, ხოლო ჰერათი აღმოსავლეთის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი კერა გახდა. მმართველებმა დააარსეს კულტურული და სამეცნიერო თემები ავღანეთში. კერძოდ, თემურიდების დინასტიის დროს განვითარდა პოეზია, არქიტექტურა და მინიატურული მხატვრობა.

დიდი ხნის განმავლობაში ავღანეთი მხოლოდ გეოგრაფიული და ეთნიკური ცნება იყო და არ გამოიყენებოდა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, რადგან ერთიან სახელმწიფოს არ წარმოადგენდა. თავდაპირველად ავღანური ტომებით დასახლებული ტერიტორიები გაცილებით მცირე იყო, ვიდრე თანამედროვე ავღანეთია. მათ ეკავათ ღაზალის ზეგანი, სულეთის მთები და მომიჯნავე რაიონები. ავღანეთის დანარჩენ ტერიტორიაზე ოდითგანვე დასახლებული იყვნენ ტაჯიკები, უზბეკები და მეჯოგე ტომები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით წინ უსწრებდნენ ავღანელ ტომებს. ისინი საძოვრებისა და ნადავლის მოპოვების მიზნით აფართოებდნენ ტერიტორიებს, დაიკავეს ქაბული, ყანდაჰარი, ჰერათი და სხვა დიდი რაიონები. განვითარების მიზნით ითვისებდნენ დაკავებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების ადათებსა და წესებს.

[38] Lkhaajav, Bolor, international online news magazine covering politics, society, and culture in the Indo-Pacific region, Washington, 2021.

XVII საუკუნეში ავღანეთის ტერიტორია გაინაწილეს მოგოლურმა და სპარსელმა მმართველებმა. ავღანური ტომები არასოდეს ურიგდებოდნენ მათ ბატონობას და ბრძოლებს აწარმოებდნენ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ავღანური ტომები  ბრძოლების შედეგად გაერთიანდნენ, როგორიცაა ჰერათი, ყანდაჰარი და სხვა,  მათ სურდათ უცხოელი მოძალადე  ფეოდალები გაეძევებინა და საკუთარი დინასტიების შექმნა. საბოლოოდ, ავღანურმა ტომებმა შეძლეს და საკუთარი მიწა-წყლიდან გააძევეს ირანელი დამპყრობლები. უფრო მეტიც, შეესივნენ ირანის ტერიტორიასაც. განვითარებულმა მოვლენებმა ბიძგი მისცა ავღანური ტომების გაერთიანებას. მათ შექმნეს პირველი ფეოდალური სამთავრო - აქორა. მისი მმართველი ხუშჰალ-ხან ხათაქი სათავეში ჩაუდგა სახალხო ანტიმოგოლურ აჯანყებას (1672–1675).

XVIII საუკუნის დამდეგს ყველაზე ძლიერმა ავღანურმა ტომებმა: ღილზაებმა და აბდალიებმა, ანტიირანული აჯანყების შედეგად შექმნეს ყანდაარისა (1709) და ჰერათის (1716) დამოუკიდებელი ფეოდალური სამთავროები. მათ 1709 წლის აჯანყების დროს მოკლეს ქართლის მეფე გიორგი XI, რომელიც შაჰის მიერ ყანდაარის ბეგლარბეგად იყო დანიშნული. 1722 წელს ავღანელებმა დაამარცხეს ირანი და ბოლო მოუღეს სეფიანთა დინასტიას ამ ქვეყანაში. ავღანეთს ამის შემდეგ ირანის მმართველი ნადირ შაჰი დაეუფლა, რომლის მმართველობა დასრულდა 1747 წლის ივნისში[39]. ამავე წელს ავღანელი მეთაურები შეიკრიბნენ ლოია ჯირგაზე (დიდი საბჭო), ყანდაჰარში ახალი მმართველის არჩევის მიზნით. შედეგად მმართველად აირჩიეს ახალგაზრდა 25 წლის აჰმად ხანი[40], რომლის მოღვაწეობაც დაიწყო 1747 წელს, ღაზნის აღებით,  ქაბულისა და ფეშავარის დაკავებით და მდინარე ინდამდე არსებული ტერიტორიის დაპყრობით. 1749 წელს მან მუღალის მმართველს აიძულა დაეთმო სინდი, ფენჯაბის რეგიონი და სხვა ტერიტორიები.

---

[39] Vogelsang, Willem . The Afghans. Wiley-Blackwell, 2010.
[40]  "The Durrani dynasty", Encyclopædia Britannica, 2010.

XIX საუკუნეში შინაომებით დასუსტებული და დაშლილი ავღანეთი თავისი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობისა და სერიოზული საქარავნო-სავაჭრო გზების მნიშვნელობის გამო ევროპის დიდი სახელმწიფოების: ინგლისისა და რუსეთის დაპირისპირების ობიექტი გახდა და დაიწყო დიპლომატიური კონკურენცია ბრიტანეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის გავლენის მოსაპოვებლად სამხრეთ აზიაში, რომელიც ცნობილია როგორც "დიდი თამაში" ინგლისელებისთვის და "ჩრდილების ტურნირი" რუსებისთვის. ოსტ-ინდოეთის კომპანიით ინგლისი შეეცადა ავღანეთთან დაახლოებას, ხოლო რუსეთი ცდილობდა კონტროლი არ დაეკარგა ავღანეთზე, რათა გამხდარიყო დომინანტი ქვეყანა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიის გაკონტროლებით აზიაში. რუსეთი ავღანეთის შიდა მმართველობაში ცდილობდა ჩარევას და კონტროლის მოპოვებას, რაც წარუმატებლად დასრულდა. ავღანეთის ხელმძღვანელობამ ურთიერთობა გაიუმჯობესა ინგლისთან. არსებული სიტუაციის გამოყენება სცადეს ინგლისელებმა და გადაწყვიტეს ომის დაწყება ავღანეთში რუსეთის მომხრე დოსტ-მუჰამედის დასჯისა და მისი ხელში ჩაგდების მიზნით, მაგრამ ინგლისელებმა ავღანეთში დამკვიდრება და თავიანთი კოლონიური პოლიტიკის განხორციელება ვერ შეძლეს. ამის შემდეგ, ინგლისელებმა მოგვიანებით კიდევ სცადეს ავღანეთის დამორჩილება, თუმცა კვლავ უშედეგოდ.

## 1.3. ორგანიზაცია ტალიბანის, ჩამოყალიბების მიზეზები და მისი მმართველობის პირველი პერიოდი

ავღანეთის სამოქალაქო ომი მოსახლეობისთვის იყო ინტენსიური კონფლიქტებისა და ეკონომიკური სიდუხჭირის პერიოდი. საბჭოთა კავშირის მიერ მხარდაჭერილი ხელისუფლების დაშლამ, ეთნიკურმა თუ რელიგიურმა განხეთქილებამ და გარე ძალების ჩართულობამ ხელი შეუწყო კონფლიქტის მეტად გაღვივებას. ავღანეთის რესპუბლიკა დაიშალა 1992 წელს, რუსეთის ფედერაციის დახმარების შეწყვეტის შემდეგ. ამავე წლის 16 აპრილს, ავღანეთის პრეზიდენტი მუჰამად ნაჯიბულა გადადგა და მმართველი სახალხო დემოკრატიული პარტია დაიშალა. ავღანეთის პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ ძალაუფლების მშვიდობიანად გადანაწილებაზე. 1992 წლის 24 აპრილის ფეშავარის შეთანხმების საფუძველზე ავღანეთის პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის შექმნისა და გარდამავალი პერიოდისათვის დროებითი მთავრობის დანიშვნის. შეთანხმების მიუხედავად ძალაუფლების მოპოვებისათვის მებრძოლი ჯგუფების დაპირისპირებები გაგრძელდა და ქვეყანაში წარმოიშვა სამოქალაქო ომის კერები[41].

ჰექმათაიარის ჰეზბ-ე ისლამისა და გულბედინის პარტიამ უარი თქვა დროებითი მთავრობის აღიარებაზე, რომლებიც აპრილში შეიჭრნენ ქაბულში ძალაუფლების მოსაპოვებლად, რის შემდეგაც დაიწყო სამოქალაქო ომი ავღანეთში. ჰეკმატიარმა მაისში დაიწყო სამთავრობო ძალებზე თავდასხმები ქაბულში, რომლებიც დააფინანსა პაკისტანის ისლამურმა რესპუბლიკამ. მისი აზრით, დედაქალაქის გაკონტროლების შემდეგ, მარტივად შეძლებდნენ ავღანეთზე კონტროლის დამყარებას.

[41] "Afghanistan: Political Parties and Insurgent Groups 1978–2001" (PDF), Australian Refugee Review Tribunal, 7 March 2013, pp. 18–19.

ავღანეთში შექმნილ რთულ კრიზისულ ვითარებაში საჭირო იყო შექმნილიყო ძალა, რომელიც შეძლებდა კონტროლის აღებასა და მშვიდობის დამყარებას ქვეყანაში. სწორედ ამ პერიოდში იქმნება ახალი ისლამისტური ორგანიზაცია ტალიბანი.

ტალიბანი (/tælɪbæn,tɑːlɪbɑːn/; პუშტუ: ტელაინი, რომანიზებული: ṭālibān, ლიტ. 'სტუდენტები' ან 'მაძიებლები'), არის მუსლიმი თეოლოგი სტუდენტების მოძრაობა, აღმოსავლეთ და სამხრეთ ავღანეთის ფუშტუნთა რაიონებიდან. ისინი განათლებას იღებდნენ ტრადიციულ ისლამურ სკოლებში. ასევე, ორგანიზაციის წევრები იყვნენ ტაჯიკი და უზბეკი სტუდენტები, რომლებმაც ტალიბანის სწრაფ ზრდასა და წარმატებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს[42]. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო მულა მუჰამედ უმარი.

მულა მუჰამედ უმარი (1960 - 2013)[43] დაიბადა რელიგიურ ოჯახში, ქალაქ ყანდაჰარში და განათლება მიიღო ავღანეთის ადგილობრივ მედრესეებში. 1979 წელს, საბჭოთა ჯარის ავღანეთში შესვლის შემდეგ, იგი შეუერთდა ავღანელ მოჯაჰედებს საბჭოთა-ავღანეთის ომში, როგორც სამხედრო გენერალი. ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ, ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომში მას არ სურდა მონაწილეობის მიღება, მაგრამ ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობამ აიძულა სამოქალაქო ომში ჩართულიყო. 1994 წლის სექტემბერში, მულა მუჰამედ უმარმა და 50 სტუდენტმა, მშობლიურ ქალაქ ყანდაჰარში დააარსეს გაერთიანება - ტალიბანი. ისლამური კანონი (შარიათი) ავღანეთში კომუნისტური მმართველობის დასრულების შემდეგ არ მოქმედებდა, რითაც განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო მულა უმარი. ამიტომაც, მის ჯგუფთან ერთად დადო პირობა, რომ ავღანეთს ისლამის არამიმდევარი ხელისუფლებისა და კრიმინალებისგან გაათავისუფლებდა. ამ განცხადების შემდეგ, მულა უმარის სხვა სტუდენტებიც შეუერთდნენ, მათ შორის

[42] Nojumi, Neamatollah. The Rise of the Taliban in Afghanistan: Mass Mobilization, Civil War, and the Future of the Region Palgrave, New York, 2002.
[43] Afghan Taliban publish Mullah Omar biography. https://www.bbc.com/news/world-asia-32189847. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

ისინიც ვინც ავღანეთ-საბჭოთა ომში მონაწილეობდნენ[44]. რამდენიმე თვეში დაჯგუფებას შეუერთდა 15000 სტუდენტი პაკისტანის ისლამური რესპუბლიკიდან, მათ შორის იყვნენ ავღანელი ლტოლვილები, რომლებიც რელიგიურ სკოლებში სწავლობდნენ (ან როგორც ერთი წყარო უწოდებს მათ Jamiat Ulema-e-Islam-ის მიერ მართული მედრესებში). ტალიბანის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ავღანელი ხალხის ტანჯვის დასრულება, რომელიც ავღანური დაჯგუფების ძალაუფლებისთვის ბრძოლით იყო გამოწვეული, რადგან ისინი არ იცავდნენ ისლამის მორალურ კოდექსს.

პაკისტანის მთავრობამ არაერთხელ უარყო ტალიბანისთვის სამხედრო და დიპლომატიური დახმარება, თუმცა სხვადასხვა წყაროს მიხედვით პაკისტანი ნამდვილად იყო ჩართული ტალიბანის ჩამოყალიბების პროცესში (1994 წლის ოქტომბერში)[45]. პაკისტანი იმედოვნებდა ტალიბანის დახმარებას ინდოეთთან კონფრონტაციაში. მისი მიზანი ტალიბანზე კონტროლის მოპოვება იყო, ხოლო ტალიბანის ხელმძღვანელობა მანევრირებდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და ფინანსურ მხარდაჭერას შორის. ტალიბანს საუდის არაბეთიც ეხმარებოდა, რომელმაც საბრძოლო მარაგები და საწვრთნელი ბაზებისთვის საჭირო ლოჯისტიკური მარაგები შეიძინა.

აქვე უნდა აღინიშნოს ოსამა ბინ ლადენიც, რომელიც საუდის არაბეთის ერთ-ერთი გავლენიანი ოჯახიდან იყო. 1980-იან წლებიდან იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ავღანეთში. ოსამა ბინ ლადენმა შექმნა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია ალ-კაიდა. მას იმ პერიოდში უკვე ყველა ცივილიზებული ქვეყანა დევნიდა, გარდა ავღანეთისა. ამიტომაც, თავისი მიზნების განხორციელება გადაწყვიტა ავღანეთში. ტალიბანის ხელმძღვანელს, მულა ომარსა და ოსამა ბინ ლადენს ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებით საერთო მიზანი და ხედვა

---

[44] Matinuddin, Kamal, The Taliban Phenomenon, Afghanistan 1994–1997, Oxford University Press, 1999, pp. 25–26.

[45] Shaffer, Brenda, The Limits of Culture: Islam and Foreign Policy. MIT Press, 2006, p. 267.

ჰქონდათ. ბინ ლადენმა ფინანსური დახმარება გაუწია ტალიბანს. ავღანეთში ოსამა ბინ ლადენი ამზადებდა ათასობით მოხალისე ახალგაზრდას ტალიბანის მებრძოლად. ასევე, ალ-კაიდას ბანაკებში წვრთნიდნენ პაკისტანელ მებრძოლებს ინდოეთის წინააღმდეგ ქაშმირის სადავო რეგიონში ბრძოლის მიზნით. ტალიბანისთვის ოსამა ბინ ლადენის მხარდაჭერა იყო მნიშვნელოვანი, რადგან ტალიბანი ახლად ყალიბდებოდა ავღანეთში.

მოძრაობა ტალიბანი ქვეყანაში პირველად გამოჩნდა 1994 წლის აგვისტოში. მათი მიზანი იყო ავღანეთის განთავისუფლება იმჟამინდელი კორუმპირებული ხელისუფლებისაგან და ისლამური საზოგადოების ჩამოყალიბება ავღანეთში. იმავე წლის ოქტომბერში, ტალიბანმა პაკისტანის მხარდაჭერა მიიღო, რომელიც უკმაყოფილო იყო ჰეკმატიარის წარუმატებლობით. პაკისტანი იმიტომ უჭერდა მხარს ტალიბანს, რომ მასში ხედავდა ცენტრალური აზიის სავაჭრო გზებისა და მათი ინტერესების დაცვის საშუალებას. პაკისტანელი ვაჭრები, რომლებიც დიდი ხანი ეძებდნენ უსაფრთხო გზას ცენტრალურ აზიაში საქონლის გასაგზავნად, სწრაფად გახდნენ ტალიბანის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფინანსური მხარდამჭერები. პაკისტანელებს ასევე სურდათ ავღანეთში სტაბილური მთავრობის ჩამოყალიბება, იდეოლოგიური განსხვავების მიუხედავად, რათა 3 მილიონი ავღანელი, რომელიც 15 წელი თავს აფარებდა პაკისტანს, დაბრუნებულიყო სამშობლოში. ვინაიდან, ამ ლტოლვილების ყოფნა პაკისტანისთვის მძიმე ტვირთად იქცა.

1992 წლის ივნისიდან, ჯამიათ-ე-ისლამის პარტიის ლიდერი, ბურჰანუდინ რაბანი, იყო ავღანეთის ისლამური სახელმწიფოს დროებითი პრეზიდენტი. მისი უფლებამოსილება მხოლოდ ქაბულის ნაწილზე ვრცელდებოდა, ხოლო ქალაქის დანარჩენ ნაწილზე კონტროლი სხვადასხვა დაჯგუფებას შორის იყო გადანაწილებული[46]. ავღანეთში არსებულ დაჯგუფებებს, ლობირებდნენ ქვეყნები,

[46] Casting Shadows, War Crimes and Crimes against Humanity:1978-2001, The Afghanistan Justice Project, 2005, p.67.

რომლებსაც ავღანეთზე გავლენის მოპოვება სურდათ (პაკისტანი, ირანი, საუდის არაბეთი და სხვა).

პაკისტანისა და საუდის არაბეთის შუამავლობით გაფორმებული 1992 წლის მარტის შეთანხმების თანახმად, რაბანი და ჰეკმატიარი შეთანხმდნენ ძალაუფლების გადანაწილებაზე, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე (1994 წლის ბოლომდე). სამშვიდობო შეთანხმების მიხედვით, მასუდი[47] გახდა თავდაცვის მინისტრი და ასევე მთავრობის სამხედრო მეთაური, ხოლო ჰეკმატიარმა კი პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავა, თუმცა მალევე დაარღვია პირობა - ქაბული დატოვა და მისი დაბომბვა დაიწყო. ავღანეთის ისლამური სახელმწიფოს დროებითმა პრეზიდენტმა, რაბანმა, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის დამშვიდების მიზნით 1995 წლის 10 იანვარს, ძალაუფლების გადაცემა შესთავაზა გაეროს დროებით ადმინისტრაციას[48]. სანაცვლოდ, ჰეკმატიარს უნდა შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები ქაბულზე. მისთვის შეთავაზებული პირობები მიუღებელი აღმოჩნდა და გაგრძელდა საბრძოლო მოქმედებები.

ტალიბანმა, 1994 წლის 5 ნოემბერს, დაიწყო სამხედრო მოქმედებები ქალაქი ყანდაჰარის დაპყრობით. თებერვლის დასაწყისში აიღეს ვარდაკი და 1995 წლის 10 თებერვალს, პროვინციის დედაქალაქი მაიდან შარი. ტალიბანი გაძლიერდა პაკისტანის მხარდაჭერით. ამან აიძულა ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა დაჯგუფებები გაერთიანებულიყვნენ ტალიბანის წინააღმდეგ. გაერთიანდა ხუთი დაჯგუფება: რაბანის ჯამიათ-ე ისლამი, ჰეზბ-ე ისლამი გულბუდინი, აბდულ რასულ საიაფის იტეჰად-ე ისლამი, ჰარაკატ-ი-ისლამი და ჰეზბ-ი ვაჰდატის აკბარის დაჯგუფება. ასეთმა გაერთიანებამ, მაინც ვერ შეძლო ტალიბების წინსვლის შეჩერება. 1994 წლის 14 თებერვალს, ჰეკმატიარი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი

[47] ავღანელი სამხედრო ლიდერი და პოლიტიკოსი. ის იყო პარტიზანული ქვედანაყოფების მეთაური საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

[48] Issue Papers, Extended Responses and Country Fact Sheets, AFGHANISTAN CHRONOLOGY OF EVENTS JANUARY 1995-FEBRUARY 1997 February 1997, Immigration and Refugee Board of Canada, 12 October 2017.

პოზიციები ჩარასიაბში, ტალიბების წინსვლის გამო. ხოლო 12 მარტიდან, მასუდის სამთავრობო ძალებმა დაიწყეს ტალიბების წინააღმდეგ შეტევა და დაატოვებინეს ქაბულის მიმდებარე ტერიტორიები. 19 მარტს, დაიბრუნეს ჩარასიაბი და რამდენიმე თვის განმავლობაში, ქალაქში სიმშვიდე დამყარდა. ტალიბებმა მოგვიანებით კვლავ განაახლეს ბრძოლები ქაბულის მიმართულებით და 20 ნოემბერს, ულტიმატუმი წაუყენეს ავღანეთის მთავრობას - თუ ავღანეთის ისლამური სახელმწიფოს დროებითი პრეზიდენტი რაბანი და მისი ძალები არ დატოვებდნენ ქალაქს, განაახლებდნენ ქაბულის დაბომბვასა და იზოლაციას. უარყოფითი პასუხის შემდეგ, კვლავ დაიწყეს ბრძოლები ქაბულის მიმართულებით.

1996 წლის 3 ივლისს, მთავრობასა და ოპოზიციას შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბდა ათ კაციანი მინისტრთა კაბინეტი ქვეყანაში. თითოეული პარტია სხვადასხვა სამინისტროს უხელმძღვანელებდა:

- ჰიკმათიარის პარტია - თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროები;
- რაბანის პარტია - შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროები;
- საიაფის პარტია - განათლებისა და კულტურის სამინისტროები;
- ჰარაკატ-ი-ისლამის პარტია - დაგეგმვის, შრომისა და სოციალური კეთილდღეობის სამინისტროები;

მთავრობის კაბინეტის დარჩენილი 12 ადგილი თავისუფალი იყო სხვა ფრაქციებისთვის. ყველა ეს პარტია/დაგჯუფება გაერთიანდა ტალიბანის წინააღმდეგ საბრძოლველად[49].

იმავე წლის 26 სექტემბერს, როდესაც ტალიბანი თავს დაესხა ქაბულს, თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი აჰმად შაჰ მასუდის ინფორმაციით - მთავრობის ძალები ალყაში მოექცნენ, მან გაიყვანა ძალები ჩრდილოეთით, განადგურების თავიდან ასაცილებლად. ასევე ჰეკმატიარმა და ჰეზბ-ე

[49] Issue Papers, Extended Responses and Country Fact Sheets, AFGHANISTAN CHRONOLOGY OF EVENTS JANUARY 1995-FEBRUARY 1997 February 1997, Immigration and Refugee Board of Canada, 12 October 2017.

ისლამი გულბუდინის ლიდერმა უკან დაიხიეს ქაბულიდან, რომლებიც იბრძოდნენ სამთავრობო ძალებთან ერთად. მეორე დღეს, ტალიბებმა დაიპყრეს ქაბული და დააარსეს ავღანეთის ისლამური ემირატი. ამ დროისთვის ტალიბანი აკონტროლებდა ავღანეთის უმეტეს ნაწილს[50]. ანალიტიკოსების აზრით, ტალიბანი იყო მარიონეტული ძალა პაკისტანის რეგიონული ინტერესების მისაღწევად.

1995 წლიდან 2001 წლამდე, ტალიბანის სამხედრო მიზანი აბდურ რაჰმანის[51] ორდენის დაბრუნება იყო ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში, ფუშტუნების ძალაუფლების აღდგენის მიზნით. ტალიბანი ცდილობდა ისლამური მთავრობის დაარსებას შარიათის მსგავსი კანონის ინტერპრეტაციით და ისლამური იურისპრუდენციის ჰანაფის სკოლით ავღანეთის ტერიტორიაზე[52]. 1998 წელს, ტალიბანი მართავდა თითქმის მთელ ავღანეთს, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთისა, რომელსაც შაჰ მასუდი აკონტროლებდა. მასუდის ძალებს იარაღით რუსეთი და ირანი ეხმარებოდა, რადგან ორივე ქვეყანა ტალიბანს საფრთხედ აღიქვამდა.

ავღანეთის მეზობელ ქვეყნებს არ მოსწონდათ ტალიბანის მოქმედებები. ტალიბანმა სცადა ომის პროვოცირება ირანთან, ირანელი დიპლომატების მკვლელობით, ავღანეთში შიიტური ისლამის მიმდევრების კრიტიკითა და მათი დევნით, ვინაიდან ირანის სახელმწიფო რელიგია იყო შიიზმი. ტალიბების მმართველობის დამყარებით შეშფოთებულნი იყვნენ უზბეკებისა და ტაჯიკების მთავრობის წარმომადგენლები. ამიტომ, რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ორივე ქვეყნის საზღვრების დასაცავად ჯარის გაგზავნისა. ასევე, ირანმა და რუსეთმა, კიდევ ერთხელ სამხედრო დახმარება გაუგზავნეს აჰმედ შაჰ მასუდის მებრძოლებს.

---

[50] Federal Research Division. https://www.loc.gov/services/federal-research-division/about-this-service/. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

[51] აბდურ რაჰმანი - ცნობილია, როგორც რკინის ამირი 1880 - 1901 წლებში. ასევე ჰაზარას გენოციდის განხორციელებით და შიდა ომების დაწყებიდან ქვეყნის გაერთიანებით.

[52] Ayoob, Mohammed "The Taliban and the Changing Nature of Pashtun Nationalism". The National Interest. 10 January 2019.

ავღანეთის ისლამური ემირატის ხუთწლიანი ისტორიის (1996-2001) განმავლობაში, ტალიბანის რეჟიმი შარიათს განმარტავდა ისლამური სამართლის ჰანაფის სკოლის[53] შესაბამისად. ტალიბებმა აკრძალეს ალკოჰოლი, სამომხმარებლო ტექნოლოგიების მიმართულებები: მუსიკა, ტელევიზია, და ფილმები, სპორტში მონაწილეობის მიღება, ფერწერა და ფოტოგრაფია, კინოთეატრები კი მეჩეთებად გადაკეთდა. ქალებს აეკრძალათ მუშაობა, გოგონებს ეკრძალებოდათ სკოლებსა და უნივერსიტეტებში სიარული, სთხოვდნენ დაეცვათ პურდა (სქესთა ფიზიკურად განცალკევება) და ავრა (სხეულის ტანსაცმლით დამალვა)[54]. ტალიბები კომუნისტებს სისტემატურად სჯიდნენ. ლოცვა სავალდებულო გახდა. აკრძალული იყო აზარტული თამაშები, ქურდები ისჯებოდნენ კიდურების ამპუტაციით. ტალიბანის ლიდერმა მულა უმარმა საწყის ეტაპზე დაუშვა ოპიუმის კულტივაცია და ნარკოტიკებით ვაჭრობა ქვეყანაში, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი ფინანსური შემოსავალი იყო იმ დროინდელი ავღანეთისთვის, ხოლო 2000 წლიდან ოფიციალურად აკრძალა ოპიუმის კულტივაცია და ნარკოტიკით ვაჭრობა ქვეყანაში. ტალიბანი, როგორც ნარკომომხმარებლებს, ისე მის გამყიდველებს მკაცრად დევნიდა.

მულა უმარი ამბობდა: შარიათი არ ცნობს პოლიტიკას და პოლიტიკურ პარტიებს. ამიტომ ჩვენ არ ვაძლევთ ხელფასს თანამდებობის პირებს და ჯარისკაცებს, მხოლოდ ვუზრუნველყოფთ საკვებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და იარაღით. ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობდა ჩვენი წინასწარმეტყველი, 1400 წლის წინ და ჯიჰადი არის ჩვენი მოვალეობა. ჩვენ გვინდა თავიდან შევქმნათ წინასწარმეტყველის პერიოდი და ვასრულებთ ავღანელი ხალხის ბოლო 14 წლის სურვილებს[55].

---

[53] ჰანაფის სკოლა - ჰანაფიური სკოლა ან ჰანაფი არის ისლამური იურისპრუდენციის ოთხი ძირითადი სკოლიდან ერთ-ერთი სუნიტური ისლამის ფარგლებში. ის დააარსა მე-8 საუკუნის მეცნიერმა, იურისტმა და თეოლოგმა აბუ ჰანიფამ (დაახლოებით ახ. წ. 699–767 წწ.)

[54] Purdah. https://www.britannica.com/topic/purdah. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

[55] Rashid, Ahmed Taliban: Militant Islam, Oil and Fundamentalism in Central Asia. Yale University Press. 2000.

ტალიბანის ძალაუფლების ზრდასთან ერთად მულა უმარი გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებდა, ლოია ჯირგასთან და ქვეყნის სხვა წარმომადგენლებთან კონსულტაციის გარეშე. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი შემთხვევა იყო ლოია ჯირგას[56] გადაწყვეტილების უარყოფა, ოსამა ბინ ლადენის ქვეყნიდან გაძევების შესახებ. მულა უმარი ხელისუფლებაში ყოფნისას მხოლოდ ორჯერ ეწვია დედაქალაქ ქაბულს. არჩევნების ნაცვლად, მათი ლიდერის ლეგიტიმაცია მომდინარეობდა ერთგულების ფიციდან („ბაია"), წინასწარმეტყველისა და პირველი ოთხი ხალიფას მსგავსად.

ტალიბები ერიდებოდნენ ძალაუფლების სხვა მის მხარდამჭერებთან განაწილებას, ვინაიდან მათი აბსოლუტური უმრავლესობა ფუშტუნები იყვნენ და მართავდნენ ავღანეთის სხვა ეთნიკური ჯგუფების 60%-ს. ადგილობრივ ხელისუფლებაში, ქაბულის საქალაქო საბჭოში ან ჰერათში, ტალიბები დომინირებდნენ ან მათ მიმართ პოზიტიურად განწყობილი წევრები, მაშინაც კი როცა ფუშთუნეოვანი ტალიბები ხშირად კომუნიკაციას ვერ ამყარებდნენ მოსახლეობის ნახევართან, რადგან ისინი დარით ან სხვა ენებზე საუბრობდნენ. კრიტიკოსების აზრით, ქალაქის ადმინისტრაციაში ადგილობრივი წარმომადგენლობის ნაკლებობამ ტალიბანი საოკუპაციო ძალად წარმოაჩინა.

ტალიბანის მმართველობის პირველ პერიოდში, საამიროებში გავრცელებული იყო ქალების სასტიკი რეპრესიები და რელიგიური პოლიცია ხშირად ძალადობდა მათზე[57]. ტალიბების ხელისუფლებამ გამოსცა ისეთი განკარგულებები, რომლებიც ქალებს განათლების მიღებას უკრძალავდა, აიძულებდა გოგონებს დაეტოვებინათ სკოლები და კოლეჯები. ქალები, რომლებიც გადიოდნენ სახლიდან თან უნდა ხლებოდათ მამრობითი სქესის ნათესავები და ვალდებულნი იყვნენ ეტარებინათ ბურქა, ტრადიციული სამოსი, რომელიც ფარავდა მთელ სხეულს, გარდა თვალებისა.

---

[56] Loya Jirga -- An Afghan Tradition Explained. https://www.rferl.org/a/afghanistan-loya-jirga-explainer/25174483.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

[57] Graham-Harrison, Emma, Makoii, Akhtar Mohammad, "'The Taliban took years of my life': the Afghan women living in the shadow of war", 9 February 2019.

ქალის დასაქმება შესაძლებელი იყო მხოლოდ სამედიცინო სექტორში, სადაც მამაკაც სამედიცინო პერსონალს ეკრძალებოდა ქალებისა და გოგონების მკურნალობა. ქალების დასაქმების აკრძალვამ დაწყებითი სკოლების დახურვა გამოიწვია, რადგან ტალიბანის აღზევებამდე თითქმის ყველა მასწავლებელი ქალი იყო, რამაც კიდევ უფრო მეტად შეზღუდა განათლების ხელმისაწვდომობა არა მხოლოდ გოგონებისათვის, არამედ ბიჭებისთვისაც. შეზღუდვები განსაკუთრებით გაამკაცრა ტალიბანმა დედაქალაქის აღების შემდეგ.

ავღანეთის ისლამური საამირო გარე სამყაროსთან იზოლაციონიზმის პოლიტიკით ურთიერთობდა. ტალიბანის მთავრობა მხარს უჭერდა სხვა ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობას და ანალოგიურად, არ სურდა გარე ძალების ჩარევა ქვეყნის შიდა საქმეებში. მიუხედავად იზოლაციონისტური პოლიტიკისა, ტალიბანმა დადო ნავთობის, ელექტროენერგიისა და გაზის გარიგება თურქმენეთთან, როგორც თურქმენეთი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთის მილსადენის მოკავშირე წევრმა.

თავდაპირველად მეგობრული ურთიერთობა შენარჩუნებული იყო ავღანეთის ისლამურ საამიროსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის. 1998 წელს მათი ურთიერთობა შეცვალა ტალიბანის ძალების მიერ ირანის საკონსულოს დარბევამ, მაზარ-ი-შარიფში და ირანელი დიპლომატების სიკვდილით დასჯამ. ინციდენტის შემდეგ, ირანი დაემუქრა ავღანეთს შეჭრით და ქვეყნების საზღვართან სამხედრო ძალების თავმოყრა დაიწყო. გაეროს უშიშროების საბჭოსა და შეერთებული შტატების ჩარევამ მათ შორის, ხელი შეუშალა ომის დაწყებას. თურქმენეთმა გადაწყვიტა პოზიტიური ნეიტრალიტეტი შეენარჩუნებინა ტალიბანის მთავრობასთან.

1998 წელს, ჩინეთმა პირველად დაამყარა კონტაქტი ტალიბანის რეჟიმთან. 2000 წლის ნოემბერში, ჩინეთის მაშინდელი ელჩი პაკისტანში, ლუ შულინი, გახდა არამუსლიმური ქვეყნის პირველი დიპლომატი წარმომადგენელი, რომელიც შეხვდა მულა უმარს.

1996-2001 წლებში, მხოლოდ სამმა ქვეყანამ პაკისტანმა, საუდის არაბეთმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა (UAE) აღიარეს ისლამური ემირატი ავღანეთის კანონიერ მთავრობად. ავღანეთის ისლამურ საამიროს აღიარებას ჰპირდებოდა ჩეჩნეთის რესპუბლიკა. თუმცა, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა, ასლან მასხადოვმა, მოგვიანებით ისლამურ ემირატს არალეგიტიმური მთავრობა უწოდა. ტალიბების მთავრობამ მხარდაჭერა მიიღო თურქმენეთისგანაც, თუმცა, ქვეყანამ ოფიციალურად არ აღიარა ავღანეთის ხელისუფლება[58]. ტალიბანის მთავრობა არ აღიარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამაც.

1999 წლის 15 ოქტომბერს, გაეროს უშიშროების საბჭომ სანქციები დაუწესა ალ-კაიდასთან, ოსამა ბინ ლადენთან და ტალიბანთან ასოცირებულ პირებსა და სუბიექტებს. 2001 წელს აშშ-ის ავღანეთში შეჭრის შემდეგ, სანქციები გავრცელდა ტალიბანის მთავრობის ყოფილ წევრებზე, ფიზიკურ პირებსა და ორგანიზაციებზე მთელ მსოფლიოში. 2000 წელს, გაეროს უშიშროების საბჭომ იარაღის ემბარგო დააწესა ტალიბების სამხედრო მხარდაჭერისათვის. გაეროს ოფიციალური პირები ცალსახად გამოარჩევდნენ პაკისტანს. გენერალურმა მდივანმა პაკისტანი სამხედრო მხარდაჭერისთვის ირიბად გააკრიტიკა. 2001 წლის ივლისში, რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა, პაკისტანი გაეროს სანქციების დარღვევაში და ტალიბებისთვის სამხედრო დახმარებაში დაადანაშაულა. ტალიბებმა პაკისტანისგან 40 მილიონის ფინანსური დახმარება მიიღეს.

ტალიბების სამხედრო რესურსი საწყის ეტაპზე იყო 400 საბჭოთა წარმოების T-54/T-55 და T-62 ტანკი და 200-ზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორი. სამხედრო ლიდერების უმრავლესობას გავლილი ჰქონდა პაკისტანის საერთაშორისო დაზვერვის კურსები და ტალიბების მხარდაჭერას განაგრძობდნენ. ტალიბებმა ჯარში ბავშვები გაიწვიეს 1997, 1998 და 1999 წლებში. ტალიბანის დაქვემდებარებაში

[58] Mohammed Omar. https://military-history.fandom.com/wiki/Mohammed_Omar. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

მყოფმა საჰაერო ძალებმა შეინარჩუნეს 5 MIG-21 MF და 10 Sukhoi-22 გამანადგურებელი ბომბდამშენი. მათი სამოქალაქო საჰაერო სამსახური შეიცავდა Boeing 727A/Bs, Tu-154, ხუთი An-24 და DHC-6, რაც აშშ-ის ძალებმა გაანადგურეს ავღანეთის ომის დროს,

ავღანეთის ეკონომიკური შესაძლებლობები ვერ გამოიყენა ტალიბანის მმართველობამ. ქაბულის ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური იყო ტალიბების ოკუპაციის პირველ თვეებში, მაგრამ სიტუაცია მალე რადიკალურად შეიცვალა. ქვეყანაში მოქმედ ნებისმიერ კომპანიას მთავრობამ 50%-იანი გადასახადი დაუწესა და გადაუხდელობის შემთხვევაში თავს ესხმოდნენ. მათ შემოტანილ საქონელზე, იმპორტზე 6% გადასახადი დააწესეს. 1998 წლისთვის აკონტროლებდნენ მთავარ აეროპორტებსა და სასაზღვრო პუნქტებს. შედეგად, მათ ჰქონდათ მონოპოლია მთლიანად ვაჭრობაზე[59]. 2001 წლისთვის, 25 მილიონიანი მოსახლეობის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 200 დოლარზე ნაკლები იყო და ქვეყანა ახლოს იყო ტოტალურ ეკონომიკურ კოლაფსთან. 2007 წლის მდგომარეობით, ეკონომიკამ გამოჯანმრთელება დაიწყო, საგარეო რეზერვები შეფასდა სამი მილიარდი დოლარით და ქვეყნის ეკონომიკა 13%-ით გაზარდა.

ავღანეთსა და პაკისტანს შორის დადებული სატრანზიტო ხელშეკრულების თანახმად, შეიქმნა კონტრაბანდის ქსელი, 2,5 მილიარდი დოლარის ბრუნვით, ტალიბანი ყოველწლიურად 100 - 130 მილიონ დოლარამდე შემოსავალს იღებდა. ამ ოპერაციებმა დააფინანსა ომი ავღანეთში და გაანადგურა დამწყები ინდუსტრიები პაკისტანში. აჰმედ რაშიდის განცხადებით, პაკისტანთან შეთანხმებული ავღანეთის სატრანზიტო ვაჭრობა იყო ტალიბანის შემოსავლის მთავარი ოფიციალური წყარო[60].

1996-1999 წლებში, მულა უმარმა შეცვალა პოზიცია ნარკოტიკის შესახებ. ტალიბები აკონტროლებდნენ ავღანეთის ყაყაჩოს მინდვრების 96%-ს და თავისი

[59] Pugh, Michael C. Neil Cooper Jonathan Goodhand War Economies in a Regional Context: Overcoming the Challenges of Transformation, International Peace Academy, 2004.
[60] Pierre-Arnaud Chouvy, Opium: uncovering the politics of the poppy, Harvard University Press, 2010.

მმართველობის დასაწყისში ოპიუმი ქვეყნის შემოსავლის ყველაზე დიდ წყაროდ აქციეს. ტალიბებისთვის ოპიუმის ექსპორტით მიღებული შემოსავალი ქვეყნის ეკონომიკის მთავარი საყრდენი გახდა. რაშიდის თქმით, ნარკოტიკებიდან შემოსული ფულით დაფინანსდა იარაღი, საბრძოლო მასალა და საწვავი ომისთვის. ტალიბები ყოველწლიურად ხარჯავდნენ 300 მილიონ აშშ დოლარს. ის სულ უფრო მეტად დაეყრდნო ყაყაჩოს, პაკისტანელებს და ბინ ლადენს. თუმცა, ეკონომიკური თვალსაზრისით, მას იმ დროს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, რადგან ჩრდილოეთ ალიანსთან გაგრძელებული ომის გამო, ოპიუმის მუდმივი წარმოებიდან შემოსავალი ქვეყანას იცავდა შიმშილისგან. ამ დროს, უმარმა გამოსცა ბრძანება ოპიუმის კულტივაციის აკრძალვის შესახებ. ბევრი ექსპერტი ფიქრობს რომ აკრძალვა - რომელიც გაეროში საერთაშორისო აღიარების მცდელობა იყო, გამოიცა მხოლოდ ოპიუმის ფასებისა და არსებული დიდი მარაგების გაყიდვიდან მოგების გაზრდის მიზნით. ტალიბების მიერ დაგროვილი მარაგებით ვაჭრობა გაგრძელდა 2000 და 2001 წლებში. 2002 წელს გაერომ აღმოაჩინა ოპიუმის მნიშვნელოვანი სხვა მარაგები.

ქვეყანას ეკოლოგიური ზიანიც მიადგა. ხე-ტყის უკანონო ვაჭრობის შედეგად გაიჩეხა ტყის მასივები, ასობით ჰექტარი ფიჭვისა და კედრის ტყეები. პაკისტანის ბაზრებზე ხე-ტყის ექსპორტით მილიონობით ჰექტარი განადგურდა ავღანეთში. ქვეყანაში ტყის აღდგენის მცდელობა არ ყოფილა. 1999 წლის 6 ივლისს, აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ხელი მოაწერა N13129 აღმასრულებელ ბრძანებას, რითაც აიკრძალა აშშ-ისა და ტალიბანის რეჟიმს შორის ვაჭრობა და 10 აგვისტოს გაყინეს 5,000,000 ფუნტი არიანას აქტივები. 2000 წლის 19 დეკემბერს მიიღეს გაეროს რეზოლუცია N1333, რომელიც მოიაზრებდა ტალიბების ყველა აქტივის გაყინვას და მოუწოდებდნენ სახელმწიფოებს ტალიბანის კუთვნილი ოფისების დახურვისკენ. კონკრეტულად, Ariana Afghan Airlines-ის ოფისებს. 1999 წელს, გაერომ მიიღო რეზოლუცია N1267, რომელიც კრძალავდა Ariana-ს ყველა საერთაშორისო ფრენას, გარდა წინასწარ დამტკიცებული ჰუმანიტარული მისიებისა.

2001 წლისთვის, ტალიბანი აკონტროლებდა ავღანეთის ტერიტორიის 90%-ს, ჩრდილოეთ ალიანსი კი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. ტალიბანის დაჯგუფებაში 30 000-მდე პაკისტანელი (ჩვეულებრივ, ასევე პუშტუნი) და 3 000-მდე ალ-კაიდას მებრძოლი იყო გაწევრიანებული. პაკისტანის სასაზღვრო კორპუსის რეგულარული ჯარისკაცებიც ჩართული იყვნენ ავღანეთის საბრძოლო მოქმედებებში.

ავღანეთის ისლამური საამირო იზოლაციონიზმის პოლიტიკის ფარგლებში ურთიერთობდა მსოფლიოსთან. ტალიბანის პრინციპი იყო სხვა ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობა და ანალოგიურად, ქვეყნის შიდა საქმეებში არ სურდა გარე აქტორების ჩარევა. ამ პოლიტიკამ ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა, რაც უარყოფითად აისახა სოციალურ, პოლიტიკურ, საგანმანათლებლო და სხვა მნიშვნელოვან სტრუქტურების ფუნქციონირებაზე. ქვეყანაში დამყარებული იყო დიქტატურა და ტალიბანის მომხრეების გარდა იყენებდნენ ძალადობრივ მეთოდებს ყველას წინააღმდეგ[61].

1996-2001 წლებში მხოლოდ სამმა ქვეყანამ - პაკისტანმა, საუდის არაბეთმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა (UAE) აღიარეს ისლამური ემირატი, ავღანეთის კანონიერ მთავრობად. ემირატი ქვეყნის ოფიციალურ ხელისუფლებად არ აღიარა არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და არც თურქმენეთმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, კლინტონის ადმინისტრაციის პერიოდში, 1998-1999 წლამდე, არ ჰქონდა მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკა ავღანეთის ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, 1997 წელს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, რობინ რაფელმა, მიმართა ავღანეთის ჩრდილოეთ ალიანსის ლიდერს, მასუდს, რომ დანებებულიყო ტალიბებს. კლინტონის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელები ჩავიდნენ ჩრდილოეთ

[61] Andrew Buncombe, Bush rejects Taliban offer to surrender bin Laden, INDEPENDENT, Washington, 15 October, 2001.

ავღანეთში, მასუდის დასარწმუნებლად, თუმცა, მათი მითითება არ შეასრულა მასუდმა.

აჰმად შაჰ მასუდი იყო თავდაცვის მინისტრი, პრეზიდენტ რაბანის დროს ავღანეთში. ის მთავარ მოთამაშედ აღმოჩნდა ტალიბების წინააღმდეგ ომში და შექმნა ჩრდილოეთ ალიანსის ფრონტი. ჩრდილოეთის ალიანსმა სხვადასხვა სახის მხარდაჭერა მიიღო რუსეთის, ირანის, ტაჯიკეთისა და ინდოეთისგან.

აშშ-ის პოლიტიკა ავღანეთის მიმართ შეიცვალა, 1998 წელს, ავღანეთში აშშ-ის საელჩოს დაბომბვის შემდეგ. ალ-კაიდას ლიდერს, ოსამა ბინ ლადენს, ბრალი წაუყენეს საელჩოს აფეთქებაში მონაწილეობის მიღებისათვის. 1999 წელს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გაერომ დააწესეს სანქციები ტალიბანის წინააღმდეგ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით N1267, რომელიც მოიცავდა ტალიბების მიერ ოსამა ბინ ლადენის აშშ-ის სასამართლოსთვის გადაცემას და ყველა ტერორისტული ბაზის დახურვას ავღანეთში. 1998 წლის აფეთქებების შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა არ დაუჭირეს მხარი მასუდს, ტალიბანის წინააღმდეგ ბრძოლაში. აშშ-ის პოლიტიკა, კიდევ ერთხელ, შეიცვალა 2001 წლის აგვისტოში. ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაციამ, CIA-ს ოფიცრების ინფორმაციის საფუძველზე, შეიმუშავა მასუდის მხარდამჭერი გეგმა. ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი წარმომადგენლები შეთანხმდნენ ტალიბებისთვის ულტიმატუმის წაყენებაზე ბინ ლადენისა და ალ-კაიდას სხვა მოქმედი პირების გადაცემის შესახებ. თუ ტალიბანი ულტიმატუმს არ შეასრულებდა, ამერიკის შეერთებული შტატები შეეცდებოდა რეჟიმის დამხობას აშკარა და პირდაპირი ქმედებებით, ფარულად დაეხმარებოდა სამხედრო ანტიტალიბანურ ჯგუფებს ავღანეთში.

აჰმად შაჰ მასუდი იყო გაერთიანებული ფრონტის (ჩრდილოეთის ალიანსი) ერთადერთი ლიდერი ავღანეთში, 2001 წელს. მასუდის ტოლერანტული მთავრობა ავღანელ მოსახლეობას ეხმარებოდა გაქცევაში, ტალიბანის კონტროლის ქვეშ მყოფი

ტერიტორიებიდან. 2001 წლის დასაწყისში, მასუდმა ჰუმანიტარული დახმარება სთხოვა ევროპარლამენტსა და საერთაშორისო თანამეგობრობას. ამავე დროს, მან მიაწოდა დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, აშშ-ის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტის შესახებ[62].

2001 წლის 9 სექტემბერს, მასუდი ინტერვიუს ჩაწერის დროს ვიდეოკამერაში ჩამალული ბომბით ააფეთქეს. შედეგად, დაიღუპა ოპერატორი, ლითონის ნაჭრებით მძიმედ დაჭრილი მასუდი გარდაიცვალა ვერტმფრენით საავადმყოფოში გადაყვანის დროს. მეორე ჟურნალისტი არ დაშავებულა და გაქცევის დროს იქნა ლიკვიდირებული. საუდის არაბეთში, მოგვიანებით ალ-კაიდას ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღიარებული იყო მათი მონაწილეობა მასუდის დაგეგმილ მკვლელობაში. ტალიბანმა კი უარყო რაიმე სახის მონაწილეობა ამ ტერაქტში. თუმცა, ნაკლებად დასაჯერებელია, არ სცოდნოდათ ამ გეგმის შესახებ[63].

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი იყო სხვადასხვა ტერორისტული აქტების სერია, რომელიც დაკავშირებული იყო ისლამურ ექსტრემისტულ დაჯგუფება ალ-კაიდასთან. ეს იყო ყველაზე სასიკვდილო ტერორისტული თავდასხმა აშშ-ში, რომლის შედეგად დაიღუპა, დაახლოებით, 3 000 ადამიანი. ტერაქტების სერია მოიცავდა ოთხი თვითმფრინავის გატაცებას, მათგან სამი გამოიყენეს აშშ-ის მნიშვნელოვან ობიექტებზე იერიშის მისატანად: მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ჩრდილოეთ-სამხრეთ შენობებისა და პენტაგონის შენობაზე. მეოთხე თვითმფრინავის გამტაცებლები მგზავრებმა გაანეიტრალეს, რომელიც მიემართებოდა აშშ-ის კაპიტოლიუმის შენობისაკენ.

ტერაქტის ორგანიზატორად განიხილებოდა ალ-კაიდას ლიდერი, ოსამა ბინ ლადენი. აღნიშნული ტერაქტის ოპერატიულად დამგეგმავად მიიჩნევა ალ-კაიდას

[62] Alex, Kuehn, Strick van Linschoten, An Enemy We Created: The Myth of the Taliban-Al Qaeda Merger in Afghanistan, Press Oxford University, Published in thr united states of Amerika, 2012, pp 204-209.
[63] Steve Coll, Ghost Wars: The Secret History of the CIA, Afghanistan and Bin Laden from the Soviet Invasion to September 10, 2001, Publisher Penguin Books Limited, 2005.

წევრი ხალიდ შეიხ მუჰამედი, ხოლო ოპერაციის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა მუჰამედ ატა. ტერაქტში მონაწილეობდა 19 ტერორისტი, რომელთა უმრავლესობა წარმოშობით საუდის არაბეთიდან იყო და ცხოვრობდნენ შეერთებულ შტატებში. ცხრამეტივე ტერორისტი ტერაქტის დროს დაიღუპა.

თავდასხმებმა დიდი გავლენა მოახდინა ქვეყანაზე, განსაკუთრებით მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშ უმცროსმა, გამოაცხადა გლობალური „ომი ტერორიზმთან", რასაც მოჰყვა ხანგრძლივი ომები ავღანეთსა და ერაყში. პარალელურად, მნიშვნელოვნად გამკაცრდა უსაფრთხოების ზომები აშშ-ში[64]. ომები ავღანეთსა და ერაყში იყო ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომის შემადგენელი ნაწილი. ტერმინი "GWOT" გამოიყენებოდა დიპლომატიური, ფინანსური და სხვა ქმედებების აღსაწერად, ტერორისტების დაფინანსების ან უსაფრთხო თავშესაფრის აკრძალვის მიზნით. GWOT-ში ასევე მონაწილეობდნენ კოალიციის პარტნიორი ქვეყნები მთელი მსოფლიოდან[65]. 2001 წლის 20 სექტემბერს, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ უმცროსმა ტალიბებისგან მოითხოვა შეეწყვიტათ ალ-კაიდას წევრების შეფარება და გააფრთხილა ტერორიზმის სრულ აღმოფხვრამდე GWOT-ის გეგმის გაგრძელების შესახებ. 2001 წლის 24 სექტემბერს, აშშ-ის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებას ტერორისტული დაჯგუფებისა და მასთან დაკავშირებული სხვა სუბიექტების აქტივების გაყინვის შესახებ, რითაც ფინანსდებოდა ტერორისტული საქმიანობა. ეს იყო ტერორისტების დაფინანსებაზე უარის თქმის ეტაპის დასაწყისი.

ამერიკის შეერთებული შტატების, ეროვნული უშიშროების საბჭო შეთანხმდა სამხედრო ოპერაციის დაწყებაზე, ალ-კაიდასა და ტალიბანის წინააღმდეგ. ტალიბანს ამერიკის შეერთებული შტატებისთვის სრული წვდომა უნდა მიეცა ტერორისტების

---

[64] The attacks. https://www.britannica.com/event/September-11-attacks/The-attacks. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

[65] Global War on Terror. https://www.georgewbushlibrary.gov/research/topic-guides/global-war-terror. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

სასწავლო ბანაკების შესამოწმებლად ავღანეთში[66]. საკითხის განსახილველად, ავღანეთის რელიგიური ლიდერები, შეიკრიბნენ ლოია-ჯირგაზე ქაბულში, სადაც გადაწყვიტეს ბინ ლადენის გადაცემა ამერიკისთვის. ტალიბანის ლიდერი, მულა უმარი, არ დაეთანხმა ლოია-ჯირგას გადაწყვეტილებას. მისი აზრით, ბინ ლადენის გადაცემა მხოლოდ სირცხვილი იქნებოდა ქვეყნისათვის, რაც ისლამური აზროვნებისა და რწმენის სისუსტის გამოვლინებად ჩაითვლებოდა[67].

ავღანეთში აშშ-ისა და ნატოს ჯარების შესვლამდე, ტალიბებმა მოითხოვეს ბინ ლადენის დანაშაულის მტკიცებულებების წარდგენა აშშ-ისგან. მოგვიანებით კი მათ შესთავაზეს ოსამა ბინ ლადენის გადაცემა მესამე ქვეყნისთვის, თუ აშშ შეაჩერებდა ავღანეთის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებს და წარადგენდა მოთხოვნილ მტკიცებულებებს. ბუშის ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი მოთხოვნები მოლაპარაკებას არ ექვემდებარება და დროა ტალიბანმა დამოუკიდებლად იმოქმედოს.

ოფიციალურად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, 2001 წლის 7 ოქტომბერს, დაიწყო სამხედრო ოპერაცია „მდგრადი თავისუფლება“ ავღანეთში, ტალიბანის წინააღმდეგ. მანამდე კი ჩრდილოეთ ავღანეთში ფარულ ოპერაციებს ატარებდნენ CIA-ს სპეციალური ოპერატიული ჯგუფები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ჩრდილოეთ ალიანსთან, პანჯშირის ხეობაში[68]. რამდენიმე კვირაში, ჩრდილოეთის ალიანსმა, აშშ-ის სახმელეთო და საჰაერო ძალების დახმარებით, აიღო ტალიბების მიერ კონტროლირებადი რამდენიმე ქალაქი. ტალიბებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყეს უკან დაიხევა.

2001 წლის 13 ნოემბერს, ტალიბანის ჯარებთან ორ კვირიანი ინტენსიური ბრძოლის შემდეგ, ჩრდილოეთის ალიანსი შევიდა ქაბულში. ტალიბებმა უკან, სამხრეთით ყანდაჰარისკენ გადაინაცვლეს. 9 დეკემბერს, ტალიბებმა დათმეს მათ

[66] "The US refuses to negotiate with the Taliban", BBC History. Archived from the original on 3 December 2018.
[67] "In Afghanistan, U.S. is fighting tribal insurgency, not jihad", The Baltimore Sun, 2 March 2010.
[68] Ben Arnoldy, In Afghanistan, Taliban kills more civilians than US, Christian Science Monitor, 31 July, 2009.

ხელთ არსებული ბოლო ტერიტორიები - ყანდაჰარი და ზაბულის პროვინციაც. ამ ნაბიჯის შემდეგ, პაკისტანში დაფუძნებულმა ავღანურმა ისლამურმა პრესამ განაცხადა ტალიბანის მმართველობის დასრულების შესახებ ავღანეთში.

ამერიკის შეერთებული შტატები მოკავშირეებთან (საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერის ძალები (ISAF)) ერთად შეიჭრა ავღანეთში[69]. შედეგად, ხელისუფლებიდან განდევნეს ტალიბანი და სამხედრო ბაზები ააშენეს ქვეყნის დიდ ქალაქებთან ახლოს. ალ-კაიდასა და ტალიბანის წევრების უმეტესობა ვერ დაატყვევეს, რადგან პაკისტანში გაიქცნენ ან უკან დაიხიეს, ქვეყნის შორეულ მთიან რეგიონებში. 2001 წლის 20 დეკემბერს, გაერომ მანდატი მიანიჭა საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერ ძალებს (ISAF), დახმარებოდნენ ავღანელებს უსაფრთხოების დაცვაში ქაბულსა და ირგვლივ მიმდებარე ტერიტორიებზე. 2002 წლის თებერვალში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერ ძალებში (ISAF) გაერთიანებული იყო თვრამეტი ქვეყანა.

პოლიტიკური განხილვის საგნად იქცა ის, თუ ვინ უხელმძღვანელებდა ავღანეთს. 2001 წლის დეკემბერში, გერმანიაში, ბონის კონფერენციაზე, ჰამიდ კარზაი აირჩიეს ავღანეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად, რომელიც 2002 წელს, ქაბულში ლოია ჯირგას (დიდი ასამბლეა) შემდეგ გახდა ავღანეთის გარდამავალი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. კარზაისთან დადებული შეთანხმება ითვალისწინებდა ქვეყნის დემოკრატიზაციისკენ გადასადგმელ ნაბიჯებს. კარზაის პრეზიდენტად არჩევიდან მალევე, ტალიბები შესაძლებელია ცდილობდნენ ჩაბარებოდნენ ხელისუფლებას, გარკვეული პირობებით. ფაქტის შესახებ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს. პირველი, შეთანხმება ტალიბანის დანებების შესახებ, გარკვეული მოთხოვნების სანაცვლოდ, რომელსაც ხელს აწერდა ტალიბანის ლიდერი მულა უმარი. მეორე შეთანხმება გულისხმობდა ყანდაარის პროვინციის დათმობას. ტალიბანის წყაროების მიხედვით კი მულა უმარი

---

[69] John.D. Gresham, "The Campaign Plan – Special Operations Forces and Operation Enduring Freedom", Defense Media Network, 12 September, 2011.

გარიგებაში არ მონაწილეობდა  და შესაბამისად, არც ყანდაჰარის დათმობას აპირებდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვეტო დაადო ყველა მოლაპარაკებას, რასაც ისტორიკოსი მალკასიანი - ომის "ერთ-ერთ უდიდეს შეცდომას" უწოდებს. მულა უმარი გაუჩინარდა და გაემგზავრა ავღანეთის სხვა პროვინციაში ან პაკისტანში. ამის შემდგომ, ტალიბები დროებით მიიმალნენ, ბევრმა მათგანმა იარაღიც კი ჩააბარა. ტალიბანის ლიდერების უმეტესობა და ათასობით მებრძოლი გადავიდა პაკისტანში. დარჩენილი მებრძოლები იმალებოდნენ ავღანეთის სამხრეთის ოთხ პროვინციაში: ყანდაჰარი, ზაბული, ჰელმანდი და ურუზგანი.

ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შემდეგ, ავღანეთში იყო ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი და ყველაზე დაბალი სიცოცხლის ხანგრძლივობა. ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობდა, თითქმის განადგურებული იყო ინფრასტრუქტურა. ბევრმა უცხოელმა დონორმა დაიწყო ომის შედეგად განადგურებული ქვეყნის აღსადგენად დახმარების გაწევა. კოალიციის ჯარები შევიდნენ ავღანეთში, რათა ჩართულიყვნენ ქვეყნის აღდგენის პროცესში. ტალიბებმა პარალელურად კიდევ დაიწყეს საბრძოლო მოქმედებები. ავღანეთი დარჩა ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქვეყნად მსოფლიოში უცხოური ინვესტიციების ნაკლებობის, სამთავრობო კორუფციისა და ტალიბანის მოქმედებების შედეგად.

ნატო ხელმძღვანელობდა ISAF-ის ოპერაციებს, რომლებიც თანდათანობით გაფართოვდა მთელი ქვეყნის მასშტაბით[70]. ISAF იყო ერთ-ერთი უდიდესი კოალიცია ისტორიაში და ნატოს განხორციელებული, ყველაზე გრძელი და რთული მისია დღემდე. სამხედრო ძალები 130 000-ზე მეტს მებრძოლს შეადგენდა, რომელშიც ნატოსა და მისი პარტნიორი ქვეყნები იყო წარმოდგენილი. საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ძალისხმევის შედეგად, ISAF-ის მიზანი იყო, ისეთი

---

[70] NATO and Afghanistan. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_8189.htm. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

პირობების შექმნა ქვეყანაში, სადაც ავღანეთის მთავრობა უფლებამოსილების განხორციელებას შეძლებდა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების პროფესიონალური, ქმედუნარიანი და თვითშენარჩუნებული ძალების განვითარება ISAF-ის ცენტრში მიმდინარეობდა, ნატოს სასწავლო მისიის მიხედვით ავღანეთში (NTM-A). აღნიშნული სამუშაო ევროკავშირის პოლიციის მისიასთან ერთად განხორციელდა ქვეყანაში, ავღანეთის თავდაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ავღანეთის ეროვნული არმია (ANA) შეიქმნა 2002 წელს და ძირითადად ქვეითი ქვედანაყოფებისგან შედგებოდა. ასევე, მასში ერთიანდებოდა სამხედრო პოლიცია, დაზვერვა, მარშრუტების გაწმენდა, საბრძოლო მხარდაჭერა, სამედიცინო, ავიაცია და ლოჯისტიკა. ავღანეთის ეროვნული პოლიციის (ANP) როლი ამბოხებული ტალიბების წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად ფორმირდა სამოქალაქო პოლიციის ფუნქციაზე, დაწყებული კრიმინალური გამოძიებიდან, დამთავრებული საგზაო მოძრაობის კონტროლამდე. ავღანეთის საჰაერო ძალები სტაბილურად ზრდიდა პერსონალს, მათ შორის სამოქალაქო პირებს, ასევე სამხედრო საჰაერო ეკიპაჟს, ტექნიკურ და დამხმარე პერსონალს.

2004 წლის იანვარში, ლოია ჯირგამ ახალი კონსტიტუცია მიიღო, 500 000 ავღანელის განცხადების საფუძველზე. კონსტიტუციაში მკაფიოდ იყო ჩაწერილი დემოკრატიაზე დაფუძნებული წესრიგის დამყარება ქვეყანაში, რაც გულისხმობდა ჩაგვრის, სისასტიკის, დისკრიმინაციისა და ძალადობის გარეშე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც დაფუძნებული იყო კანონის უზენაესობაზე, სოციალურ სამართლიანობაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, თავისუფლებებისა და ძირითადი უფლებების მიღწევაზე[71].

[71] Afghanistan 2004. https://www.constituteproject.org/constitution/Afghanistan_2004. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

2004 წლის ოქტომბერში, ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც 10.5 მილიონზე მეტმა ავღანელმა დააფიქსირა საკუთარი აზრი 12 მილიონიან რეგისტრირებულ ავღანელიდან. არჩევნებში მონაწილეობდა 18 საპრეზიდენტო კანდიდატი, მათ შორის ქვეყნის დროებითი ლიდერი კარზაი. ძალადობისა და დაშინების მუქარის მიუხედავად, ამომრჩევლების აქტივობა მაინც მაღალი იყო საპრეზიდენტო არჩევნებში. კენჭისყრის შედეგად, კარზაიმ ხმების 55% მიიღო და გახდა ავღანეთში პირველი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი. ქვეყანაში 1969 წლის შემდეგ, მოსახლეობამ პირველად მიიღო მონაწილეობა არჩევნებში.

ავღანეთში, კოალიციის წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხოდ, ბინ ლადენმა გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და აშშ-ის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე. ვიდეოში ბინ ლადენი დასცინის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას და იღებს პასუხისმგებლობას 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებულ ტერაქტზე - "ჩვენ გვინდა აღვუდგინოთ თავისუფლება ჩვენს ერს, ისე, როგორც თქვენ აფუჭებთ ჩვენს ერს"[72].

ავღანეთის მთავრობამ შეძლო რამდენიმე დემოკრატიული სტრუქტურის ჩამოყალიბება. ცდილობდნენ უცხოელი ქვეყნების მხარდაჭერით გაეუმჯობესებინათ ქვეყნის ეკონომიკა, ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა. ISAF-ის ძალებმა გაწვრთნეს ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალები. 2002 წლის შემდეგ, ქვეყანაში თითქმის ხუთი მილიონი ავღანელი დაბრუნდა.

2005 წლის 18 სექტემბერს, ავღანეთში 30 წლის შემდეგ, პირველად ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები[73]. იმავე წელს, ტალიბანს, ალ-კაიდას და ავღანეთის სამთავრობო ძალებს შორის, საბრძოლო მოქმედებების პარალელურად, ნატომ გააფართოვა სამშვიდობო ოპერაცია ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. ტალიბანის მებრძოლებმა კვლავ დაიწყეს თავდასხმებისა და სისხლიანი რეიდების მორიგი

[72] News Desk, A historical timeline of Afghanistan, PBS NewsHour, Published on May 4, 2011.
[73] ElectionGuide. https://www.electionguide.org/elections/id/353/. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

ტალღა საერთაშორისო ქვედანაყოფების წინააღმდეგ. 2006 წლის ზაფხულის თვეებში, ძალადობის ფაქტებმა იმატა ქვეყნის მასშტაბით, სამხრეთში კი ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობდა. თვითმკვლელ ტერორისტთა თავდასხმების რიცხვი ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო დისტანციური აფეთქებები ორჯერ. სამხედრო ექსპერტები მიუთითებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი სერვისების არ ქონაზე, მთავრობის საპოლიციო ძალებისა და საერთაშორისო ძალების ნაკლებობაზე უსაფრთხოების საკითხებში.

ნატოს სამიტზე რიგაში, ნატოს გენერალურმა მდივანმა, იაპ დე ჰოოპ სხეფერმა, 2008 წელს მიზნად დაისახა ავღანეთის ეროვნული არმიის უსაფრთხოების გაკონტროლება. მიზნის მისაღწევად გამოიყო შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები: სტაბილური პოლიტიკური არქიტექტურის ჩამოყალიბება, ნატოსა და სამოქალაქო უწყებებს შორის ძლიერი, ეფექტური და სანდო კავშირების დამყარება, ავღანეთის უსაფრთხოების ძალების მოქცევა მათი კონტროლის ქვეშ[74]. 2007 წლის ბოლოს, აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, რობერტ გეითმა, ნატოს ქვეყნები გააკრიტიკა, რადგან მათ არ გაგზავნეს დამატებითი სამხედრო ქვედანაყოფები ავღანეთში. ის ამბობდა : „ჩვენი პროგრესი ავღანეთში რეალურია, მაგრამ ის მყიფეა. მიუხედავად ამისა, ბევრ მოკავშირეს არ სურდა გაეზიარებინა რისკები, გამოეყენებინა რესურსები და შეესრულებინა კოლექტიური ვალდებულებები ამ მისიისა და ერთმანეთის წინაშე“.

ავღანეთისა და გაეროს გამომძიებლებმა დაამტკიცეს, აშშ-ის ჯარების კუთვნილი იარაღის გამოყენებით, ასობით ავღანელი მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა, დასავლეთ ჰერატის პროვინციაში. აღნიშნული ფაქტი უარყოფითად აისახა

---

74 The Debate on NATO Expansion. https://www.nato.int/docu/speech/2008/s080402b.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

ავღანეთის პრეზიდენტ კარზაიზე და გააძლიერა ტალიბანის პოზიცია, კოალიციური ძალების მიერ მოსახლეობის დაუცველობის შესახებ[75].

2009 წელს, აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ, განაცხადა დამატებით ჩვიდმეტი ათასი ჯარისკაცის გაგზავნის შესახებ საომარ ზონაში. ობამამ ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა წინასაარჩევნო განცხადება, რომ ავღანეთი არის აშშ-ის უფრო მნიშვნელოვანი ფრონტი ტერორისტული ძალების წინააღმდეგ. 2009 წლის იანვრისთვის, პენტაგონს გაგზავნილი ჰყავდა 37 ათასი ჯარისკაცი ავღანეთში. სამხედრო ქვედანაყოფების ზრდა ფოკუსირებული იყო ტალიბანის წინააღმდეგ ბრძოლასა და სამხრეთით ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე, უცხოელი მებრძოლების ნაკადის შეჩერებაზე. თავდაცვის მდივანი რობერტ გეითსი, თავდაპირველ მისიას ავღანეთში „ზედმეტად ფართოს" უწოდებს და მთავრობას მოუწოდებდა რეალისტური მიზნების დასახვისკენ, როგორიც იყო ტერორისტების უსაფრთხო თავშესაფრების პრევენცია და შეზღუდვა.

პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა ომის წარმოების ახალ სტრატეგიაზე, რომლის მთავარი მიზანი ალ-კაიდას უსაფრთხო თავშესაფრების დაშლა და დამარცხება იყო პაკისტანში. მათ სურდათ თავიდან აეცილებინათ მათი დაბრუნება ავღანეთში. სტრატეგია ასევე ითვალისწინებდა დამატებით ოთხი ათასი ჯარისკაცის გაგზავნას, ავღანეთის არმიისა და პოლიციის ძალების გადამზადების მიზნით. ავღანეთის პრეზიდენტი, კარზაი, მიესალმა სტრატეგიას და განაცხადა, რომ ეს გეგმა ავღანეთსა და საერთაშორისო საზოგადოებას წარმატებასთან დააახლოებდა.

აშშ-ის თავდაცვის მდივნის, რობერტ გეითსის, განკარგულებით, ავღანეთში აშშ-ის უმაღლესი მეთაური გენერალი დევიდ დ.მაკკიერნანი ჩანაცვლდა გენერალ სტენლი ა. მაკკრისტალით. დ.მაკკიერნანი პოზიციიდან გადააყენეს თერთმეტი თვის შემდეგ, მაშინ, როცა ნატოს ძალების მეთაურობა ჩაიბარა ავღანეთში. რ.გეითსის აზრით, პენტაგონს სჭირდებოდა ავღანეთში მიმდინარე საომარი ოპერაციების უცხო

---

[75] Kristin Roberts, Gates ups pressure on NATO over Afghan commitment, Reuters October 22, 2007.

თვალით შეფასება, მაშინ, როცა ბევრი ანალიტიკოსი უკონტროლო ოპერაციების შესახებ საუბრობდა. დ.მაკკრისტალის დანიშვნა მიზნად ისახავდა, უფრო აგრესიული და ინოვაციური მიდგომის დანერგვას, ავღანეთში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში[76]. ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა, სამხედრო მოქმედებები დაიწყეს ტალიბების მზარდი ამბოხების საპასუხოდ, ქვეყნის სამხრეთ პროვინციებში, მათ შორის ჰელმანდში. ეს მთავარი გამოცდა იყო აშშ-ის სამხედროების ახალი კონტრ-აჯანყების სტრატეგიისთვის. ოპერაცია ფოკუსირებული იყო სამთავრობო სერვისების აღდგენაზე, ადგილობრივი საპოლიციო ძალების გაძლიერებაზე და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაზე, ტალიბების შემოსევებისაგან.

[76] C. Todd Lopez, Defense Official Says U.S. Remains Committed to Middle East, U.S. Department of Defense, June 5, 2023.

# II. თავი. პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და მისი გავლენა ქვეყნის პოლიტიკაზე

## 2.1. პოლიტიკური ისლამი, როგორც გარე ძალებისადმი რეზისტენციის მექანიზმი

ეგვიპტეში გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბებული მუსლიმი ძმების საზოგადოება, (არაბ. جماعة الإخوان المسلمين Jamāʿat al-Ikhwan al-Muslimīn), იგივე მუსლიმი ძმები (الإخوان المسلمون al-Ikhwan al-Muslimūn), იყო ტრანსნაციონალური სუნიტური ისლამისტური ორგანიზაცია, რომელიც ექვსმა მუსლიმმა დააარსა. ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა სკოლის მასწავლებელი ჰასან ალ-ბანა. მალე ამ ორგანიზაციის იდეოლოგია გავრცელდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ და გავლენა მოახდინა სხვადასხვა ისლამისტურ მოძრაობაზე (საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან პოლიტიკურ პარტიებამდე)[77].

თავდაპირველად ორგანიზაცია, პან-ისლამური, რელიგიური და სოციალური მოძრაობა იყო, რომელიც ქადაგებდა ისლამის სწავლების განახლებას ეგვიპტეში. ისინი მოსახლეობას უანგაროდ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ყურანს, აარსებდნენ საავადმყოფოებსა და ბიზნეს ორგანიზაციებს. მოგვიანებით სოციალური მიმართულების ორგანიზაცია გადაიქცა პოლიტიკურად, რომლის მიზანი იყო ეგვიპტეში ბრიტანეთის კოლონიური მმართველობის დასრულება. მუსლიმი ძმების მიზანი იყო შარიათით მართული სახელმწიფოს შექმნა, ლოზუნგით - „ისლამი გამოსავალია“[78].

მუსლიმი ძმების საზოგადოების იდეოლოგი, მუჰამედ რაშიდ რიდა იყო, სუნიტი მეცნიერი და კონსერვატორი. რიდას მსგავსად, ჰასან ალ ბანაც კონსერვანტი იყო და მხარს უჭერდა ადრეული მუსლიმური ღირებულებების აღორძინებას, ვინაიდან იგი ისლამს მოიაზრებდა ყოვლისმომცველ რელიგიად[79]. მუსლიმი ძმების მოძრაობა ცდილობდა მსოფლიოში ისლამური სახალიფოს აღდგენას, რომელშიც

[77] "The Muslim Brotherhood a Terrorist Group". Today’s international new york times, 2 May 2019.
[78] Ghattas, Kim, Egypt's Muslim Brotherhood, Press BBC, 2001.
[79] Olivier, Roy, The Failure of Political Islam. Press Harvard University 1994.

უკვე გაწევრიანებული იქნებოდნენ ისლამური სახელმწიფოები. ისინი ეყრდნობოდნენ მუჰამედ რაშიდ რიდას ისლამური სახელმწიფოს დოქტრინებს და იზიარებდნენ კონსტიტუციური მთავრობის წარმომადგენლობითი საპარლამენტო სისტემის შექმნის იდეას, რომელიც ისლამური კანონით (შარიათით) იხელმძღვანელებდა. სახალიფოს შექმნის ზოგადი მიზანი უტოპიურ იდეას წარმოადგენდა, ვიდრე პრაქტიკულ პოლიტიკურს. ეს გულისხმობდა გლობალური ისლამური პოლიტიკური მიზნით მუსლიმების გაერთიანებას.

მუსლიმი ძმების პოზიცია პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებით იცვლებოდა არა იდეოლოგიის მიხედვით, არამედ ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესაბამისად. მრავალი წლის განმავლობაში, მათი პოზიცია იყო კოლაბორაციონიზმი ქუვეითსა და იორდანიასთან[80]. დასავლეთთან ურთიერთობაში ორგანიზაცია 12-პუნქტიან დოკუმენტს იყენებდა, სათაურით „ისლამური პოლიტიკა მსოფლიო სტრატეგიისაკენ“, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია როგორც პროექტი.

მუსლიმ ძმებს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სურდათ ბრიტანეთისგან ეგვიპტის განთავისუფლება. მათი აზრით, ქვეყნის გადარჩენა სამხედრო გადატრიალებითა და მონარქიის დამხობით იქნებოდა შესაძლებელი. მუსლიმი ძმების ორგანიზაციამ ყველა ნაბიჯი წარმატებით გადადგა, რაც ორგანიზაციის სტრატეგიულად სწორად დაგეგმილი პოლიტიკური უპირატესობითა და შექმნილ სიტუაციაში ლავირების უნარით იყო განპირობებული. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ისინი თანამშრომლობდნენ, როგორც ეგვიპტის მეფესთან, „ღერძის“ ქვეყნების დასახმარებლად, ასევე ინგლისელების მხარდაჭერილი ვაფდის პარტიასთან. მუსლიმი ძმების ორგანიზაციის წევრები ძირითადად სტუდენტები და მუშათა კლასის წარმომადგენლები იყვნენ. 1948 წლამდე, ორგანიზაციას 2000-მდე განშტოება ჰქონდა, თითოეულში 200-მდე ადამიანი იყო გაწევრიანებული და თითო მიმართულებას აკონტროლებდა, რაც საბოლოო ჯამში მოიცავდა ქვეყნის ყველა

[80] Rubin, Barry, The Muslim Brotherhood: The Organization and Policies of a Global Islamist Movement (Middle East in Focus), Publisher Palgrave Macmillan US, 2010.

მნიშვნელოვან სტრუქტურულ თუ პოლიტიკურ პარტიას. მუსლიმი ძმების ორგანიზაცია ყოველდღიურად ძლიერდებოდა ქვეყანაში და ეგვიპტის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვან წინააღმდეგობის გამწევ ძალას წარმოადგენდა[81].

მუსლიმი ძმები არაბეთ-ისრაელის ომში გაეროს ჩართვას არ ეთანხმებოდა პალესტინის წინააღმდეგ. ისინი ქმნიდნენ რაზმებს პალესტინაში და უკავშირდებოდნენ პალესტინელ სტუდენტებს, რათა იქ მცხოვრები მუსლიმური მოსახლეობა დაეცვათ და პარტიზანული ბრძოლის წესებით თავს დასხმოდნენ ებრაულ დასახლებებს. თითქმის ყველა მნიშვნელოვან ბრძოლაში ჩართული იყვნენ მუსლიმი ძმების წევრები, თუმცა ამ ომში არაბები დამარცხდნენ. მუსლიმი ძმები არ ეგუებოდნენ მარცხს და ზავის დადების წინააღმდეგი იყვნენ. მათი ქმედებები მიუღებელი აღმოჩნდა ეგვიპტის ხელისუფლებისთვის და დასავლეთის ქვეყნების მმართველი წრეებისთვისაც. ამიტომ, გადაწყვიტეს მუსლიმი ძმების ორგანიზაციის დაშლა და მათი მასობრივი დაპატიმრება. ქვეყანაში არსებული სიტუაცია უკონტროლო გახდა, რადგან ორგანიზაციაში ბევრი ადამიანი იყო გაწევრიანებული და მათი დაშლა ასე მარტივად ვერ ხერხდებოდა. 1952 წელს, მუსლიმმა ძმებმა სამხედროებთან ერთად რევოლუცია მოაწყო ეგვიპტეში და დროებით გაიმყარა პოზიციები. 1954 წლის 5 დეკემბერს, პრეზიდენტ გამალ აბდ ალ ნასერის მიერ გამოცემული საგანგებო კანონის თანახმად, მუსლიმი ძმების ორგანიზაცია დაშლილად გამოცხადდა და სამუდამოდ აეკრძალათ ყოველგვარი საქმიანობა, მათ შორის პოლიტიკური, რელიგიური და საგანმანათლებლო. ამის შემდგომ, მუსლიმი ძმების ორგანიზაციის საქმიანობის სრული აღდგენა ვეღარ მოხერხდა. ის კვლავ აკრძალულ ორგანიზაციად დარჩა ეგვიპტეში.

ავღანეთში ისლამისტური მოძრაობების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს მუსლიმმა ძმებმა. ისინი ამ ორგანიზაციების

---

[81] ქაროსანიძე თ. ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში ,,მუსლიმი ძმების“ და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია . გამომცემლობა ,,ნეკერი ‘‘ , თბილისი 2009, გვ. 49.

იდეოლოგები იყვნენ. ავღანეთში მუსლიმი ძმების გარდა, ისლამიზმის გავრცელებაზე გავლენა მოახდინა ორგანიზაცია ჯამაათ-ისლამმაც, რომელიც დააარსა ალ მავდუდიმ. იგი თანამედროვე ისლამური სახელმწიფოს პირველი თეორეტიკოსია. მას სჯეროდა, რომ თანამედროვე ცივილიზაციას მსოფლიო დაღუპვისკენ მიჰყავდა და კაცობრიობის გადარჩენა მხოლოდ ისლამს შეეძლო. მისი აზრით, ისლამი რელიგიაზე მეტია- იდეოლოგია და ცხოვრების წესია. მავდუდიმ შეიმუშავა თეო-დემოკრატიის კონცეფცია. მისი აზრით, ისლამური სახელმწიფო ვერ შეაჯერებდა დემოკრატიის იდეალებს ისლამური კანონის ხისტ მოთხოვნებთან, თუ მოსახლეობა ნებაყოფლობით არ დაემორჩილებოდა კანონის მოთხოვნებს. ამიტომ, საჭირო იყო საზოგადოების ისლამიზაცია, ისლამური სახელმწიფოს შექმნამდე[82].

1941 წელს ალ მავდუდიმ შექმნა ორგანიზაცია სახელწოდებით ჯამაათ-ისლამი (Jamaat-e-Islami-ისლამური პარტია). მისი მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება და რევოლუციისთვის მომზადება. შესაბამისად, ორგანიზაცია არსებობის განმავლობაში ზრუნავდა ისლამის გავრცელებასა და განათლების დონის გაუმჯობესებაზე. 1950-იან წლებში, ჯამაათ-ისლამის ფილიალების დაარსება დაიწყო ავღანეთში, პირველი იყო ქაბულის უნივერსიტეტში. მისი მიმდევრები ავღანელი პროფესორები ღოლამ მუჰამედ ნიაზი და ბურჰანუდინ რაბანი იყვნენ. მათ განათლება მიღებული ჰქონდათ ეგვიპტეში, ახლოს იყვნენ მუსლიმი ძმების ორგანიზაციასთან და ისლამისტური მოძრაობის პირველი მხარდამჭერები ითვლებოდნენ ავღანეთში.

რელიგიური მოძრაობა დეობანდი 1867 წელს ინდოეთში, ბრიტანული კოლონიალიზმის წინააღმდეგ აღმოცენდა. „დეობანდის მოძრაობის სულისჩამდგმელად ითვლება შაჰ ვალი ულლაჰ დეჰლავი, რომელიც ინდოეთში ცნობილი ჰადისების მცოდნე და ღვთისმეტყველი იყო, და როგორც თეოლოგი, დიდი

[82] ქაროსანიძე თ. ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში ,,მუსლიმი ძმების" და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია . გამომცემლობა ,,ნეკერი '' , თბილისი 2009, გვ. 66.

გავლენით სარგებლობდა. . მისი მიზანი იყო მუსლიმი ახალგაზრდების სწავლება ისლამის მკაცრი, ხისტი ხედვით. მისი ხედვით დეობანდის ისლამი იყო ანტიკოლონიალური მოძრაობა, რომელიც შექმნილია ისლამის აღორძინების მიზნით[83].

ისლამური აზროვნების ამ სკოლას ჰქონდა რწმენის განსაკუთრებული გაგება. ისლამური დეობანდი იცავს ორთოდოქსულ ისლამიზმს და ამტკიცებს, რომ სუნიტური ისლამური კანონის, ანუ შარიათის ერთგულება არის ხსნის გზა. ის დაჟინებით მოითხოვს ისლამური პრაქტიკის აღორძინებას, რომელიც მეშვიდე საუკუნეში, წინასწარმეტყველ მუჰამედის დროინდელია. იგი მხარს უჭერს გლობალური ჯიჰადის ცნებას, როგორც წმინდა მოვალეობას მუსლიმების დასაცავად მთელ მსოფლიოში და ეწინააღმდეგება ნებისმიერ არაისლამურ იდეებს.

დეობანდის სასკოლო სისტემა შეიქმნა მე-19 საუკუნის ბოლოს. გავრცელდა მომდევნო რამდენიმე ათწლეულში და მიიპყრო მუსლიმი ახალგაზრდების ყურადღება ინდოეთის ქვეკონტინენტის სხვადასხვა ნაწილში. მაგალითად, დეობანდის ტრადიცია გახდა ისლამური აზროვნების ყველაზე პოპულარული სკოლა პუშტუნებში, ეთნიკურ ჯგუფში, რომელიც ცხოვრობს ავღანეთ-პაკისტანის საზღვრის ორივე მხარეს. პუშტუნი ლიდერებმა ითამაშეს ინსტრუმენტული როლი დეობანდის სასწავლო გეგმისა და ტრადიციის ჩამოყალიბებაში, ასევე მის გაფართოებაში პუშტუნების სარტყელში დიურანდის ხაზის გასწვრივ, კოლონიური საზღვარი, რომელიც ყოფდა ბრიტანეთის ინდოეთს ავღანეთისგან.

1947 წელს ბრიტანული ინდოეთი გაიყო. განცალკევებამ გამოიწვია მრავალი წამყვანი დეობანდელი მეცნიერის პაკისტანში გადასახლება. მასში შედიოდა მუფთი მაჰმუდი, ჯამიათ-ი-ულამა-ი-ისლამის ფრაქციის პრეზიდენტი, მაულანა ფაზლ-ურ-რეჰმანის მამა. უფრო მეტიც, მუფთი მაჰმუდი, ეთნიკური პუშტუნი, გახდა

[83] Muslim Private Law in Contemporary India: Ideas of Revision and Modernization. https://ras.jes.su/asaf-today/s032150750005572-1-1-en. (ბოლოს გადამოწმებულია - 10.10.2024).

პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთის სასაზღვრო პროვინციის მთავარი მინისტრი 1972 წელს ცხრა თვით.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, დეობანდის სემინარიებში ჩარიცხვა გაიზარდა 1979 წლის შემდეგ, რაც დაემთხვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ავღანეთის ჯიჰადის დაწყებას. პუშტუნებმა დიდი როლი ითამაშეს ავღანეთის ჯიჰადში და ამ მებრძოლთა დიდი ნაწილი დეობანდის სემინარიებიდან იყო გამოყვანილი. გარდა ამერიკისა და საუდის არაბეთის ფულისა, რომელიც ეხმარებოდა ავღანეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მხარდასაჭერად, საუდის არაბეთმა დეობანდის სემინარიებში ვაჰაბიტური იდეოლოგია შეიტანა. საუდის არაბეთის სამიზნე იყო დეობანდის ისლამი, რადგან ეს იყო ყველაზე პოპულარული ისლამური სკოლა პუშტუნთა სარტყელში.[84]

პაკისტანის დამოუკიდებლობის შემდეგი წლებისა და ათწლეულების განმავლობაში, დეობანდის მედრესეები გავრცელდა მთელ პაკისტანში. ერთი შეფასებით, 1967 წლისთვის მსოფლიოში 8000-მდე დეობანდის სკოლა იყო და ათასობით დეობანდის კურსდამთავრებული ძირითადად ინდოეთში, პაკისტანში, ბანგლადეშში, ავღანეთსა და მალაიზიაში.

თავდაპირველად დეობანდის მედრესეები ცუდად დაფინანსებული იყო. ერთ-ერთი მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა დეობანდის მედრესეებში ჩარიცხვის ზრდა, იყო საბჭოთა შეჭრა ავღანეთში 1979 წელს. CIA-ს ფარულმა მონაწილეობამ ომში გააძლიერა ისლამური მებრძოლები და უნებლიედ დაეხმარა წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზებასა და ორკესტრირებას, ძირითადად, რელიგიური მებრძოლებისგან. ამ ავღანელი მებრძოლების მნიშვნელოვანი ნაწილი დეობანდის მედრესეებიდან იყო გამოყვანილი, განსაკუთრებით პუშტუნები, რომლებიც წამყვან როლს ასრულებდნენ წინააღმდეგობაში. ამ პერიოდში ფინანსური

[84] Barbara Daly Metcalf, Islamic Revival in British India: Deoband, 1860-1900 (Oxford India Paperbacks), Oxford University Press, 28 Oct, 2004.

დახმარება გაუწიეს დეობანდის მედრესეებსაც. ეს დახმარება, ძირითადად მოდიოდა ამერიკული დახმარების დოლარებით, რომლებიც განკუთვნილი იყო პაკისტანისთვის და საუდის არაბეთისთვის.

დეობანდელთა ერთ-ერთ პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების განათლება და რელიგიურად აღზრდა, სამშობლოს გასათავისუფლებლად. საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად საჭირო იყო მოძრაობის გავლენის გავრცელება რეგიონში. ვითარებას ართულებდა ის ფაქტი, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმი არ იყო. მეზობელ ირანში შიიტური ისლამი იყო გავრცელებული. ამიტომ დეობანდებმა გადაწყვიტეს კონცენტრირება ავღანეთზე მოეხდინათ, კერძოდ, აღმოსავლეთით ინდოეთის საზღვართან. მოტივი იყო ის, რომ ავღანეთი სუნიტური ქვეყანაა და მე-19 საუკუნის ბოლოს მათ ორჯერ ჰქონდათ ომი დიდ ბრიტანეთთან. აღსანიშნავია, რომ პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დროს, დეობანდი გახდა ანტიბრიტანული აჯანყების ორგანიზაციის ცენტრი.

დეობანდის ემისარი ინდური პან-ისლამიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი უბეიდულაჰ სინდჰი მოლაპარაკებებისთვის ჩავიდა ავღანეთში ჰაბიბულასთან. ავღანეთში, სინდჰიმ შექმნა ინდოელი ემიგრანტების ორგანიზაცია-ინდოეთის ეროვნული კონგრესის ფილიალი, რომელშიც შედიოდნენ მუსლიმებიც და ინდუსებიც. აღნიშნულმა განყოფილებამ ქაბულში ჩამოაყალიბა „ინდოეთის დროებითი მთავრობა“. შეთქმულებამ მიიღო სახელწოდება „აბრეშუმის წერილები“. ამ გეგმებში ავღანეთს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მინიჭებული: ინდოეთის მუსლიმებს მხარი უნდა დაეჭირათ პუშტუნების ტომისთვის და ავღანეთის რეგულარული ჯარისთვის. არსებობს მოსაზრება, რომ მთავარი როლი, რომელიც დეობანდთა მოძრაობამ შეასრულა ავღანეთის ისტორიაში, მოჯაჰედებისა და ტალიბანის მმართველობის დამყარების მხარდაჭერა იყო[85].

---

[85] The Deobandi religious movement in Afghanistan: Its history in the 20th century. https://dspace.spbu.ru/handle/11701/11357 (ბოლოს გადამოწმებულია - 10.10.24).

დღეს დეობანდები, როგორც რელიგიური მოძრაობა და როგორც პოლიტიკური პარტია, ძირითადად აქტიურობენ პაკისტანში, სადაც გადავიდნენ 1947 წელს ინდოეთთან დაყოფის შემდეგ. მათ კავშირს თალიბანთან ისტორიული სათავე აქვს. როდესაც საბჭოთა კავშირი შეიჭრა ავღანეთში 1979 წელს, მოჯაჰედებს შეუერთდნენ მებრძოლთა სხვადასხვა ჯგუფი, მათ შორის პაკისტანელი დეობანდი. სსრკ-ს წინააღმდეგ ათ წლიანი ომის განმავლობაში, დაახლოებით ოთხიდან ექვს მილიონამდე ავღანელი ლტოლვილი გადავიდა პაკისტანში. ლტოლვილთა ბანაკებს მართავდნენ სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციები, მათ შორის დეობანდის ორგანიზაციები. სწორედ აქ მიიღეს ინსტრუქციები თალიბანის მომავალმა ლიდერებმა. რელიგიური განათლება დეობანდის მოძრაობისთვის სამხრეთ აზიაში ძირითადი და ცენტრალური მნიშვნელობისაა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ დეობანდები პაკისტანში მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენენ სუნიტი მუსლიმები აკონტროლებენ ყურანის სკოლების 60 პროცენტს[86].

დეობანდელები დაჟინებით მოითხოვენ საუდის არაბეთში მე-7 საუკუნის ისლამის დაბრუნებას. ამიტომ ჩნდება კითხვა - არიან თუ არა ისინი სალაფისტები? მთავარი განსხვავება მდგომარეობს იურიდიულ სკოლაში: დეობანდები მიჰყვებიან აბუ ჰანიფას მეზჰაბს, ასე რომ „დეობანდი“ და „ჰანაფიტი“ მსოფლიოს ამ მხარეში სინონიმებია. მეორეს მხრივ, სალაფიტები არ მიჰყვებიან სამართლის არცერთ სკოლას და ყურანსა და ჰადიდს ხედავენ, როგორც კანონის ერთადერთ წყაროს ისლამური სამართლის კოდიფიკაციისთვის. მიუხედავად ამისა, ორივე ჯგუფი ანტიშიიტურია. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ თალიბანის სიმკაცრე გადაჯაჭვულია მათ ეთნიკურ წარმომავლობასთან. ავღანური საზოგადოება მკვეთრად ტომობრივია. მათი რელიგიის ინტერპრეტაცია არ შეიძლება განსხვავდებოდეს მათი კულტურისგან, რომელიც დაკავშირებულია პუშტუნვალთან - პატივის ისლამური ტომობრივი კოდექსი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს რელიგიას. მაგალითად,

---

[86]“Traditionalist” Islamic Activism: Deoband, Tablighis, and Talibs, https://items.ssrc.org/after-september-11/traditionalist-islamic-activism-deoband-tablighis-and-talibs/, (ბოლოს გადამოწმებულია - 10.10.2024).

პუშტუნები უარყოფენ უფლებას ქალებმა მიიღონ მემკვიდრეობა ან მიიღონ განათლება, ორივე დაშვებულია ტრადიციულ ისლამში. იდეოლოგია ეყრდნობა ორ საყრდენს: რადიკალიზებულ დეობანდურ/ჰანაფიტურ ისლამს და პუშტუნურ ეთნიკურ-ტომობრივ კოდექსს[87].

დღეს ავღანეთი წარმოადგენს სამხრეთ აზიის ისლამიზმის ყველაზე გამორჩეული ფორმის სიმძიმის ცენტრს. ულემების მხარდამჭერი მოძრაობა, რომელიც ისლამური სახელმწიფოს შექმნას ცდილობდა, იზიარებდა რელიგიის შუა საუკუნეების გაგებას. ჩამოაყალიბებინათ ის პოლიტიკა, რომლის მიღწევაც მისმა იდეოლოგიურმა წინაპრებმა დაიწყეს საუკუნე ნახევრის წინ.

1965 წელს, პროფესორებისა და სტუდენტების ისლამისტურმა გაერთიანებამ ჩამოაყალიბა პროგრამა, სახელწოდებით „ჯიჰადი“, რომლის მიზანიც ისლამური სახელმწიფოს შექმნა იყო ავღანეთში. მათ გამოაქვეყნეს ბროშურა, სადაც საუბრობდნენ ავღანური საზოგადოების გახრწნასა და გადაგვარებაზე, უცხოური იდეოლოგიების ნეგატიურ გავლენაზე და ქვეყნის ელიტაში გავრცელებულ კორუფციაზე. ავღანელი ისლამისტების აზრით, გამოსავალი ჭეშმარიტი ისლამის აღორძინებაში იყო, რადგან სწორედ ის უზრუნველყოფდა თანასწორობას, თავისუფლებას, მორალურ ამაღლებასა და კეთილდღეობას ქვეყანაში. 1967 წლიდან, რაბანის ჯგუფი ყურადღებას ამახვილებდა კულტურულ რეფორმაზე და თარგმნიდა უცხოელი ისლამისტების ნაშრომებს.

XX საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, ავღანეთში დაიწყო ისლამიზმისა და ისლამისტური მოძრაობების გააქტიურება. აღსანიშნავია, რომ ავღანეთში ისლამისტური მოძრაობა ჯერ კიდევ მუჰამად ზაჰირ შაჰის მმართველობის დროს დაიწყო[88]. 1965 წელს ქაბულის უნივერსიტეტის

---

[87] DIETRICH REETZ, Dār al-'Ulūm Deoband and its Self-Representation on the Media, Published By: Islamic Research Institute, International Islamic University, Islamabad, 2005, pp. 209-227.

[88] Islamic world. https://www.britannica.com/topic/Islamic-world/Dimensions-of-the-Islamic-revival. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა პირველი ისლამისტური ჯგუფი, რომელიც განიხილავდა ავღანეთში ისლამის აღორძინებისა და სამომავლოდ ქვეყანაში ისლამური სახელმწიფოს შექმნის საკითხებს. ისინი აკრიტიკებდნენ ქვეყანაში არსებულ რეჟიმსა და მმართველობის სისტემას. ავღანეთის ეს პირველი ისლამისტური დაჯგუფება ამუშავებდა სამოქმედო პროგრამას, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ მომავალში. ამ დაჯგუფების ლიდერი იყო ფაკულტეტის დეკანი ღულამ მუჰამად ნიაზი[89]. პარალელურად, ამავე უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე შეიქმნა ანალოგიური ისლამისტური დაჯგუფება. ეს დაჯგუფებები ღიად მოქმედებდა მთავრობის წინააღმდეგ. ამ პერიოდიდანვე ქვეყანაში ასევე შეინიშნებოდა უკვე არსებული ისლამისტური მოძრაობების ლიდერებს შორის დაპირისპირება, ერთიანი ღირებულებებისა და საერთო გეგმის არქონის გამო. ავღანეთში არსებული ისლამისტური ორგანიზაციები იბრძოდნენ მხოლოდ მათი ინტერესების მისაღწევად, რამაც განაპირობა ქვეყნის დესტაბილიზაცია. ისლამისტებმა და მემარცხენე პოლიტიკურმა პარტიებმა ქვეყნის შიგნით დაიწყეს არალეგალური საქმიანობა. მოგვიანებით, 1969 წელს მოეწყო ამ ორი ისლამისტური დაჯგუფების შეხვედრა, რამაც საფუძველი ჩაუყარა „მუსლიმური ახალგაზრდული" ორგანიზაციის შექმნას. ქაბულის უნივერსიტეტი კი იყო კონფლიქტის ცენტრი, სადაც მიმდინარეობდა პოლიტიკური მოლაპარაკებები სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართულების განსაზღვრაში უზენაესობის მოსაპოვებლად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ სხვა ისლამისტი მოღვაწეების საქმიანობაც, მაგალითად, ნურ მოჰამად ტარაკი, რომელიც საბჭოთა კავშირის ჯაშუში იყო და ბაბრაკ კარმალთან ერთად, ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტია (PDPA) დააარსა. თავდაპირველად, პარტია სახალხო დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით ფუნქციონირებდა, რადგან სეკულარული და ანტი-მონარქისტული პარტიები

[89] ხოზრევანიძე, ხვიჩა. ისლამისტური მოძრაობის გააქტიურების მიზეზები ავღანეთში. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2022

არალეგალურად მიიჩნეოდა ქვეყანაში[90]. პარტიის წევრებმა, 1965 და 1969 წლის ავღანეთის საპარლამენტო არჩევნებში მოიპოვეს მანდატები, რითაც პოლიტიკური პოზიცია გაიძლიერეს. პარტია იმართებოდა მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის მიხედვით და მტკიცე პრო-საბჭოთა პოლიტიკას ატარებდა. მიუხედავად იმისა, რომ PDPA-ს დოკუმენტები აშკარად მარქსისტულ ტერმინოლოგიას შეიცავდა, პარტია თავს იკავებდა საჯაროდ, ოფიციალურად ეღიარებინა, რომ ის იყო კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელი, ამის ნაცვლად, იყენებდა ტერმინებს, როგორიცაა „ნაციონალური“, დემოკრატიული“ და „სოციალისტური“. PDPA-ს საჯარო დოკუმენტის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა 1966 წლის აპრილში, ამტკიცებდა, მათ პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა „დემოკრატიული ეროვნული მთავრობის“ შექმნა, ხოლო გრძელვადიან მიზანს სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება[91].

ამ პერიოდისთვის ქვეყანაში ერთ-ერთი ძლიერი პარტია იყო PDPA, რომელიც დაეხმარა ავღანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, გენერალ მოჰამად დაუდ ხანს, 1973 წლის ივლისში, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში და დაამხეს მონარქია, რასაც ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ბრძოლა მოჰყვა და გაჩნდა სამოქალაქო ომის კერები. ავღანეთში მონარქიის დამხობის შემდეგ ქვეყანა რესპუბლიკად გამოცხადდა, ქვეყნის პრეზიდენტად კი გენერალი მუჰამედ დაუდი აირჩიეს[92].

მონარქიის დამხობამ და კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდამ ავღანეთში ანტიკომუნისტური ოპოზიციის ჩამოყალიბება განაპირობა. კომუნიზმის მოწინააღმდეგეები იყვნენ კონსერვატიული მუსლიმები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ტრადიციულ სოციალურ სტრუქტურებს და ცდილობდნენ თავისუფალი ბაზრის

---

[90] Thomas Ruttig, Islamists, Leftists and a Void in the Center. Afghanistan's Political Parties and where they come from (1902-2006).

[91] Anthony Arnold, Afghanistan's two-party communism: Parcham and Khalq, Hoover Institution Press, Stanford University, Stanford, Calif, English, 1983.

[92]Mohammed Daoud Khan. https://historica.fandom.com/wiki/Mohammed_Daoud_Khan. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

ეკონომიკის შენარჩუნებას. ავღანელი ისლამისტები ემხრობოდნენ პაკისტანის ჯამაათ-ე-ისლამს, როგორც მოდელსა და მენტორს.

1960-იანი წლებისთვის პაკისტანის ჯამაათ-ე-ისლამმა კავშირი დაამყარა მუსლიმური სამყაროს სხვა ისლამისტურ ჯგუფებთან. ალ მავდუდის ნაწერები ითარგმნებოდა სხვადასხვა ენაზე. ეს ნაშრომები განსაკუთრებით ეფექტური იყო სხვადასხვა ქვეყნის ისლამისტური ქსელების მობილიზებისათვის. ავღანეთი იყო პირველი, ქვეყნებს შორის, სადაც გავრცელდა მავდუდის ნაშრომების თარგმანები სპარსულ და ფუშტუს ენაზე. ჯამაათ-ე-ისლამმა მიიღო ფინანსური დახმარება საუდის არაბეთისგან და მუსლიმთა მსოფლიო ლიგისგან (Rabita al-Alam al-Islami). მათი მხარდაჭერა გამოიყენეს კომუნისტების გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში დასახლებული ისლამისტების ცნობადობის გასაზრდელად[93].

ჯამაათ-ე-ისლამის ყურადღება მიიპყრო ცენტრალური აზიის მუსლიმებით დასახლებულმა ქვეყნებმა, სცადეს კომუნიკაციის დამყარება რეგიონის მუსლიმებთან, რათა გაეთავისუფლებინათ მსოფლიო კომუნისტური ჩაგვრისაგან. ლაჰორში შტაბ-ბინის გვერდით, ჯამაათ-ე-ისლამმა დააარსა დარულ ფიკრი[94], რომელმაც გამოაქვეყნა მრავალი დოკუმენტი მუსლიმების კომუნისტური ჩაგვრის შესახებ, 1960-იანი წლების ბოლოს. ავღანეთი დამაკავშირებელი რგოლი იყო ჯამაათ-ე-ისლამისთვის ცენტრალური აზიის ისლამიზაციაში.

1972 წელს, ჯამიათ-ე-ისლამი ავღანეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკური ერთეული, მის შემადგენლობაში შედიოდნენ ფუშტუნებიც, (ჰეკმათიარი) და არაფუშტუნებიც (რაბანი და აჰმედ შაჰ მასუდი). ჰეკმათიარი პირველად ცნობილი გახდა მუსლიმთა ახალგაზრდული ორგანიზაციის მოძრაობით, რომელიც აპროტესტებდა მეფე ზაჰირ შაჰისა და პრემიერ-მინისტრ დაუდის პროდასავლურ პოლიტიკას, რომელმაც 1976 წელს ჰიზბ-ე-ისლამი (ისლამის

[93] Amin, Saikal, Modern Afghanistan: A History of Struggle and Survival, Publisher I.B.Tauris; 1st edition, 2006.
[94] დარულ ფიკრი - აზროვნების ცენტრი (სახლი)-არაბულად დარ-სახლი, მარქაზ-ცენტრი.

პარტია) ჩამოაყალიბა და ფუშტუნები მისი დროშის ქვეშ გააეთიანა. ჯამიათ-ე-ისლამში ძირითადად გაწევრიანებული ეთნიკური ტაჯიკები იყვნენ. ჰეკმათიარის ფრაქცია შემდგომ იბრძოდა კარზაის მთავრობისა და საერთაშორისო ძალების წინააღმდეგ, ტალიბებთან ერთად.

ერთადერთი ავღანური ისლამისტური დაჯგუფება, რომელიც ღიად ემხრობოდა ვაჰაბიტურ იდეოლოგიას იყო ავღანეთის ისლამური კავშირი (Ittehad-e-Islami Afghanistan)[95], რომელსაც ხელმძღვანელობდა აბდურ რაბ რასულ საიაფი. ის იყო საუდის არაბეთში განსწავლული თეოლოგი, რომელმაც გავლენა ანტი-საბჭოთა ჯიჰადის დროს მოიპოვა. საიაფი იყო ერთადერთი მნიშვნელოვანი ფუშტუნი მეომარი, რომელიც ტალიბანის მმართველობის დროს მხარს უჭერდა არაფუშტუნთა ჩრდილოეთ ალიანსს. მან ამ სტრატეგიის მეშვეობით აქტიური პოლიტიკური როლი მოირგო პირველ პოსტ-ტალიბანის ეპოქაში. შარიათის მტკიცედ ერთგულმა, საიაფის ჯგუფმა კონტროლი მოიპოვა ავღანეთის სასამართლო სისტემაზე. მან გააერთიანა რამდენიმე ისლამისტური ფრაქცია (როგორიცაა საიაფის ჯგუფი, რაბანის პარტიის ძირითადი ნაწილი და ჰეზბ-ე-ისლამის დაშლილი ჯგუფი) მთავრობაში.

ავღანეთში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ (1974 წელს) მუსლიმი ახალგაზრდობის ნაწილი პაკისტანში გადავიდა[96] სამხედრო გადამზადების მიზნით. პაკისტანში გადასულ ავღანელ ახალგაზრდა ისლამისტებს დაგეგმილი ჰქონდათ ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება, ავღანეთზე კონტროლის მოსაპოვებლად. 1975 წელს ავღანეთის მუსლიმურმა ახალგაზრდული ორგანიზაცია წარუმატებლად აჯანყდა ფანჯშირის ხეობაში. ამის შედეგადაც მათი ლიდერები თანამებრძოლებთან ერთად გადავიდნენ ავღანეთიდან პაკისტანში, ხოლო

---

[95] Procedural Standards for Refugee Status Determination Under UNHCR's Mandate. https://www.refworld.org/docid/3ae6ad0240.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).
[96] Ahmed Rashid, The United States and the Failure of Nation Building in Pakistan, Afghanistan, and Central Asia, Vicing Press, viking, New York, 2008.

ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა[97]. ავღანეთის ისლამისტური ორგანიზაციის ლიდერებს შორის, რომლებიც პაკისტანში იყვნენ გადასულები, კვლავ გაგრძელდა დაპირისპირება. რის საფუძველზეც 1976 წელს ორი წამყვანი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა:

- „ავღანეთის ისლამური პარტია" (აიპ), რომელსაც ხელმძღვანელობდა გ. ჰექმათაიარი;
- „ავღანეთის ისლამური საზოგადოება" (აის), რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ. რაბანი.

1978 წელს, ავღანეთში, პრეზიდენტ მოჰამედ დაუდის ხელისუფლება დაამხო ახალგაზრდა ოფიცერთა გაერთიანებამ. ქვეყნის მართვის სადავეები ხელში აიღო ავღანეთის სახალხო დემოკრატიულმა პარტიამ (მემარცხენე პროკომუნისტური მიმართულების). ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს პარტიის ხელმძღვანელი ნ.თარაკი აკონტროლებდა[98], რომელსაც მხარს უჭერდნენ სოციალისტური ბლოკის ქვეყნები და სსრ კავშირი. პარალელურად, ოპოზიციურად განწყობილი ისლამისტური დაჯგუფებები მუსლიმური ქვეყნებისგან იღებდნენ დახმარებას. ქვეყანაში გატარებულმა ანტიისლამისტურმა პოლიტიკამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთობაზე.

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობით უკმაყოფილო ავღანელი მოსახლეობა ირანსა და პაკისტანს აფარებდა თავს. ისლამისტური დაჯგუფებები აკონტროლებდნენ პაკისტანში არსებულ ლტოლვილთა ბანაკებს. სწორედ აქ ჩამოყალიბდა შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებსაც წვრთნიდნენ და მხარს უჭერდნენ პაკისტანელი სამხედროები. 1978 წლის დასასრულს, ისლამისტურმა

---

[97] Why fiery Afghan warlord Massoud is hell-bent on ousting the Taliban -- and the heavy hand of Islamabad. http://edition.cnn.com/ASIANOW/asiaweek/current.bak/issue/is1.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).
[98] Nur Mohammad Taraki. https://www.britannica.com/biography/Nur-Mohammad-Taraki. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

დაჯგუფებამ, დაკომპლექტებული ახლად გადამზადებული მოჯაჰედებით, მოქმედებები დაიწყო ავღანეთში ხელისუფლების წინააღმდეგ[99].

1979 წლის დასაწყისში, პაკისტანში ჩამოყალიბდა და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ შემდეგი ისლამისტური პარტიები:

- ავღანეთის ეროვნული ისლამური ფრონტი (აეიფ);
- ავღანეთის ისლამისტური რევოლუციის მოძრაობა (აირმ);
- ჰალსის ისლამისტური პარტია (ჰიპ).

ავღანეთის ხელისუფლებას ბრძოლა გამოუცხადეს ახლად შექმნილმა ისლამისტურმა პარტიებმა. ისლამისტური პარტიების მოქმედებების საპასუხოდ, 1979 წელს , სსრკ-მ სამხედრო ქვედანაყოფები განათავსა ავღანეთში[100]. მსოფლიოს ქვეყნებმა დაგმეს სსრკ-ს ავღანეთის ტერიტორიაზე ჯარების განლაგების გადაწყვეტილება .

ავღანელ ისლამისტებს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში მუსლიმანური ქვეყნები და სხვადასხვა ორგანიზაციები ეხმარებოდნენ. მათი დახმარების საკითხს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი ყოველწლიურად განიხილავდა. საწყის ეტაპზე, მათი მხრიდან, დახმარება სადაზვერვო სამსახურებისა და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციის საშუალებით ხორციელდებოდა, შემდგომ კი ღიადაც ეხმარებოდნენ მათ. მას შემდეგ, რაც ავღანეთში საბჭოთა ჯარი შევიდა, პაკისტანის ტერიტორიაზე არსებული ისლამისტური პარტიები გაერთიანდნენ ისლამური რევოლუციის მოძრაობის ალიანსში. თუმცა, გაერთიანება მალევე დაიშალა, რადგან ვერ შეთანხმდნენ საერთო გეგმაზე. ეს იყო ავღანური ისლამისტური პარტიების გაერთიანების პირველი მცდელობა.

---

[99] ხვიჩა ხოზრევანიძე, ისლამისტური მოძრაობის გააქტიურების მიზეზები ავღანეთში, საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი 2022. გვ. 117-118.

[100] ავღანეთის საბჭოთა ოკუპაციის ოცდამეათე წლისთავი. https://www.radiotavisupleba.ge/a/1915900.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში, 1980 წლის 27 იანვარს, ჩამოყალიბდა ექვსი ავღანური ისლამისტური პარტიის ალიანსი. გაერთიანების მიზანს ავღანეთის სახელმწიფოს „ათეისტური“ მმართველობისგან გათავისუფლება წარმოადგენდა. თუმცა, ახალი ალიანსი წინა გაერთიანების მსგავსად მალევე დაიშალა. მომდევნო წლის 25 ივნისს, ისევ შეხვდნენ ერთმანეთს პარტიების ხელმძღვანელები და შეიქმნა „ავღანეთის მოჯაჰედთა ისლამური კავშირი“. წინა მცდელობისგან განსხვავებით, ახალი ალიანსისთვის თითოეულ ისლამისტურ პარტიას უნდა გადაეცა მათ ხელთ არსებული მატერიალური რესურსი, უძრავი ქონება და შეიარაღება. მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა, ალიანსმა ვერ შეძლო ფუნქციონირება და წევრმა პარტიებმა ინდივიდუალური ქმედებები დაიწყეს საკუთარი მიზნის მისაღწევად.

1982 წელს შეიქმნა ბოლო ისლამისტური ალიანსი-შვიდთა ალიანსის სახელწოდებით. გაერთიანების მიზანი სამხედრო მოქმედებების დაგეგმვა იყო, ნაცვლად პოლიტიკური მოღვაწეობისა. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის წევრები იყვნენ შეთანხმებული მოქმედების არეალზე, მიუხედავად შეთანხმებისა, ისინი გარკვეულ სიტუაციებში უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. პარტიების წარმომადგენლები იყვნენ ენთუზიაზმის გრძნობით აღვსილი პატრიოტები, თუმცა ვერ თანხმდებოდნენ საერთო მიზნის მიღწევის სტრატეგიაზე. შესაბამისად, ალიანსი კიდევ რამდენიმეჯერ დაიშალა და ისინი დამოუკიდებლად ჩაერთნენ ქვეყანაში ძალაუფლებისთვის ბრძოლაში[101].

ირანში განთავსებული ავღანეთის ოპოზიციური ძალები, მსგავსად პაკისტანის არსებული ავღანური ისლამისტური პარტიებისა, ერთ ალიანსში გაერთიანდნენ (რვა პარტია), რომლის შტაბ-ბინა თეირანში მდებარეობდა. ალიანსმა აქაც ვერ მოახერხა დიდხანს არსებობა და მალევე დაიშალა. ავღანეთის დაქუცმაცებული ისლამისტური პარტიების ალიანსად გაერთიანება მხოლოდ ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებამ შეძლო, რომელსაც უწოდეს ავღანეთის ისლამური რევოლუციის

[101] Olivier Roy, ISLAMIC RADICALISM IN AFGHANISTAN AND PAKISTAN, CNRS, Paris, 2002.

გუშაგთა კორპუსი. ახლად შექმნილ ალიანსს ირანის ხელისუფლება აკონტროლებდა[102]. ირანის მმართველი ისლამური ხელისუფლების დამოკიდებულებას ავღანელების მიმართ განაპირობებდა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის ზრდა ავღანეთის ტერიტორიაზე. ეს აისახებოდა ირანის ხელისუფლების შერჩევით ხასიათზე ავღანეთის ოპოზიციონერი პარტიების მიმართ. ირანის ხელისუფლება დახმარების ხელს უწვდიდა პროირანულ დაჯგუფებებს, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ ავღანეთის ტერიტორიაზე დასახლებულ შიიტებზე.

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავღანეთში ისლამისტური პარტიები, მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ყალიბდებოდა. ქვეყანაში საბჭოთა კავშირის ჯარის შესვლა განაპირობა ისლამისტური დაჯგუფებების გააქტიურებამ ავღანეთის ტერიტორიაზე, ხოლო მოსახლეობის ბრძოლამ მათ მიმართ ახალი ისლამისტური ორგანიზაციების შექმნა განაპირობა.

---

[102] ხვიჩა ხოზრევანიძე, ისლამისტური მოძრაობის გააქტიურების მიზეზები ავღანეთში, საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი 2022. გვ 120-122.

## 2.2. გარე აქტორების გავლენა და ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობა, როგორც სახელმწიფოებრიობის გამოწვევა

გარე აქტორების ზეგავლენამ პოლიტიკური არასტაბილურობა გამოიწვია ავღანეთში. რუსეთსა და ავღანეთს შორის ინტენსიური ურთიერთობა ჯერ კიდევ 1837 წელს დაიწყო, როცა მეფის რუსეთის იმპერიამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ავღანეთის ხელისუფლებასთან. ეს პერიოდი რუსეთის იმპერიასა და დიდ ბრიტანეთს შორის მოხსენიებულია, როგორც დიდი თამაშები. მეფის რუსეთს კონტროლის მოპოვება სურდა აზიის კონტინენტის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სახმელეთო გზაზე, რომელიც გადის ავღანეთის ტერიტორიაზე. მისი გაკონტროლებით რუსეთს სურდა გავლენის მოპოვება სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებზე აზიაში. ავღანეთმა, პირველ და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, შეძლო ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, რაც დადებითად აისახა ქვეყნის საგარეო ურთიერთობებზე. საბჭოთა კავშირი ავღანეთით დაინტერესდა განსაკუთრებით ცივი ომის პერიოდში (1945-1990 წწ) და ეკონომიკური პროგრამების გამოყენებით გაიმყარა ურთიერთობა. 1954-1978 წლებში, ავღანეთმა საბჭოთა კავშირისგან მიიღო 1 მილიარდ დოლარზე მეტი დახმარება, მათ შორის მნიშვნელოვანი იყო სამხედრო მიმართულება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ავღანეთსა და სსრკ-ს შორის დადებულმა შეიარაღების შეთანხმებამ, საშუალება მისცა პირველად გაეძლიერებინა სამხედრო ქვედანაყოფები. სსრკ-მ ავღანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბუნებრივი რესურსების (ლითიუმი, რკინის მადანი, სპილენძით მდიდარი ნიადაგები და ნედლი მინერალები) შემდეგ, გაზარდა ეკონომიკური და პოლიტიკური სახის დახმარება და შეეცადა ავღანეთის შიდა პოლიტიკაში ჩარევას, მათი გაკონტროლების მიზნით.

ავღანეთსა და სსრკ-ს შორის მჭიდრო თანამშრომლობის მიუხედავად, რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტმა, დაუდ ხანმა (1973-1978), შეამცირა ქვეყნებს შორის ურთიერთობის სიხშირე. გარდა ამისა, დიპლომატები გაგზავნა მეზობელ

ქვეყნებში (ირანი, პაკისტანი, საუდის არაბეთი ...) საგარეო ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, რათა საბჭოთა კავშირზე დამოკიდებულება შეემცირებინა. მას სურდა, მჭიდრო ურთიერთობა ჩამოეყალიბებინა დასავლეთთან და შეერთებულ შტატებთან[103]. 1977 წლის აპრილში, ავღანეთში სსრკ-ს დელეგაციის ვიზიტის დროს, დაუდ ხანმა სსრკ-ს გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევს განუცხადა - ავღანეთი დარჩება თავისუფალი და საბჭოთა კავშირი ვერ შეძლებს ავღანეთის არაფორმალურ მართვას. საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ავღანეთში შეჭრა და ქვეყნის სრული ანექსია.

1979 წელს, საბჭოთა კავშირის ავღანეთში შესვლას ხუთი ძირითადი მოტივი ჰქონდა.

- საბჭოთა კავშირს ჰქონდა გლობალური გეოპოლიტიკური ამოცანა. მას სურდა ირანში შეჭრა და სპარსეთის ყურეში[104] გასვლა, რითაც გადაჭრიდა ე.წ. „ანაკონდას“ რკალს და გავიდოდა „თბილ ზღვებზე“.
- საბჭოთა კავშირს ავღანეთი სჭირდებოდა სტრატეგიული მნიშვნელობის საზღვრების უსაფრთხოებისთვის, რაც მის გრძელვადიან საგარეო პოლიტიკას უკავშირდებოდა, რაც გულისხმობდა ხელის შეწყობას უსაფრთხოების, ექსპანსიონიზმისა და ბუფერული სახელმწიფოებს შორის ფიზიკური ბარიერების დამყარებით.
- ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის შემცირება ავღანეთში, მანამ სანამ საბჭოთა კავშირის ინტერვენცია დააპირისპირებდა ერთმანეთთან.

---

[103] Rise of Anti-Soviet Sentiment - History of Western Civilization II". Courses, 2019.

[104] სპარსეთის ყურე - სადავო დეფინიციის გამო აკადემიურ წყაროებში ერიდებიან ტერმინს „სპარსეთის ყურე“-„არაბეთის ყურე“, ინგლისურენოვან მასალებში აღინიშნება ნეიტრალურად The Gulf, ქართულადაც პოლიტკორექტულობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია იყოს მხოლოდ ყურე. ირანსა და საუდის არაბეთს შორის დაწყებული ურთიერთობების ნორმალიზების ფონზე, სპარსულენოვან წყაროებშიც ერიდებიან აღნიშნული არეალის სპარსეთის ყურედ ხსენებას.

- მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური იდეების გავრცელება ავღანეთში არსებული ნაციონალისტურ ისლამისტურ იდეოლოგიაზე უპირატესობის მოსაპოვებლად.
- საბჭოთა კავშირის სურვილი პირდაპირი ინტერვენციისა და ოკუპაციის იმპერიული უპირატესობების მოსაპოვებლად. კერძოდ, ისინი შეძლებდნენ ავღანეთში არსებული ნედლეულსა და იაფად საქონელზე შეუზღუდავ წვდომას. საბჭოთა კავშირის შესვლა ავღანეთში თითქმის ერთხმად დაგმო საერთაშორისო საზოგადოებამ[105].

1979 წლის ისლამურმა რევოლუციამ ირანში გამოიწვია ნავთობის დეფიციტი და ფასების მასობრივი ზრდა, რის გამოც საბჭოთა კავშირის ეკონომიკა გაიზარდა ათობით მილიარდი დოლარით. შექმნილი სიტუაციით საბჭოთა კავშირი შეეცადა გრძელვადიანი გეოპოლიტიკური მიზნის მიღწევას, გამხდარიყო ლიდერი ცენტრალურ აზიასა და სპარსეთის ყურეს შორის არსებულ რეგიონში. 1979 წელს, საბჭოთა ჯარების ავღანეთში შესვლის შემდეგ, სსრკ-მ გაზარდა დახმარება ავღანეთის არმიის აღდგენისა და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების მიზნით. ავღანეთის მოსახლეობის ნაწილმა საბჭოთა ჯარებს საღვთო ომი (ჯიჰადი) გამოუცხადა, რომელიც 1989 წლამდე გაგრძელდა. ავღანელმა მოჯაჰედებმა პარტიზანული ბრძოლებით შეძლეს ომში უპირატესობის მოპოვება.

ავღანელ მოჯაჰედებს მხარს უჭერდნენ შეერთებული შტატები, საუდის არაბეთი, პაკისტანი და დიდი ბრიტანეთი, ამიტომ ეს ომი ცივი ომის მარიონეტულ ომად იქცა. იმ ქვეყნებიდან, რომლებიც მხარს უჭერდნენ მოჯაჰედებს, აშშ-მა და საუდის არაბეთმა უდიდესი ფინანსური მხარდაჭერა შესთავაზა ავღანეთს. თუმცა, კერძო დონორებმა და რელიგიურმა საქველმოქმედო ორგანიზაციებმა მუსლიმურ სამყაროში, განსაკუთრებით სპარსეთის ყურეში, გაცილებით მეტი თანხა გაიღეს ავღანელი მეამბოხეებისათვის, ვიდრე ნებისმიერმა სხვა უცხო ქვეყანამ.

---

[105] J. P. Garg, "Russian penetration in Third World with special reference to Afghanistan". The Indian Journal of Political Science, Published By: Indian Political Science Association, 1981.

ისლამისტური დაჯგუფება ალ-კაიდას დამფუძნებელი ოსამა ბინ ლადენი, 1979 წელს, შეუერთდა პაკისტანის მთავრობას, რათა დახმარებოდა მოჯაჰედებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოხალისეების მოსამზადებლად შექმნა სამხედრო ბაზები, ჰაიბერ-პაჰტუნჰვაშის რეგიონში. მომზადებული მეომრები კი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთვებოდნენ. მან ამის შემდეგ ჩამოაყალიბა ისლამური ორგანიზაცია ალ-კაიდა, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ ბრძოლა ავღანეთში.

1981 წელს გაერო ჩაერთო საბჭოთა კავშირ-ავღანეთის პრობლემის მოგვარებაში, რადგან კონფლიქტმა გამოიწვია კრიზისი საერთაშორისო ასპარეზზე. გაეროს ჩართულობით ავღანეთსა და პაკისტანს შორის მოლაპარაკებების თერთმეტი რაუნდი გაიმართა. მოლაპარაკებების შედეგი გენერალური ასამბლეის რეზოლუცია იყო და პოლიტიკურად დამოუკიდებელ ავღანეთს მოუწოდებდა გარე აქტორების ჩარევის გარეშე უცხოური ჯარების გაყვანისა და ლტოლვილების დაბრუნებისკენ. მას შემდეგ, რაც ოფიციალური დებატები გაიმართა საბჭოთა კავშირის ჯარების გაყვანის შესახებ ჟენევაში, სამხედრო მოქმედებები კიდევ უფრო გააქტიურდა ავღანეთში.

ჟენევის მეორე რაუნდის მოლაპარაკებები გაგრძელდა 1983 წლამდე. ამ პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირი იღებდა, როგორც მატერიალურ, ისე ადამიანურ ზარალს და საერთაშორისო პრესტიჟი ელახებოდა. იმავე წლის 8 აპრილს ჟენევაში ოპტიმისტურად დაიწყო მოლაპარაკებები როცა მოსკოვმა განაცხადა, შესაბამისი პირობების შემთხვევაში მისი ჯარები დატოვებდნენ ავღანეთს. მოლაპარაკებები 22 აპრილს შეჩერდა, რათა დელეგატებს მთავრობებისგან კონსულტაციები მიეღოთ. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა განუცხადეს, რომ მზად იყვნენ ეტაპობრივად გასულიყვნენ ავღანეთიდან თუ პაკისტანი აიღებდა ავღანელი მოჯაჰედების საბრძოლო მოქმედებების შეჩერების პასუხისმგებლობას.

ჟენევაში მოლაპარაკებების მესამე რაუნდი კრახით დასრულდა, რადგან ჩერნენკოს მთავრობას არ სურდა  ავღანეთის ომის დასრულება. კრემლი კი კვლავ აპირებდა სამხედრო გამარჯვების მიღწევას ავღანეთის ომში.

სსრკ-ში სამთავრობო ცვლილებების შემდეგ, 1985 წელს, გორბაჩოვმა გადაწყვიტა საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმართულების ცვლილება. ჟენევის მოლაპარაკებაზე მიღებული კონსენსუსის მიხედვით  საბჭოთა კავშირს უნდა გაეყვანა  ჯარი ავღანეთიდან.

მიხეილ გორბაჩოვის გენერალურ მდივნად დანიშვნამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საბჭოთა კავშირის სამომავლო გეგმებზე. მას სურდა საბჭოთა კავშირი გამოეყვანა ეკონომიკური სტაგნაციიდან, რის გამოც საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა სამხედრო ქვედანაყოფები გამოეყვანა ავღანეთის ტერიტორიიდან. საბჭოთა კავშირის ავღანეთიდან გასვლა და ავღანეთში პროკომუნისტური რეჟიმის დამარცხება განაპირობა რამდენიმე მიზეზმა, კერძოდ:[106]

- 1980 წელს საბჭოთა არმია გაწვრთნილი და აღჭურვილი იყო ფართომასშტაბიანი ომისთვის.  მათ ავღანეთში შეჭრისას გამოიყენეს ჯავშანტექნიკა, რაც არაეფექტური იყო მცირე ზომის პარტიზანული ჯგუფების წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინაიდან ისინი იყენებდნენ წერტილოვანი დარტყმის ტაქტიკას. საბჭოთა არმიის საჯარისო შენაერთები არ იცნობდნენ ქვეყნის რელიეფს და აქედან გამომდინარე სათანადოდ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ მოჯაჰედების  მცირე ჯგუფებს.
- საბჭოთა კავშირს არ ჰყავდა საკმარისი ძალა ავღანეთში აჯანყებულებთან წინააღმდეგ საბრძოლველად.  ომში ჩართული ჯარისკაცების რაოდენობამ 115 000-მიაღწია, თუმცა ქვედანაყოფები ძირითადად წვევამდელი ნაკადით იყო დაკომპლექტებული, რამაც არასასურველი საბრძოლო შედეგები მოიტანა.

[106] "Taliban announce new government for Afghanistan". RNZ News. 7 September 2021.

ამავე დროს, საბჭოთა კავშირს ჰყავდა  ელიტური ქვეითი ქვედანაყოფები. მათი პრობლემა იყო არა საბრძოლო ეფექტურობა, არამედ მცირე რაოდენობა და არასწორი გადანაწილება ბრძოლის ველზე.

- სათანადოდ ორგანიზებული  არ იყო სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება და შეგროვება. საბჭოთა კავშირი ზედმეტად ეყრდნობოდა ნაკლებად ზუსტ საჰაერო სადაზვერვო ინფორმაციასა და რადიო შეტყობინებებს, ვიდრე სპეციალური ქვედანაყოფების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ სპეცრაზმისა და ქვეითთა ქვედანაყოფები გამოირჩეოდნენ მოჯაჰედების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1979 წლის 25 დეკემბრიდან 1989 წლის 15 თებერვლამდე - 620 000 საბჭოთა ჯარისკაცი მსახურობდა ავღანეთში. საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამოუსწორებელი საკადრო დანაკარგი ჯამურად 14453 შეადგენდა. მოქმედი ჯარისკაცებიდან 53 753 დაიჭრა, დაშავდა ან მიიღო ფიზიკური დაზიანება. 415932  კი დაავადდა ადგილობრივი კლიმატური პირობების გამო. მატერიალური დანაკარგის (სამხედრო ტექნიკა) გარდა, საბჭოთა კავშირმა 18 მილიარდ რუბლზე მეტი თანხა დახარჯა ავღანეთის ომზე.

ომს უამრავი მშვიდობიანი მოსახლე შეეწირა ავღანეთში. საბჭოთა ოკუპაციის დროს დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობა მერყეობს 562 000-დან 2 000 000-მდე. ქვეყნიდან 5 მილიონი ავღანელი გაიქცა პაკისტანსა და ირანში, ხოლო  2 მილიონი იძულებით გადაადგილდა ქვეყნის შიგნით. ეს მოვლენა ცნობილია ყველაზე დიდ ლტოლვილთა კრიზისად ავღანეთში. 1980-იან წლებში, მსოფლიოს ლტოლვილთა ნახევარი ავღანელი იყო.

ავღანეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის დაწყება დაემთხვა შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) რამდენიმე მნიშვნელოვან ოპერაციას. პირველი ოპერაცია, კოდური სახელწოდებით, Operation Cyclone, დაიწყო

1979 წელს, ჯიმი კარტერის პრეზიდენტობისას. ოპერაციის ფარგლებში იარაღს აწვდიდნენ და აფინანსებდნენ ანტიკომუნისტ მოჯაჰედ პარტიზანებს, ავღანეთის სახალხო დემოკრატიულ პარტიას (PDPA), 1978 წლის აპრილის გადატრიალების მოწყობისას და საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის თითქმის ათწლიანი სამხედრო ოკუპაციის პერიოდში. კარტერის შემდეგ, რონალდ რეიგანმა, მხარი დაუჭირა დოქტრინის გაფართოებას, რომელიც დაეხმარა სხვა ანტისაბჭოურად განწყობილ მოჯაჰედებს მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირის შეჭრა ავღანეთში, შეერთებული შტატების მთავარი საზრუნავი გახდა, ჯიმი კარტერის პრეზიდენტობისას[107]. იმ პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა დიპლომატიურ მცდელობებს, საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან გაყვანის მიზნით. გარდა ამისა, ამერიკელები ჩაერთნენ ავღანელი ლტოლვილების დახმარების პროგრამაში. ისინი ეხმარებოდნენ ავღანეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასაც. ტრანსსასაზღვრო ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა მიზნად ისახავდა ავღანეთის მიერ საბჭოთა კავშირისათვის წინააღმდეგობის გაწევას, რათა დაეცვა მშვიდობიანი ავღანელი მოქალაქეები კონტროლირებადი წარმომადგენლების მიერ ოკუპირებულ სოფლებში. საბჭოთა ოკუპაციის განმავლობაში, შეერთებულმა შტატებმა დაახლოებით 3 მილიარდი აშშ დოლარის სამხედრო და ეკონომიკური დახმარება გაუწია პაკისტანის მხარეს განლაგებულ მოჯაჰედებს, დურანდის ხაზზე. 1989 წლის იანვარში, ქაბულში აშშ-ის საელჩო უსაფრთხოების მიზნით დაიხურა.

ოპერაცია „ციკლონი“ შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) პროგრამის კოდური სახელი იყო ავღანეთის მოჯაჰედებისთვის სამხედრო და ფინანსური დახმარების პერიოდში (1979-1992), სსრკ-ს სამხედრო ინტერვენციამდე და მის დროსაც. მოჯაჰედებს, ასევე მხარს უჭერდა ბრიტანეთი, კოდური სახელწოდების MI6-ის ოპერაციით და ცალკეულ ფარულ მოქმედებებს

[107] Tobin, Conor, "The Myth of the "Afghan Trap": Zbigniew Brzezinski and Afghanistan, 1978–1979", Diplomatic History. Press Oxford University, April 2020, pp. 237–264.

ახორციელებდა. პროგრამა მოიცავდა მეზობელ პაკისტანში მუჰამედ ზია-ულ-ჰაკის რეჟიმის დაფინანსებას. ოპერაცია ციკლონი იყო ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) ერთ-ერთი ყველაზე გრძელი და ძვირადღირებული ფარული ოპერაცია, რომელიც ოდესმე განხორციელებულა მესამე სამყაროს ქვეყნების დაცვის მიზნით. მისი დაფინანსება გაგრძელდა (თუმცა შემცირდა) საბჭოთა კავშირის ჯარების გაყვანის შემდეგაც, რადგან მოჯაჰედები სამოქალაქო ომს აგრძელებდნენ, პრეზიდენტ მოჰამად ნაჯიბულას წინააღმდეგ (1989–1992)[108].

საბჭოთა კავშირის ავღანეთში შეჭრას ჯ.კარტერმა მყისიერი პასუხი გასცა, სატელევიზიო გამოსვლაში მან განაცხადა საბჭოთა კავშირზე სანქციების დაწესების შესახებ, ხოლო პაკისტანს განახლებულ დახმარებას დაჰპირდა და აშშ-მა სპარსეთის ყურის ქვეყნებსაც აღუთქვა დაცვის ვალდებულება[109]. ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი განსაკუთრებით უჭერდა მხარს კარტერის მკაცრ პოზიციას, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მოჯაჰედებისთვის იარაღის მიწოდებაზე პასუხისმგებელი იყო პაკისტანის პრეზიდენტი მუჰამედ ზია-ულ-ჰაკსი, რადგან მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა კონგრესმენ ვილსონთან. ასევე, პაკისტანის დაზვერვა იყო შუამავალი თანხების გადანაწილებაში, იარაღის გადაცემაში, სამხედრო წვრთნებსა და ავღანური წინააღმდეგობის ჯგუფებისთვის ფინანსურ მხარდაჭერაში[110].

საუდის არაბეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაფინანსების საფუძველზე, პაკისტანის სამსახურთაშორისმა დაზვერვამ (ISI) შეიმუშავა კომპლექსური გადამზადების გეგმა. 1986 წლიდან ყოველწლიურად ამზადებდნენ 16000-დან 18000-მდე მოჯაჰედ მებრძოლს. ისინი არაბული ქვეყნების მოხალისეებს

---

[108] Kaplan, Robert D. Soldiers of God: With Islamic Warriors in Afghanistan and Pakistan. Vintage; First Edition Publisher, 2008, pp. 115–117.

[109] Blight, James G.. Becoming Enemies: U.S.-Iran Relations and the Iran-Iraq War, 1979-1988. Rowman & Littlefield Publishers, 2012, pp. 69–70.

[110] Coll, Steve, Ghost Wars: The Secret History of the CIA, Afghanistan, and Bin Laden, from the Soviet Invasion to September 10, 2001, jurnal - U.S naval war college newport, rhode island, 2004.

მოუწოდებდნენ ბაზირებული საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლას შეერთებოდნენ ავღანეთში.

ამ პერიოდის განმავლობაში, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სამოქალაქო წარმომადგენლები ხშირად სტუმრობდნენ ავღანეთ-პაკისტანის სასაზღვრო ზონას. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი, უილიამ კეისი, არაერთხელ ეწვია პაკისტანს, რათა შეხვედროდა ISI-ის ოფიცრებს, რომლებიც წვრთნიდნენ მოჯაჰედებსა და პარტიზანებს. მოჯაჰედებმა კარგად გამოიყენეს შეერთებული შტატების, საუდის არაბეთის, პაკისტანის, გაერთიანებული სამეფოსა და სხვა მუსლიმური ქვეყნების უცხოური სამხედრო მხარდაჭერა.

1989 წლის თებერვალში, საბჭოთა კავშირის ავღანეთიდან გასვლის შემდეგ, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) მიზანი საბჭოთა ოკუპაციის დროს პრო-საბჭოთა ნაჯიბულას მთავრობის დამხობა გახდა. ჯორჯ ბუშ უფროსის ადმინისტრაციის სახელმწიფო დეპარტამენტი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) მიერ შეთავაზებულ სამხედრო გადაწყვეტილებების მიმართ სკეპტიკუერ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ.

შეერთებული შტატები დადებითად იყო განწყობილი ახალი ისლამური ადმინისტრაციის მიმართ, რომელიც პროსაბჭოთა მთავრობის დაცემის შემდეგ ავღანეთს ხელისუფლებაში მოვიდა 1992 წლის აპრილში. მოჯაჰედების ჯგუფებმა დაიწყეს ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ, რაც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. თუმცა, მიმდინარე შიდა არეულობა სტრატეგიულად საინტერესო აღარ იყო ამერიკისთვის.

ბრიტანეთიც იყო დაინტერესებული საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ მიმდინარე საომარი მოქმედებებით ავღანეთში. კოდური სახელწოდების MI6-ის ოპერაციით, ის მხარს უჭერდა ძლიერ ისლამურ დაჯგუფებას, აჰმად შაჰ მასუდის მეთაურობით.

მიუხედავად CIA-ს ეჭვებისა მასუდის მიმართ, ის გახდა MI6-ის მთავარი მოკავშირე[111]. MI6-ი მასუდსა და მის მებრძოლებს თანხითა და იარაღით დაეხმარა[112].

მუსლიმური სამყაროს ქვეყნებს შორის, პაკისტანმა ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ავღანეთში განვითარებულ მოვლენებში. პაკისტანისთვის მიუღებელი იყო საბჭოთა კავშირის დომინირება და მათ მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკის შედეგები აზიის კონტინენტზე. საბჭოთა ჯარების ავღანეთში განლაგების შემდეგ, პაკისტანის სამხედრო მმართველმა, გენერალმა მუჰამედ ზია-ულ-ჰაკმა, ფინანსური დახმარების მიღება დაიწყო დასავლური ქვეყნებისაგან, მოჯაჰედების დასახმარებლად[113]. 1981 წელს, რონალდ რეიგანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მოჯაჰედებისთვის დახმარება განსაკუთრებით გაიზარდა. ასევე, პაკისტანის საზღვაო ფლოტი ჩართული იყო ფარულ ომში და ავღანეთში უცხოური იარაღის კოორდინირებაში.

სსრკ-ს KGB[114] ეჭვმიტანილი იყო ავღანელ მოკავშირეებთან ერთად, პაკისტანის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში. 1987 წელს პაკისტანში, 127 ინციდენტის შედეგად 234 ადამიანი დაიღუპა. 1988 წლის აპრილში, პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადის მახლობლად, საბრძოლო მასალის საცავი ააფეთქეს, რის შედეგადაც 100 ადამიანი დაიღუპა და 1000-ზე მეტი დაშავდა. საბჭოთა მებრძოლები და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო ძალების ბომბდამშენები პერიოდულად ბომბავდნენ სოფლებს პაკისტან-ავღანეთის საზღვრის გასწვრივ. მიუხედავად საბჭოთა ჯარის აგრესიისა, პაკისტანს პოზიცია არ შეუცვლია.

---

111 Davies, Philip MI6 and the Machinery of Spying: Structure and Process in Britain's Secret Intelligence Studies in Intelligence. Routledge. 2004, pp. 290–291.

112 Smith, Michael The Spying Game: The Secret History of British Espionage. 2003.

113 Carter, Ralph G, Scott, James M. Choosing to Lead: Understanding Congressional Foreign Policy Entrepreneurs. Duke University Press Books. 3 July 2009.

114 KGB - რუსული Комитет государственной безопасности СССР-ის-საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აბრევიატურაა, ხშირად ინგლისურადაც იხსენიებენ როგორც KGB, მაგრამ ამ აღნიშვნის ზუსტი ინგლისური ვარიანტი იქნება: Committee for State Security-ს.

პაკისტანმა საბჭოთა ოკუპაციას გაქცეული მილიონობით ავღანელი ლტოლვილი (ძირითადად ფუშტუნი) შეიფარა. მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილები თვითონ აკონტროლებდნენ პაკისტანის უდიდეს პროვინციას, ბელუჯისტანს, გენერალ რაჰიმუდინ ხანის მმართველობის დროს. ლტოლვილები პაკისტანის სხვა რეგიონშიც გადავიდნენ[115]. ასევე პაკისტანმა, მოჯაჰედების მხარდაჭერით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა სამხედრო ქვედანაყოფების გაყვანაში.

ჩინეთი დაინტერესებული იყო ავღანეთში განვითარებული მოვლენებით, რადგან კონტინენტზე არსებული პოლიტიკური სიტუაცია მიმდინარე ომზე იყო დამოკიდებული. ჩინეთსა და ავღანეთს, მონარქიის პერიოდში ნეიტრალური ურთიერთობა ჰქონდათ. 1978 წელს, ავღანეთში პრო-საბჭოთა ავღანელმა კომუნისტებმა მოიპოვეს ძალაუფლება, რამაც გაამწვავა ურთიერთობა ჩინეთსა და ავღანელ კომუნისტებს შორის. ავღანელი პროსაბჭოთა კომუნისტი მმართველები მხარს უჭერდნენ ჩინეთის იმდროინდელ მტერს, ვიეტნამს, რადგან ჩინეთს ადანაშაულებდნენ ავღანელი ანტიკომუნისტი მებრძოლების მხარდაჭერაში. საბჭოთა კავშრი-ავღანეთის ომის საპასუხოდ, ჩინეთმა მხარი დაუჭირა მოჯაჰედებს და გააძლიერა სამხედრო ქვედანაყოფები ავღანეთის სიახლოვეს, სინციანიის[116] რეგიონში. საბჭოთა თავდასხმისგან თავის დასაცავად, ჩინეთმა შეიძინა სამხედრო ტექნიკა.

ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმია უზრუნველყოფდა ავღანელ ჯარისკაცებს შეიარაღებასა და ფინანსურ დახმარებას. ჩინელებმა მოჯაჰედებს გადასცეს ასობით მილიონის დოლარის ღირებულების საზენიტო რაკეტები, სარაკეტო გამშვები და ტყვიამფრქვევები. ომის განმავლობაში ჩინელმა სამხედროებმა რამდენიმე ათასზე მეტი მოჯაჰედი გაწვრთნეს, სინციანსა და

---

[115] Soviet–Afghan War. https://hmong.es/wiki/Soviet%E2%80%93Afghan_War. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

[116] სინციანი - ეს პროვინცია მუსლიმი უიღურებით დასახლებული არეალია და დღესდღეობით მწვავე რეპრესიებს განიცდის ჩინეთის ხელისუფლებისგან.

პაკისტანის საზღვრის გასწვრივ. საერთო ჯამში, ჩინეთის დახმარებამ 400 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

ინდოეთმა, საბჭოთა კავშირის ახლო მოკავშირემ, მხარი დაუჭირა საბჭოთა შეჭრას ავღანეთში, რადგან ინდოეთი დამოკიდებული იყო საბჭოთა კავშირზე, სამხედრო და უსაფრთხოების თვალსაზრისით. საომარი მოქმედებების დასასრულს კი შესთავაზა ჰუმანიტარული დახმარება ავღანეთის მთავრობას, ამავე დროს, მათ დაგმეს საბჭოთა ინტერვენცია ავღანეთში. ინდოეთის ურთიერთსაწინააღმდეგო ხედვამ ნეგატიური ზეგავლენა იქონია ავღანეთ-ინდოეთის ურთიერთობებზე. ინდოეთი, ასევე, გაეროს რეზოლუციას ეწინააღმდეგებოდა, რომელიც გმობდა საბჭოთა ჯარების ინტერვენციას ავღანეთში.

1989 წელს, ხომეინის გარდაცვალების შემდეგ, ირანის მთავრობამ წაახალისა შიიტური დაჯგუფება ავღანეთში, რათა დაეარსებინათ ჰეზბ-ე ვაჰდატი, საერთაშორისო მოლაპარაკებებში ჩართვის იმედით. ამავე წლის თებერვლიდან - საბჭოთა კავშირის ავღანეთიდან გასვლამდე - 1992 წლის აპრილში პრეზიდენტ ნაჯიბულას ხელისუფლების დაცემამდე, ირანი მხარს უჭერდა PDPA-ს მთავრობას. ისტორიკოს ბარნეტ რუბინის აზრით, ირანისთვის საბჭოთა კავშირის მხარდაჭერილი ქაბულის მთავრობა იყო მთავარი ძალა, რომელიც ბლოკავდა სუნიტი ვაჰაბიტური პარტიების მიერ ავღანეთის სადავეების ხელში ჩაგდებას, რომელთაც მხარს უჭერდნენ პაკისტანი, საუდის არაბეთი და შეერთებული შტატები[117].

---

[117] Esfandiari, Golnaz,"Afghanistan/Iran: Relations Between Tehran, Kabul Growing Stronger", jurnal - Pars Times, 26 January 2005.

## 2.3. ავღანეთის მონარქიული სახელმწიფო და მისი დასავლური პოლიტიკური ღირებულებები

თანამედროვე ავღანეთის სახელმწიფო მეცხრამეტე საუკუნეში ბრიტანეთისა და რუსეთის იმპერიების დაპირისპირების ობიექტი გახდა. ბრიტანეთს სურდა რუსული გავლენის შემცირება ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრის მხრიდან და ავღანეთის პროვინციების კოლონიებად გადაქცევა. ბრიტანული ქვედანაყოფები სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა ჯალალაბადის, ხუსთისა და ყანდაჰარის რეგიონში. ავღანეთის სამხრეთ რეგიონის უმრავლესობამ ვერ გაუძლო ბრიტანელების შემოტევას და დაეცა[118]. ავღანეთის იმ დროინდელ მმართველს, ამირ იაკუბ ხანს (ავღანეთის ემირი 1879 წელს) სხვა არჩევანი აღარ ჰქონდა, უნდა დაეწყო ბრიტანეთთან მოლაპარაკება ავღანეთის დაყოფის თავიდან ასაცილებლად. 1879 წლის მაისში ბრიტანეთის წარმომადგენელი კავანიარი და იაკუბი ერთმანეთს განდამაკში შეხვდნენ. კავანიარი არ აპირებდა კომპრომისზე წასვლას, ვინაიდან ბრიტანეთი უპირატეს მდგომარეობაში იყო. მან მოითხოვა ბრიტანეთის ჯარების დარჩენა ქაბულში, ქვეყნის მეთაურად კლავ იაკუბს შეეძლო დარჩენა. შეთანხმების შედეგად, ავღანელები მიზერულ წლიურ სუბსიდიას მიიღებდნენ ბრიტანეთისგან. ბრიტანული ძალები საბოლოოდ გავიდოდა ავღანეთის ტერიტორიიდან, გარდა ქაბულისა და ყანდაჰარის, რომელი რეგიონებიც იყო სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი. პარალელურად, ბრიტანეთი ცდილობდა პოლიტიკითა და სამხედრო ძალით დაემორჩილებინა ქაბული, რომელიც მთავარი სტრატეგიული რეგიონი იყო ავღანეთზე კონტროლის მოსაპოვებლად. ავღანეთის სხვადასხვა რეგიონში არაერთი ბრძოლა გაიმართა, ინგლისელები იმორჩილებდნენ ქვეყნის ცალკეული რეგიონის ხელმძღვანელებს, მაგრამ საბოლოოდ ვერ გატეხეს ავღანელი ერი და ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზნებს.

---

[118] Reddy, L. R, Inside Afghanistan end of the Taliban era, APH Publishing, 2010.

ავღანეთის ემირის იაკუბ ხანის გარდაცვალების შემდეგ, 1901 წელს მისი ადგილი უფროსმა ვაჟმა ჰაბიბულა ხანმა დაიკავა, რომელმაც ფრთხილი ნაბიჯები გადადგა მთავრობის ადმინისტრაციის მოდერნიზებისაკენ. ასევე, მან დაიწყო არმიის რეორგანიზაცია, დააარსა დასავლური სტილის სკოლა (მხოლოდ ბიჭებისთვის) ქაბულში და სამხედრო კოლეჯი. საერთაშორისო ვაჭრობის წახალისების მიზნით, ჰაბიბულა ხანმა მოხსნა სხვადასხვა საბაჟო გადასახადი. ქვეყანაში არ იყო დაშვებული უცხოური ინვესტიცია და უცხოური ბანკებიდან სესხის აღება, რაც კვლავ აფერხებდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ამის ფონზე გატარებული ცვლილებები არასაკმარისი იყო.

ავღანეთის სახელმწიფო მართვის ფორმას აბსოლიტური მონარქია წარმოადგენდა. ამ ფორმისთვის დამახასიათებელია ერთპიროვნული მმართველობა, სადაც არ არის მიღებული განსხვავებული აზრი. ავღანეთის ზოგიერთი მმართველი, მაგალითად, ჰაბიბულა უფრო ტოლერანტულად იყო განწყობილი ოპოზიციის მიმართ, ვიდრე მისი მამა, რომელმაც სხვადასხვა გავლენიანი მაღალჩინოსანი მხოლოდ იმიტომ გადაასახლა, რომ ისინი საფრთხეს უქმნიდნენ მას და ეჭვქვეშ აყენებდნენ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს[119]. ჰაბიბულას პოლიტიკურმა მოკავშირემ, მაჰმუდ ტარზაიმ[120], ავღანეთში დაიწყო პირველი გაზეთის გამოშვება. გაზეთის გამოსვლამ ხელი შეუწყო ნაციონალისტური და მოდერნისტული იდეების გავრცელებას, რომელმაც უზრუნველყო ანტიბრიტანული განწყობის გაძლიერება ავღანეთის მოსახლეობაში. ტარზაის მიერ გამოცემული გაზეთის გავლენით ქვეყანაში გაჩნდა „ახალგაზრდა ავღანელთა“ ჯგუფი. მათ მიზანს წარმოადგენდა ავღანეთის მოდერნიზაცია და დამოუკიდებლობა. 1914 წლისათვის, ჰაბიბულას მიერ

---

[119] Saikal. A, Modern Afghanistan: A History of Struggle and Survival, APH Publishing, 2004.

[120] მაჰმუდ ტარაზი (1865 – 1933) იყო ავღანელი პოლიტიკოსი და ინტელექტუალი. ის ცნობილია, როგორც ავღანური ჟურნალისტიკის მამა. ის გახდა საკვანძო ფიგურა ავღანეთის ისტორიაში, თურქეთში მუსტაფა ქემალ ათათურქის ხელმძღვანელობით, მოდერნიზაციისა და სეკულარიზაციის იდეოლოგიის მხარდაჭერისა და რელიგიური ექსტრემიზმისა და ობსკურანტიზმის წინააღმდეგობისათვის. ავღანელი ლიდერების უმეტესობის მსგავსად, ტარაზი იყო ავღანელი ნაციონალისტი, რომელსაც სხვადასხვა სამთავრობო თანამდებობა ეკავა.

ქვეყნის მოდერნიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ავღანეთი განვითარებადი სახელმწიფო იყო. ადგილობრივი თემები კვლავ ინარჩუნებდნენ ავტონომიურობას და სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ასევე, მათ ნაკლებად ჰქონდათ ეროვნული იდენტობის გრძნობა. მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტი მუსლიმები იყვნენ და დომინანტი რელიგია - ისლამი. თუმცა, ქვეყანაში იყვნენ სხვა რელიგიის აღმსარებლებიც: ისლამური შიიტური თემები, ინდუსები, სიქჰები და ებრაელები.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ამირი ფიქრობდა, რომ ქვეყნისთვის ნეიტრალიტეტი საუკეთესო პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნებოდა, რადგან ის ინფორმირებული იყო საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების შესახებ. მისი აზრით, სამთა კავშირში გაწევრიანება ავღანეთს დაუცველს დატოვებდა ინგლის-რუსეთის ერთობლივი თავდასხმის შემთხვევაში, ამიტომ გადაწყვიტა, რომ ნეიტრალიტეტი ქვეყნის ინტერესებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო. მას ბრიტანელების მადლიერების იმედი ჰქონდა და იმედოვნებდა, რომ ბრიტანელების გამარჯვების შემდეგ ავღანეთს დამოუკიდებლობის საშუალებას მისცემდნენ. პირველ მსოფლიო ომამდე, ავღანეთის ოპოზიციის წარმომადგენელი ნასრულა[121] სასულიერო პირებს მათი გავლენის გამოყენებისკენ მოუწოდებდა. მისი მიზანი ცალკეული ტომების დარწმუნება იყო ბრიტანელებისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და ინდოეთის საზღვართან რეიდების მოწყობაში. იგი განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც პირველ მსოფლიო ომს ოსმალეთის იმპერია შეუერთდა[122].

1915 წელს გერმანიის მთავრობამ დიპლომატიური მისია გაგზავნა ქაბულში, რათა ამირს უარი ეთქვა ბრიტანელთა მიმართ ნეიტრალიტეტზე. ომამდე გერმანიის მთავრობა ცდილობდა პან-ისლამის მხარდამჭერთა მოზიდვას და ინდოელ ნაციონალისტებთან კავშირების დამყარებას. ამ უკანასკნელთა შორის იყო ლალა ჰარ

---

[121] ნასრულა ხანი - (1874–1920) იყო ავღანეთის შაჰზადა (მეფისნაცვლის პრინცი) და ჰაბიბულას ძმა. ის იყო პოლიტიკური ფიგურა და ხელმძღვანელობდა სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებს და სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით ქვეყანაში.

[122] Hugh Beattie, Internacional Encyclobedia of the first world war, Afghanistan, 2016.

დაიალი (1884-1939), ასკეტი ინტელექტუალი. იგი ჩართული იყო რევოლუციური ორგანიზაციის ჩამოყალიბების პროცესში, რომელსაც უკავშირდებოდა ბრიტანეთის მმართველობის დამხობა ინდოეთში. ამირა მაქსიმალურად ცდილობდა დრო გაეწელა, არ შეხვედროდა მისიის წარმომადგენლებს ქაბულში და ქვეყნის არჩეული პოლიტიკური კურსი შეენარჩუნებინა.

1914 წელს ინდოეთიდან ევროპაში, ხოლო 1915 წელს „ახლო აღმოსავლეთში“ და აღმოსავლეთ აფრიკაში გაიგზავნა ინდოეთის არმიის მრავალი ქვედანაყოფი. შესაბამისად, ავღანეთის მოსახლეობაში გავრცელდა ხმები ომში გერმანიის გამარჯვებაზე. პარალელურად ამირი კვლავ განაგრძობდა ნეიტრალური პოლიტიკის გატარებას, მიუხედავად გავრცელებული ხმებისა.

ჰაბიბულამ და მისმა მრჩევლებმა არაერთი შეხვედრა გამართეს გერმანიის მისიის წევრებთან. ნიდერმაიერი[123] იმედოვნებდა, რომ ამირს დაარწმუნებდა ბრიტანულ ინდოეთზე თავდასხმაში. ამის სანაცვლოდ ჰაბიბულას შესთავაზეს იარაღი და 10 მილიონი ფუნტი სტერლინგის ოდენობის თანხა. თუმცა, ამირმა კარგად იცოდა, რომ ეს ცარიელი დაპირება იყო, ამიტომაც ის დროის გაწელვით თავიდან ირიდებდა პასუხის გაცემას და ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა. ამირმა რამდენიმე ასეული მოლა და ადგილობრივი ლიდერი მოიწვია ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ქაბულში. 1915/16 წლის ზამთარსა და ადრეულ გაზაფხულზე გამართა შეხვედრები, რომლის მიზანი იყო მათზე კონტროლი და დარწმუნება ქვეყნის ნეიტრალიტეტის სისწორეში. პარალელურად, 1915 წლის დეკემბრის ბოლოს, ამირმა დროის გაყვანის მიზნით გამოაცხადა გერმანიასთან მეგობრობის ხელშეკრულების პროექტის განხილვის შესახებ. თუმცა, მეორე დღესვე დაუკავშირდა ბრიტანელ აგენტს, ჰაფეზ საიფულა ხანს და აცნობა ნეიტრალიტეტის

---

[123]ნიდერმაინდერი - (1885 - 1948) იყო გერმანელი გენერალი, პროფესორი და ჯაშუში. ის ხელმძღვანელობდა 1915–1916 წლებში სპარსეთის და ინდო-გერმანულ-თურქეთის მისიას ავღანეთსა და სპარსეთში პირველი მსოფლიო ომის დროს, ემირ ჰაბიბულა ხანის წაქეზების მიზნით შეტევას ბრიტანულ ინდოეთზე, როგორც სპარსული და ინდუისტური გერმანული შეთქმულების ნაწილი, როგორც დამხმარე გერმანიის ომის ძალისხმევისა.

პოლიტიკის გაგრძელება. გერმანულმა მისიამ ვერ მიაღწია მთავარ მიზანს, დაერწმუნებინა ამირა ნეიტრალიტეტის პოზიციის შეცვლაში[124].

ამირმა წერილობით მიმართა ბრიტანეთს და მოითხოვა წარმომადგენლობა ომის შემდგომ სამშვიდობო კონფერენციაზე ავღანეთის დამოუკიდებლობის განსახილველად. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის პასუხი იყო, რომ კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ მეომარი ძალების წარმომადგენლები. დიდი ბრიტანეთი ამით იმედს აძლევდა, რომ ავღანეთის შესახებ არავითარი წინადადება არ იქნებოდა წარმოდგენილი და განხილული კონფერენციაზე. ამირ ჰაბიბულამ შეინარჩუნა ავღანეთის ნეიტრალიტეტი, მიუხედავად მმართველი ელიტის ზოგიერთი გავლენიანი წევრის წინააღმდეგობის, ოსმალეთისა და გერმანული მისიებისა და ინდოელი რევოლუციონერების აქტივობისა. ამირმა 1919 წელს ოფიციალური წერილით კიდევ ერთხელ მიმართა ბრიტანეთს, რათა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მონაწილეობით მოეპოვებინა ავღანეთს დამოუკიდებლობა და საერთაშორისო აღიარება. ბრიტანეთმა კვლავ უარი განაცხადა ავღანეთის კონფერენციაში მონაწილეობაზე.

ომისა და მისი შედეგების ანალიზის საფუძველზე ახალგაზრდა ავღანელი ნაციონალისტებისთვის ნათელი გახადა ქვეყანაში ცვლილებების საჭიროება. ახალგაზრდებმა მხარი დაუჭირეს ახალ ამირს ამანულას, რათა გატარებული ყოფილიყო ის საჭირო რეფორმები, რომლებიც მისმა მამამ და ბაბუამ ვერ განახორციელეს. ამანულას ნებართვით ქვეყანაში დაიშვა უცხოური ინვესტიციები, რამაც გააუმჯობესა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა. მისი აზრით, ავღანეთისთვის გერმანია, იტალია და საფრანგეთი შეიძლებოდა გამხდარიყო საპირწონე ძალა ბრიტანული ან საბჭოთა გავლენისაგან თავის დასაღწევად. 1920-იანი წლების დასაწყისში, სხვადასხვა ქვეყანამ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება დაიწყო ავღანეთთან, ეკონომიკურ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო

[124] დონაძე, ვ.აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორია, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1971.

თანამშრომლობის მიზნით. ამანულა იყო გერმანიის მისიის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი, შედეგად 1926 წელს გერმანიასა და ავღანეთის მთავრობებს შორის მეგობრობის ხელშეკრულება გაფორმდა. ამის საფუძველზე გერმანია გახდა მესამე გავლენიანი ძალა ავღანეთში[125].

მომდევნო მმართველს, ნადირ შაჰს, დიდი ძალისხმევა დასჭირდა ავღანეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებსა და აჯანყებებში უპირატესობის მოსაპოვებლად. მან განაახლა საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის 1920 (ეკონომიკური) და 1921 (თავდაუსხმელობის პაქტი) წლებში დადებული ხელშეკრულებები[126], რითაც კიდევ უფრო გააძლიერა ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა. მან ჩამოაყალიბა სუბნაციონალური მთავრობა და იგი რთულ სისტემად გარდაქმნა. მასში შედიოდა შვიდი მთავარი პროვინცია და მისი ხელმძღვანელები პასუხისმგებელი იყვნენ უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე. დაარსდა შვიდი დამატებითი, მცირე პროვინცია, რომლებიც თავის მხრივ იყოფოდა მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად. 1933 წელს ნადირ შაჰმა გახსნა ახალი სამხედრო კოლეჯი საშუალო სკოლის სტუდენტებისთვის[127]. ამავე დროს, რამდენიმე ოფიცერი გაიგზავნა გერმანიასა და საფრანგეთში სამხედრო გადამზადების მიზნით. ბრიტანეთის, გერმანიისა და საბჭოთა კავშრის დახმარებით ავღანეთის სამხედრო ქვედანაყოფები ხელახლა აღიჭურვა და მომდევნო სამი წლის განმავლობაში ავღანეთის სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა 40000-მდე გაიზარდა. ნადირ შაჰმა დააარსა ავღანეთის პირველი თანამედროვე პოლიცია. 1931 წელს ქვეყანაში მიღებულმა ახალმა კონსტიტუციამ განამტკიცა ნურ ალ-მაშაიხის ისლამიზაციის პროექტი „ჰანაფიტური სუნიზმი“, რომელიც სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. შეიქმნა რელიგიურ სპეციალისტთა საბჭო, რომელსაც დაევალა არსებული კანონმდებლობის ისლამური

---

[125] Clements, Frank A, Conflict in Afghanistan: A historical encyclopedia, 2003.

[126] Boundless World History. https://www.collegesidekick.com/study-guides/boundless-worldhistory/afghanistan. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

[127] Immortal, Updated Edition: A Military History of Iran and Its Armed Forces, georgiatown university press, washicton, 1986.

კანონის შესაბამისობაში მოქცევა. ამ ნაბიჯმა განამტკიცა შარიათის მართლმსაჯულების სასამართლო სისტემა. 1931 წლის კონსტიტუციით განათლება პირველად გახდა  სავალდებულო, მაგრამ ეს ფაქტობრივად მხოლოდ ვაჟებს შეეხებოდათ, გოგონებს კი მხოლოდ მედრესეებში უშვებდნენ სასწავლებლად. მთავრობამ 1932 წელს გახსნა ქვეყნის პირველი სამედიცინო სკოლა, რომელიც მოგვიანებით  ქაბულის უნივერსიტეტად გადაკეთდა. ახალი კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი  მუსაჰიბანის დინასტიისთვის ლეგიტიმაციის მინიჭება იყო, რადგან მე-5 მუხლში მოცემულია, რომ ავღანელმა ერმა გენერალი ნადირ შაჰი აღიარა, როგორც შესაფერისი და ღირსეული მეფე და დაამტკიცა, თუ, რატომ უნდა იყოს ავღანეთის გვირგვინი ამ მეფის ოჯახის კუთვნილება.

ნადირ შაჰმა დაიწყო  ინფრასტრუქტურული, სოციალური და სამართლებრივი რეფორმების განხორციელება ქვეყანაში. მან ნდობა გამოუცხადა პოლიტიკოსს ზაბულს, რომელმაც ქვეყნის განვითარების შვიდწლიანი გეგმა შეადგინა. გეგმა მოიცავდა მიწის და სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის ტრადიციული გადასახადებისგან ორიენტირის გადატანას სახელმწიფოს კონტროლსა და მის მოვალეობებზე. კერძოდ, იმპორტზე, ექსპორტზე და სხვა ძირითად რესურსებზე. მომდევნო წლებში გეგმის შედეგად სახელმწიფო გახდა ერთი დიდი კორპორაცია, რომელიც აკონტროლებდა ყველა ძირითად აქტივს.

ნაადრევად გარდაცვლილი ნადირ შაჰის შემდეგ, მისი ადგილი უმცროსმა ვაჟმა მუჰამედ ზაჰირმა დაიკავა. იგი 19 წლის იყო და მართვის გამოცდილება თითქმის არ ჰქონდა. ამ მიზეზის გამო, პრემიერ-მინისტრი ჰაშიმ ხანი გახდა მისი რეგენტი და მომდევნო  წლების განმავლობაში მის მაგივრად იღებდა გადაწყვეტილებებს. ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და მუჰამედ ზაჰირის რეგენტის მიზანი იყო ავღანეთსა და სხვა ქვეყნებს შორის  ურთიერთობების ჩამოყალიბება. 1934 წელს ავღანეთი შეუერთდა ერთა ლიგას და ამის შემდეგ წევრმა სახელმწიფოებმა ოფიციალურად დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობები

ავღანეთთან. საწყის ეტაპზე ავღანეთთან მუშაობა თეირანის საელჩოს დაევალა. 1942 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოფიციალური ვიზიტით დელეგაცია გაგზავნა ქაბულში. ამერიკული შიდა საძიებო კომპანია (aiec) დაინტერესდა ავღანეთის ბუნებრივი რესურსებით, განსაკუთრებით ნავთობით და გაფორმდა ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის ექსპლუატაციის ექსკლუზიური 75-წლიანი ხელშეკრულება. აღნიშნულმა მოვლენამ კი სსრკ-ს პროტესტი გამოიწვია .

ჰაშიმ ხანმა განაახლა ავღანეთ-გერმანული ალიანსი, შედეგად კი მიიღო ფინანსური უზრუნველყოფა გერმანული სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის შესაძენად. 1936 წელს ავღანეთმა მონაწილეობა მიიღო ბერლინის ოლიმპიურ თამაშებში, რომელსაც მეფე ზაჰირ შაჰი, ჰაშიმ ხანი, ზაბული და სხვა ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სტუმრობის მიზანი იყო გერმანიის ხელმძღვანელობასთან არაფორმალური შეხვედრა. მათ ჰქონდათ პირადი აუდიენცია კანცლერ ჰიტლერთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან. ამ ვიზიტის მეშვეობით ავღანეთმა გერმანიისგან მიიღო 15 მილიონიანი სესხი და დადო დამატებითი კომერციული, საგანმანათლებლო და პოლიტიკური შეთანხმებები რაიხსტაგში. 1937 წელს ტოდტის შეთანხმების საფუძველზე გერმანიის წარმომადგენელი გაგზავნეს ქაბულში, რათა ზედამხედველობა გაეწია დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ჩატარებული სამუშაოებისთვის და გაეცა დამატებითი რეკომენდაციები[128].

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას, ავღანეთში დაახლოებით სამასი გერმანელი მოქალაქე მუშაობდა, მათ შორის იყვნენ აბვერის აგენტები და ნაცისტური პარტიის წევრები. ბრიტანთის ოფიციალურმა პირებმა გააანალიზეს ავღანეთში გერმანიის მზარდი პოტენციური საფრთხე და ივარაუდეს გერმანიისა და იტალიის მიერ ავღანეთის შესაძლო აჯანყების ფარულად წახალისება. ბრიტანეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო 1936 წელს, როდესაც ფაკირმა, ჩაჰარბაღის ჰაზრატის

[128] Germany and Afghanistan: Bilateral relations, federal forging office, 1975.

სულიერმა წევრმა, გამოაცხადა ჯიჰადი ბრიტანელი სამხედროების წინააღმდეგ. ბრიტანეთმა სამხედრო ქვედანაყოფები გაგზავნა ავღანეთში, მაგრამ ვერ შეძლო აჯანყების ჩახშობა. ბრიტანეთის შიშმა, რომ გერმანია ჩართული იყო სასაზღვრო აჯანყებებში, აიძულა დიპლომატიური ინიციატივის წამოყენება, რომელიც მიზნად ისახავდა ავღანეთის მთავრობასთან დაახლოებას და ბრიტანეთის ინტერესების გატარებას. მიუხედავად ავღანეთის მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტისა, ზაბულმა და მისმა მოკავშირეებმა განაგრძეს გერმანიის ინტერესების ხელშეწყობა. ავღანეთის მთავრობას მოუწოდეს ჩართულიყვნენ ომში, გერმანიის მხარდასაჭერად. 1941 წლის გაზაფხულზე ზაბული კერძო ვიზიტით ეწვია ბერლინს, სადაც შეხვდა ჰიტლერს და ფონ ჰენტიგს, განუცხადა, რომ მზად იყო მეფე ზაჰირ შაჰის გადაყენებისთვის და ბრიტანულ ინდოეთთან ომისთვის. სანაცვლოდ, კი ითხოვდა გერმანულ თვითმფრინავებს, ტანკებსა და საზენიტო იარაღებს, რათა ავღანეთის საზღვარი გადაელახა ინდუსამდე და ყარაჩილამდე.

გერმანიის მოულოდნელმა თავდასხმებმა, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, გააჩინა მოთხოვნა ნავთობის საჭიროებაზე. ბრიტანეთის განცხადებით ომში ნავთობის პრობლემა იმოქმედებდა ავღანეთის სუვერენიტეტზე. ავღანეთის პრემიერ მინისტრი ჰაშიმ ხანი დილემის წინაშე აღმოჩნდა და ვერ გაბედა ბრიტანეთის ან საბჭოთა კავშირის წინაშე კაპიტულაციის მოთხოვნის ბრალდების წაყენება. პრობლემის გადაჭრის მიზნით, ჰაშიმ ხანმა საგანგებოდ მოიწვია ლოია ჯირგა, რომელიც გახსნა მეფე ზაჰირ შაჰმა. მეფე და მინისტრები ისევ მთავრობის ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ემხრობოდნენ. საბოლოოდ, დელეგატებმა მხარი დაუჭირეს Axis-ის ყველა არადიპლომატიური უცხოელი წარმომადგენლების ქვეყნიდან გაძევებას. თუმცა, მთავრობამ უარი თქვა გერმანიის, იტალიისა და იაპონიის ელჩების ქვეყნიდან გაძევებაზე, რათა სსრკ და ბრიტანეთი არ შეჭრილიყო ავღანეთში. ასევე ლოია ჯირგამ დაამტკიცა სავალდებულო გაწვევა და სპეციალური ომის მოსაკრებელი.

ავღანეთში, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შეიქმნა ეკონომიკური კრიზისი, რასაც მოსახლეობის პროტესტი მოყვა. შექმნილი ვითარების გაკონტროლება ვერ შეძლო ავღანეთის ხელისუფლებამ და აჯანყებების სერიაში გადაიზარდა. 1944-1945 წლის ზამთარში ყველაზე სერიოზული აჯანყება მოხდა კუნართა საფიტებსა და მოჰმანდებს შორის. საბოლოოდ, მთავრობამ ექვსი თვე მოანდომა აჯანყებების ჩახშობას და სიტუაციის დასტაბილურებას[129].

1947 წლის თებერვალში, ბრიტანეთმა განაცხადა ინდოეთის და ლორდ მაუნტბატენის დატოვების, მისი გაყოფისა და პაკისტანის დაარსების შესახებ. ბრიტანეთის გასვლამ ავღანეთიდან შიდა არეულობა გამოიწვია. შაჰ მაჰმუდს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლად დასავლური ზესახელმწიფოსკენ (ამერიკის შეერთებული შტატები) მიბრუნება წარმოედგინა. თუმცა ამ ნაბიჯით ავღანეთი უნებლიედ ჩაერთვებოდა ცივ ომში. მეორე მსოფლიო ომმა აშშ-ისა და ავღანეთის ურთიერთობა განამტკიცა.

ავღანეთისთვის, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიის გაძლიერებით ხასიათდება. აშშ-იდან დახმარების საერთო მოცულობამ დაახლოებით 40 მილიონი დოლარი შეადგინა. ამერიკულმა სესხმა ხელ-ფეხი შეუკრა ავღანეთის მთავრობას. 1951-1953 წლებში აშშ-ისა და ავღანეთს შორის დაიდო შეთანხმება ტექნიკური დახმარების თაობაზე. შეთანხმება ხელს უწყობდა ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტურ კაპიტალს გზა გაეკაფა ავღანეთის ეკონომიკაში და განემტკიცებინა პოზიციები.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში თავი იჩინა ყანდაჰარის უეშ ზალმიანის ახალგაზრდულმა მოძრაობამ ავღანეთში. ისინი გამოხატავდნენ ბურჟუაზიის იმ ფენების შეხედულებებსა და ინტერესებს, რომლებიც პოლიტიკური ძალაუფლების მსხვილი კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელში თავმოყრით

[129] Jonathan L, avganistan, Published by Reaktion Books Ltd, Printed and bound in Great Britain by Bell & Bain, Glasgow , London, 2008.

იყვნენ უკმაყოფილოები. ამ მოძრაობამ დასაწყისშივე მიიღო ბურჟუაზიული განმანათლებლობის ფორმა და მოკლე დროში გახდა პოლიტიკური გაერთიანება. 1951 წელს მათი ზეგავლენით, მთავრობამ გამოსცა კანონი პრესის თავისუფლების შესახებ. მას შემდეგ, ნაციონალური გაზეთები სისტემატურად აქვეყნებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლების მწვავე კრიტიკის შემცველ მასალებს. იმავე წლის ზაფხულში, მთავრობამ ვეღარ გაუძლო ჟურნალ-გაზეთებში ღია კრიტიკას და დახურა რამდენიმე გაზეთი.

1953 წელს ქვეყანაში ახალი ხელისუფლება მოვიდა პრო-საბჭოთა გენერალი მუჰამედ დაუდ ხანის ხელმძღვანელობით, რომელიც გახდა ქვეყნის პრემიერ მინისტრი. მთავრობამ მიიღო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმა, სადაც ყურადღება ეთმობოდა სახალხო მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებას, როგორიცაა ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ირიგაცია და განათლების სისტემა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვან რეფორმად შეიძლება ჩაითვალოს მთავრობის ნებართვა ჩადრის არ ტარების შესახებ. ავღანეთის ხელისუფლებამ განაახლა სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები დასავლეთის ქვეყნებთან.

დასავლეთის ქვეყნები ცდილობდნენ შეერყიათ ავღანეთის სუვერენიტეტი და ნეიტრალიტეტი, თავს მოეხვიათ ეიზენჰაუერის დოქტრინა. ამ მიზნით ქაბულს ეწვია აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი რიჩარდსი. მიუხედავად ამისა, ავღანეთის მთავრობამ უარყო დოქტრინის პოლიტიკური და სამხედრო პირობები. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კვლავ მიმართა ნაცად ხერხს და პაკისტანსა და ავღანეთს შორის დაიწყო წინააღმდეგობის გაღვივება. 1958 წელს პაკისტანში მომხდარმა სამხედრო გადატრიალებამ და სამხედრო დიქტატურის დამყარებამ, კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნის მდგომარეობა. 1960 წელს პაკისტანის სამხედრო ქვედანაყოფებმა ფუსტუნისტანის რაიონში მოაწყვეს პროვოკაცია. პაკისტანს სურვილი ჰქონდა ეს რაიონი თავის იურდისდიქციაში მოექცია, რადგან მდებარეობს

ავღანეთისა და პაკისტანის ქვეყნების საზღვარზე. 1961 წელს ავღანეთმა სცადა დიპლომატიური სავაჭრო კავშირის დამყარება პაკისტანთან, რაზეც უარი მიიღო. აშშ და მისი პარტნიორები კვლავ ცდილობდნენ შექმნილი სიტუაციით სარგებლობას და პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენას ავღანეთზე, რათა ქვეყანა დასახული საგარეო პოლიტიკური გზიდან აეცდინათ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წარმომადგენელი მეორედ ჩავიდა ავღანეთში და პაკისტანთან შუამავლობა შესთავაზა. ავღანეთისა და პაკისტანის ურთიერთობებში აშშ-თან ერთად ირანიც იყო ჩართული. მათი ეს ჩარევა წარუმატებლად დასრულდა. ავღანეთმა დამოუკიდებლად მოახერხა პაკისტანთან ურთიერთობის შენარჩუნება და 1963 წლის მაისში ხელი მოაწერეს შეთანხმებას დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

1961-1963 წლებში საგარეო პოლიტიკურმა კრიზისმა საგრძნობლად შეასუსტა მუჰამედ დაუდის მთავრობის პოზიციები. მოსახლეობა ითხოვდა სამოქალაქო უფლებების გაზრდას და პოლიტიკურ რეფორმას. მოსახლეობის მოთხოვნები გახდა მუჰამედ დაუდის მთავრობის გადადგომის მიზეზი. 1963 წელს, ახალ მთავრობას სათავეში მუჰამედ იუსუფი ჩაუდგა, თუმცა მას სახელმწიფო ხელისუფლების კლასობრივ სტრუქტურაში არაფერი შეუცვლია. მისი მეთაურობით ჩამოყალიბდა ახალი მთავრობის პროგრამა. ეკონომიკის დარგში ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა გაეგრძელებინა არსებული პოლიტიკა. 1964 წლის მარტში მთავრობამ სახელმწიფო ადმინისტრაციული სისტემის რეორგანიზაცია გადაწყვიტა. ავღანეთი დაიყო 28 პროვინციად და თითოეულს სათავეში გუბერნატორი ჩაუდგა. რეფორმა მიზნად ისახავდა ადმინისტრაციული ხელმძღვანელების ოპერატიულობის ზრდასა და ადგილობრივი დაწესებულებების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. ამავე დროს, მთავრობამ მიზნად დაისახა ფუშტუს ენის ცნობადობის გაზრდა და გავრცელება დაიწყო ეროვნული უმცირესობით დასახლებულ რაიონებში. იმავე წელს, იუსუფის მთავრობამ შეიმუშავა ახალი კონსტიტუცია, სადაც სახელმწიფო მოწყობის ფორმად კონსტიტუციური მონარქია გამოცხადდა. მეფე ისევ რჩებოდა უმაღლესი

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებად, მაგრამ მის ნათესავებს ჩამოერთვათ  მთავრობის თავმჯდომარის და მისი წევრობის უფლება. ავღანეთის მთავრობა მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა განვითარებულ ქვეყნებთან, როგორიც არის აშშ, სსრკ, გფრ, ინდოეთი და სხვა. ყველაზე ახლო ურთიერთობა ავღანეთს  საბჭოთა კავშირთან ჰქონდა, რომელიც ამ ქვეყანას ყველა მიმართულებით ეხმარებოდა. პარალელურად, ქვეყნის განვითარებას აფერხებდა აგრარული საკითხის მოუგვარებლობა, გლეხობის ექსპლუატაცია, ნახევრად ფეოდალური ფორმების არსებობა, წარსულის იდეოლოგიის გავლენა სამართლისა და ყოფით სფეროში. ახალი კონსტიტუციის დამკვიდრებას ხელს უშლიდნენ  ფეოდალთა და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც. 1972 წელს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. მუშებისა და სტუდენტების გაფიცვები, სახელმწიფო მოხელეთა დემონსტრაციები მიმართული იყო ფასების ზრდის, სპეკულაციის, კორუფციის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმების გატარებას, კონსტიტუციით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების შექმნას[130].

1973 წლის 17 ივლისს ავღანეთის ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფმა, გენერალ მუჰამედ დაუდის ხელმძღვანელობით მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება, დაამხო მონარქია და  ავღანეთი რესპუბლიკად გამოაცხადა. ახალ რესპუბლიკურ მთავრობას სათავეში ჩაუდგა მუჰამედ დაუდი, როგორც სახელმწიფოს მეთაური და პრემიერ-მინისტრი. ქვეყნის რესპუბლიკად გამოცხადებას მხარი დაუჭირა პროგრესულმა ინტელიგენციამ, მოწინავე მოხელეებმა და მოსახლეობის ფართო ფენებმა. მთავრობის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ახალი პროგრამა, რომელიც გულისხმობდა ავღანეთის ეკონომიკის განვითარების ტემპის დაჩქარებას, სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილის გაზრდას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგის დემოკრატიზაციას, განათლების სისტემის ძირეულ გარდაქმნასა და მუშათა კანონმდებლობის

[130] Barry Bearak, "Former King of Afghanistan Dies at 92", The New York Times. Retrieved 19 March 2009.

შემოღებას. სსრკ-მ პირველმა ცნო ახალი რესპუბლიკური მთავრობა. საგარეო პოლიტიკაში რესპუბლიკური მთავრობა განაგრძობდა პოზიტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, მხარს უჭერდა სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებას.

# III. თავი. ახალი პოლიტიკური რეალობა და ტალიბანის პოლიტიკური აქტივობა

## 3.1. ქვეყნის დემოკრატიზაციის მცდელობა და ჰუმანიტარული ინტერვენცია

2009 წლის 20 აგვისტოს, ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს შორის, ვარაუდობდნენ რომ, კარზაი ხმების უმრავლესობას მიიღებდა. ავღანელი მოსახლეობის ნაწილი მას ადანაშაულებდა ტალიბანის მთავრობის დამხობის შემდეგ, გავრცელებულ კორუფციასა და ქვეყანაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში[131]. 2009 წლის 2 ნოემბერს, მეორე ტური გაუქმდა, რადგან კარზაის ოპონენტმა - აბდულა აბდულამ მოხსნა თავის კანდიდატურა და კარზაი გამარჯვებულად გამოცხადდა.

კარზაიმ, 2009 წლის 19 დეკემბერს, ავღანეთის პარლამენტს მინისტრთა კაბინეტის 24 კანდიდატიანი სია წარუდგინა. 2010 წლის 2 იანვარს, ავღანეთის პარლამენტმა 17 მათგანის დანიშვნაზე უარი განაცხადა, რადგან კანდიდატების უმეტესობას არასაკმარისი კომპეტენცია ჰქონდათ. პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა, უარის მიზეზად - კანდიდატების ეთნიკური წარმომავლობის ან მათი ქრთამის საფუძველზე შერჩევა დაასახელა.

2010 წლის 16 იანვარს, ავღანეთის პარლამენტმა უარი განაცხადა კარზაის მეორედ წარდგენილი 17 კანდიდატიდან 10 მათგანზე. დეპუტატები უჩიოდნენ კანდიდატების დაბალ კომპეტენციას და/ან მათ მჭიდრო კავშირს ტალიბანის მებრძოლებთან. მეორე წარუმატებლობის შემდეგ, იანვრის შუა რიცხვებში, კარზაიმ 24 მინისტრის კანდიდატიდან 14 სასურველის დამტკიცება შეძლო, მათ შორის იყვნენ საგარეო, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები[132]. ამ ნაბიჯმა, არა მხოლოდ

---

[131] Charlotte McDonald-Gibson (AFP), Afghan vote commission orders first ballots invalidated, Wayback Machine, Sep 10, 2009.
[132] Pakistan country profile. http://news.bbc.co.uk/1/hi/world/south_asia/8462916.stm. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

პოლიტიკური გაურკვევლობა გააღვივა მთავრობაში, არამედ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ავღანეთის პრეზიდენტი ლონდონის კონფერენციაზე, ვინაიდან მინისტრთა კაბინეტის წევრების უმეტესობა არ იყო წარმოდგენილი.

2009 წლის დეკემბერში, კარზაიმ გამოაცხადა ლოია ჯირგა (დიდი ასამბლეა)-ამბოხებული ტალიბების ქმედებების განხილვის მიზნით, სადაც მოიწვევდნენ ტალიბების წარმომადგენლებს. 2010 წლის იანვარში, მან შეძლო კომუნიკაციის დამყარება ტალიბანის ლიდერებთან და მათ მოუწოდა მონაწილეობა მიეღოთ ლოია ჯირგაში, სამშვიდობო მოლაპარაკებებში. ტალიბანის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს კარზაის შეთავაზებაზე. მოგვიანებით, ამავე წლის აპრილში, კარზაიმ მოუწოდა მეამბოხე ტალიბებს, დაეყარათ იარაღი და ჩაბარებულიყვნენ, ვინაიდან უცხოური ძალები არ აპირებდნენ ქვეყნის დატოვებას და ბრძოლა გაგრძელდებოდა მათ წინააღმდეგ[133].

2010 წლის ივნისში, კარზაი გაემგზავრა იაპონიაში, ხუთ დღიანი ვიზიტით. შეხვედრებზე მან განიხილა ქვეყნის მინერალური რესურსების პოტენციალი და მასპინძელი ქვეყნის დახმარების დეტალები. კარზაიმ მოიწვია იაპონური კომპანიები ავღანეთის სამთო პროექტებში ინვესტიციებისთვის[134]. მისი აზრით, ავღანეთმა პრივილეგია უნდა მიანიჭოს იმ ქვეყნებს, რომლებიც მასიურად ეხმარებოდნენ ავღანეთს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მათ შორის იაპონიას. 2002 წლიდან იაპონიამ ავღანეთს მილიარდობით დოლარის დახმარება გაუწია.

2014 წლის 16 ივლისს, პრეზიდენტმა კარზაიმ სპეციალური სხდომა გამართა, სადაც დაგმო ისრაელის თავდასხმები ღაზაზე და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. მთავრობამ ღაზას სექტორისთვის 500 000 აშშ დოლარის დახმარება გამოყო.

---

133 Fox News, Karzai Issues Open Invitation to Meet With Insurgents, Published April 11, 2010.
134 Adam Le and Sachiko Sakamaki, Karzai Invites Mitsubishi To Invest In Developing Afghan Mining Projects, Archive.today, Jun 19, 2010.

კარზაის პრეზიდენტობის პერიოდში, მისი მკვლელობის არაერთი მცდელობა იყო, განსაკუთრებით ტალიბების, Quetta Shura-სა და ტალიბების მოკავშირე, Haqqani-ს ქსელის მიერ, რომელიც სავარაუდოდ მხარდაჭერას იღებდა პაკისტანის სადაზვერვო ჯაშუშური ქსელისგან(ISI). ჯერ კიდევ, 2011 წლის ოქტომბერში, კარზაის ვიზიტის დროს ინდოეთში, ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების გაფორმების დროს, ქაბულში დააკავეს ექვსი ადამიანი კარზაის მკვლელობის დაგეგმვისათვის. მანამდე, 2002 წლის 5 სექტემბერს, ქალაქ ყანდაჰარში სცადეს  კარზაის მკვლელობა.  შემდეგ კი 2007 წლის 10 ივნისს, უხუცესებთან სიტყვით გამოსვლის დროს, მეამბოხე ტალიბებმა სცადეს კარზაის მოკვლა. 2008 წლის 27 აპრილს, ამბოხებული ტალიბების გავრცელებული ინფორმაციით, აღლუმზე თავდასხმისათვის გამოიყენეს ავტომატური იარაღი და სარაკეტო ყუმბარები  ქაბულში, რომელსაც კარზაი ესწრებოდა. კარზაი არ დაშავებულა, თუმცა დაიღუპა რამდენიმე ადამიანი.

2013 წელს, ალ-ჯაზირასთვის მიცემულ ინტერვიუში, კარზაიმ ტალიბებს „ძმები“ უწოდა, თან ამტკიცებდა, რომ ავღანეთის მთავრობასა და ავღანელ ხალხს ტალიბების ლიკვიდაციის ნაცვლად, მათი საზოგადოებაში რეინტეგრაცია სურდა. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მან ტალიბებს ძმები უწოდა. 2009 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც მოიხსენია ისინი იგივე ტერმინით.

მუჰამად აშრაფ ღანი აჰმადზაი, 2001 წლის ბოლოს, 24 წლიანი განშორების შემდეგ, საბოლოოდ დაბრუნდა ქვეყანაში. მანამდე კი აშრაფ ღანი აშშ-ში იყო ლექტორი სხვადასხვა უნივერსიტეტში (კალიფორნიის, ბერკლის და ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტებში) და სამეცნიერო აკადემიურ კვლევებს ატარებდა. ასევე, მუშაობდა მსოფლიო ბანკში საერთაშორისო განვითარების მექანიზმების მკვლევრად[135].

---

[135] The Top 100 Chief Technology Officers for 2022 (Complete). https://www.thekeyexecutives.com/2022/02/28/lion-of-the-desert-columbias-deep-connections-with-former-afghan-president-ashraf-ghani/. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

ავღანეთში ტალიბანის მმართველობის პირველი პერიოდის დასრულების შემდეგ, ავღანეთის ადმინისტრაციის მთავრობის წევრი და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი გახდა ავღანეთში, ბონის შეთანხმების შემუშავებასა და განხორციელების პერიოდში. აშრაფ ღანი იყო მთავარი მრჩეველი, ჰამიდ კარზაის დროებითი პრეზიდენტობის პერიოდში. ის მუშაობდა კონსტიტუციის შექმნაზე და ლოია ჯირგების მომზადებაზე, რათა საბოლოოდ კარზაი პრეზიდენტად არჩეულიყო. იგი 2014 წლამდე, მთავრობის ადმინისტრაციის სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა და დიდი წვლილი მიუძღვის ქვეყნის განვითარებაში.

2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, აშრაფ ღანმა გამარჯვება მოიპოვა და გახდა ავღანეთის პრეზიდენტი. მას ურთიერთობების გაუმჯობესება სურდა პაკისტანთან, რაც ხელს შეუწყობდა ტალიბანთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას. 2014 წლის 14 ნოემბერს, პრეზიდენტი პირველად ეწვია პაკისტანს და შეხვდა პრემიერ მინისტრ, ნავაზ შარიფს[136]. ღანის აზრით, პაკისტანმა გამოუცხადებელი აგრესიის ომი აწარმოვა ავღანეთის წინააღმდეგ. მან პაკისტანი დაადანაშაულა ავღანეთში ძალადობის რაოდენობის გაზრდაში - ტალიბების თაოსნობით, ხოლო პაკისტანმა ავღანეთი პაკისტანში მეამბოხე ჯგუფების (თეჰრიკ-ე-ტალიბანი და ბელუჯისტანის განმათავისუფლებელი არმია) მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ვიზიტის მეშვეობით, ქვეყნების წარმომადგენლებს სურდათ ურთიერთობების გაუმჯობესება და ძალადობის შემცირება.

ღანის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო სამხრეთ აზიასთან ურთიერთობის გაუმჯობესება, რეგიონის ეკონომიკის გარდაქმნის მიზნით. მისი აზრით, სტაბილური ავღანეთი შეიძლება ყოფილიყო დამაკავშირებელი ხიდი ცენტრალურ,

[136] Agence France-Presse in Islamabad, Afghan president Ashraf Ghani arrives in Islamabad to build Pakistan ties, Support the Guardian, 14 Nov. 2014.

სამხრეთ და დასავლეთ აზიას შორის, ქვეყნის ცენტრისტული მდებარეობის გათვალისწინებით[137].

აშრაფ ღანი მზად იყო ტალიბებისთვის ავღანური პასპორტების მიცემისა და მათი ლეგიტიმურ პოლიტიკურ დაჯგუფებად აღიარებისთვის, რაც მისი მხრიდან იყო მშვიდობიანი შეთანხმების დადების მცდელობა, თუმცა შეთავაზება არ შესრულდა. 2021 წლის მარტში, სამშვიდობო მოლაპარაკებების უკეთ წარმართვის მიზნით, ღანიმ სცადა ტალიბების დარწმუნება ახალი არჩევნების ჩატარებითა და დემოკრატიული მთავრობის ფორმირების პროცესით. იმავე წლის, 11 აგვისტოს, ტალიბებთან წარუმატებელი შეთავაზების შემდეგ, ღანმა თავდაცვის ძალების წარმომადგენლებს მოუწოდა ტალიბების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. იმავე დღეს, პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა, იმრან ხანმა, საპასუხოდ განაცხადა, რომ ტალიბანი მოლაპარაკებებს არ აწარმოებს, ვიდრე ღანი იქნება ავღანეთის პრეზიდენტის თანამდებობაზე.

ტალიბებმა ავღანეთზე კონტროლი, 2021 წლის 15 აგვისტოს, დაიბრუნეს, ღანიმ კი ოჯახთან ერთად, იმ დღესვე დატოვა ავღანეთი. ღანის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო - ქვეყნიდან წასვლა სჯობდა, რათა თავიდან აერიდებინა სისხლისღვრა და მოუწოდებდა ტალიბებს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისკენ. 18 აგვისტოს, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა დაადასტურეს ღანის და მისი ოჯახის წევრების ქვეყანაში ყოფნა. 17 აგვისტოს გამოქვეყნებული განცხადებით, ტალიბანის დაჯგუფება აქტიურად მუშაობდა ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაზე.

2021 წლის 8 სექტემბერს გამოქვეყნებულ ვიდეოში, ღანმა ბოდიში მოუხადა ავღანელ ხალხს და გაიმეორა, რომ წავიდა სისხლიანი დაპირისპირების თავიდან აცილების გამო და კატეგორიულად უარყო ფულის გატანა ქვეყნიდან. ის ამბობდა:

[137] Aziz Amin Ahmadzai, Afghanistan's Promise for Regional Connectivity and Peace, THE DIPLOMAT, 11 Jan, 2016.

ქაბულის დატოვება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მჯეროდა, რომ ეს იყო ერთადერთი გზა საბრძოლო მოქმედებების შემცირებისა ქაბულში და 6 000 000 მოქალაქის გადარჩენისა.

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა,** სამხედრო ოპერაციის ,,მდგრადი თავისუფლების'' წარმატებით განხორციელების შემდეგ, მხარი დაუჭირა ავღანეთის ახალ მთავრობას, პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის მეთაურობით. 2001 წლის ბოლოს, ავღანეთსა და შეერთებულ შტატებს შორის აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები.

შეერთებულმა შტატებმა წამყვანი როლი შეასრულა ავღანეთის რეკონსტრუქციაში, ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებისთვის მილიარდობით დოლარის მიწოდებით, გზების, სამთავრობო და საგანმანათლებლო დაწესებულებების აშენებით. 2005 წელს, სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება დაიდო შეერთებულ შტატებსა და ავღანეთს შორის. 2006 წლის 1 მარტს, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უმცროსი მეუღლესთან ერთად ეწვია ავღანეთს, სადაც ამერიკელ ჯარისკაცებსა და ავღანეთის ოფიციალურ პირებს შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსი დადებითად აფასებდა ავღანეთში პრეზიდენტის, ჰამიდ კარზაის, მმართველობას, 2009 წელს ობამას ადმინისტრაციამ სამთავრობო კორუფციის გამო გააკრიტიკა. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კარზაიმ კორუფციის აღმოფხვრის პირობა დადო. იმავე წლის დეკემბერში, აშშ-ის ელჩმა ავღანეთში კარლ ეიკენბერის განცხადებით შეერთებული შტატები გახსნიდა საკონსულოებს ქაბულის გარეთ, ჩრდილოეთით ქალაქ მაზარ-ი-შარიფში და დასავლეთით ქალაქ ჰერატში[138].

2012 წლის 2 მაისს, ავღანეთის პრეზიდენტმა, ჰამიდ კარზაიმ და შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ, ხელი მოაწერეს ქვეყნებს შორის

[138] Transcripts and Remarks, U.S. Ambassador Karl W. Eikenberry Remarks at the Lease-Signing Ceremony for U.S. Consulate Heart, Wayback mashine, December 16, 2009.

სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებას. პრეზიდენტი ობამა ქაბულში ჩავიდა, ოსამა ბინ ლადენის გარდაცვალების პირველ წლისთავზე, წინასწარ გამოუცხადებელი მოგზაურობის ფარგლებში. შეთანხმების ოფიციალური სახელწოდება იყო მუდმივი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა, 2012 წლის 8 ივლისს, ტოკიოს კონფერენციაზე განაცხადა სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღზე - 2012 წლის 4 ივლისი[139].

2012 წლის 7 ივლისს, როგორც გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების ნაწილი, შეერთებულმა შტატებმა ავღანეთი გამოაცხადა მთავარ არა-ნატოს წევრ მოკავშირედ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონის ქაბულში ვიზიტის შემდეგ. მათ შეუძლიათ წვდომა ჰქონდეთ სამხედრო თავდაცვის შეიარაღების მარაგებზე და ისინი შეიძლება გარკვეული სახის წვრთნებისა და სამხედრო შესაძლებლობების განვითარების ნაწილი იყვნენ - განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება ავღანელ ხალხს დაეხმარებოდა უსაფრთხო, დემოკრატიული და აყვავებული მომავლის დაგეგმვაში. ავღანეთი დაადგა თვითდამკვიდრების გზას უსაფრთხოებაში, მმართველობის სისტემაში, ეკონომიკურ და სოციალური განვითარების მიმართულებებში. გაერომ ხაზ გასმით აღნიშნა, რომ მხარი დაეჭირათ დამოუკიდებელი ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, ქვეყნის კონსტიტუციის საფუძველზე, სადაც ჩამოყალიბებული იყო დემოკრატიული ღირებულებები. გაერომ ასევე, ვალდებულება აიღო გრძელვადიან პერიოდში, გაეძლიერებინათ სტრატეგიული თანამშრომლობა ორმხრივი ინტერესის სფეროში, მათ შორის იყო: სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება, გრძელვადიანი ეკონომიკური მხარდაჭერა და

[139] Dave Eggers, A Heartbreaking Work Of Staggering Genius, Publisher Simon & Schuster, New York, Feb 12, 2013.

სოციალური განვითარება. ზემოთ აღნიშნულ საკითხები მხარეებმა დაადასტურეს - 2010 წლის ლონდონის, ქაბულისა და 2011 წლის - ბონის კონფერენციებზე[140].

2002 წლიდან, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები, პერიოდულად ზრდიდა სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობას ავღანეთში. აშშ-მა ავღანეთი დაასახელა მთავარ არა-ნატოს მოკავშირე ქვეყნად და დაიწყეს ავღანელი ჯარისკაცების წვრთნა, განსაკუთრებით 2014 წლის შემდეგ, მეამბოხე ტალიბების შესუსტების მიზნით. ვაშინგტონი მხარს უჭერდა ამერიკული ჯარების ავღანეთში დარჩენას და სადაზვერვო ოპერაციების ჩატარებას, რათა უპირატესობა მოეპოვებინათ ტალიბანზე. ავღანელ ჯარისკაცებს მჭიდრო და პირდაპირი კავშირი ჰქონდათ აშშ მიერ გაწვრთნილ სამხედრო ძალებთან[141].

2019 წლის დეკემბერში, ავღანეთში მიმდინარე პროცესების დოკუმენტური მასალის შესწავლის შემდეგ, ვიწრო წრეებში განიხილავდნენ წარუმატებელი საომარი მოქმედებების შედეგებს. მოხსენებაში სახელწოდებით - ნასწავლი გაკვეთილები, აღწერილია 2001 წლიდან ავღანეთისთვის აშშ-ის დახმარების 40% როგორ აღმოჩნდა კორუმპირებული ჩინოვნიკების, სამხედრო მეთაურების, კრიმინალებისა და მეამბოხეების ჯიბეებში. რაიან კროკერმა, ყოფილმა ელჩმა ავღანეთსა და ერაყში, 2016 წლის ინტერვიუში გამომძიებლებს განუცხადა: „თქვენ არ შეგიძლიათ ამ თანხების ჩადება მყიფე სახელმწიფოს მშენებლობაში, ისე რომ არ გაიზარდოს კორუფცია ქვეყანაში“[142].

2020 წლის 29 თებერვალს, ხალილზადმა (აშშ-ის წარმომადგენელმა) და ტალიბანის მულა აბდულ ღან ბარადარმა ხელი მოაწერეს პირობით სამშვიდობო შეთანხმებას, რომელიც ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ძალების შემცირების საფუძველი გახდა. შეთანხმება დამატებით მოიცავდა, ტალიბანის მხარიდან

[140] Senior State Department Official, Background Briefing: the Bonn Conference on Afghanistan and Meeting With European Partners, December 5, 2011.
[141] Lolita C. Baldor, US begins troop withdrawal from Afghanistan, official says, Military Times, Mar 9, 2020.
[142] FRED KAPLAN, The War in Afghanistan Was Doomed From the Start, DEC 09, 2019.

მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების შეწყვეტის გარანტიებს. ავღანეთში შიდა მოლაპარაკებები მომდევნო თვიდან უნდა დაიწყებულიყო და პრეზიდენტის თქმით, ტალიბებს უნდა დაეკმაყოფილებინათ მთავრობის პირობები მის დაწყებამდე. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ტალიბებს შორის შეთანხმება არ ითვალისწინებდა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. ხელმოწერიდან რამდენიმე დღეში ტალიბანის მებრძოლებმა ათობით თავდასხმა განახორციელეს ავღანეთის თავდაცვის ძალებზე. თავდასხმის საპასუხოდ, შეერთებულმა შტატებმა საჰაერო დარტყმები მიაყენა ტალიბანის მებრძოლებს, სამხრეთ ჰელმანდის პროვინციაში. 2020 წლის 29 თებერვალს, აშშ-ტალიბანის მორიგი სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერით, აშშ და ნატოს მოკავშირე ქვეყნები შეთანხმდნენ - ავღანეთში ომის დასრულების მიზნით, მომდევნო 14 თვის განმავლობაში შეემცირებინათ დისლოცირებული ჯარისკაცების რაოდენობა[143].

20 წლის განმავლობაში, ავღანეთში აშშ-ის დასახული მიზნის მიღწევა მიმდინარეობდა აშშ-ის ოთხი ადმინისტრაციის, მრავალი სამხედრო მეთაურისა და ავღანეთის სხვადასხვა მთავრობის პერიოდში. ხანგრძლივი მისიის განმავლობაში, თითქმის 3500 აშშ-ისა და ნატოს ჯარისკაცი და ათიათასობით ავღანელი დაიღუპა. 2019 წლის ფისკალური მონაცემებით, შეერთებულმა შტატებმა დაახლოებით 900 მილიარდი დოლარი დახარჯა პირდაპირი ომისა და რეკონსტრუქციის ხარჯებზე. საერთაშორისო საზოგადოებამ ადამიანთა სიცოცხლის ამ მასიური დანაკარგით და ფინანსური ხარჯებით მიაღწია ალ-კაიდას მთავარი ბირთვი განადგურებას რეგიონში. ასევე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ტერორისტების ტრანსნაციონალური შესაძლებლობები ავღანეთსა და პაკისტანში. თუმცა, დღეს ტალიბებმა აიღეს მართვის სადავეები და პაკისტანი კვლავ რჩება გარკვეული ტერორისტული, მეამბოხე ჯგუფების მასპინძელი და მფარველი. 2021 წლიდან, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეცვალა სტრატეგიული მიზნები,

[143] LOLITA C. BALDOR / AP, U.S. Begins Afghanistan Troop Withdrawal in Peace Agreement With Taliban, Wayback Mashine, march 9, 2020.

ავღანეთი აღარ არის აშშ-ის წინაშე არსებული ეროვნული უსაფრთხოების ყველაზე გადაუდებელი ან მნიშვნელოვანი გამოწვევა. ამერიკა სხვა საფრთხეების ფართო სპექტრის წინაშე დგას - მათ შორის, ჩინეთის აღზევება, აგრესიული რუსეთი და კლიმატის ცვლილება - რაც აშშ-ის რესურსების სწორ ინვესტირებას მოითხოვს, მომდევნო წლებში. ავღანეთში 14 000 ამერიკელი ჯარისკაცის ბოლო პერიოდის განლაგება არის აშშ-ის ჯარების ყველაზე მასშტაბური ქმედება მსოფლიოში არსებულ კონფლიქტთა შორის. პრეზიდენტ დონალდ ტრამპის დროს, პენტაგონის ეროვნული თავდაცვის სტრატეგია აღწერს აშშ-ის კეთილდღეობისა და უსაფრთხოების ცენტრალურ გამოწვევას რუსეთთან და ჩინეთთან, სადაც ტერორიზმი აღწერილია, როგორც „მდგრადი მდგომარეობა“ და არა ეგზისტენციალური საფრთხე ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

არ არსებობდა გარანტია, ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ ავღანეთის უსაფრთხო და დემოკრატიული ქვეყნად ქცევისა, უახლოეს პერიოდში. კარგი იქნებოდა, საფუძვლიანად შეფასებულიყო არსებული რისკები. მისთვის სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ამერიკელი ხალხის უმრავლესობისთვის მისაღები აღარ იყო ომის წარმოებაში ჩართვა. 2018 წელს, ამერიკელი მოსახლეობის 61 %-მა განაცხადა, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდებოდა. მათი აზრით, დროა დაასრულონ ეს ომი და სტრატეგიული ნაბიჯი გადადგან, აქტუალურ, ეროვნულ გამოწვევების საპასუხოდ. ამისათვის შეერთებულმა შტატებმა[144]:

- აწარმოვა დიპლომატიური მოლაპარაკებები ტალიბანთან, ავღანეთის მთავრობასთან და რეგიონულ მეზობელ ქვეყნებთან სამშვიდობო შეთანხმების მისაღწევად. შეთანხმებას უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკური უსაფრთხოების სიტუაციის სტაბილიზაცია ავღანეთში.
- ავღანეთიდან მათი ბოლო ქვედანაყოფების გაყვანა დაიწყო ეტაპობრივად. ეს პროცესი აშკარად არ იყო დაკავშირებული ტალიბანთან სამშვიდობო

[144] The Case for a New U.S. Relationship with Afghanistan. https://www.americanprogress.org/article/case-new-u-s-relationship-afghanistan/. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ პროგრესთან, ვინაიდან სამშვიდობო შეთანხმება არ შეიძლება ყოფილიყო ჯარების გაყვანის წინაპირობა.

- ომის დასრულებას არ უნდა დაესრულებინა ამერიკის მხარდაჭერა ავღანეთის მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატები, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, უნდა დარჩეს ავღანეთის მთავრობის უსაფრთხოების ძალების წამყვანი ფინანსური და პოლიტიკური მხარდამჭერი.

20 წლიანი ომის შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაღწია სტრატეგიულ მიზანს ავღანეთში, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოებით განსაზღვრული პრიორიტეტების ჭრილში. ამავე დროს, უნდა აღიაროს რომ სამხედრო ჩართულობა არ იყო გადამწყვეტი ავღანეთის მომავლისთვის. ამიტომაც, შეცვალა სტრატეგია, აშშ-ის ინტერესების წინსვლისა და ავღანეთში მშვიდობის წახალისების მიზნით.

აშშ-ის პრეზიდენტი, ჯო ბაიდენი, შეხვდა პრეზიდენტ - აშრაფ ღანს და პარლამენტის თავმჯდომარეს - აბდულა აბდულას, 2021 წლის ივნისში. RAND-ის ორგანიზაციის ექსპერტების აზით - ბოლო ქვედანაყოფების რაოდენობის სწრაფი შემცირება პოტენციურ, მავნე შედეგს, მოუტანდა ავღანეთს. ამერიკის საიმედოობაზე უარყოფითად აისახა ქვეყნიდან ჯარების სწრაფად გაყვანა. ტალიბებთან ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმების, ოთხი ძირითადი საკითხიდან ერთ-ერთი იყო „ძალადობის შემცირება". ცეცხლის შეწყვეტას და აშშ-ის ჯარების გასვლას ხელი უნდა შეეწყო ავღანეთის შიდა ტალიბან-ავღანეთის სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისათვის[145].

ავღანეთის ხელისუფლებასა და ტალიბანის ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკებები კიდევ უფრო გართულდა, არა მხოლოდ ორ მხარეს შორის პოზიციების შეუთანხმებლობით, არამედ არჩევნების გამო, რომლის შედეგებმა სამთავრობო განხეთქილება გამოიწვია, პრეზიდენტ აშრაფ ღანსა და აბდულა

[145] Lindsay Maizland, U.S.-Taliban Peace Deal: What to Know, COUNCIL OF FOREIGN RELATION, March 2, 2020.

აბდულას შორის. ასევე, COVID-19-ის უეცარი გავრცელების შედეგად გართულდა აშშ-ის ჯარების გაყვანა, საკარანტინო წესების დაცვის მიზეზით.

2021 წლის 13 აპრილს, აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა, გამოაცხადა ავღანეთში დარჩენილი ჯარების საბოლოოდ გაყვანის შესახებ (2021 წლის 11 სექტემბრისთვის). ჯარების გაყვანა დაიწყო 1 მაისს, ტალიბებმა კი პარალელურად წამოიწყეს შეტევები. შედეგად, ქაბული დაეცა 15 აგვისტოს და დაიშალა ისლამური რესპუბლიკა. მეორე დღეს, ბაიდენმა პრესასთან აღიარა, რომ ტალიბანის მიერ ქაბულის სწრაფად აღებას არ ელოდა მისი ადმინისტრაცია. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, 30 აგვისტოს ჯარების გაყვანა ოფიციალურად დაასრულა ავღანეთიდან. ტალიბებმა ეს განცხადება თავის გამარჯვებად მიიჩნიეს. 2021 წლის 12 ნოემბერს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაცხადა რომ 31 დეკემბერს ქაბულში, ყატარის საელჩოში გაიხსნებოდა ინტერესების განყოფილება, რომელიც მოემსახურებოდა ავღანეთში აშშ-ის მოკავშირეებს.

**პაკისტანი:** კარზაის ადმინისტრაციას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა პუშტუნი ნაციონალისტურ ავამის ეროვნულ პარტიასთან (ANP) და პაკისტანის სახალხო პარტიასთან (PPP) ავღანეთში. 2006 წელს, ავღანეთის პრეზიდენტმა, ჰამიდ კარზაიმ, გააფრთხილა პაკისტანი, თუ არ შეაჩერებდნენ აგრესიულ ქმედებებს ავღანეთზე შედეგები უარყოფითად აისახებოდა რეგიონზე. ნებისმიერი მცდელობა ავღანეთის ეთნიკურად დაყოფის ან შესუსტების, გამოიწვევდა იმავეს მეზობელ ქვეყნებში, რადგან რეგიონი ერთი და იგივე ეთნიკური ჯგუფებით არის დასახლებული.

დურანდის სასაზღვრო რეგიონი, ბოლო ათწლეულებში, გამოიყენებოდა ავღანეთში ნატოს მეთაურობით სამხედრო ძალების მთავარ მარშრუტად და ტალიბანის დაჯგუფებების მიერაც, რომლებიც თავდასხმებს აწყობდნენ ავღანეთის ტერიტორიაზე. ამერიკის მთავრობამ დაიწყო მარშრუტის გაკონტროლება, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აშშ-პაკისტანის ურთიერთობებზე. მათ შორის

ურთიერთობები უფრო დაიძაბა მაშინ როცა ავღანეთის მთავრობამ ღიად დაიწყო პაკისტანის დადანაშაულება, ტალიბანისა და სხვა დაჯგუფებების დახმარებაში - ISI ჯაშუშური ქსელის გამოყენებით. პაკისტანი, როგორც წესი, უარყოფდა ბრალდებებს, თუმცა მანამდე განაცხადეს, რომ მათ ISI-ის ქმედებებზე სრული კონტროლი არ ჰქონდათ, რაც ორ სახელმწიფოს შორის იწვევდა დაძაბულობას[146].

2011 წლის მაისში, ოსამა ბინ ლადენის მკვლელობის შემდეგ, გაძლიერდა ავღანეთ-პაკისტანის შეტაკებები. პაკისტანში დაფუძნებულმა - Haqqani ქსელმა მოაწყო მრავალი ფართო მასშტაბიანი თავდასხმა ავღანეთში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააფრთხილა პაკისტანი, ტომობრივ რაიონებში ჰაკანის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ და მათ მხარდაჭერაში დაადანაშაულა პაკისტანის მთავრობა, არმია და მისი ჯაშუშური ქსელი(ISI)[147].

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა პაკისტანში, კამერონ მუნტერმა, განუცხადა რადიო პაკისტანს, რომ ,,თავდასხმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოხდა ქაბულში Haqqani ქსელის მიერ იყო ორგანიზებული. არსებობს მტკიცებულებები, ჰაკანის ქსელისა და პაკისტანის მთავრობას შორის არსებული კავშირის, რაც უნდა შეწყდეს“. აშშ-ის სხვა მაღალჩინოსნებმა, როგორიც იყვნენ ჰილარი კლინტონი და ლეონ პანეტა, გააკეთეს მსგავსი განცხადებები. მიუხედავად ყველაფრისა, ავღანეთის პრეზიდენტმა, ჰამიდ კარზაიმ პაკისტანი ავღანეთის „ტყუპ ძმად“ გამოაცხადა[148]. 2015 წელს, პაკისტან-ავღანეთის შორის სამსახურებათაშორისო დაზვერვამ და უსაფრთხოების ეროვნულმა დირექტორატმა გააფორმეს მემორანდუმი. შეთანხმების მიხედვით, ორივე ქვეყანა ვალდებული იყო ტერორიზმის წინააღმდეგ ერთად ბრძოლაზე და სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარებაზე.

---

146 Jawad Sharifzadaon, Push launched against Haqqanis in border areas, Pajhwok Afghan News, Oct 18, 2011.

147 Animesh Roul, Pakistan's Anti-India Spy Network Eyes Vital Defense Infrastructure from Sri Lanka, Publisher Jamestown Foundation, Oct 10, 2014.

148 FOX NEWS, Clinton Presses Pakistan to Help Fight Haqqani Insurgent Group, Sep 18, 2011.

2017 წლის მაისში, ქაბულში თავდასხმის შემდეგ, ავღანეთის უსაფრთხოების ეროვნულმა დირექტორატმა (NDS) განაცხადა, ავღანური მეამბოხე ჯგუფისათვის პაკისტანური Haqqani Network-ის მხარდაჭერის შესახებ განხორციელებულ აფეთქებაში. ავღანეთის პრეზიდენტმა აშრაფ ღანიმ ქვეყნის წინააღმდეგ "გამოუცხადებელი აგრესიული ომის" წამოწყების შესახებ გააკეთა განცხადება. პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა, ნაფეს ზაქარიამ კი უარყო ავღანეთის პრეზიდენტის ბრალდებები და მას "უსაფუძვლო" უწოდა.

2021 წლის დეკემბერში, ისლამური ორგანიზაციის ისლ-ის (ისლამური სახელმწიფოების ლიგა) 56 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები, ტალიბანის დელეგატებთან ერთად შეიკრიბნენ და ყურადღება გაამახვილეს ავღანეთის ჰუმანიტარულ კრიზისზე. პაკისტანის ტალიბანის (TTP) თავდასხმებმა უფრო მეტად გააძლიერა დაძაბულობა ტალიბანის მთავრობასა და პაკისტანს შორის[149].

სავაჭრო ურთიერთობების მხრივ 2010 წლის ნოემბერში, ორმა სახელმწიფომ ჩამოაყალიბა სავაჭრო პალატა, ურთიერთობების გაფართოებისა და მოვაჭრეების წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს სხვა ქვეყნები ძველი აბრეშუმის გზის თავიდან აღორძინებას გეგმავდნენ. მათი მიზანი ავღანეთისა და პაკისტანის ადგილობრივი ეკონომიკის დახმარება იყო, სამხრეთ აზიის, ცენტრალურ აზიის და ახლო აღმოსავლეთის გზების დასაკავშირებლად[150]. APTTA გამიზნული იყო ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის გასაუმჯობესებლად, თუმცა პაკისტანი ხშირად აჭიანურებდა ავღანეთში მიმავალ ლოჯისტიკურ გადაზიდვებს, განსაკუთრებით 2011 წელს, პაკისტანში ნატოს თავდასხმის შემდეგ.

2012 წლის ივლისში, ავღანეთი და პაკისტანი შეთანხმდა APTTA-ს გავრცელებაზე ტაჯიკეთში, რაც პირველი ნაბიჯი იქნებოდა ჩრდილოეთ-სამხრეთის

---

[149] Ayaz Gul, Taliban Takeover of Afghanistan Seen as 'Rude Awakening' for Pakistan, Search SOUTH & CENTRAL ASIA, Feb 09, 2022.

[150] Abdul Qadir Siddique, Pakistan to resolve Afghan traders' problems, Pajhwok Afghan News, 5 Dec, 2010.

სავაჭრო დერეფნის შესაქმნელად. შეთანხმება ხელს შეუწყობდა ტაჯიკეთს, პაკისტანის გვადარისა და ყარაჩის პორტების გამოყენებას - იმპორტისა და ექსპორტისათვის, ხოლო პაკისტანი შეძლებდა ტაჯიკეთთან ვაჭრობას - ავღანეთთან სატრანზიტო შეთანხმების მსგავსი პირობებით. პაკისტანსა და ავღანეთს შორის ვაჭრობამ, 2015 წელს სავარაუდოდ 5 მილიარდ დოლარს მიაღწია და ავღანეთის ეკონომიკა იყო ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა მსოფლიოში[151]. 2012 წლის მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით ავღანეთის ეკონომიკა დაახლოებით 11 პროცენტით გაიზარდა.

**ირანი:** 2001 წლის ბოლოდან, ავღანეთის მთავრობამ ირანთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა, მიუხედავად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის დაძაბული ურთიერთობებისა. ირანი დაეხმარა ავღანეთს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში. მან თავიდან გახსნა ირანის საელჩო ქაბულში და საკონსულოები ავღანეთის სხვა ქალაქებში. ირანი ორიენტირებული იყო ავღანეთის შიიტური თემების, განსაკუთრებით ეთნიკური ჰაზარებისა და ყიზილბაშების განვითარებაზე[152]. მას გავლენა ჰქონდა ავღანეთში ეთნიკური ტაჯიკებით დაკომპლექტებულ პოლიტიკურ პარტიებზე. ბევრი ავღანელი პოლიტიკოსის და ექსპერტის მოსაზრებით, ირანი და პაკისტანი ავღანეთის პოლიტიკურ დასუსტებას ცდილობდა.

ავღანელი პოლიტიკოსების გარდა, შეერთებული შტატების ლიდერები და ნატოს ოფიციალური პირები თვლიდნენ, რომ ირანი ერეოდა ავღანეთის მართვაში, ორმაგი თამაშის წესებით, თუმცა ირანი ჩვეულებრივ უარყოფდა ამ ბრალდებებს. ასევე, მრავალი წლის განმავლობაში, ISAF-ის თანამდებობის პირები ირანს ადანაშაულებდნენ ტალიბანის მეამბოხე დაჯგუფებების მომარაგებასა და წვრთნაში.

---

151 Meena Haseeb, Afghanistan economy growth strong in 2012: World Bank, THE KHAAMA PRESS News Agency, Jan 16, 2013.

152 Russia Declares RFE/RL An 'Undesirable Organization'. https://www.rferl.org/a/1057095.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

გენერალი, დევიდ პეტრეუსი, აღნიშნავდა, რომ ირანის მთავრობა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამერიკის სამხედრო ყოფნას ავღანეთში. ირანელი ოფიციალური პირები, ხშირად აკრიტიკებდნენ ამერიკელ სამხედროებს: ამერიკელებს იგივე წარმატება ექნებათ ავღანეთში, როგორც ვიეტნამში, წლების წინ. საბჭოთა კავშირმა ზუსტად იგივე შეცდომა დაუშვა, ბევრი ადამიანი დაიღუპა და საბოლოოდ დამარცხდა, ისტორია ისევ მეორდება. ჩვენ ვიცნობთ ავღანეთსა და ავღანელებს, ისინი არასოდეს დაემორჩილებიან უცხო ჯარებს.

ავღანეთსა და ირანს შორის ურთიერთობა, ბოლო წლებში დაიძაბა. ირანის გამკაცრებული საიმიგრაციო პოლიტიკის გამო, რამაც გამოიწვია უამრავი თავშესაფრის მაძიებელი ავღანელის რეპრესიები. ავღანეთის პარლამენტის წევრები ირანს ტალიბების ბაზების ირანის რამდენიმე ქალაქში განთავსებაში ადანაშაულებდნენ და მათი თქმით: ირანი უშუალოდ მონაწილეობს ავღანეთში ეთნიკური, ენობრივი და სექტანტური დაძაბულობის გაღვივებაში. რევოლუციური გუშაგთა გვარდია ახალგაზრდებს აწევრიანებდა ავღანეთში ტერორისტულ საქმიანობაში. ამით ცდილობდნენ ჰეზბ-ი-ისლამის პარტიის აღდგენას ავღანეთში, ჰეკმათიარაის და ტალიბანის ხელმძღვანელობით[153].

Fars News Agency-ის ინფორმაციით, ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს წევრს, ალი შამხანს, მოლაპარაკებები ჰქონდა ავღანეთის ტალიბანთან, 2018 წლის 26 დეკემბერს - ქაბულში ვიზიტის დროს[154]. The Washington Post-ის თანახმად, ირანის სამხედროებმა, 2018 წელს, ირანისა და ავღანეთის საზღვარზე, უსაფრთხოების ზოგიერთი სამხედრო ოპერაცია შეასრულეს, აშშ-ის ჯარების გაყვანის მოლოდინში.

ირანელი პოლიტიკოსები შეძრწუნებული იყვნენ ავღანეთში ტალიბანის მთავრობის მოსვლის პერსპექტივით, გაიხსენეს საომარი მოქმედებები პირველ

[153] Khwaja Basir Ahmad, Alleged spies say Iran's Revolutionary Guards trained them, Wayback Mashine, May 7, 2012.
[154] RFE/RL, Tehran Held Talks With Afghan Taliban, IRAN NEWS, December 26, 2018.

ისლამურ ემირატთან - 1996-2001 წლებში და მისი მხარდაჭერა 2001 წელს ამერიკის შეჭრასთან დაკავშირებით. ტალიბანის სუნიტური ისლამური მოდელი ირანის მთავრობის მიერ აღიქმებოდა, როგორც პირდაპირი საფრთხე  ხომეინისტური იდეოლოგიური ამბიციებისთვის. შესაბამისად, ირანმა ოფიციალურად ჯერ არ აღიარა ისლამური ემირატი. ავღანეთში ტალიბანის გამარჯვების შემდეგ, ირან-ავღანეთის ურთიერთობები გაუარესდა სასაზღვრო შეტაკებების, წყლის პოლიტიკის, ვაჭრობის და პრო-ირანის წარმომადგენლებთან პოლიტიკური უთანხმოების გამო[155]. 2021 წლის ოქტომბერში, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა, საიდ ხატიბზადემ, განაცხადა, რომ ირანი მხარს უჭერს ავღანეთის ყველა თემის უფლებას იცხოვროს ღირსეული ცხოვრებით და ტალიბანს მოუწოდა ,,ინკლუზიური მთავრობის" დაარსებისკენ, ავღანეთში.

2021 წლიდან ზოგიერთი წყაროს მტკიცებით ირანი ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას უწევდა NRF-ს. 1 დეკემბერს, დაიწყო ძალადობრივი შეტაკებები ავღანეთსა და ირანს შორის, რამაც გამოიწვია  ორივე მხრიდან მსხვერპლი[156].

ავღანეთი და ირანი, ძირითადი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ, რადგან სასაზღვრო რეგიონს იზიარებენ ცენტრალურ აზიასთან, სავაჭრო დერეფნის ფარგლებში. ავღანეთი ოპიუმის მთავარი მწარმოებელია და  მსოფლიოში ჰეროინის 90%-ს აწარმოებს, რომლის ნაწილი კონტრაბანდულად შედის ირანში,  იქიდან კი ევროპის ქვეყნებში გადის. 2021 წელს, ავღანეთიდან აშშ-ის გასვლის შემდეგ, ტალიბანმა განაცხადა საწვავის იმპორტის ირანიდან მიწოდების შესახებ. სავაჭრო ძალითა და მინერალური სიმდიდრით, ირანი  ავღანეთის ეკონომიკური აღდგენის მთავარ წყაროდ განიხილებოდა.

[155] Hoj Hansen, Kousary, Christian, Halimullah, Can Iran Get Along with the Taliban?", Wayback Machine, June 7, 2022.
[156] Mehdi Fattahi and Isabel DeBre, As Iran-Taliban Tensions Rise, Afghan Migrants in Tinderbox, Wayback machine, May 02, 2022.

**ჩინეთი:** ათწლეულების განმავლობაში პეკინი ზრუნავდა ავღანეთის უსაფრთხოებაზე. 1990-იან წლებში, ტალიბანის პირველი მმართველობის დროს, უიღურმა მებრძოლებმა, ჩინეთის წინააღმდეგ თავდასხმების განსახორციელებლად, გამოიყენეს ავღანეთის ტალიბანის საწვრთნელი ბანაკები. რეგიონში მზარდმა ძალადობამ ჩინეთს შეშფოთების საფუძველი მისცა. ამის მიუხედავად, ჩინეთის მიდგომა მეზობელ ქვეყნებთან, დიდი ხნის განმავლობაში, დამკვირვებლის როლის შესრულება იყო, უსაფრთხოების საკითხებს კი შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს ანდობდა. 2012 წელს, ჩინეთის სტრატეგია შეიცვალა. მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას გატარებული პოლიტიკიის მეშვეობით, ვაშინგტონს სურდა კონფლიქტიდან გამოსვლა, რომელიც ობამამ მემკვიდრეობით მიიღო.

ავღანეთში ჩინეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მისი წარმომადგენლების ვიზიტი ქაბულში, 2012 წლის სექტემბერში[157]. ჩინეთი ცდილობდა დიპლომატიური ურთიერთობების გაუმჯობესებას ავღანეთთან და პაკისტანთან. 2012 წლის თებერვალში, პეკინმა უმასპინძლა ავღანეთ-ჩინეთ-პაკისტანის პირველ სამმხრივ დიალოგს. შემდეგ, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (SCO) რეგიონულ სამიტს უმასპინძლა პეკინში, სადაც გაფორმდა ორმხრივი "სტრატეგიული და თანამშრომლობის პარტნიორობის" შეთანხმება ავღანეთთან, როგორც ოფიციალურ SCO-ს წევრთან[158]. კვლავ შეხვდნენ ორივე ქვეყნის დიპლომატები, რათა განევითარებინათ ორმხრივი სტრატეგიული თანამშრომლობა. ვაშინგტონის პოლიტიკის ცვლილებამ ავღანეთში, ჩინეთს უფრო მეტი ნაბიჯის გადადგმისკენ უბიძგა, თუმცა ქვეყნის მიზნები რეგიონში ბუნდოვანი იყო.

2014 წელს, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შემდეგ უსაფრთხოების შენარჩუნება - ჩინეთის ერთ-ერთ გამოწვევად იქცა. მეამბოხე ჯგუფებს კავშირი

---

[157] Mehdi Rezaie of Daily Outlook Afghanistan, Interview with Mr. Xu Feihong, the ambassador of the People's Republic of China to Afghanistan, Embassy of People's Republic China in the Islamic Republic of afganistan, April 11, 2012.

[158] US, China stumble on Hamas in efforts to seek peace in Middle East. https://www.voanews.com/a/1178734.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

ჰქონდათ ტალიბანთან, რასაც პეკინმა ორმხრივი სტრატეგიით უპასუხა. ერთის მხრივ, პეკინმა გააძლიერა ურთიერთობა ავღანეთის ხელისუფლებასთან, ხოლო მეორეს მხრივ, კონტაქტები გააძლიერა ტალიბანთან, რათა დაერწმუნებინა ტალიბანის ბაზების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ყველა შესაძლო შემთხვევისას.

ავღანეთში, აშრაფ ღანის გაპრეზიდენტების შემდეგ, მისი პოლიტიკური ხედვით, ჩინეთთან ურთიერთობები დადებითად აისახებოდა ავღანეთისთვის. ამიტომ, პეკინი პირველი დედაქალაქი იყო, რომელიც მოინახულა საზღვარგარეთ პირველი ოფიციალური გასვლისას. ამ ვიზიტის დროს საფუძველი ჩაეყარა ფორმალური სამშვიდობო მოლაპარაკებებს ტალიბანთან. 2015 წლის დასაწყისში, ჩინეთი წინდახედულ როლს თამაშობდა სამშვიდობო მოლაპარაკებებში. ისინი მზად იყვნენ მასპინძლების როლი შეესრულებინათ სამომავლო სამშვიდობო მოლაპარაკებებში. 2015 წლის მაისისთვის, ტალიბანის მაღალი თანამდებობის პირები შეხვდნენ ავღანეთის მშვიდობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებს, ურუმჩიში. ივლისში პაკისტანში მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართა, ჩინეთის წარმომადგენლების ჩართულობით. 2015 წელს, ჩინეთმა გადაწყვიტა კონტაქტები გამოეყენებინა ტალიბანთან, რათა განეხორციელებინა თავისი გრძელვადიანი ინტერესები. გარდა ტალიბანის, პაკისტანისა და ქაბულის მთავრობას შორის დისკუსიებში მონაწილეობისა, ჩინეთი ცდილობდა ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებებში ჩართვასაც.

2016 წლის მარტში, მაშინდელი ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის გაერთიანებული შტაბის უფროსი, გენერალი ფანგ ფენჰუი, ეწვია ქაბულს ახალი, ოთხმხრივი რეგიონული ორგანიზაციის შექმნის მიზნით. ორგანიზაციის შეხვედრაზე (QCCM) შეიკრიბნენ ავღანეთის, ჩინეთის, პაკისტანისა და ტაჯიკეთის არმიის შტაბის უფროსები, რათა დაეჭირათ მხარი ერთმანეთისთვის სხვადასხვა სფეროებში ტერორიზმის შესწავლის პროცესში, სადაზვერვო ინფორმაციის

გაზიარებაში, ანტიტერორისტული შესაძლებლობების განვითარებასა და ერთობლივ ანტიტერორისტულ წვრთნებში.

QCCM-ის შექმნის პარალელურად, ჩინეთმა წვლილის შეტანა დაიწყო რეგიონის უსაფრთხოებაში. ავღანეთის იმდროინდელ ხელისუფლებას, ფინანსურად დაეხმარა სამხედრო ბაზების აშენებაში და დაიწყო ავღანური ძალების მომზადება ჩინეთში. ტაჯიკეთში ჩინეთმა ააშენა ათეულობით სასაზღვრო პუნქტი ტაჯიკი მესაზღვრეებისთვის და ასევე, საკუთარი ბაზა ქვეყნის მთიანი ბადახშანის ავტონომიურ ოლქში. ჩინეთი ქმნიდა უსაფრთხო ადგილს (ბუფერს) ავღანეთთან, პირდაპირი საფრთხეებისგან თავის ასაცილებლად მის სასაზღვრო რეგიონებში[159]. 2020 წლის დეკემბერში, ჩინეთის წარმომადგენლების მიერ ფარული მოქმედებების ჩატარების შესახებ ქაბულში, გამჟღავნდა ჯაშუშური სკანდალური ინფორმაცია.

**რუსეთის ფედერაცია:** რუსეთი სულ უფრო მეტად იყო ტალიბებით იმედგაცრუებული, ვინაიდან ისინი მხარს უჭერდნენ ჩეჩენ მეამბოხეებს. ასევე, ცენტრალურ აზიაში და თავად რუსეთში, მოქმედი ტერორისტული დაჯგუფებებისათვის თავშესაფრის მიცემით. რუსეთმა სამხედრო დახმარება გაუწია ავღანეთის ჩრდილოეთ ალიანსს, რომელიც მთავარი ძალა აღმოჩნდა ტალიბანის რეჟიმის დამხობისას, შეერთებული შტატების ინტერვენციის შემდეგ, 2001 წელს.

2005 წლის ოქტომბერში, რუსეთის თავდაცვის წარმომადგენლებმა განაცხადეს ავღანეთის არმიისათვის 30 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ვერტმფრენებისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობის გადაცემის შესახებ.

2010 წლის ოქტომბერში, ავღანეთის პრეზიდენტმა, ჰამიდ კარზაიმ უსაყვედურა რუსეთს, მისი ძალების ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის გამო, რადგან ამით „დაარღვია ავღანეთის სუვერენიტეტი“, შეერთებული შტატების აგენტებთან ერთობლივი მისიით. თუმცა, უკრაინის კონფლიქტის შემდეგ, როცა რუსეთს

[159] Denny Roy, Return of the Dragon: Rising China and Regional Security , Publisher Columbia University Press, New York, 2013.

ურთიერთობები გაუფუჭდა დასავლეთთან, მოსკოვმა გადაწყვიტა გააქტიურება ავღანეთში - ამბობს ომარ ნასარი, მოსკოვში დაფუძნებული ავღანური კვლევის თანამედროვე ცენტრის (CISA) დირექტორი[160].

რუსეთის უფრო აქტიური ჩართულობა ავღანეთში მოიცავს ბიზნეს საინვესტიციო წინადადებების შეთავაზებებს, დიპლომატიურ პროპაგანდას, კულტურულ პროგრამებს, ცენტრალური ხელისუფლების ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას, ტალიბებზე გავლენის მოპოვების მიზნით. 2016 წლის დეკემბრიდან, მოსკოვმა დაიწყო დიპლომატიური ურთიერთობების გაუმჯობესება ავღანეთთან. მან უმასპინძლა მოლაპარაკებების სამ რაუნდს ჩინეთის, ირანისა და პაკისტანის მონაწილეობით, სადაც ჩართული იყო ავღანეთი.

2019 წლის 28 მაისს, მოსკოვში, რუსეთსა და ავღანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 100 წლისთავთან დაკავშირებული ცერემონია გაიმართა, რასაც მოჰყვა ავღანეთში მშვიდობის დამყარების მიზნით გამართული მოლაპარაკებები.

რუსეთის რეაქცია, 2021 წლის აგვისტოში, ტალიბების მიერ ავღანეთის ხელში ჩაგდებაზე, პრაგმატული და თავშეკავებული იყო. რუსეთმა, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოების უმრავლესობამ, ოფიციალურად არ აღიარა ტალიბანის რეჟიმი და ის არ ამოიღო ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან. თუმცა, რუსეთის საელჩომ ქაბულში, გამოთქვა მზადყოფნა ახალ დე-ფაქტო ხელისუფლებასთან ურთიერთობის დამყარებისთვის[161]. რუსეთის საელჩო ერთ-ერთი ის გამონაკლისი საერთაშორისო დაწესებულებაა, რომელიც ფუნქციონირებს ქაბულში. 2022 წლის სექტემბერში, ტალიბანის მთავრობამ ხელი დროებით შეთანხმებას მოაწერა რუსეთთან, ნავთობ პროდუქტებისა და ხორბლის იმპორტირების შესახებ.

---

[160] Russia increases involvement in Afghanistan. https://www.dw.com/en/why-is-russia-so-interested-in-afghanistan-all-of-a-sudden/a-36989680. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).
[161] EKATERINA STEPANOVA, Russia's Approach to Afghanistan Following the Taliban Takeover, PONARS EURASIA, November 22, 2021.

**საუდის არაბეთი:** 2001 წლის შემდეგ, საუდის არაბეთი იყო ერთ-ერთი მთავარი დამხმარე ქვეყანა ავღანეთის რეკონსტრუქციაში. მაგალითად, მთავარი მაგისტრალის პროექტი ძირითადად აშშ-მა და საუდის არაბეთმა დააფინანსეს. საუდის არაბეთში ფიქრობდნენ, რომ ირანის მხრიდან საშიშროება ემუქრებოდათ სამხედრო თვალსაზრისით. მათი აზრით ირანის რევოლუციური გვარდია მხარს უჭერდა ავღანელ შიიტებს, მუსლიმი ძმების ერთ-ერთ ავღანურ შტოს ჯამაათ-ე-ისლამს, ცდილობდა ტალიბანის ლიდერებისა და ჯგუფების შეერთებას. მათ გადაწყვიტეს აქტიური ნაბიჯების გადადგმა ამის წინააღმდეგ[162].

2021 წლის აგვისტოში, საუდის არაბეთმა ყველა დიპლომატის ევაკუაცია გამოაცხადა ქაბულის საელჩოდან, მაშინ, როცა ტალიბანის მოძრაობამ სწრაფად აიღო კონტროლი ქვეყნის გარკვეულ რაიონებზე. მიუხედავად იმისა, რომ საუდის არაბეთი არ ცნობს ავღანეთის ახლად დაარსებულ ისლამურ საამიროს, მისი საელჩო ხელახლა გაიხსნა, ავღანეთის მოქალაქეებისთვის საკონსულო მომსახურების გაწევის მიზნით, 2021 წლის 30 ნოემბერს.

**ინდოეთი:** ინდოეთს, ტრადიციულად, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ავღანეთთან. 2001 წლის ბოლოს, ტალიბანის მმართველობის პირველი პერიოდის დასრულების შემდეგ, ინდოეთმა გააძლიერა კავშირი ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკასთან და დააარსა საკონსულოები დიდ ქალაქებში. ის მონაწილეობას იღებდა მრავალ სოციალურ-ეკონომიკური რეკონსტრუქციის პროცესში, მათ შორის ელექტროენერგიის, გზების, სოფლის მეურნეობისა და საგანმანათლებლო პროექტებში. ზოგიერთი მათგანი გულისხმობდა ათობით კაშხლისა და წყალსაცავის, რიგი საავადმყოფოებისა თუ კლინიკების, სკოლებისა და სამთავრობო დაწესებულებების მშენებლობას.

---

[162] Antonio Giustozzi, The Islamic State in Khorasan: Afghanistan, Pakistan and the New Central Asian Jihad, 15 Jun, 2022.

ინდოეთსა და ავღანეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობის სიხშირე გაიზარდა 2011 წელს, განსაკუთრებით პაკისტანში ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ. იმავე წლის მაისში, ინდოეთის პრემიერ მინისტრის, მანმოჰან სინგჰის, ვიზიტის დროს გაკეთებული განცხადების მიხედვით - ინდოეთის დახმარებამ 2 მილიარდ დოლარს მიაღწია ავღანეთში[163]. ასევე, 2011 წლის ოქტომბრის სტრატეგიული პაქტის შემდეგ, ავღანეთსა და ინდოეთს შორის გაღრმავდა სამხედრო კავშირი, რომელსაც ხელი მოაწერეს პრეზიდენტმა კარზაიმ და მანმოჰან სინგმა. ავღანეთისათვის ინდოეთი არის ჰუმანიტარული და სარეკონსტრუქციო დახმარების უდიდესი რეგიონული მიმწოდებელი.

**თურქეთი:** თურქეთი მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF) აქტივობებში, მისი დაარსების დღიდან. თურქეთის ჯარები ავღანეთში ჩართული იყვნენ არა როგორც საბრძოლო ძალები, არამედ, როგორც ლოგისტიკური მხარდაჭერები. ისინი პასუხისმგებლები იყვნენ ავღანელი პერსონალის მომზადების პროცესზე, ქაბულის გარშემო უსაფრთხოების შენარჩუნებაზე, ავღანეთის შეიარაღებული ძალებისა და ავღანეთის ეროვნული პოლიციელების გადამზადებაზე. თურქულმა ძალებმა გადაამზადეს 12 000-ზე მეტი ავღანელი ჯარისკაცი და პოლიციელი[164]. ასევე განახორციელეს არაერთი პროექტი განათლების სფეროში. თურქეთის მიერ, ბონის შეთანხმებისა და ავღანეთის საკონსტიტუციო კომისიის მხარდაჭერამ განაპირობა ავღანეთის პრეზიდენტის, ჰამიდ კარზაის, ოფიციალური ვიზიტი თურქეთში, 2002 წლის 4 აპრილს და მოგვიანებით, თურქეთის პრემიერ-მინისტრის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის, საპასუხო ვიზიტი ავღანეთში.

თურქეთმა სამმხრივი სამიტის პროცესი დაიწყო, თურქეთს, ავღანეთსა და პაკისტანს შორის, 2007 წლის თებერვალში. მას შემდეგ, რაც თურქეთის მაშინდელი

---

163 Panetta Tells India to Play More Active Role in Afghanistan. https://www.voanews.com/a/us-panetta-india-afghanistan/1178703.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

164 Karen Kaya, Turkey's Role in Afghanistan and Afghan Stabilization (PDF), MILITARY REVIEW, Jul-Aug 2013.

საგარეო საქმეთა მინისტრი, აბდულა გიული, ვიზიტით იმყოფებოდა ისლამაბადში. 2009 წლის 1 აპრილს, ავღანეთისა და პაკისტანის ლიდერების შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა ანკარას სამმხრივი თანამშრომლობის პროცესის ფარგლებში. სამმა ქვეყანამ დადო პირობა, რომ გაეზარდათ კოორდინაცია მათ პოლიტიკურ, სამხედრო და სადაზვერვო რგოლებს შორის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ავღანეთისა და პაკისტანის საპარლამენტო დეპუტატები, 2007 წლის 5 მაისს ანკარაში შეიკრიბნენ, ანკარის სამმხრივი თანამშრომლობის პროცესში, სხვადასხვა საკითხის განსახილველად. თურქეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომისიის ხელმძღვანელმა, მურატ მერჯანმა განაცხადა: „დღეს ჩვენ გვჭირდება თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის, ისე, როგორც არასდროს. მიმაჩნია, რომ თურქეთს, რომელსაც ორივესთან ისტორიული ძმური ურთიერთობა ჰქონდა, შეუძლია  თანამშრომლობის გაუმჯობესება. თურქეთი დარწმუნებული იყო, ავღანეთსა და პაკისტანს შორის დამყარებული თანამშრომლობა დაეხმარებოდა პრობლემების მოგვარებაში“[165].

ავღანეთის, 2009 წლის საკამათო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტი კარზაი ეწვია თურქეთის პრეზიდენტს, რეგიონის სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობების გასამყარებლად. თურქეთის პრეზიდენტმა დაადასტურა მისი აქტიური მონაწილეობა რეგიონის სტაბილიზაციის პროცესში.

2021 წლის მარტში, თურქეთმა დააანონსა სტამბოლში ავღანეთთან მშვიდობის საკითხზე,  მაღალი დონის დისკუსიების გამართვა. ასევე, წარმოადგინა ინფორმაცია თურქეთის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ  ავღანეთში.

**საქართველო:** უახლოეს ისტორიაში, საქართველოსა და ავღანეთის ურთიერთობა  გამოიხატება ნატოს მიერ  განხორციელებულ მისიაში,

---

[165] Ron Synovitz, Talks With Taliban Loom Over Pakistani-Afghan Summit, NEW, Jan 25, 2010.

„საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების“ (ISAF) შემადგენლობაში მონაწილეობით ავღანეთში. საქართველოს თავდაცვის ძალები, 2004 წლის აგვისტოში, ჩაერთნენ აღნიშნულ მისიაში. ქართული ქვედანაყოფის ამოცანა, პირველ ეტაპზე იყო ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მისიის მიმდინარეობისას ეტაპობრივად იზრდებოდა სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა და მათი ამოცანები[166].

2015 წელს, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში დაიწყო, ნატო-ს ახალი „მტკიცე მხარდაჭერის მისია“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები. აღნიშნული მისიის მიზანი იყო ავღანეთის საბრძოლო და საპოლიციო ქვედანაყოფების გადამზადება, რომლის შემდეგაც თავად შეეძლებოდა საკუთარ ტერიტორიის ეფექტურად გაკონტროლებას. ავღანეთში „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების“ (ISAF) მისიის დასრულების შემდეგ 2021 წლის ივლისში, ქართულმა სამხედრო ქვედანაყოფებმა დატოვეს ავღანეთი.

საქართველოს თავდაცვის ძალები იყო სამშვიდობო მისიაში (ISAF) ნატოს პარტნიორი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი კონტრუბუტორი, რომელმაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინეს ავღანეთს უსაფრთხოების კუთხითა და ავღანელი სამხედროებისა და პოლიციელების გადამზადებაში. სამშვიდობო მისია ავღანეთში 17 წელი გაგრძელდა სადაც, როტაციის წესით, სულ მცირე 22 ათას ქართველ ჯარისკაცს მოუხდა სხვადასხვა სახის სამხედრო ამოცანის შესრულება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, ამ ბრძოლას მსხვერპლიც ახლდა თან. მისიაში ჩართვიდან საქართველოს თავდაცვის ძალებმა, ავღანეთში სულ 32 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა, ხოლო ბევრად მეტია დაზარალებულთა რიცხვი.

[166] მისია ავღანეთში, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშრის შესახებ.

## 3.2. დემოკრატიზაციის კრიზისი და ავღანეთის ახალი პოლიტიკური რეალობა

2021 წლის სექტემბრიდან, ამერიკული ჯარების ავღანეთიდან გასვლის შემდეგ, ტალიბანს ათი დღე დასჭირდა ქვეყანაზე კონტროლის მოსაპოვებლად. ამ ელვისებურმა დაბრუნებამ და პრეზიდენტ ჯო-ბაიდენის გადაწყვეტილებამ მსოფლიო გააოცა. ეს იყო აშშ-ის ამ ქვეყანაში ორი ათწლეულის ბრძოლის დასრულებისა და ავღანეთში აშშ-ის ყოფნის დროს ჩამოყალიბებული ინსტიტუტების ქრონიკული ჩამოშლის კულმინაცია, რითაც ისარგებლა ტალიბანმა. პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მოკავშირე ქვეყნების სტრატეგიულმა დამარცხებამ მეტ-ნაკლებად გავლენა მოახდინა მათ სანდოობაზე. პრეზიდენტ ბაიდენის გატარებულმა პოლიტიკამ ავღანეთში, ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებს (ევროპიდან აზიამდე, სპარსეთის ყურის ქვეყნების ჩათვლით) შეახსენა, რომ ქვეყნებმა საკუთარი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით და არ უნდა ააგონ მათი საგარეო პოლიტიკა, აშშ-ის რესურსებზე დაყრდნობით[167].

აშშ-ის 20 წლიანი (2001-2021 წწ) ინტერვენცია ავღანეთში, ნატოს მოკავშირეების მხარდაჭერით, იყო სტრატეგიული შეცდომების პერიოდი, რომელმაც შემდგომ განაპირობა ტალიბანის კონტროლის აღდგენა ავღანეთში. პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციამ არასაკმარისად შეაფასა მათი ბრძოლისუნარიანობა და ძალაუფლების სწრაფად აღდგენის შესაძლებლობა.

2001 წლიდან, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავღანეთში ორ ტრილიონ დოლარზე მეტი დახარჯა, მათ შორის 83 მილიარდი დოლარი ავღანეთის არმიის მომზადებაზე. აშშ-ის ჯარების გაყვანამ ავღანეთის რეგულარულ არმიაში არსებული ხარვეზები გამოავლინა, რომლის ერთ-ერთი მიზეზი იყო კორუფცია, არასრულყოფილი სამხედრო წვრთნები და საჰაერო შეიარაღების არ ქონა.

---

167 Alexandra de Hoop Scheffer, Illustration of the Post-American World that Is Taking Shape, IDEAS LIDERSHIP HOPE, AUGUST 23, 2021.

2019 წელს, გამოქვეყნებულ „ავღანეთის დოკუმენტებში“ ასახულია ის შეცდომები, რომელმაც ქვეყანაში არსებული სიტუაცია ქაოსურ ვითარებამდე მიიყვანა. ამერიკელი პოლიტიკოსები მიზანმიმართულად მანიპულირებდნენ ავღანეთის სტატისტიკით (გაწვრთნილი ავღანელი ჯარისკაცების რაოდენობით, ძალადობის დონით, ტერიტორიის კონტროლის მაჩვენებლით), რაც მათ ქვეყნიდან ჯარების გაყვანის საშუალებას მისცემდა.

ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირე ქვეყნები სტრატეგიულად არამომგებიან პოზიციაში აღმოჩნდნენ, რასაც მოწმობს ავღანეთში განვითარებული სიტუაცია. ეს პოზიცია განაპირობა „ტერორიზმთან გლობალური ომის“ ორმა ათწლეულმა, რომელშიც ქვეყანა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ჩაერთო. ტერორიზმთან ბრძოლამ, ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები გააერთიანა მუდმივი ომების წარმოებაში, რამაც შეამცირა მათი დიპლომატიური კრეატიულობა და გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე რეაგირების უნარი.

ავღანეთიდან ჯარების გაყვანით, პრეზიდენტ ბაიდენს 2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომი ეპოქის დასრულება სურდა. ამისათვის მან ზეწოლა მოახდინა ევროპელ მოკავშირეებზე, რათა საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტად განესაზღვრათ ჩინეთის გაძლიერება, განსაკუთრებით ტექნოლოგიურ სფეროში. დამატებითი ფაქტორები იყო, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის კრიზისები. აშშ-მა კვლავ დაიწყო სამხედრო ძალების მობილიზება, გეოსტრატეგიული ინტერესების, ჩინეთთან და რუსეთთან კონკურენციის გამო. ამას თან დაერთო, ტერორისტული საფრთხის კვლავ გაძლიერება. ავღანეთი შეიძლება გამხდარიყო სამმხრივი დიალოგის საგანი აშშ-ის, ჩინეთსა და რუსეთს შორის, რეგიონულ საკითხებში ერთი და იმავე ინტერესების გათვალისწინებით[168].

---

[168] Terri Moon Cronk, Biden Announces Full U.S. Troop Withdrawal From Afghanistan by Sept. 11, U.S. Department of Defense, April 14, 2021.

ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ინტერვენციის დასრულება არის ინტერვენციონიზმის კიდევ ერთი გამოვლინება, რომელიც უკვე მოქმედებს ლიბიასა და სირიაში. ჩინეთი ავღანეთს ნაწილობრივ „სარტყელი და გზის“ ინიციატივის პრიზმაში მოიაზრებს, რადგან ამ ქვეყანამ უზარმაზარი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ააშენა ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ავღანეთის ჩრდილოეთით და მშენებლობას აგრძელებს სტაბილური ტემპით, რეგიონში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა აღიაროს - ავღანეთიდან მისი სამხედრო ძალების გაყვანით, გავლენის დაკარგვა რეგიონზე და დე-ფაქტო ქვეყნის მომავლის კონტროლის გადაცემა რეგიონულ ძალებზე.

USIP-ის (United States Institute of Peace)[169] მკვლევრები, ბელკვის აჰმედი, უილიამ ბირდი და სკოტ ვორდენი, მსოფლიო ბანკის ანგარიშებში განიხილავენ, ავღანეთის ეკონომიკურ პერსპექტივას და ტალიბანის ნაბიჯებს, რომლებიც ქალთა უფლებების შეზღუდვას ისახავს მიზნად. რაც ამძაფრებს ავღანეთის კვლავ არასტაბილურობას. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა - რისი გაკეთება შეიძლება ქვეყანაში სიტუაციის გასაუმჯობესებლად, ჰუმანიტარული დახმარების შემცირების ფონზე. ტალიბანის მმართველობას ჰქონდა პროგრესი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა და შემოსავლების შეგროვების პროცესში. მიუხედავად ამისა, მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ავღანეთის ეკონომიკის გაუმჯობესების შესაძლებლობა. ქვეყნის გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობა შეძლებს თუ არა უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებას.

**უილიამ ბირდი:** მსოფლიო ბანკის ბოლო ორი მოხსენება ასახავს ავღანეთის ეკონომიკის ლანდშაფტს და ავღანური ოჯახების ფინანსურ მდგომარეობას. 2022 წლის განმავლობაში, ავღანეთის ეკონომიკური სტაბილურობის გარკვეული ნიშნების მიუხედავად, ქვეყნის განვითარება კვლავ სუსტია ამ მიმართულებით, რადგან ავღანეთში ჯერ კიდე ვერ იქმნება სამუშაო ადგილები მზარდი მოსახლეობის

[169] The United States Institute of Peace. https://www.usip.org/about. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

საარსებო მინიმუმის დასაკმაყოფილებლად - შესაბამისად, დიდია უმუშევართა რაოდენობა. სიღარიბის დონე კვლავ მაღალია და ავღანელების დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ძირითადი საკვებისა და არასასურსათო საჭიროებების დაკმაყოფილებას. საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარება, 2023 წელს, განახევრდა წინა წელთან შედარებით და დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი შეადგინა. ტალიბანის მიერ ოპიუმის ვაჭრობით აკრძალვამ, დამატებით შეამცირა სოფლის მცხოვრებთა ოჯახების შემოსავალი. ფერმერების საარსებო ალტერნატიული წყაროს გარეშე დარჩენამ  უფრო გაამწვავა სიღარიბე. ამავდროულად, ქვეყნის ფინანსურ პრობლემებს ამძაფრებს პაკისტანის მიერ დაახლოებით 400 000 (და კიდევ უფრო მეტი) ავღანელის დეპორტაცია. არც მაკროეკონომიკური ფაქტორებია იმედის მომცემი. ავღანეთი განიცდის დეზინფლაციას, ანუ,  ფასების შემცირებას,  რასაც ტალიბები კარგ სიახლედ თვლიან. თუმცა, სინამდვილეში, ეს პროცესი ამცირებს მთლიანი ეკონომიკის ღირებულებას და შესაბამისად ქვეყნის შემოსავლების შემცირებასაც იწვევს.

**ბელკვის აჰმადი:** ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის დროს (2001-2021 წწ), სამთავრობო ინსტიტუტებმა, ქალების წახალისების მიზნით სხვადასხვა ზომები მიიღეს, რათა მათ შესძლებოდათ შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ გარემო ყოველთვის არ იყო ხელსაყრელი, მათ შორის კულტურული ნორმები,  უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა - გამოწვეული იყო ტალიბანის აჯანყებითა და განათლების დაბალი ხელმისაწვდომობით. სამწუხაროდ, ეს ფაქტორები სამუშაოს მაძიებელ ქალებს ხშირად აბრკოლებდა. ავღანეთის მთავრობის პოლიტიკაც და დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამებიც, წარმატებული აღმოჩნდა ავღანეთში ქალების სამუშაო ძალად ჩამოყალიბებაში[170]. 6 000-ზე მეტი ქალი მუშაობდა მოსამართლედ, პროკურორად, ადვოკატად, პოლიციისა და ჯარის პერსონალად. მთავრობის მონაცემებით, დაახლოებით 10 000 ქალი იყო

[170] Belquis Ahmadi;  William Byrd, Ph.D. Scott Worden, fghanistan's Economy Once Again Nears the Precipice, United States Institute of  Peace, Nov 17, 2023.

დასაქმებული - ექიმის, ექთნისა და ჯანდაცვის სფეროს სხვადასხვა პოზიციაზე. დამატებით, დასაქმებული იყვნენ - სკოლებსა და უნივერსიტეტებში, მათ შორის 68 000-ზე მეტი ქალი მასწავლებელი იყო, 800 უნივერსიტეტის პროფესორი. ასევე, ავღანელი ქალები მუშაობდნენ სხვა კერძო და საჯარო დაწესებულებებშიც.

2020 წელს, ავღანეთის ქალთა სავაჭრო და სამრეწველო პალატის მონაცემების მიხედვით, არსებობდა 2 471 ლიცენზირებული და 54 000 არაფორმალური/ არალიცენზირებული ბიზნესი, რომელსაც ქალები მართავდნენ, რომლებშიც დასაქმებული იყო 130 000-ზე მეტი ქალი. როდესაც ხელში ძალაუფლება ტალიბებმა აიღეს, მათი ოფიციალური განკარგულებით, ქალებს შეეზღუდათ ყველა ზემოთ ხსენებულ აქტივობაში მონაწილეობა, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და არსებულ სოციალურ პირობებზე უარყოფითად აისახა.

**სკოტ ვორდენი:** ავღანეთის ეკონომიკის სწრაფი გამოსწორება წარმოუდგენელია. მსოფლიო ბანკის ბოლო მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობის ზრდისა და ასობით ათასი ლტოლვილის დაბრუნება, მოკლევადიან პერსპექტივაში, დიდი ალბათობით გადააჭარბებს ეკონომიკურ ზრდას. დასავლეთის დონორთა დახმარების შენარჩუნება - ხელს შეუწყობს ფორმალური და არაფორმალური სანქციების მოხსნას, რაც აფერხებს ავღანეთის ეკონომიკას. ტალიბანს მკაცრი შეზღუდვების შემსუბუქება მოუწევს ქალების განათლებისა და მათი დასაქმების მხრივ. თუმცა, ეს ნაკლებად სავარაუდოა, წარსული გამოცდილების ფონზე.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია - მესამე მხარის მონიტორინგი ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებაზე, რასაც ავღანეთის ცენტრალური ბანკი დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ინსტიტუციური ძალაუფლების დაკარგვა და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის გამო. ბანკს ამჟამად ხელმძღვანელობენ სანქცირებული ტალიბანის წარმომადგენელი პირები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაზრდა არის ერთ-ერთი გამოსავალი საარსებო წყაროს გასაუმჯობესებლად, მაგრამ ოპიუმით ვაჭრობის აკრძალვა ზრდის წინააღმდეგობას სოფლის ეკონომიკაში. საჭირო იქნება სარწყავი პროექტები და სოფლის მეურნეობის ექსპორტის გაფართოება. საშუალოვადიან პერსპექტივაში, გაზრდილმა რეგიონულმა ვაჭრობამ, შეიძლება გაზარდოს ავღანეთის ეკონომიკა თუ ტალიბანი შემლებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ქვეყნის საზღვრების გაკონტროლებას. ასევე, მან მეზობელი ქვეყნების ნდობა უნდა მოიპოვოს და დაარწმუნოს ისინი, რომ ტერიტორიას არ გამოიყენებენ ლტოლვილების, ტერორისტებისა და ტრეფიკერების მოძრაობისათვის, სავაჭრო საქონელთან ერთად.

2022 წელს, ავღანეთისათვის გაცემული დახმარება ძირითადად ჰუმანიტარული სახის იყო, რომელიც უზრუნველყოფდა მხოლოდ შიმშილობის თავიდან აცილებას და არა სხვა სოციალურ საჭიროებებს. აქედან გამომდინარე, ჯანდაცვაზე, დასაქმებასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა კვლავ შეზღუდული რჩება[171].

საბოლოო ჯამში, ავღანეთის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარება მოითხოვს შესაბამისი პოლიტიკური კურსის არჩევას, რომელიც მიუღებელია ტალიბებისთვის. ვინაიდან, ვერცერთ ქვეყანაში ვერ მოხდება განვითარების მასშტაბური ზრდა, მანამ, სანამ ქალები გარიყულები არიან საზოგადოებრივი ცხოვრებისგან.

ტალიბანს, ათწლეულების განმავლობაში, „რაჰბარი შურა“ (ლიდერთა საბჭო) ხელმძღვანელობდა[172]. იგი ცნობილია, როგორც კვეტა შურა - პაკისტანის ქალაქის სახელწოდება, სადაც აშშ-ის შემოჭრის შემდეგ, სავარაუდოდ, მულა მუჰამედ უმარმა, ტალიბანის პირველმა ლიდერმა და მთავრობის თანაშემწეებმა შეაფარეს თავი (უმარი

---

[171] Afghanistan. https://www.usaid.gov/humanitarian-assistance/afghanistan. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

[172] Procedural Standards for Refugee Status Determination Under UNHCR's Mandate. https://www.refworld.org/docid/530b189d4.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

გარდაიცვალა 2013 წელს და მის ადგილი დაიკავა მულა ახტარ მოჰამად მანსურიმ, რომელიც დაიღუპა 2016 წელს აშშ-ის საჰაერო თავდასხმის დროს პაკისტანში). ანალიტიკოსების აზრით, „რაჰბარი შურა“ აკონტროლებს ტალიბანის მთავრობის მუშაობას, თუმცა მისი ზუსტი როლი გაურკვეველია. მას ხელმძღვანელობს მალავი ჰიბათულა ახუნძადა, რომელიც წლების განმავლობაში საჯაროდ არ გამოჩენილა (ტალიბანის ოფიციალურმა პირებმა 2022 წელს განაცხადეს, რომ ახუნდზადა ეწვია ქაბულს, მაგრამ ფაქტის ამსახველი ფოტო ან ვიდეო არ გახმაურებულა. გავრცელებული ინფორმაციით, გამოქვეყნდა მხოლოდ მის მიერ წარმოთქმული სიტყვის აუდიოჩანაწერი).

მთავრობას ხელმძღვანელობს ოცდაცაათ კაციანი მინისტრთა კაბინეტი. ყველა მინისტრი მამაკაცია. ისინი ტალიბანის ყოფილი ოფიციალური ან მათდამი ლოიალურად განწყობილი პირები არიან[173]. უმრავლესობა ეთნიკური პუშტუნია, ზოგიერთ მათგანს კი ამერიკის შეერთებული შტატები ტერორისტად მიიჩნევს და სანქცირებულია გაეროს მიერ. პრემიერ-მინისტრი არის მოჰამად ჰასან ახუნდი, რომელიც იყო მულა უმართან დაახლოებული პირი. ტალიბანის თანადამფუძნებელი, მულა აბდულ ღანი ბარადარი, რომელიც ხელმძღვანელობდა შეერთებულ შტატებთან სამშვიდობო მოლაპარაკებებს, არის პრემიერ-მინისტრის მოადგილე. სირაჯუდინ ჰაქანი[174], რომელიც Haqqani Network-ს ხელმძღვანელობდა, მჭიდრო კავშირშია ტალიბანთან, ალ-კაიდასთან და პაკისტანის სადაზვერვო სამსახურებთან. ის შინაგან საქმეთა მინისტრია ხოლო თავდაცვის მინისტრი არის მულა უმარის ვაჟი, მულა მუჰამედ იაკუბი. საგარეო საქმეთა მინისტრი კი, მავლავი ამირ ხან მუთაქია, ხოლო ზაბიჰულა მუჯაჰიდი არის მთავრობის სპიკერი.

---

[173] MURAT SOFUOGLU, How the Taliban governs itself, TRTWORLD, December, 2021.

[174] Sirajuddin Haqqani. https://rewardsforjustice.net/rewards/sirajuddin-haqqani/. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

ტალიბანის ლიდერმა მოსამართლეებს შარიათის (ისლამური კანონის) დაწესება უბრძანა[175]. ცვლილება ყველა იმ ადამიანის წინააღმდეგ იმოქმედებდა, ვინც არ დაიცავდა ტალიბანის წესებს. მათ შორის იყვნენ ყოფილ მთავრობასთან დაკავშირებული მოქალაქეები და შეიარაღებული დაჯგუფების წევრები (ეროვნული წინააღმდეგობის ფრონტი (NRF), ხორასანის პროვინციის ისლამური სახელმწიფო (IS-KP)). შარიათის მიღების შემდეგ, ტალიბებმა ხალხის საჯაროდ სიკვდილით დასჯა დაიწყეს.

ტალიბების მმართველობის პერიოდში დაიწყო ზეწოლა თავისუფალ მედიაზე, რამაც ბევრი მათგანის დახურვა გამოიწვია. ჟურნალისტების მიმართ დაწესდა შეზღუდვები, ხშირი იყო მათი თვითნებური, უკანონო დაკავება და წამება, მათი გაკრიტიკების საპასუხოდ, რამაც ბევრი თვითცენზურამდე მიიყვანა. დაკავებული ჟურნალისტების მიმართ გამოიყენეს წამების სხვადასხვა ფორმა, ამიტომაც, ბევრი ჟურნალისტი გაიქცა ქვეყნიდან.

ავღანეთის ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი კომისია (AIHRC) და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი დაიხურა. ამიტომაც, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, ადამიანის უფლებების შესახებ დოკუმენტაციის წარმოებისა და მოხსენების სივრცე მნიშვნელოვნად შეიზღუდა. დამოუკიდებელ უფლებადამცველ ჯგუფებს არ შეუძლიათ თავისუფლად მუშაობა. ასევე, ტალიბებმა დააკავეს ყველა, ვინც მათ სოციალურ მედიაში აკრიტიკებდა.

ტალიბებმა მშვიდობიანი შეკრებისა და დემონსტრაციის თავისუფალი სივრცე მნიშვნელოვნად შეზღუდეს. მათი პოლიცია გადაჭარბებულ და არასაჭირო ძალას იყენებს, დემონსტრანტების წინააღმდეგ. მშვიდობიან მომიტინგეებს თვითნებურად აკავებენ და აწამებდნენ. აღნიშნული ვითარების გამო, ოჯახის წევრები განსაკუთრებით ქალ ნათესავებს, პროტესტის გამოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ.

[175] Kali Robinson, Understanding Sharia: The Intersection of Islam and the Law, council on foreign relations, Dec 17, 2021

ტალიბებმა დახურეს ქალების საქმეთა სამინისტრო (MoWA), სანაცვლოდ შექმნეს სათნოების გავრცელებისა და მანკიერების პრევენციის სამინისტრო, რომელმაც შემზღუდველი და შეურაცხმყოფელი დეკრეტი გამოსცა ქალთა და გოგონათა უფლებებთან დაკავშირებით. გოგონებს აეკრძალათ საშუალო სკოლაში სიარული, ხოლო მოგვიანებით უმაღლესი განათლების მიღება და საჯარო სივრცეში თავისუფლად გამოჩენა. ტალიბებმა დააწესეს ქალების ჩაცმულობაზე მკაცრი შეზღუდვა, მათ მოსთხოვეს ჰყოლოდათ მაჰრამი[176]. ოჯახებში ქალებისა და გოგონების ნებისმიერ დარღვევაზე პასუხისმგებლობა ოჯახის მამაკაცებს დააკისრა. რეპრესიების შიშით, ოჯახის წევრებმა შეზღუდეს ქალი ნათესავების უფლებები. ტალიბანმა ჩაახშო ქალების პროტესტის ტალღა საჯაროდ ან სოციალურ მედიაში - მათი ცემის, უკანონო დაკავებებისა და ოჯახის წევრებზე რეპრესიების გზით.

ტალიბების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებამ, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა დააზიანა. მათი პოლიტიკა, ჯანდაცვის ქალ-პერსონალთან დაკავშირებით, ბუნდოვანი და არათანმიმდევრული აღმოჩნდა. ტალიბების რეპრესიების გამო, დასაქმებული ქალების უმრავლესობა ქვეყნიდან გაიქცა, რის გამოც ჯანდაცვის სექტორის უმეტესი ნაწილი, ადამიანური რესურსების გარეშე დარჩა. 2021 წლამდე, საერთაშორისო დახმარების შეწყვეტამ, რომელიც დიდწილად ჯანდაცვის მხარდაჭერაზე იყო ორიენტირებული, საავადმყოფოები და ჯანდაცვის კლინიკები, შეზღუდული რესურსების ან პერსონალის გარეშე დატოვა, რამაც შეზღუდა ქვეყანაში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა.

ავღანელების უმრავლესობა გარბოდა ქვეყნიდან, ტალიბების მხრიდან დევნის საფუძვლიანი შიშის გამო. მეზობელმა ქვეყნებმა განაგრძეს ავღანელი ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლების დეპორტაცია, მიუხედავად მოსალოდნელი საფრთხისა. ზოგიერთი გაქცეული ავღანელი სასაზღვრო რაიონებში დახვრეტილ იქნა მესაზღვრეების მიერ დაუმორჩილებლობის გამო, ასევე

---

[176] Mahram relatives, Who is a woman’s mahram? , Islam Question and answer, November 23, 1999.

ავღანელები, რომლებსაც უარი უთხრეს თავშესაფრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ტალიბანის მებრძოლების მიერ იქნა დახვრეტილი.

საერთაშორისო დამკვირვებლები კვლავ შეშფოთებულნი არიან ტალიბანის მიერ ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერის გამო, მათ შორის ალ-კაიდაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას[177]. ტალიბანის მმართველობის პირობებში, ავღანეთი შეიძლება გახდეს უსაფრთხო თავშესაფარი ტერორისტებისათვის, რომლებიც შეძლებენ ამერისკის შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებზე თავდასხმების ორგანიზებას. მიუხედავად ამისა, ტალიბანი მაინც აცხადებს, რომ ავღანეთის მიწა არ იქნება გამოყენებული სხვა ქვეყნის უსაფრთხოების წინააღმდეგ.

2022 წლის აპრილის, გაეროს წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით: ალ-კაიდას აქვს უსაფრთხო თავშესაფარი და თავისუფალი მოქმედებების გაზრდილი შესაძლებლობა, ტალიბანის მხარდაჭერის გამო. იმავე წლის აგვისტოში, აშშ-ის უპილოტო თვითმფრინავის დარტყმამ ქაბულში მოკლა, ალ-კაიდას ლიდერი, აიმან ალ-ზავაჰირი. გაეროს მოხსენებაში ნათქვამია, რომ ალ-კაიდა, სავარაუდოდ, იყენებს ავღანეთს, როგორც „მეგობრულ გარემოს“ რეკრუტირების, ტრენინგისა და ფინანსური სახსრების მოსაზიდად. გარდა ამისა, ძალადობა გაიზარდა ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე, რომელიც ისტორიულად მხარს უჭერდა ტალიბანს. მისმა ხელისუფლებაში დაბრუნებამ, Tehrik-e-Taliban მებრძოლი ჯგუფი გაათამამა, რომელსაც ზოგჯერ პაკისტანის ტალიბანადაც მოიხსენიებენ. 2022 წლის ბოლოს, ამ ჯგუფმა მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო თავდასხმები. პაკისტანის ოფიციალური პირები - ავღანეთის ტალიბანს ადანაშაულებენ, ავღანეთის ტერიტორიაზე მებრძოლებისთვის თავშესაფრის უზრუნველყოფაში.

---

[177] Asfandyar Mir, Al-Qaeda, the Taliban, and the Future of U.S. Counterterrorism in Afghanistan, Program on Extremism, Sep 8, 2022.

გაერო-ს მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის თანახმად, ტალიბანი ხელისუფლებაში მოსვლამდე, შემოსავალს ოპიუმის ყაყაჩოს მოშენებით, ნარკოტიკების ვაჭრობითა და ადგილობრივი ბიზნესზე ზეწოლით იღებდა. 2021 წელს, ავღანეთს  მსოფლიოში არალეგალური ოპიუმის წარმოების 86% ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, 2022 წლის აპრილში, ტალიბებმა ყაყაჩოს მოყვანა აკრძალეს[178].

არაკომერციული ორგანიზაცია - აზიის ფონდი აშშ-ში არის დაფუძნებული. ორგანიზაციის 2009 წლის მონაცემებით, ავღანელების ნახევარი, ძირითადად პუშტუნები და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, დადებითად იყო განწყობილი შეიარაღებული ოპოზიციური დაჯგუფებებისადმი, განსაკუთრებით ტალიბანის მიმართ. 2019 წელს, იგივე გამოკითხვით ტალიბანის მიმართ დადებითად განწყობილი იყო ავღანელების მხოლოდ 13.4%. ვინაიდან, 2021 წლის დასაწყისში, შეჩერდა ავღანეთის შიდა მოლაპარაკებები, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, მნიშვნელოვანია ქალთა უფლებების, სიტყვის თავისუფლებისა და კონსტიტუციის უზენაესობა.

ხორასანის პროვინციის ისლამური დაჯგუფება (IS-KP), რომელშიც გაწევრიანებული იყო ოთხი ათასამდე მებრძოლი, ტალიბანის მთავარ სამხედრო საფრთხედ წარმოჩნდა.  ანალიტიკოსები აზრით, 2022 წლის ბოლოს, ჯგუფის თავდასხმებმა - ჩინეთის, პაკისტანისა და რუსეთის საელჩოებზე ქაბულში, ხელი შეუშალა სხვა ქვეყნებიდან ინვესტიციების შემოსვლას ავღანეთში. აშშ-ის ჯარების გაყვანის ფონზე, ხორასანში ისლამურმა სახელმწიფომ პასუხისმგებლობა აიღო ქაბულის აეროპორტის მახლობლად განხორციელებულ თავდასხმაზე, რომლის დროსაც დაიღუპა 13 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და სულ მცირე, 170 მშვიდობიანი ავღანელი მოქალაქე. გაეროს მონიტორინგის ჯგუფის თქმით, სწორედ ამ თავდასხმამ განაპირობა დაჯგუფების სტატუსის ამაღლება და აიძულა თვითგამოცხადებული ისლამური სახელმწიფო დამატებითი თანხა გამოეყო

---

[178] Rupert Stone, Afghanistan’s drug trade is booming under Taliban rule, Atlantic Council, Aug 24, 2022.

მათთვის, ნახევარი მილიონი დოლარის ოდენობით. ასევე, ტალიბანის მმართველობის წინააღმდეგ შეიქმნა ნაციონალური წინააღმდეგობის ფრონტი, რომლის წევრებიც იყვნენ: ყოფილი ოფიციალური პირები, ადგილობრივი პოლიციისა და ავღანეთის უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლები. ანალიტიკოსების აზრით, გაერთიანება, ამჟამად არ არის საკმარისად ძლიერი, ტალიბანისთვის საფრთხის შესაქმნელად. ის დაფუძნებულია მთიან, ჩრდილოეთ ფანჯშირის პროვინციაში, რომელმაც პარტიზანული ტიპის თავდასხმები წამოიწყო, რამდენიმე სხვა პროვინციაზე. დაჯგუფებამ მოუწოდა მხარდაჭერისკენ სხვა ქვეყნებს, მაგრამ საპასუხოდ აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ვაშინგტონი არ დაუჭერს მხარს ტალიბანის ორგანიზებულ ძალადობრივ.

**ამერიკის შეერთებული შტატები:** ავღანური ტალიბანის ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის ძირითად ინტერესს ეკონომიკური ფაქტორი განსაზღვრავს. სწორედ ეს ფაქტორია ტალიბანის პრაგმატული პოლიტიკა, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ იყო ავღანეთის ყველაზე მნიშვნელოვანი დონორი, ტალიბების მიერ ქაბულის დაბრუნების შემდეგ. 2022 წელს, აშშ-მა ავღანეთს 774 მლნ აშშ დოლარი გადასცა, სხვადასხვა საერთაშორისო დონორი სააგენტოების მეშვეობით. დამატებით, 55 მლნ აშშ დოლარით დაეხმარა ავღანეთის მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებს. ამჟამად, დაახლოებით 7 მლდ აშშ დოლარის ღირებულების DAB(ტალიბანის) აქტივებია გაყინული, აშშ-ის მიერ. ტალიბანი ცდილობს აღნიშნული თანხის დაბრუნებას. პრეზიდენტმა ბაიდენმა, 2022 წლის თებერვალში, გასცა ბრძანება ნახევარი აქტივები (3,5 მლდ აშშ დოლარი) გადაეცათ ავღანელი ხალხისათვის, ხოლო დარჩენილი თანხა გამოყენებულიყო ტერორიზმთან დაკავშირებული სასამართლო პროცესებისათვის აშშ-ში[179].

ტალიბანის მთავარი ინტერესი ავღანეთში, მათი მმართველობის გახანგრძლივებაა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავღანეთის

[179] Asia Research Unit, The US-Taliban Relations: Interests, Challenges, and Prospects, Emirat Policy Centr, Sep 6, 2023.

ოპოზიციური დაჯგუფებები დარჩება ტალიბების კონტროლის ქვეშ და არ მიიღებს შესაბამის გარე მხარდაჭერას. ტალიბანმა გააცნობიერა, რომ ანტი-ტალიბანური დაჯგუფების გარე მხარდაჭერამ, შეიძლება გაზარდოს უსაფრთხოების გამოწვევები ქვეყნის შიგნით. „ეროვნული წინააღმდეგობის ფრონტი“ (NRF) არის ანტი-ტალიბანურური დაჯგუფება, რომელსაც შეუძლია ტალიბანის მმართველობის გამოწვევების წინაშე დაყენება[180]. NRF-ს აქვს ბაზა ტაჯიკეთში, ამიტომ აშშ-ის ან ნებისმიერ სხვა რეგიონულ ძალას შეუძლია გამოიყენოს იგი ავღანეთში ტალიბანის წინააღმდეგ. აშშ-ტალიბანის დიალოგი ხელს შეუშლის ვაშინგტონს, ტალიბანის მთავრობის დამხობაში ან ავღანეთში ანტი-ტალიბანური ძალების დახმარებაში.

გაეროს უშიშროების საბჭოს N1267-ე რეზოლუციის მიხედვით, შეზღუდვები გადაადგილების შესახებ, აფერხებს ტალიბანის ურთიერთობას მსოფლიო საზოგადოებასთან. ამის გამო გართულდა ტალიბანის ოფიციალური პირების გამგზავრება სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით ევროპაში. ტალიბანისთვის საერთაშორისო სანქციებიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გადაადგილების შეზღუდვების ამოღება. აშშ კი ამ შეზღუდვას იყენებს თავის დაზღვევის მიზნით მათ წინააღმდეგ.

ტალიბებისთვის ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს ხორასანის ისლამური სახელმწიფოს (IS-K) არსებობა ავღანეთში[181]. ტალიბებმა დაიწყეს აქტიური პოლიტიკა IS-K-ის წინააღმდეგ, აგრესიული სამხედრო ოპერაციების გზით. კარზაის და ღანის ადმინისტრაციებისგან განსხვავებით, ტალიბანის ხელისუფლებამ მკაცრი მექანიზმები გამოიყენა IS-K-ის ტერორისტების ლიკვიდაციისათვის, შესაბამისი სასამართლო დევნის გარეშე. ზემოთ აღნიშნულმა, IS-K-ს წევრებს შორის შიში გამოიწვია, რაც ხელს უშლის დაჯგუფების პოლიტიკის გავრცელებასა და გაძლიერებას ავღანეთში.

---

180 JAMES CHEN, National Retail Federation (NRF): Meaning, Foundation, Membership, Investopedia, June 14, 2022.

181 AMIRA JADOON, ANDREW MINES, ABDUL SAYED, The Enduring Duel: Islamic State Khorasan’s Survival under Afghanistan’s New Rulers, Combating Terrorism Centre, AUGUST 2023.

ტალიბანი ავღანეთის უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, ცდილობს ქვეყნის ტექნოლოგიური დაზვერვის განვითარებას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ტალიბანს, მიაწოდა IS-K-ის მოქმედებების ამსახველი სატელიტური სურათები, ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, რაც დაეხმარა ტალიბანის მებრძოლებს ოპერატიულ ქმედებებში. ტალიბანს  მსგავსი თანამშრომლობის გაგრძელება უნდა აშშ-თან, ავღანეთში არსებული სხვა ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ  ეფექტური სამხედრო ოპერაციებისთვის.

აშშ-ს სურს მისი მოქალაქეების დაცვა ნებისმიერი ტერორისტული აქტისგან, რომელიც შეიძლება დაგეგმოს ან განახორციელოს ავღანეთში მყოფმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ. ამის უზრუნველსაყოფად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო ორმხრივი მიდგომა. უპირველეს ყოვლისა, მან  სხვადასხვა შესაძლებლობა გამოიყენა ავღანეთში, ტერორისტების ლიკვიდაციისათვის. ალ-კაიდას ლიდერის - აიმან-ალ-ზავაჰირის, მკვლელობა, უპილოტო თვითმფრინავის თავდასხმით ამის ნათელი მაგალითია - თავდასხმებისა და გახმაურებული ტერორისტების ლიკვიდაციის შემთხვევებისა. ზავაჰირის გარდაცვალების შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ტალიბებმა დაიწყეს ერთობლივი მოქმედებები. ეს ძირითადად იმით აიხსნება, რომ ტალიბანს არ შეეძლო გამოწვევებზე მყისიერი რეაგირება (ანტი-ტალიბანური დაჯგუფებების თავდასხმები), რომელიც გამოიწვევდა სუსტი მთავრობის იმიჯის ჩამოყალიბებას. მათ არ შეეძლოთ ავღანეთის სუვერენიტეტის დაიცვა. აქედან გამომდინარე, აშშ-თან კოორდინირებულად თავდასხმებში ჩართვა იყო ერთადერთი შესაძლო და პრაგმატული სტრატეგიული სვლა, ტალიბანის წინაშე მდგარი გამოწვევის შემსუბუქების მიზნით. აშშ ცდილობს ტალიბანთან ურთიერთობის დამყარებას, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი ტიპის პოტენციური შურისძიება.

ჩინეთის მზარდი გავლენა ტალიბანზე არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც განაპირობა აშშ-ის ჩართულობა ტალიბანის მხარეს. მისი

სტრატეგიული პოლიტიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტალიბანის სრული იზოლაცია. ჩინეთ-ტალიბანის  თანამშრომლობა გაძლიერდა ბოლო ორი წლის განმავლობაში და გავლენა იქონია ტალიბანის კონტრტერორისტულ პოლიტიკაზე. ამის ნათელი მაგალითია, პაკისტანის ტალიბების (TTP) გადასახლება ჩრდილოეთ ავღანეთში[182]. პაკისტანის მოთხოვნით, TTP-ის ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილებში გადაყვანის შესახებ პირობა დადო ავღანეთის ტალიბანმა. თუმცა, ჩინეთმა გავლენა მოახდინა ტალიბანის გადაწყვეტილებაზე და ამ საკითხის განსახილველად ავღანეთის მთავრობის წარმომადგენლები პეკინში მიიწვია. ვინაიდან, ჩინეთს არ სურს ჩრდილოეთ ავღანეთში, TTP-ის გადაადგილება, რადგან შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ქვეყნის უსაფრთხოებს.

აშშ მიიჩნევს, რომ ჩინეთის გავლენა ტალიბანზე საზიანოა მისი სტრატეგიული გეგმებისთვის. გარდა ამისა, შეერთებული შტატების შეფასებით, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (SCO) წევრ ქვეყნებს ტალიბანის მთავრობის აღიარების საკითხის გადაწყვეტა შეუძლიათ. ავღანეთის მეზობელი ქვეყნების დიდი ნაწილი SCO-ს წევრია. 2021 წელს,  SCO სამიტზე დუშანბეში, გამოიკვეთა სამი წინაპირობა ტალიბების აღიარებისა. მათ შორის არის ქვეყანაში ინკლუზიური ადმინისტრაციის მთავრობის შექმნა, ადამიანის უფლებების დაცვა და ავღანეთში წარმოშობილი საზღვრისპირა ტერორიზმის აღმოფხვრა. ტალიბანის ადმინისტრაციის აღიარება შეიძლება მიღწეულ იქნას SCO-ს ფარგლებში, თუ იგი სათანადოდ მოაწესრიგებს ქვეყნის შიდა პოლიტიკას. ჩინეთის გავლენის ზრდა ავღანეთსა და ცენტრალურ აზიაში აშშ-ის გეგმებზე  ნეგატიურ გავლენას ახდენს[183].

კონტრტერორისტულ ფრონტზე, IS-K-ისა და ალ-კაიდას ლიკვიდაცია არის აშშ-ისა და ტალიბანს შორის თანამშრომლობის წინაპირობა. ამერიკის შეერთებულ

---

[182] Afghan Man On Terror Watchlist Arrested In United States. https://www.afintl.com/en/202306135006. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

[183] Akmal Dawi, SCO Members Lack Unity on Taliban Terrorism Concerns, SOUTH & CENTRAL ASIA, Jun 22, 2023.

შტატებს სურს ტალიბანის დარწმუნება ალ-კაიდას დაჯგუფების წევრების გადაცემაში, აშშ-ს, ჩინეთსა და ტალიბანს შორის ანტიტერორისტული თანამშრომლობის ფარგლებში. IS-K-ის ტერორისტების (ტაჯიკეთის მოქალაქეები) დაკავება, გერმანიასა და ნიდერლანდებში, აძლიერებს აშშ-ის შეშფოთებას ავღანეთში ტრანსნაციონალური ტერორისტული დაჯგუფების შესახებ. მას სურს გააკონტროლოს IS-K-ის წევრების გადაადგილება ევროკავშირსა და აშშ-ის ტერიტორიებზე[184]. გავრცელებული ინფორმაციით, აშშ, ხშირად უზიარებდა ტალიბანს IS-K-ის გადაადგილების სატელიტურ ფოტოებს და ეხმარებოდა მათ წინააღმდეგ ოპერაციების ორგანიზებაში. დაზვერვის ანგარიშებზე დაყრდნობით, ვარაუდობენ, რომ IS-K-ის ლიდერის, შაჰაბ ალ-მუჰაჯირის, ლიკვიდაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ აშშ-ის დაზვერვასთან თანამშრომლობით. ტალიბანი პასუხისმგებლობას იღებს IS-K-ის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების ორგანიზებასა და განხორციელებაზე.

აშშ ცდილობს დაარწმუნოს ავღანური ტალიბანი, ალ-კაიდას ლიდერი, შეიხ ჰაკიმ ალ-მასრი, გადასცეს ამერიკელ ოფიციალურ პირებს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ტალიბანის გამოცდილებას და მათ ურთიერთობას ალ-კაიდასთან, ტალიბანი არ აპირებს მის გადაცემას, სანამ შეთანხმებული არ იქნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ან სტრატეგიული ურთიერთობის საკითხები.

აშშ-ისათვის საჭიროა ავღანეთში ფიზიკურად ყოფნა და ქვეყნის შიგნით მიმდინარე აქტივობებზე თვალყურის დევნება. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა ქაბულში საელჩოს გახსნით, თუმცა ვაშინგტონს არ სურს ავღანეთში ოფიციალური დიპლომატიური მისიის ყოლა. სამაგიეროდ, აშშ-ის სურს ავღანეთში ყოფნა ფარულად, მისი სადაზვერვო სამსახურის მეშვეობით[185]. CIA-მ მოითხოვა ამერიკული დაზვერვის ოფიციალური პირების ადგილზე ყოფნა, ქაბულსა და ყანდაჰარში, რისი

[184] Noellynn Slaughter, Islamic State Khorasan Within Taliban-Ruled Afghanistan: Dynamics and Synergies with Allies and Enemies, Government Technology & Cervices Coalition, Sep 17, 2023.
[185] Dan De Luce, Afghans who fought in secret CIA-trained force face legal uncertainty in the U.S., NBC NEWS, Aug. 29, 2023.

შესრულებაც შეუძლებელია ტალიბანსა და შეერთებულ შტატებს შორის არსებული ურთიერთობის გათვალისწინებით. 2023 წლის მაისში, აშშ-ის სახელით, ყატარის პრემიერ მინისტრი, ბინ ჯასიმ ალ-თანი, შეხვდა მულა ახუნძადას (ავღანური ტალიბანის უმაღლესი ლიდერი)[186]. კატარის პრემიერ-მინისტრმა სთხოვა აშშ-ის ოფიციალური პირების დაშვება ქაბულში ან ყანდაჰარში, საერთაშორისო ზეწოლის შემსუბუქების სანაცვლოდ. ახუნძადამ უარყო პრემიერ-მინისტრ, ჯასიმის შეთავაზება და გადაწყვიტა მუშაობა გაეგრძელებინა შეერთებულ შტატებთან, ძირითადად, ჰუმანიტარულ საკითხებზე.

აშშ-ტალიბანს შორის თანამშრომლობის გამოწვევები მოიაზრებს ტალიბანის პოლიტიკურ შეშფოთებას, ორგანიზაციულ საკითხებსა და ისტორიულ მომენტებს. მთავარი დაბრკოლება აშშ-ისა და ტალიბანს შორის, ჰაკანის ჯგუფის გარდა, არის ტალიბანის უმაღლესი ლიდერი, მულა ჰაიბათულა ახუნდზადა. როგორც ჩანს, ის ყოყმანობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობაზე, იდეოლოგიური განსხვავებების გამო. ტალიბანის წევრების შეხედულებები იყოფა ორ კატეგორიად: ვინც მხარს უჭერს აშშ-თან უსაფრთხოების თანამშრომლობას და ვისაც არ სურს მონაწილეობა ამ ურთიერთობაში. ტალიბებს უჭირთ აშშ-თან ურთიერთობის საჭიროების აღიარება - საზოგადოებრივი და პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერების, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტის ჰამიდ კარზაის წინაშე, რომელსაც ტალიბები „აშშ-ის მარიონეტს" უწოდებდნენ. ოპოზიციის ლიდერებს შეუძლიათ გამოიყენონ აშშ-ტალიბანის თანამშრომლობა, როგორც ინსტრუმენტი - პოლიტიკური მიზნებისთვის. ქვეყანაში აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ლიდერის აღქმამ შეიძლება შელახოს მათი პოლიტიკური იმიჯი საზოგადოებაში, განსაკუთრებით პუშტუნების

[186]Alex Marquardt, Qatar's prime minister met with top Taliban leader in Afghanistan earlier this month, sources say, CNN, May 31, 2023.

მიერ დომინირებულ რაიონებში. ტალიბებს უჭირთ აშშ-თან ცივილიზებული ურთიერთობების დამყარება[187].

ამ ეტაპზე, აშშ-ისათვის მთავარი გამოწვევა არის საშინაო პოლიტიკა. ბაიდენის ადმინისტრაცია ავღანეთიდან გასვლის გამო, ამერიკული მედიის და ოპოზიციის უზარმაზარი კრიტიკის ქვეშ მოექცა. კერძოდ, ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, აქტიური და აგრესიული გამოსვლების გამო. ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა პრეზიდენტმა ბაიდენმა წამოიწყოს შედეგზე ორიენტირებული დიალოგი ტალიბანთან. ამავე დროს, მან შეიძლება უგულებელყოს ადამიანის უფლებების დარღვევა ავღანეთში, რათა წარმატებული ნაბიჯი გადადგას საპრეზიდენტო არჩევნებამდე. ტალიბანის საკითხი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ზედმეტად პოლიტიზებულია. პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციას გაუჭირდება ტალიბანის მოთხოვნების მიღება, განსაკუთრებით კი მათთვის სანქციების მოხსნა. მეორე მთავარი გამოწვევა არის ტალიბების მიმართ ნდობის ნაკლებობა, ფონდების ფინანსური გამჭვირვალობის მხრივ. სწორედ, ამიტომ არის შეჩერებული ავღანეთის კუთვნილი - 3,5 მლდ დოლარის აქტივები[188].

აშშ-ის სურს, ავღანეთის ამჟამიდელმა მთავრობამ, წარმოადგინოს წინადადება ან რაიმე მექანიზმი ავღანეთში ფონდების ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ. ტალიბანის კონტროლი ავღანეთის ცენტრალურ ბანკსა (DAB) და ავღანეთის საზოგადოებისთვის თანხების გადაცემის სხვა ალტერნატიული გზის არარსებობა იწვევს აშშ-ის ოფიციალური პირების შეშფოთებას. არც ტალიბებს სურთ, დათმონ კონტროლი DAB-ზე და არც აშშ არის მზად, შეარბილოს პოლიტიკა აქტივებთან დაკავშირებით[189].

---

187 Graeme Smith and Ibraheem Bahiss, The World Has No Choice But to Work With the Taliban, foreign affairs, Aug 11, 2023.

188 Jonathan Landay and Charlotte Greenfield, Exclusive: Audit fails to win U.S. backing for release of Afghan central-bank funds, REUTERS, Jul 21, 2023.

189 United Against Inhumanity, Bin the rhetoric: Recapitalize Afghanistan’s Central Bank, Jun 26, 2023.

არსებულ სიტუაციაზე დაყრდნობით, აშშ-ისა და ტალიბანს შორის ურთიერთობის განვითარების შემდეგი, შესაძლო სცენარები ვიხილოთ:

ორ მხარეს შორის კონტრტერორისტული თანამშრომლობა გაგრძელდება. თუმცა, ურთიერთობის მასშტაბები შეიძლება განსხვავდებოდეს შიდა პოლიტიკის, ავღანეთში ტერორისტული დაჯგუფებების მოქმედებებისა და რეგიონული დაინტერესებული მხარეების გეოპოლიტიკის მიხედვით. აშშ შეშფოთებულია ალ-კაიდას ყოფნით ავღანეთში, მიუხედავად იმისა, რომ ტალიბანი ოფიციალურად უარყოფს ამ ბრალდებას. 2021 წლის აგვისტოს შემდეგ, აბუ ალ-მასრის სამოგზაურო დოკუმენტი - „თაზქარა" (არაბ. ბილეთი) მიანიშნებს ტალიბებსა და ალ-კაიდას უმაღლეს ხელმძღვანელობას შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობაზე[190].

ტალიბების მუდმივმა უარმა, ალ-კაიდას ხელმძღვანელი პირების გადაცემის თაობაზე, შესაძლოა შეაფერხოს კონტრტერორისტული თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ალ-კაიდას ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ავიაციის გამოყენების შესაძლებლობა, აშშ-ისათვის პრაქტიკულ ვარიანტად დარჩება, რაც, კიდევ უფრო, გააუარესებს ორმხრივ ურთიერთობებს. თუმცა, IS-K-ის წინააღმდეგ თანამშრომლობა გაგრძელდება, ორივე მხარის ინტერესთან თანხვდომის გამო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხარეები გააგრძელებენ თანამშრომლობის სხვადასხვა ვარიანტების განხილვას - მესამე ქვეყანაში (დოჰა, ყატარი). თუმცა, მოლაპარაკების პროცესი არ იქნება შედეგზე ორიენტირებული და სავარაუდოდ, მყიფედ დარჩება. ორ მხარეს შორის დიალოგის/ნორმალიზაციის ყოვლისმომცველი ჩარჩოს არარსებობა დიდწილად, დამოკიდებული იქნება ტალიბანის მიდგომაზე, ქცევასა და პოლიტიკაზე. ტალიბებს არ სურთ განიხილონ ძირითადი საკითხები (გოგონების განათლება, ქალებისათვის მუშაობის აკრძალვა და ალ-კაიდას არსებობა

---

190 The US-Taliban Relations: Interests, Challenges, and Prospects. https://epc.ae/en/details/featured/the-us-taliban-relations-interests-challenges-and-prospects. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024).

ავღანეთში), რადგან ეს მათ შიდა საქმეებში ჩარევად მიაჩნიათ, იზოლაციონალიზმის პოლიტიკის მიხედვით.

საბოლოოდ, ტალიბანის პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებს უბიძგებს მოძებნოს სხვა ვარიანტები, ავღანეთის მთავრობაზე ზეწოლის მიზნით. როგორც ჩანს, ტალიბებზე ზეწოლის ყველაზე ეფექტური გზა, ჩრდილოეთ ავღანეთში - NRF-ის გაძლიერებაა. ორმხრივი დაძაბულობისა და უნდობლობის შესამცირებლად, აუცილებელია ყოვლისმომცველი ჩარჩო ან დიალოგის პროცესში. მესამე მხარის მედიაცია არის ერთ-ერთი ეფექტური გზა პროცესის დასაწყებად. მიუხედავად იმისა, რომ აშშ საკონსულტაციო მიდგომას იყენებს ავღანეთთან, ტალიბანის ხელისუფლება პროცესში სრულად ჩართული მაინც არ არის.

**პაკისტანი:** ავღანეთის მეზობელი სახელმწიფო პაკისტანი, ექსპერტების მოსაზრებით, დესტაბილიზაციის როლს ასრულებდა ავღანეთში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში, ათწლეულების განმავლობაში. ის აქტიურად უჭერდა მხარს ტალიბანს, შექმნის ეტაპიდან - ავღანეთის მთავრობაში ხელმეორედ მოსვლამდე[191]. 2021 წლის აგვისტოდან, პაკისტანის მაღალჩინოსნებმა არაერთი შეხვედრა გამართეს ტალიბანის ახალ მთავრობასთან, როგორც ქაბულში, ასევე ისლამაბადში. თუმცა, არსებობს ეჭვი, რომ ტალიბანის ხელისუფლებაში დაბრუნება გამოწვევებს უქმნის პაკისტანსაც. ტალიბანის გამარჯვებამ, სავარაუდოდ, სტიმული მისცა პაკისტანში დაფუძნებულ ისლამისტურ ტერორისტულ დაჯგუფებებს (Tehreek-i ტალიბანი პაკისტანი, ან TTP, აშშ-ის მიერ დანიშნული FTO)[192]. თავდასხმები პაკისტანის წინააღმდეგ, 2021 წლის აგვისტოს შემდეგ, გაიზარდა, რის გამოც პაკისტანის მთავრობა იძულებული გახდა ავღანური ტალიბანის შუამავლობით გადაეჭრა პრობლემა. ავღანეთ-პაკისტანის ურთიერთობას, ართულებს

[191] Ishaan Tharoor, “Pakistan’s hand in the Taliban’s victory,” Washington Post, August 18, 2021;
[192] Abdul Sayed and Tore Hamming, “The Tehrik-i-Taliban Pakistan after the Taliban’s Afghanistan takeover,” CTC Sentinel, May 5, 2023.

ერთ მილიონზე მეტი ავღანელი ლტოლვილის ყოფნა პაკისტანში, ისევე როგორც ხანგრძლივი დავა საერთო საზღვრებთან დაკავშირებით.

2022 წლის აპრილში, ისლამაბადმა მოუწოდა ქაბულს "დაეცვა პაკ-ავღანეთის სასაზღვრო რეგიონი და მიეღო მკაცრი ზომები პაკისტანში ტერორისტულ აქტებში ჩართული პირების წინააღმდეგ".

**ჩინეთი:** ტალიბების მიერ ავღანეთში ხელისუფლების კვლავ ხელში აღების შემდეგ, ჩინეთმა დაიწყო გავლენის მოპოვება ავღანეთში. მან გარკვეული ეკონომიკური ინვესტიციები ჩადო ავღანეთში, ტალიბანის ხელისუფლებაში კვლავ მოსვლამდეც, თუმცა, ავღანეთში არსებული არასტაბილურობის გათვალისწინებით მსხვილი პროექტები არ განუხორციელებია. 2022 წლის მაისში, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ქაბულში, რომელმაც ქვეყნის ხედვა გააცნო ტალიბანის მმართველობას და დაადასტურა პატივისცემა ავღანელი ხალხის დამოუკიდებელი არჩევანის მიმართ[193]. 2023 წლის სექტემბერში, ჩინეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ახალი ელჩი წარადგინა ქაბულში, 2021 წლის შემდეგ. მომდევნო თვეში, ტალიბანის წარმომადგენლები ეწვივნენ პეკინს, სადაც მზაობა განაცხადეს ჩინეთის სარტყელსა და გზის ინიციატივაში გაწევრიანების შესახებ.

ჩინეთის ეკონომიკური სტრატეგია ავღანეთსა და ცენტრალურ აზიაში, არის მათ ეკონომიკურ ზონაზე გავლენის მოპოვება ინფრასტრუქტურისა და საკომუნიკაციო ქსელების დაფინანსების მეშვეობით (სარტყელი და გზის ინიციატივის მეშვეობით)[194]. ჩინეთი მსგავსი ქმედებით ცდილობს დაუკავშირდეს ცენტრალურ აზიას, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას. მას შეუძლია ისარგებლოს ავღანეთის ისტორიული სავაჭრო კერებით, გაზარდოს და ხელი შეუწყოს ვაჭრობას - „იმპერიების გზაჯვარედინზე“. 2023 წლის მაისში, ტალიბანი დაეთანხმა პეკინს, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის გამყარებაზე. ჩინეთის პირდაპირი

---

[193] Shannon Tiezzi, “China signals it’s back to business as usual with Taliban government,” Diplomat, March 25, 2022.

[194] Dr Yu Jie, Jon Wallace, What is China’s Belt and Road Initiative (BRI)?, CHATHAM HOUSE, Sept 13, 2021.

ინვესტიცია ავღანეთში, გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკისათვის, რადგან დიდი თანხების ინვესტირება დაუცველ და არასტაბილურ ქვეყნებში არამომგებიანია. მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, პეკინსა და ქაბულს შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმება გაფორმდა[195].

ტალიბანისთვის ჩინეთი ერთ-ერთ მნიშვნელოვან იმედად რჩება ეკონომიკური განვითარების მისაღწევად, ხოლო ავღანური რესურსები საინტერესოა ჩინური ფირმებისა და მთავრობისთვის. განსაკუთრებით, ნედლი მინერალები, რამაც გადამწყვეტი როლი შეიძლება შეასრულოს მსოფლიოში. ჩინეთი უკვე აკონტროლებს ავღანეთის ეკონომიკის უმეტეს ნაწილს, რაც ევროკავშირისა და მისი მოკავშირეებისათვის რეალურ გამოწვევას წარმოადგენს, მწვანე ენერგიის პოლიტიკის ფარგლებში. ავღანეთის მინერალური მარაგი 1-3 ტრილიონი აშშ დოლარით არის შეფასებული და ჯერ კიდევ ხელუხლებელია. გარდა ლითიუმის მნიშვნელოვანი რაოდენობისა, რამაც შეიძლება, ის მსოფლიოში პირველ ადგილზე დააყენოს. ავღანეთს აქვს რკინის მადანი და სპილენძით მდიდარი ნიადაგი. ეს არის პოტენციური ეკონომიკური ოქროს მაღარო ტალიბებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, მისი გამოყენებით მოახერხებენ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორობის დამყარებას, საერთაშორისო განვითარების დახმარების არარსებობის შემთხვევაში.

ჩინეთის უსაფრთხოებას არღვევს უიღურული დამოუკიდებლობის მოძრაობა სინძიანში, რომელსაც ქვეყანა ტერორისტულ საფრთხედ მიიჩნევს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის მხარდაჭერა, რომელიც უიღურებმა მოიპოვეს ერაყში, ავღანეთსა და სირიაში. ჩინეთის უსაფრთხოების სტრატეგია ორიენტირებულია კონტრტერორიზმზე. მას შემდეგ, რაც 2021 წელს, ტალიბანმა ჩინეთის ყურადღება მიიპყრო, რეგიონში გაიზარდა უცხოური ტერორისტული დაჯგუფების საფრთხეები ქვეყანაში. ჩინეთ-ავღანეთის ურთიერთობა საწყის ეტაპზე, ჰუმანიტარული

[195] Lilly Blumenthal, Caitlin Purdy, Victoria Bassett, Chinese investment in Afghanistan's lithium sector: A long shot in the short term, BROOKINGS, Aug 3, 2023.

დერეფნებით შემოიფარგლა, რამაც შეცვალა სტრატეგიული მიდგომა მთელს რეგიონში. მათ შორის პაკისტანში, ირანსა და ცენტრალურ აზიაში.

**ირანი:** ირანსა და ავღანეთს აქვთ საერთო საზღვარი, მსგავსი კულტურები და ენები. ასევე, სხვადასხვა მიზნით, საერთო რეგიონული ინტერესები. 2021 წელს, ავღანეთში ტალიბანის კვლავ მოსვლამ, ორი ქვეყნის ურთიერთობაში ახალი გამოწვევები წარმოქმნა. ეს მოიცავს ავღანეთის მდინარეების წყალზე წვდომას, ავღანელი ლტოლვილების რაოდენობის ზრდას ირანში, უკანონო ნარკოტიკების შემოდინებასა და ტალიბების თავდასხმებს ავღანელ, შიიტ-პუშტუნ მუსლიმებზე[196].

2022 წელს, ირანის მესაზღვრეებსა და ავღანეთის შეიარაღებულ ძალებს შორის სასაზღვრო შეტაკებების სერია დაიწყო. თუმცა, ირანმა გარკვეული სახის თანამშრომლობა შეინარჩუნა ავღანეთთან, მას შემდეგ, რაც ტალიბანი დაბრუნდა ხელისუფლებაში[197]. გამწვავებული სიტუაციის განმუხტვის მიზნით, იმავე წელს, ირანის დელეგაცია ჩავიდა ქაბულში, რათა სასაზღვრო საკითხი განეხილათ. ირანსა და ავღანეთს 572 მილის სასაზღვრო ზოლი აქვთ, რომელიც იწყება ჩრდილო-დასავლეთ ავღანეთიდან-თურქმენეთამდე და მთავრდება სამხრეთით პაკისტანთან[198]. საზღვრის დიდი ნაწილი ბრიტანელებმა გავლეს, 1872 წელს, მაგრამ დაძაბულობა ქვეყნებს შორის მაინც რჩება. სამხრეთ რეგიონში არსებობს სამი ძირითადი სასაზღვრო გადასასვლელი. მათგან ყველაზე ხშირად გამოიყენება ზარანჯის გადასასვლელი - სამშენებლო მასალის, ნავთობის და საკვები პროდუქციის გადასატანად. ამავე დროს, სწორედ ამ ადგილიდან, ავღანელი ლტოლვილები ცდილობენ ირანში გადასვლას.

---

[196] Grant Farr, Iran and Afghanistan: Growing Tensions after the Return of the Taliban, E-international Relations, Aug 23 2022.

[197] Barnett R. Rubin, fghanistan after U.S. Withdrawal: Five Conclusions, Carnegie Corporation of New York, October 31, 2022.

[198] Boundaries of Afghanistan. https://www.iranicaonline.org/articles/boundaries-iii. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

ირანს წყლის საკითხთან დაკავშირებითაც აქვს პრობლემა ტალიბანთან. ჰამუნის ტბა, რომელიც მარაგდება მდინარე ჰელმანდიდან, მდებარეობს ირანის, პაკისტანისა და ავღანეთის სამხრეთ საზღვარზე. ეს არის წყლის მთავარი რეზერვუარი სამხრეთ-დასავლეთ ავღანეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანში. ასევე, ირანისათვის უდიდესი მტკნარი წყლის ეს ტბა - მნიშვნელოვანია ეკონომიკისა და გარემოსათვის. აღნიშნული ტბით მარაგდება ირანის ყველაზე ღარიბი პროვინცია. 1999-2001 წლებში, არსებულმა ძლიერმა გვალვებმა წყლის მიწოდების შემცირება გამოიწვია რეგიონში. 2016 წელს, იუნესკომ ჰამუნის ტბა მსოფლიო ბიოსფერულ ნაკრძალად გამოაცხადა, ეკოლოგიური, კულტურული და ეკონომიკის შენარჩუნების მიზნით. ავღანეთი წლების განმავლობაში აშენებდა კაშხლების სერიას, რომელიც წყლით მარაგდება მდინარე ჰელმანდიდან. ამ კაშხლებმა შეამცირა ირანში მიმავალი წყლის რაოდენობა. ირანსა და ავღანეთს შორის მთავარი დაპირისპირება კამალ ხანის კაშხლის მშენებლობამ გამოიწვია. ტალიბანის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ არ მისცეს ირანს დამატებით წყალმომარაგება, ხელშეკრულების წესების მიხედვით[199].

ლტოლვილები არის კიდევ ერთი საკითხი, რამაც დაძაბულობა გამოიწვია ავღანეთსა და ირანს შორის. 2021 წლის აგვისტოდან, ირანში 3 მლნ-ზე მეტი ავღანელი ლტოლვილი შევიდა[200]. გადასულ ავღანელებს შორის არიან ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, ძირითადად ტაჯიკები (სპარსულად მოლაპარაკეები) და ჰაზარები (შიიტი მუსლიმები, რომლებსაც დევნიან ავღანეთში). ლტოლვილთა დიდი ნაწილი თავმოყრილია ირანის დიდ ქალაქებში, სადაც ისინი ცდილობენ სამუშაოს პოვნას. მცირე უპირატესობა აქვთ ავღანელ ლტოლვილებს, რომლებიც ოფიციალურად არიან რეგისტრირებული ირანში. მათ შვილებს სკოლაში სიარულისა და სამედიცინო მომსახურების უფლება აქვთ, ხოლო ავღანელ მამაკაცებს ირანელ ქალებზე დაქორწინების. ირანში არაოფიციალურად მყოფ ავღანელებს შედარებით ცუდი სოციალური პირობები აქვთ.

[199] United States Institute of Peace, Iran and Afghanistan Clash over Water Rights, May 30, 2023.
[200] Shanthie Mariet D'Souza, An Iranian Reversal on Afghan Refugees, THE DIPLOMAT, Nov 14, 2023.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ავღანეთი იყო ოპიუმის წამყვანი მწარმოებელი მსოფლიოში და აწარმოებდა ჰეროინს, მარიხუანასა და მეტამფეტამინს. ავღანეთში 6 000 ტონაზე მეტი ოპიუმი და 320 ტონა სუფთა ჰეროინი იწარმოებოდა, რაც მსოფლიო ბაზრის 85%-ს ამარაგებდა. ნარკოტიკების უმეტესი ნაწილი კონტრაბანდულად შედიოდა ირანში, პაკისტანში და შუა აზიის მეშვეობით, ხვდებოდა სხვა ქვეყნებში[201]. ტალიბებმა, ავღანეთის ხელისუფლებაში მეორედ მოსვლის შემდეგ, ოფიციალურად აკრძალეს ოპიუმის მოყვანა და ჰეროინის წარმოება. ირანიც ცდილობდა ქვეყანაში არალეგალური ნარკოტიკების ნაკადის აკრძალვას. გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ორგანიზაციის (UNOCD) მონაცემების მიხედვით, ირანზე მოდის მსოფლიოში ამოღებული ოპიუმის 74% და ჰეროინის 25%. ირანი ყოველწლიურად მილიონობით დოლარს ხარჯავს საზღვრის გასაკონტროლებლად. თუმცა, ავღანეთის საზღვარზე ნარკოტიკებთან ბრძოლა რთული სამუშაოა. ირანის მონაცემების მიხედვით, 3700-ზე მეტი ნარკოაგენტი დაიღუპა და 12 000-ზე მეტი დაშავდა ნარკოტიკებთან ბრძოლის ოპერაციებში (UNODC, 2021).

ირანი ცდილობს გარკვევას, თუ, რამდენად შეუძლია ტალიბანთან ურთიერთობა. ტალიბანის მოქმედებები ირანისთვის მიუღებელია, არსებული დაძაბულობა კი შეიძლება გადაიზარდოს შეიარაღებულ კონფლიქტში.

**ევროკავშირი:** 2021 წლის აგვისტოში, ტალიბების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ ქვეყანაზე დასავლური სანქციების ტალღა გამოიწვია  და ავღანეთის განვითარებისთვის გამოყოფილი ყველა დახმარების შეწყვეტა. შედეგად, ავღანეთის ეკონომიკა და საბანკო სისტემა ჩამოიშალა. ქვეყანა აღმოჩნდა ჰუმანიტარულ კრიზისში, რომლის მოსახლეობის (დაახლოებით) ნახევარს დახმარება ესაჭიროებოდა. ევროკავშირმა არ აღიარა ტალიბანი - ავღანეთის ლეგიტიმურ

[201] Shehryar Fazli, The Impact of Afghanistan's Drug Trade on its Neighbours (PDF), Serious Organized Crime & Anti-Corruption Evidence, Nov, 2023.

მთავრობად, რაც უარყოფითად აისახა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, ჰუმანიტარულ დახმარებასაა და უსაფრთხოების საკითხზე.

ევროკავშირის ინტერესს წარმოადგენდა ავღანეთის ბუნებრივი რესურსები. ამიტომაც აგრძელებდა ავღანელი ხალხის მხარდაჭერას, ჰუმანიტარული დახმარების მეშვეობით. ამავე დროს, ის დაჟინებით ითხოვს ტალიბანისგან მათი ვალდებულებების შესრულებას, როგორიც არის: საერთაშორისო ხელშეკრულებების პატივისცემა, ავღანეთის კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და თანაბარი წარმომადგენლობა ქვეყნის მმართველობაში[202].

ევროკავშირის დახმარება კვლავ შეჩერებულია, რადგან საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღიარებს ტალიბანის მმართველობას, ამიტომ ტალიბები დე-ფაქტო მმართველ ძალად ითვლებიან, ავღანეთში. ევროკავშირი ყურადღებას აქცევს დაუცველ მოსახლეობას, ქალებს, ავღანეთიდან იძულებით გადაადგილებული პირებსა (დევნილებს) და ლტოლვილებს. მათ დასახმარებლად 2021 წელს, 79 მლნ ევრო გამოყო ირანსა და პაკისტანში.

ავღანეთში განვითარებული მოვლენებით კვლავ შეშფოთებულია ევროკავშირი. ჩინეთ-ავღანეთის კავშირის თავდაპირველი გავლენა ევროკავშირზე, დაკავშირებულია ძალთა რეგიონულ ბალანსთან. ახალი აბრეშუმის გზის გავლა ევროპაში, საფრთხეს შეუქმნის ევროკავშირის სტრატეგიულ ავტონომიას. გარდა ამისა, ტალიბანისა და ჩინეთის უფრო მჭიდრო კავშირმა შეიძლება განაპირობოს ევროკავშირის ჰუმანიტარული დახმარების საჭიროება. ძალთა ბალანსის მისაღწევად ევროკავშირი, დოჰაში გამართულ შეხვედრების მეშვეობითა და მისი მისიით ქაბულში, კვლავ რჩება ავღანეთის პროცესებში ჩართულ მხარედ. რამდენიმე ქვეყანამ შეინარჩუნა საელჩოები ქვეყნის შიგნით, უფრო ძლიერი გავლენის მოსაპოვებლად. მათ შორისაა ირანი, პაკისტანი, კატარი, რუსეთი, თურქეთი და უზბეკეთი, ასევე

[202] Andrew Watkins, Timor Sharan, Europe's Engagement in Afghanistan Post-2021 Uncertainty, Pragmatism, and Continued Partnership (PDF), Friedrich Ebert Stiftung, 2021.

ჩინეთიც. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად მეზობლები ან რეგიონული ძალები არიან, ზოგიერთმა უკვე მოიპოვა მნიშვნელოვანი გავლენა რეგიონში. ევროკავშირი და მისი მოკავშირეები, მათ შორის აშშ, აცნობიერებენ ტალიბანთან ურთიერთობის საჭიროებას. ევროკავშირს სჭირდება გამოწვევების საპასუხოდ ერთიანი სტრატეგია ავღანეთთან ურთიერთობის გასაგრძელებლად[203].

გასული 20 წლისგან მიღებული გაკვეთილების შედეგს მიღმა, მზაობისა და კრიზისზე რეაგირების დროს, ევროკავშირი ფხიზლად უნდა იყოს ავღანეთსა და მის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე. ტალიბანის რეჟიმის რადიკალიზაცია, რამაც შესაძლოა შეასუსტოს ევროკავშირის პოზიცია ავღანეთში და მისი შესაძლებლობა, დაეხმაროს დაუცველ მოსახლეობას.

ევროკავშირის ქმედებები უნდა დაბალანსდეს ავღანეთში, მაგრამ ჩინეთის ნაბიჯებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ამ პოლიტიკას და ინტერესებს[204]. ამასთან დაკავშირებით, ჟოზეფ ბორელმა განაცხადა, რომ უნდა გაიზარდოს კონკურენცია ჩინეთსა და ევროკავშირს შორის. ევროკავშირმა ავღანეთის გეოეკონომიკურ სფეროში უნდა გაუწიოს ჩინეთს მეტოქეობა. ამრიგად, ევროკავშირი უნდა დაინტერესდეს ჩინეთის პრობლემებით. ვინაიდან, ადამიანის უფლებების დარღვევა - ტიბეტში, სინძიანსა და ჰონგ კონგში, დაძაბულობა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში და ჩინეთის ამბივალენტური დამოკიდებულება რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით არის ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც უნდა მიიღოს ევროკავშირმა, განიხილოს პეკინთან ურთიერთობისას, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში[205].

---

203 Marlene Laruelle, Sebastien Peyrouse and Vera Axyonova, The Afghanistan Central Asia relationship: What role for the EU?(PDF), EUCAM-SD, Feb 2013.

204 Holly O'Mahony, Junior Researcher, EIAS, EU-China security cooperation: An intersection of interests?, EIAS LATEST, May 3, 2021.

205 Dr Oz HASSAN, Afghanistan: Lessons learnt from 20 years of supporting democracy, development and security (PDF), European Parliament coordinator: Policy Department for External Relations Directorate General for External Policies of the Union, Jan, 2023.

## 3.3. ემპირიული კვლევა - ექსპერტების გამოკითხვა, ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ

კვლევის ფარგლებში გამოვკითხეთ სხვადასხვა დარგის ექსპერტი. შერჩეულ რესპოდენტებთან ჩავატარეთ ნახევრად სტრუქტურირებული, ჩაღრმავებული ინტერვიუები.

კვლევის მიმდინარეობისას გამოვიყენეთ შემდეგი საკვლევი კითხვები:

- რა თავისებურებებით გამოირჩევა ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი?
- რამ განაპირობა ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და რა გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკაზე?
- როგორ მოქმედებს ტალიბების მიერ ქვეყნის მმართველობის კვლავ ხელში აღება ავღანეთის უსაფრთხოებაზე?
- რა ტიპის სახელმწიფოებრიობის პრობლემის წინაშე დგას ავღანეთი, ტალიბანის მმართველობის პირობებში?

რესპოდენტები:

1. **კახაბერ დემეტრაშვილი** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი, საქართველოს უნივერსიტეტის (UG) მოწვეული ლექტორი, ისტორიის დოქტორი;

2. **ალეკო გუჩუა** - ასოცირებული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

3. **ვახტანგ მაისაია** - პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო

პროგრამის და გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

4. **გელა გიორგაძე** - თადარიგის ბრიგადის გენერალი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი;

5. **რომან ჯანჯულია** - პოლკოვნიკი, სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ეროვნული და უსაფრთხოების სასწავლო-ანალიტიკური ცენტრის უფროსი.

## კვლევის შედეგების ანალიზი

ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპოდენტების პოზიცია ზოგიერთ საკითხთან მიმართებით მსგავსია, ზოგთან კი განსხვავებული. პირველ საკლევ კითხვაზე, თუ რა თავისებურებებით გამოირჩევა ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი, რესპოდენტების მოსაზრებები განსხვავდება. კერძოდ, ექსპერტი კახაბერ დემეტრაშვილი ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეტაპების განხილვისას გამოყოფს ქვეყნის უძველეს პერიოდს, მონარქიული მმართველობის დასასრულსა და ავღანეთის დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნას. მისი მოსაზრებით ,,ავღანეთის ისტორია აერთიანებს ავღანეთის არსებობის პერიოდს უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. სახელწოდება "ავღანეთი" პირველად XIV საუკუნის წყაროებში გვხვდება. ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე (1747) ტერმინი „ავღანეთი" მხოლოდ ეთნიკურ-გეოგრაფიული მნიშვნელობით გამოიყენებოდა. XVIII საუკუნეში, 1747 წელს, ნადირ-შაჰის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ავღანეთში განახლდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა. პუშტუნთა ერთ-ერთი ტომის, აბდალიების ტომის სადოზაის გვარის ბელადი აჰმად ხანი, ტომთა გავლენიანი თავკაცების მხარდაჭერით, ბრძოლით დაეუფლა დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიას და აგრეთვე, დღევანდელი პაკისტანის, ირანის, თურქმენეთის,

ტაჯიკეთის, უზბეკეთის გარკვეულ ტერიტორიებს და თავი ავღანეთის გაერთიანებული სახელმწიფოს მბრძანებლად — შაჰად გამოაცხადა. XIX საუკუნის 20-იან წლებში დიდ ბრიტანეთსა და რუსეთის იმპერიებს შორის დაიწყო ის, რასაც მოგვიანებით უწოდეს „დიდი თამაში“. ეს სიტყვები იქცა ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში ამ იმპერიების დიპლომატიური დაპირისპირების აღმნიშვნელ გეოპოლიტიკურ ტერმინად. ავღანეთი „დიდი თამაშის“ ეპიცენტრში აღმოჩნდა. 1972 წელს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. 1973 წლის 17 ივლისს, ავღანეთის ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფმა გენერალ მუჰამედ დაუდის ხელმძღვანელობით, მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება - დაამხო მონარქია და გამოაცხადა რესპუბლიკა. 1978 წლის საურის (აპრილის) რევოლუციის შედეგად, ავღანეთი გამოცხადდა დემოკრატიულ რესპუბლიკად“. შემდეგი რესპოდენტი ალეკო გუჩუა ავღანეთის ჩამოყალიბების თავისებურებების უფრო ფართო სპექტრს განიხილავს. მისი აზრით ,,სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი, სხვადასხვა ქვეყნებმა გარკვეული თავისებურებებით გაიარეს, რაზეც დამოკიდებული იყო ძალიან ბევრი ფაქტორი, მათ შორის: მმართველი ძალის პოლიტიკა, საერთაშორისო და რეგიონული აქტორების დამოკიდებულება, შიდა პოლიტიკური მმართველობა, ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური სტაბილურობის არსებობა, გარე აქტორების ინტერესები, სოციალური სურათი და ა.შ. შესაბამისად, ჯერჯერობით, რიგი სირთულეებით მიმდინარეობს ავღანეთში სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი, რასაც გარკვეული პერიოდი დასჭირდება’’. დარგის ექსპერტი, ვახტანგ მაისაია ავღანეთის ჩამოყალიბების თავისებურებების განხილვისას, წინა რესპოდენტებისგან განსხვავებით, გამოყოფს კლანურ-ტომობრივი მოწყობის სისტემასა და რელიგიურ დოქტრინას, რომელიც დღემდე მიჰყვება ავღანელი მოსახლეობის უმრავლესობა. მისი აზრით ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი არის მრავალმხრივი, რადგანაც მას გააჩნია დიდი ისტორიული საფუძველი. ვინაიდან, იგი ჩამოყალიბდა ერთიან სახელმწიფოდ 1745 წელს, როგორც ისლამური საამირო. გასულ საუკუნეში ავღანელი დიდი

რეფორმატორის, ამანულა ხანის დიდი მცდელობების მიუხედავად, ავღანეთში მაინც არ შეიცვალა კლანურ-ტომობრივი მოწყობის სისტემა, რაზეც დიდი გავლენა ჰქონდა რელიგიურ დოქტრინას. ავღანეთში არის სრული მრავალფეროვნება ისლამური რელიგიური მიმართულებების. გელა გიორგაძე ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდის განხილვისას გამოყოფს მოსახლეობის, სახელმწიფო ტერიტორიისა და სახელმწიფო სტრუქტურების შეფასებით ნაწილს. მისი მოსაზრებით ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის გაანალიზება, რომ შევძლოთ, მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიული მონაკვეთების განხილვა, აგრეთვე, სახელმწიფოს სამი ძირითადი ელემენტის: მოსახლეობის, სახელმწიფო ტერიტორიისა და სახელმწიფო სტრუქტურების შეფასება. სამეფოს ჩამოყალიბების დღიდან, მოსახლეობა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისგან შედგება. მოსახლეობის მრავალფეროვნება, განაპირობებს შიდა კონფლიქტების წარმოშობას, რასაც ხშირად გარე ძალები, საკუთარი ინტერესების გასატარებლად იყენებენ. მოსახლეობის მრავალფეროვნება და გარე ძალების მიერ წარმოებული პოლიტიკა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება, ავღანეთის სტაბილურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე. მიმდინარე ძალაუფლების გადანაწილების პროცესი, რომელიც ცნობილია, როგორც „დიდი თამაში", ავღანეთის ტერიტორიის ბუფერულ ზონად გამოყენებას გულისხმობდა. ძირითადი მიზეზი, რომელმაც ავღანეთს სახელმწიფოს სტატუსი შეუნარჩუნა, გახლდათ ბუფერულ ზონად გამოყენების შესაძლებლობა. რესპოდენტი რომან ჯანჯულია ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდის აღწერისას, აქცენტს აკეთებს მოსახლეობის ტომებს შორის არსებულ კონფლიქტებზე, რაც ზეგავლენას ახდენდა ქვეყნის მართვის სხვადასხვა რგოლზე. მისი აზრით, სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შინაგანი პოლიტიკური არასტაბილურობა და ტომებს შორის კონფლიქტები. ეს ხშირად იწვევდა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასა და რეგიონული ლიდერების გაძლიერებას. ავღანეთი კულტურულად და რელიგიურად მრავალფეროვანი ქვეყანაა. მიუხედავად ისლამის გაძლიერებისა,

ტრადიციულად არსებობს სხვადასხვა რელიგიური და კულტურული პრაქტიკები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამ თავისებურებების კომბინაცია განსაზღვრავს ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების რთულ და მრავალფეროვან პროცესს, რაც დღემდე ახდენს გავლენას ქვეყნის განვითარებაზე.

მეორე საკვლევ კითხვაზე თუ რამ განაპირობა ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და რა გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკაზე რესპოდენტების მოსაზრებები ერთმანეთისას ემთხვევა. რესპოდენტი კახაბერ დემეტრაშვილი ასახელებს არაბების მიერ ავღანეთის ტერიტორიის დაპყრობასა და ისლამის გავრცელებას ავღანეთის ტერიტორიაზე. რასაც მოჰყვა მართვის ისეთი სისტემების დაარსება, რომლებიც იმართება ყურანითა და შარითით. კერძოდ, ის ამბობს, რომ VII საუკუნეში ავღანეთის ტერიტორიების დასავლეთი ნაწილი არაბებმა დაიპყრეს, რომლებმაც თან მოიტანეს თავიანთი კულტურა და რელიგია - ისლამი. ზოგადად, ისლამიზმი - სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, ძირითადად გავრცელებულია იმ ქვეყნებში, რომლებიც ტრადიციულად ისლამის მიმდევრები არიან. გულისხმობს მმართველობის ისეთ სისტემასთან დაბრუნებას, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ იქნება დაფუძნებული ყურანისა და შარითის (ისლამური სამართალი) დებულებებთან. ამ მოძრაობიდან გამოყოფენ ისლამურ ფუნდამენტალიზმს - ისლამის ექსტრემისტულ მიმართულებას, რომელიც ცდილობს, იარაღის ძალით დაამყაროს ისლამური რეჟიმი. „წმინდა ომი“ გამოუცხადოს „ურწმუნოებს“ (არამუსლიმებს) და ყველანაირად წინ აღუდგეს დასავლური (ევროპულ-ამერიკული) კულტურის გავლენას ისლამურ სამყაროზე. 1996 წელს ავღანეთში მართვის სადავეები ხელთ იგდო „ტალიბანის მოძრაობამ“, რომელიც ქვეყანას 2001 წლამდე მართავდა. ოცი წლის შემდეგ, ტალიბებმა კვლავ მოახერხეს კონტროლის დამყარება ავღანეთში. არაღიარებული ისლამური საამირო, რომელიც იმართება ტალიბანის მიერ ქალაქ ქაბულის დაცემის შემდეგ (2021 წლის აგვისტო) აკონტროლებს ავღანეთის დიდ ნაწილს. ქვეყნის მმართველობის სისტემაა თეოკრატია და ის

შარიათის კანონებით იმართება. მეორე რესპოდენტი, ალეკო გუჩუა, ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდას უკავშირებს საბჭოთა კავშირის ბრძოლას რელიგიის მიმართ და უცხო ქვეყნის ძალების შესვლას ქვეყანაში. მისი თქმით, საბჭოთა პერიოდში რელიგიური მიმდინარეობების წინააღმდეგ მიმართულმა ბრძოლამ უკუშედეგი გამოიღო და ამან კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ისლამისტების გააქტიურებას, ხოლო შემდგომ აშშ-ის და ნატოს კოალიციური ჯარის შესვლამ ავღანეთში რელიგიური წინააღმდეგობა კიდევ ურო გააძლიერა და ამაში ტერორისტულ ორგანიზაციებთან ერთად სხვა გარე ძალებს მიუძღვით დიდი როლი. ისლამისტებმა იკისრეს ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა და დამოუკიდებლობის მოპოვება, რამაც მათდამი ნდობა გაზარდა და ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის მიმხრობა გამოიწვია. შემდეგი რესპოდენტი ვახტან მაისაიაც იზიარებს წინა რესპოდენტის მოსაზრებას და ისლამისტების გააქტიურებას უკავშირებს საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას რელიგიის მიმართ. ასევე, საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ განვითარებულ ანარქიულ სიტუაციას ქვეყანაში. იგი აღნიშნავს, რომ ისლამური მოძრაობების გააქტიურება დაემთხვა ე.წ. „საურის რევოლუციის" დაწყებას 1978 წლის აპრილში, რასაც მოყვა კომუნისტური რეჟიმის საშინელი რეპრესიები, პირველ რიგში რელიგიური მიმდინარეობების მიმართ და შემდეგ კი ამას მოყვა საბჭოთა კავშირის ოკუპაცია 1979 წლის 27 დეკემბერს. ათწლიანმა ოკუპაციამ და შემდეგში კი ხუთწლიანმა ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის დროს განვითარებულმა ანარქიულმა სიტუაციამ კიდევ უფრო გაართულა პოლიტიკური და სოციალური ვითარება ქვეყანაში და გამოიწვია ავღანეთში რადიკალური ჯიჰადისტური დაჯგუფებების გააქტიურება, რომლებიც ძირითადად იმართებოდნენ საზღვარგარეთიდან, პირველ რიგში პაკისტანიდან და საუდის არაბეთიდან, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაც იყო სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება, თუნდაც ისლამური ლოზუნგების ეგიდით. რესპოდენტი გელა გიორგაძე კი ისლამისტების გააქტიურებას უკავშირებს ქვეყნის მართვის სუსტ პოლიტიკას და არსებულ ეთნიკურ კონფლიქტებს. მისი აზრით, ძლიერი სახელმწიფო მეთაურების ამაო

ძიებამ, ქვეყნის ერთპიროვნული კონტროლის ძალაუფლების არ ქონამ და მრავალრიცხოვანი ადგილობრივი მმართველების ქვეშ ტერიტორიულმა გადანაწილებამ, მოსახლეობას არ მისცა შესაძლებლობა, გაეთვიცნობიერებინა სახელმწიფო იდენტობა, შესაბამისად, არსებულმა ეთნიკურმა კონფლიქტებმა, შეუძლებელი გახადა ერთიანი და ეფექტური სახელმწიფო უწყებების ჩამოყალიბება. რესპოდენტი რომან ჯანჯულიაც ისლამიზმის ზრდას უკავშირებს საბჭთა ინტერვენციას და ამბობს, რომ ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა განაპირობა საბჭოთა ინტერვენციამ, უცხოურმა დახმარებამ, ტალიბანის აღზევებამ და გლობალური ტერორიზმის გავლენამ. ამ ფაქტორებმა გამოიწვია რადიკალიზაციის ზრდა, პოლიტიკური და იდეოლოგიური კონფლიქტები გაძლიერება, რამაც შედეგად ავღანეთს მოუტანა ქვეყნის განვითარების შეფერხება და რა თქმა უნდა ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევები.

შემდეგ საკვლევ კითხვაზე, თუ როგორ მოქმედებს ტალიბების მიერ ქვეყნის მმართველობის კვლავ ხელში აღება ავღანეთის უსაფრთხოებაზე ექსპერტების მოსაზრებები ერთგვარია. რესპოდენტი კახაბერ დემეტრაშვილი არ აკონკრეტებს კონკრეტულად რა შეიძლება მოხდეს ტალიბანის მმართველობის კვლავ ხელში აღების შემდგომ, თუმცა ამბობს რომ ქვეყნის მდებარეობა, ნამდვილად შეიძლება გადაიქცეს საერთაშორისო მებრძოლების ეპიცენტრად. მისი აზრით, ოცწლიანი პაუზის შემდეგ, 2021 წელს, ტალიბანმა ავღანეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე აღადგინა კონტროლი. ხელისუფლების ჩამოყალიბებამ და ლეგიტიმაციის მოპოვებამ შესაძლოა დიდი დრო წაიღოს. გახდება თუ არა ავღანეთი საერთაშორისო მებრძოლთა მორიგი შეკრების ეპიცენტრი, დამოკიდებულია ტალიბანის ურთიერთობაზე რეგიონის სახელმწიფოებთან და მის შიდა პოლიტიკაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, შექმნილი ვითარება გარკვეულ ზეგავლენას იქონიებს კავკასიის რეგიონზე და ის ჯიჰადის გამოცდილების მქონე პირთათვის შესაძლოა მიმზიდველ რეგიონად იქცეს. ტალიბანის დაბრუნების შემდეგ არსებულ გამოწვევებზე საუბრობს შემდეგი რესპოდენტი, ალეკო გუჩუა, განსაკუთრებით

ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით და გამოჰყოფს უსაფრთხოების რამდენიმე ასპექტს: პირველი ქვეყანაში ტერორისტული ჯგუფების გააქტიურება და თავისუფალი მოქმედებების არეალის ქონა. მეორე ეს არის ნარკო და ადამიანების ტრეფიკინგის კუთხით კვლავ შესაძლო პრობლემების გააქტიურება. მისი მოსაზრებით, ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან გარკვეული შეიარაღებული ძალები რომლებიც ბოლომდე არ ემორჩილებიან ტალიბანის ხელისუფლებას. უსაფრთხოების საკითხების პრობლემას რომელიც ნაწილობრივ არსებობს ემატება პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის პრობლემა, რადგან ის ხისტი მმართველობა რომელიც ჩამოყალიბდა ტალიბანის მოსვლის შემდგომ ხელისუფლებაში ადამიანის უფლებების დარღვევის მიმართულებით საკმაოდ საგანგაშოა და არ ჯდება დემოკრატიული სისტემის არცერთ პრინციპში. მნიშვნელოვანია გამოიყოს რამდენიმე ასპექტი უსაფრთხოების კუთხით: პირველი ქვეყანაში ტერორისტული ჯგუფების გააქტიურება და თავისუფალი მოქმედებების არეალის ქონა, რაც კვლავ საერთაშორისო საზოგადოებას და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს აიძულებს ანტიტერორსტული ღონისძიებების განხორციელებისკენ. მეორე ეს არის ნარკო და ადამიანების ტრეფიკინგის კუთხით კვლავ შესაძლო პრობლემების გააქტიურება. განსხვავებული მოსაზრებას გამოთქვამს ვახტანგ მაისაიაც, მისი მოსაზრებით ტალიბანის დაბრუნების შემდეგ, მისი გადაწყვეტილებები იყო ეფექტური ქვეყანაში უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, თუმცა ასახელებს არსებულ სოციალურ და ფინანსურ გამოწვევებს, რომელიც სერიოზულ ძალას წარმოადგენს „ისლამური სახალიფოსთვის“. იგი აღნიშნავს, რომ ტალიბანის ხელმეორედ მოსვლის შემდეგ ხელისუფლებაში 2021 წელს, მდგომარეობა დაექვემდებარა კონტროლს და ტალიბანის მთავრობამ მიიღო გარკვეული ეფექტური გადაწყვეტილებები - ქვეყანაში უსაფრთხოების პირობების განსამტკიცებლად, თუმცაღა რჩება მოუგვარებელი სოციალური და ფინანსური საკითხები. ამ ეტაპზე, ტალიბანისთვის სერიოზულ ძალას წარმოადგენს „ისლამური სახალიფოს“ ტერორისტული ორგანიზაცია დაეში და მისი ფილიალი „ჰორასანის ვილიათი“. რესპოდენტი გელა გიორგაძე, მიიჩნევს

რომ ტალიბების მმართველობისთვის მთავარი გამოწვევა საერთაშორისო აღიარების მოპოვებაა - ტალიბების მთავარ ამოცანას, მათი მთავრობის აღიარება წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ არავინ ჩქარობს ტალიბანის აღიარებას, საერთაშორისო საზოგადოება გამოწვევის წინაშე დგას: „რა არის ალტერნატივა და შესაძლებელია თუ არა ამ რეალობისგან თავის დაღწევა". ტალიბების დაბრუნების უარყოფით შედეგებზე საუბრობს ექსპერტი რომან ჯანჯულია, გამოყოფს შიდა კონფლიქტებისა და ტერორისტული ორგანიზაციების გავლენის ზრდაზე, რაც ეკონომიკურ ვაკუუმს უქმნის ავღანეთის სახელმწიფოს, კერძოდ იგი აღნიშნავს: ტალიბების მმართველობის დაბრუნებამ ავღანეთის უსაფრთხოებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. გაიზარდა შიდა კონფლიქტების და ძალადობის შემთხვევები, გაძლიერდა ტერორისტული ორგანიზაციების გავლენა, გაიზარდა ადამიანის უფლებების დარღვევების რაოდენობა და ქვეყანა აღმოჩნდა საერთაშორისო იზოლაციაში, რაც ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს იწვევს.

ბოლო საკვლევ კითხვაზე თუ რა ტიპის სახელმწიფოებრიობის პრობლემის წინაშე დგას ავღანეთი, ტალიბანის მმართველობის პირობებში - რესპოდენტებს უჭირთ კონკრეტული პასუხების გაცემა, თუმცა გამოთქვამენ ვარაუდებს. კახაბერ დემეტრაშვილი აღნიშნავს, რომ ტალიბანის მებრძოლები ფართო სპექტრის მეომრები არიან. ისინი ძირითადად მოქმედებენ მცირე ჯგუფებად. მათი სამხედრო მოქმედებები უმეტესად პარტიზანული ხასიათისაა და მოქმედების არეალი არის ავღანეთი და პაკისტანი. ავღანეთის რესპუბლიკაში ტალიბანი შეავიწროვა სამშვიდობო მისიამ და მათი მოქმედების არეალი შეზღუდულია. დამარცხების შემდეგ, ტალიბანის ლიდერები ავღანეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში, პაკისტანის მოსაზღვრე რეგიონებში გაიქცნენ და გამაგრდნენ. ტალიბანი გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან აღიარებულია, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია. 2021 წელს ტალიბებმა კვლავ მოიპოვეს უპირატესობა ავღანეთში. ჯერ-ჯერობით უცნობია, როგორ განვითარდება საერთაშორისო საზოგადოების ურთიერთობა ავღანეთთან ახალ რეალობაში - აღიარებს თუ არა ქვეყნების უმრავლესობა ავღანეთის

ახალ მთავრობას. ექსპერტი ალეკო გუჩუას მოზარებით მთავარი გამოწვევა სახელმწიფოს წინაშე რაც დგას არის ტოტალიტარული მმართველობა, რასაც რიგი პრობლემები მოჰყვება. მისი აზრით, მნიშვნელოვანი ის პრობლემა რომელიც დგას სახელმწიფოებრიობის კუთხით ავღანეთში, რადგან მმართველობის სისტემა აშკარად არის ტოტალიტარული, სადაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მიმართულებით ძალიან რთული ვითარებაა. არსებული ხელისუფლების პოლიტიკა მიმართულია ტერორზე და ძალაუფლების კიდევ უფრო განმტკიცებაზე, რაც დაფუძნებულია აგრესიაზე და ძალადობაზე, რასაც დროთა განმავლობაში გარკვეული მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს. მითუმეტეს მაშინ როდესაც ამ საქმეში გარე ძალები ჩაერთვებიან.

ტალიბების მართვის სტილის ნეგატიურ შედეგებზე საუბრობს შემდგი რესპოდენტი ვახტანგ მაისაიაც და დამატებით ხსნის თუ როგორ იმოქმედა ტალიბების იზოლაციონიზმის მართვის სტილმა ადამიანის უფლებების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე ქვეყანაში. იგი აღნიშნავს, რომ ავღანეთში ტალიბანის მმართველობის ხელმეორედ მოსვლის შემდეგ, მათი მართვის სტილი არ შეცვლილა. ტალიბებმა მიმართეს იზოლაციონიზმის პოლიტიკას, რასაც მოჰყვა გარე აქტორებისა და მეზობელი ქვეყნების მიერ უარყოფითი განწყობები. შედეგად, ქვეყანაში შეიქმნა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სახის პრობლემები. ასევე, მათი მართვის სტილმა განაპირობა ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებსა და სოციალურ სიდუხჭირეზე, რაც აისახა მოსახლეობის ნაკლებ განათლების ხელმისაწვდომობასა და ინფორმირებულობაზე სხვადასხვა საკითხის მიმართ. განსაკუთრებით ქალების მიმართ ტარდება რიგი რეპრესიები, მათ ეკრძალებათ განათლების მიღება, მუშაობა საჯარო დაწესებულებებში და ა.შ. სავარაუდოდ, ქვეყანა შეიძლება გადაიქცეს ტერორისტული ორგანიზაციების მფარველად/მხარდამჭერად, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს საგარეო ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებსა და გარე აქტორებთან. ტალიბანის მმართველობის არადემოკრატიულ ასპექტებზე მიუთითებს რესპოდენტი

გელა გიორგაძეც და აღნიშნავს, რომ კონტროლის აღდგენის შემდეგ, ტალიბებმა განახორციელეს ქმედებები, რომლებიც მოგვაგონებს 1990 წლების, სასტიკ მმართველობის პერიოდს. ადმინისტრაციული და სასამართლო სისტემის არაეფექტურად ფუნქციონირების, სათანადო ლეგიტიმაციისა და შესაბამისად, კანონის უზენაესობის გარეშე, სასურველი მიზნის „ძლიერი, სუვერენული და განვითარებული სახელმწიფოს შექმნა", მიუღწეველ ოცნებად რჩება ტალიბანის განახლებული მმართველობის პირობებშიც. ავღანეთის სახელმწიფოს წინაშე მდგარ გამოწვევებს აღწერს რომან ჯანჯულიაც და აღნიშნავს, რომ ტალიბანის მმართველობის პირობებში, ავღანეთი დგას საერთაშორისო არაღიარების, ადამიანის უფლებების დარღვევების, ეკონომიკური და ჰუმანიტარული კრიზისის, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების დეგრადაციის, და უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესების გამოწვევების წინაშე. ავღანეთის უკონტროლობა უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მსოფლიოზე. ავღანეთი შესაძლოა იქცეს ახალ ბაზად საერთაშორისო ტერორისტული ქსელებისთვის, რაც დიდ რისკს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას. როგორც არასტაბილური სახელმწიფო, ავღანეთი შეიძლება გადაიქცეს ცხელ წერტილად, სადაც რადიკალურად განწყობილი ტერორისტები მოიპოვებენ თავშესაფარს და განახორციელებენ მომავალი ოპერაციებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში. ამასთანავე, ავღანეთში არსებული ნარკოტიკის მოყვანის პოტენციალი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ტერორიზმის დაფინანსების წყარო, ასევე ნარკოტიკის გავრცელების გზით მსოფლიო მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის საფრთხის შესაქმნელად. ტალიბანის მმართველობის პირობებში, ტერორისტულმა ორგანიზაციებმა შეიძლება გააძლიერონ თავიანთი მოქმედებები და აითვისონ ავღანეთის ტერიტორია, რაც საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში შექმნის ახალ გამოწვევებს.

**შეჯამების სახით,** შეგვიძლია ვთქვათ რომ ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების თავისებურებების გამოყოფისას, რესპოდენტებმა დაასახელეს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები. ზოგიერთის მოსაზრებით, ასეთი

ფაქტორები იყო ქვეყნის უძველესი პერიოდი, მონარქიული მმართველობის დასასრული, ავღანეთის დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნა და შემდგომი პერიოდი. ასევე, გამოყოფენ ქვეყნის კლანურ-ტომობრივი მოწყობის სისტემასა და რელიგიურ დოქტრინის ფაქტორებს, რომელიც გავლენას ახდენს ავღანელი მოსახლეობის უმრავლესობაზე. დარგის ექსპერტები ქვეყნის ჩამოყალიბების თავისებურებების განხილვისას აქცენტს აკეთებენ  ტომებს შორის არსებულ კონფლიქტებზეც, რაც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა ქვეყნის მართვის  სხვადასხვა რგოლზე. ავღანეთში შექმნილი მდგომარეობა კი ზემოქმედებდა მმართველი ძალის პოლიტიკაზე, საერთაშორისო და რეგიონული აქტორების დამოკიდებულებაზე და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაზე.

მეორე საკვლევ კითხვაზე თუ რამ განაპირობა ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და რა გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკაზე - რესპოდენტების მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა. ყველა მათგანი ისლამიზმის როლის ზრდას უკავშირებს საბჭოთა ინტერვენციას ავღანეთში. ზოგიერთი მათგანი კი ქვეყნის მართვის სუსტ პოლიტიკას და არსებულ  ეთნიკურ კონფლიქტებს ავღანეთში. ასევე, ტალიბანის აღზევებასა და გლობალური ტერორიზმს. ერთ-ერთი რესპოდენტის მოსაზრებით ისლამიზმის როლის ზრდა  მოჰყვა არაბების მიერ ავღანეთის ტერიტორიის დაპყრობასა და ისლამის გავრცელებას ავღანეთის ტერიტორიაზე. რასაც მოჰყვა მართვის ისეთი სისტემების ჩამოყალიბება, რომლებიც იმართება ყურანითა და შარითით.

შემდეგ საკვლევ კითხვას თუ როგორ მოქმედებს ტალიბების მიერ ქვეყნის მმართველობის კვლავ ხელში აღება ავღანეთის უსაფრთხოებაზე რესპოდენტები თანხმდებიან, რომ მხოლოდ ნეგატიურ ზეგავლენას იქონიებს ქვეყნის მდგომარეობაზე. ექპერტები მოსაზრებების დაფიქსირებისას აღნიშნავენ, რომ ქვეყანა შეიძლება გადაიქცეს საერთაშორისო მებრძოლების ეპიცენტრად, ტერორისტებისთვის სასურველ ადგილად,  კვლავ მოიმატოს ნარკო და ადამიანების

ტრეფიკინგის შემთხვევებმა, შიდა კონფლიქტების ფონზე. ცხადია, ამას თან ერთვის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევებიც. ექსპერტები, ასევე, ასახელებენ იმ ფინანსურ გამოწვევებს, რომლებიც აისახება მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს, რომ ტალიბების მმართველობის მთავარი გამოწვევა საერთაშორისო აღიარების მოპოვებაა, რაც საერთაშორისო საზოგადოებისთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

ბოლო საკვლევ კითხვაზე, თუ რა ტიპის სახელმწიფოებრიობის პრობლემის წინაშე დგას ავღანეთი, ტალიბანის მმართველობის პირობებში - რესპოდენტები გამოთქვამენ სხვადასხვაგვარ ვარაუდს, თუმცა თანხმდებიან, რომ შედეგი იქნება ნეგატიური ქვეყნისათვის. ვინაიდან, ავღანეთი დგას საერთაშორისო არაღიარების, ადამიანის უფლებების დარღვევების, ეკონომიკური და ჰუმანიტარული კრიზისის, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების ჩამოშლის გამოწვევების წინაშე, რაც ამწვავებს ქვეყნის უსაფრთხოების მდგომარეობას. ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით, შექმნილი მდგომარეობაში მთავარ როლს ასრულებს ის ტოტალიტარული მმართველობა და იზოლაციონალიზმის პოლიტიკა, რომელიც არჩეული აქვს ტერორისტულ ორგანიზაცია ტალიბანს, რაც ცდება დემოკრატიული მართვის ფორმას და იწვევს გაურკვევლობასა და შიშს მოსახლეობაში.

რესპოდენტი N1:

კახაბერ დემეტრაშვილი პირველ კითხვაზე - რა თავისებურებებით გამოირჩევა ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი - პასუხობს, რომ ავღანეთის ისტორია აერთიანებს ავღანეთის არსებობის პერიოდს უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. სახელწოდება “ავღანეთი” პირველად XIV საუკუნის წყაროებში გვხვდება. ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე (1747) ტერმინი „ავღანეთი“ მხოლოდ ეთნიკურ-გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარებოდა.

XVIII საუკუნეში, 1747 წელს, ნადირ-შაჰის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ავღანეთში განახლდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა. პუშტუნთა ერთ-ერთი ტომის, აბდალიების ტომის სადოზაის გვარის ბელადი აჰმად ხანი, ტომთა გავლენიანი თავკაცების მხარდაჭერით, ბრძოლით დაეუფლა დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიას და აგრეთვე, დღევანდელი პაკისტანის, ირანის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის გარკვეულ ტერიტორიებს და თავი ავღანეთის გაერთიანებული სახელმწიფოს მბრძანებლად — შაჰად გამოაცხადა. მისი მოხარკე თვით დელის სულთანიც იყო. ავღანეთში გაბატონდა აბდალიების ტომის ზედაფენა, რომელმაც მიიღო სახელწოდება „დურანი“. ასე შეიქმნა „დურანის იმპერია“ (1747-1823), რომლის პირველი მონარქი გახდა აჰმად შაჰ დურანი (1747-1772), რომელსაც სამართლიანად მიიჩნევენ ავღანეთის სახელმწიფოს „მამა-დამაარსებლად“. სახელმწიფოს თავდაპირველი დედაქალაქი ყანდაჰარი იყო. მისმა მემკვიდრე თემურ შაჰ დურანიმ (1772-1793) 1776 წელს თავისი ტახტი ყანდაჰარიდან ქაბულში გადაიტანა, რომელიც მას შემდეგ ასრულებს ავღანეთის დედაქალაქის ფუნქციას. XIX საუკუნის 20-იან წლებში ღაზნის, ჯალალაბადის და ქაბულის მფლობელმა ამირა დოსთ მუჰამედმა (1834-1863) დაიწყო ქვეყნის გაერთიანება, მაგრამ ინგლისელთა აგრესიამ შეაფერხა ეს პროცესი.

XIX საუკუნის 20-იან წლებში დიდ ბრიტანეთსა და რუსეთის იმპერიებს შორის დაიწყო ის, რასაც მოგვიანებით უწოდეს „დიდი თამაში“. ეს სიტყვები იქცა ახლო

აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში ამ იმპერიების დიპლომატიური დაპირისპირების აღმნიშვნელ გეოპოლიტიკურ ტერმინად. ავღანეთი „დიდი თამაშის" ეპიცენტრში აღმოჩნდა. 1838 წლის ბოლოს ავღანეთში ინგლისელები შეიჭრნენ, რასაც მოჰყვა მათ შორის პირველი ანგლო-ავღანური ომი (1839-1842). 1842 წელს დოსთ მოჰამედმა სიტყვიერად ცნო თავის პროტექტორად დიდი ბრიტანეთის დედოფალი ვიქტორია (1837-1901). აღსანიშნავია, რომ დოსთ მუჰამედი ეკუთვნოდა პუშტუნთა ბარაქზაის ტომს და მის შემდეგ, სწორედ ბარაქზაის დინასტია მართავდა ავღანეთს მონარქიის გაუქმებამდე, რაც მოხდა 1973 წელს. 1878-1880 წლებში მიმდინარეობდა ანგლო-ავღანური მეორე ომი, რის შემდეგაც ბრიტანეთის მხრიდან დაწესდა კონტროლი ავღანეთის საგარეო პოლიტიკაზე. „დიდი თამაშის" თანამდევი იყო ის, რომ დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა ავღანეთი საკუთარ იმპერიებს შორის ბუფერულ სახელმწიფოდ დატოვეს. ზემოთ ნახსენები იმპერიებს შორის „დიდი თამაში" დასრულდა მას შემდეგ, რაც მათ დაინახეს საერთო საფრთხე გერმანიის იმპერიის საგარეო-პოლიტიკურ აქტივობაში.

პირველ მსოფლიო ომში ავღანეთმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. 1919 წელს თვითონ წამოიწყო მესამე ანგლო-ავღანური ომი (1919 წელი). ავღანეთის მაშინდელმა მმართველმა ამანულა ხანმა (1919-1926 მეათე ემირი; 1926-1929 პირველი მეფე) ბრიტანეთისგან მოითხოვა თავისი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა. საბოლოოდ, დიდმა ბრიტანეთმა სცნო ავღანეთის დამოუკიდებლობა. მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში ავღანეთი დასავლური სახელმწიფოების ძლიერი პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ მოექცა. მეორე მსოფლიო ომში ავღანეთს მონაწილეობა არ მიუღია. 1946 წელს ავღანეთი გაეროს წევრი გახდა. 1972 წელს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. 1973 წლის 17 ივლისს ავღანეთის ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფმა გენერალ მუჰამედ დაუდის ხელმძღვანელობით მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება - დაამხო მონარქია და გამოაცხადა რესპუბლიკა. 1978 წლის საურის (აპრილის) რევოლუციის შედეგად ავღანეთი გამოცხადდა დემოკრატიულ რესპუბლიკად.

რესპოდენტი მეორე კითხვაზე თუ რამ განაპირობა ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და რა გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკაზე - აღნიშნავს, რომ

VII საუკუნეში ავღანეთის ტერიტორიების დასავლეთი ნაწილი არაბებმა დაიპყრეს, რომლებმაც თან მოიტანეს თავიანთი კულტურა და რელიგია - ისლამი. იქიდან მოყოლებული ავღანეთი ისლამური სახელმწიფოა. ზოგადად, ისლამიზმი - სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, ძირითადად გავრცელებულია იმ ქვეყნებში, რომლებიც ტრადიციულად ისლამის მიმდევრები არიან. გულისხმობს მმართველობის ისეთ სისტემასთან დაბრუნებას, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ იქნება დაფუძნებული ყურანისა და შარითის (ისლამური სამართალი) დებულებებთან. ამ მოძრაობიდან გამოყოფენ ისლამურ ფუნდამენტალიზმს - ისლამის ექსტრემისტულ მიმართულებას, რომელიც ცდილობს, იარაღის ძალით დაამყაროს ისლამური რეჟიმი. „წმინდა ომი“ გამოუცხადოს „ურწმუნოებს“ (არამუსლიმებს) და ყველანაირად წინ აღუდგეს დასავლური (ევროპულ-ამერიკული) კულტურის გავლენას ისლამურ სამყაროზე. ისლამურ ფუნდამენტალიზმს საფუძველი XIX საუკუნეში ჩაეყარა და XX საუკუნეში მიიღო ინტენსიური ხასიათი. თავდაპირველად ის მიმართული იყო რომლებიც ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში განხორციელდა და აღქმული იქნა ისლამური საზოგადოებისთვის უცხო და მიუღებელი ცხოვრების წესის დამკვიდრების მცდელობად. თანდათანობით, ისლამმა უფრო ექსტრემისტული და აგრესიული ხასიათი მიიღო.

მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში ავღანეთმა დასავლური სახელმწიფოების ძლიერი პოლიტიკური ზემოქმედება განიცადა. მეორე მსოფლიო ომში ავღანეთს მონაწილეობა არ მიუღია. ამ ომის დასასრულისთვის ავღანეთი რჩებოდა ფეოდალური გადმონაშთების მქონე, სუსტად განვითარებულ ქვეყნად. აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის იმპერიალისტებმა ისარგებლეს ავღანეთის ეკონომიკის სისუსტით და ხელთ იგდეს კრაველის ვაჭრობის მონოპოლია. 1950 წლიდან ავღანეთის ეკონომიკაში აქტიურად შეიჭრა დასავლეთ გერმანიის კაპიტალი.

ეკონომიკური სიძნელეები და სოციალური ურთიერთობანი ავღანეთში წარმოშობდა ოპოზიციური საზოგადოების მიმდინარეობებს, რომლებიც იბრძოდნენ სახელმწიფო სისტემის დემოკრატიზაციისათვის, კოლონიალიზმის დასათრგუნად. მოძრაობა „გაღვიძებული ახალგაზრდობის" (შეიქმნა 1947 წელს) საფუძველზე 1950-1951 წლებში ჩამოყალიბდა პოლიტიკური ჯგუფები, რომლებმაც გამოსცეს პირველი არაოფიციალური გაზეთები და წამოაყენეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის მოთხოვნები.

1996 წელს ავღანეთში მართვის სადავეები ხელთ იგდო „ტალიბანის მოძრაობამ", რომელიც ქვეყანას 2001 წლამდე მართავდა. ოცი წლის შემდეგ, ტალიბებმა კვლავ მოახერხეს კონტროლის დამყარება ავღანეთში. არაღიარებული ისლამური საამირო, რომელიც იმართება ტალიბანის მიერ, ქალაქ ქაბულის დაცემის შემდეგ (2021 წლის აგვისტო) აკონტროლებს ავღანეთის დიდ ნაწილს. სახელმწიფო ტალიბანის მეთაურობით მართავდა ავღანეთის ტერიტორიას. ამის შემდეგ, 2001-2021 წლებში ტალიბანს დაკარგული ჰქონდა კონტროლი ავღანეთის ტერიტორიაზე, თუმცა 2021 წელს ამ ორგანიზაციამ მოახერხა ქვეყნის დიდ ნაწილზე კონტროლის აღდგენა. ქვეყნის მმართველობის სისტემაა თეოკრატია და ის შარიათის კანონებით იმართება.

მესამე კითხვას თუ როგორ მოქმედებს ტალიბების მიერ ქვეყნის მმართველობის კვლავ ხელში აღება ავღანეთის უსაფრთხოებაზე - რესპოდენტი შემდეგნაირად პასუხობს: როგორც ცნობილია, ოცწლიანი პაუზის შემდეგ, 2021 წელს, ტალიბანმა ავღანეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე აღადგინა კონტროლი. ხელისუფლების ჩამოყალიბებამ და ლეგიტიმაციის მოპოვებამ შესაძლოა დიდი დრო წაიღოს. გახდება თუ არა ავღანეთი საერთაშორისო მებრძოლთა მორიგი შეკრების ეპიცენტრი, დამოკიდებულია ტალიბანის ურთიერთობაზე რეგიონის სახელმწიფოებთან და მის შიდა პოლიტიკაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, შექმნილი

ვითარება გარკვეულ ზეგავლენას იქონიებს კავკასიის რეგიონზე და ის ჯიჰადის გამოცდილების მქონე პირთათვის შესაძლოა მიმზიდველ რეგიონად იქცეს.

ავღანეთის უსაფრთხოების ძალები და მისი სადაზვერვო სააგენტო დაადანაშაულეს ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებში, როგორიცაა იძულებითი გაუჩინარება, არამართლზომიერი მკვლელობები და ეჭვმიტანილების წამება. უფრო მეტიც, ავღანეთის უსაფრთხოების ძალები და ავღანეთის საჰაერო ძალები მონაწილეობდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობაში, სახმელეთო ოპერაციებსა და საჰაერო დარტყმებში.

რესპოდენტი ბოლო კითხვაზე - რა ტიპის სახელმწიფოებრიობის პრობლემის წინაშე დგას ავღანეთი, ტალიბანის მმართველობის პირობებში - აღნიშნავს, რომ 1989 წელს, ავღანეთიდან საბჭოთა კავშირის ჯარების გასვლისა და ავღანეთის მთავრობის დაშლის შემდეგ, ქვეყანა სამოქალაქო ომში ჩაეფლო. ტალიბანი ერთ-ერთი იყო იმ ძალებს შორის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ ომში. “მოძრაობა ტალიბანი“ შეიქმნა 1994 წლის ზაფხულში ავღანეთის ქალაქ ყანდაჰარში. წესრიგისა და სამართლიანობის აღდგენის დაპირებით, ამ მოძრაობამ მხარდაჭერა მიიღო. როგორც ვთქვით, იმ დროს ავღანეთში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. თავდაპირველად ტალიბანში გაწევრიანებული იყვნენ ომის ვეტერანები, ლტოლვილი პუშტუნები, რომლებსაც განათლება ჰქონდათ მიღებული პაკისტანის მედრესეებში და მხარდაჭერილები იყვნენ პაკისტანის სპეცსამსახურების მიერ. ტალიბანის იდეოლოგია მოიცავდა ისლამურ ფუნდამენტალიზმს ადგილობრივ პუშტუნურ ჩვეულებებთან ერთად. ამ მოძრაობის მეთაური იყო მუჰამედ უმარი (1994-2013). სულ მალე ტალიბებმა დაიკავეს ავღანეთის დიდი ნაწილი. 1996 წლის აპრილში ქალაქ ყანდაჰარში შედგა მუსლიმ თეოლოგთა კრება, სადაც მულა უმარი შერაცხეს „მართლმორწმუნეების მბრძანებლად“. იმავე წლის სექტემბერში ტალიბებმა დაიკავეს ქალაქი ქაბული და იმ დროიდან დაწყებული 2001 წლამდე ფაქტობრივად მართავდნენ ავღანეთის სახელმწიფოს. ამ ქვეყანამ დიპლომატიური აღიარება

მხოლოდ სამი სახელმწიფოსგან მიიღო (არაბთა გაერთიანებული საამიროები, პაკისტანი და საუდის არაბეთი). მოძრაობა იღებდა მხარდაჭერას პაკისტანიდან, ხოლო 1996 წლიდან მოყოლებული თანამშრომლობდა ალ-კაიდას ლიდერ ოსამა ბინ ლადენთან, რომლისგანაც აგრეთვე იღებდა ფინანსურ მხარდაჭერას. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, რომელსაც შეეწირა დაახლოებით 3 ათასი ადამიანი, ტალიბებმა ბინ ლადენის გადაცემაზე უარი განაცხადეს. ამასთან დაკავშირებით, 2001 წლის ოქტომბერში ნატოს ჯარისკაცებმა ანტიტალიბანურ ძალებთან ერთად ავღანეთში დაიწყეს სამხედრო ოპერაცია, რომლის შედეგად ტალიბანის ხელისუფლება ჩამოგდებულ იქნა. ტალიბანის მებრძოლები ფართო სპექტრის მეომრები არიან. ისინი ძირითადად მოქმედებენ მცირე ჯგუფებად. მათი სამხედრო მოქმედებები უმეტესად პარტიზანული ხასიათისაა და მოქმედების არეალი არის ავღანეთი და პაკისტანი. ავღანეთის რესპუბლიკაში ტალიბანი შეავიწროვა სამშვიდობო მისიამ და მათი მოქმედების არეალი შეზღუდულია. დამარცხების შემდეგ, ტალიბანის ლიდერები ავღანეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში, პაკისტანის მოსაზღვრე რეგიონებში გაიქცნენ და გამაგრდნენ. ტალიბანი გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან აღიარებულია, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია. აშშ-ის მხარდაჭერილი ავღანეთის მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული დაჯგუფება არაერთ თავდასხმას აწყობდა. 2021 წელს ტალიბებმა კვლავ მოიპოვეს უპირატესობა ავღანეთში. ჯერ-ჯერობით უცნობია, როგორ განვითარდება საერთაშორისო საზოგადოების ურთიერთობა ავღანეთთან ახალ რეალობაში - აღიარებს თუ არა ქვეყნების უმრავლესობა ავღანეთის ახალ მთავრობას.

ავღანეთის მოსახლეობა კვლავ იმ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რომლის წინაშეც იყო 1996-2001 წლებში. იმ დროს, ტალიბების მმართველობისას, ხშირად ხდებოდა საჯაროდ სიკვდილით დასჯა, ქალებს ეკრძალებოდათ განათლების მიღება და მუშაობა. ისინი ვალდებულნი იყვნენ ეტარებინათ ბურქა, რომელიც სრულად ფარავს მათ სხეულს. ტალიბანმა აკრძალა დასავლური ფილმები და წიგნები, გაანადგურა განსხვავებული ტრადიციისა და კულტურის ისტორიული მნიშვნელობის

არტეფაქტები და სხვადასხვა ნიმუშები. ამჯერად, ახალმა მთავრობამ, გოგონებს შეუზღუდა განათლების მიღება, მუშაობის უფლება და მოგზაურობა. სამთავრობო უწყებებში მომუშავე მამაკაცებს მოეთხოვებათ წვერის გაზრდა, ტრადიციული სამოსის ტარება და ლოცვისათვის განსაზღვრულ დროს სამუშაოს შეწყვეტა. მთავრობამ მუსიკა ოფიციალურად აკრძალა და არაერთი მედიასაშუალება დაბლოკა.

რესპოდენტი N2:

ალეკო გუჩუა პირველ კითხვაზე - რა თავისებურებებით გამოირჩევა ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი - პასუხობს, რომ ავღანეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ რთულად მიმდინარეობს, საწყის ეტაპზე 2021 წელს, რაც გამოწვეული იყო კოვიდ-19-ის პანდემიის სირთულეებით და ეკონომიკური პრობლემებით. ასევე, არის რიგი სირთულეები და პრობლემური საკითხები, რომლებიც პოლიტიკური სისტემის გამართულად მუშაობას უკავშირდება და საჭიროებს მოგვარებას. ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემაა ლეგიტიმალიზაციის, რადგან სახელმწიფოების უმრავლესობა არ აღიარებს ტალიბების მმართველობას. სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი სხვადასხვა ქვეყანამ გარკვეული თავისებურებებით გაიარა, რაც დამოკიდებული იყო ძალიან ზევრიფაქტორზე მათ შორის: მმართველი ძალის პოლიტიკა, საერთაშორისო და რეგიონული აქტორების დამოკიდებულება, შიდა პოლიტიკური მმართველობა, ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური სტაბილურობის არსებობა, გარე აქტორების ინტერესები, სოციალური სურათი და ა.შ. შესაბამისად ჯერჯერობით რიგი სირთულეებით მიმდინარეობს ავღანეთში სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი, რასაც გარკვეული პერიოდი დასჭირდება.

რესპოდენტი მეორე კითხვაზე თუ რამ განაპირობა ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და რა გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკაზე - აღნიშნავს, რომ

საუკუნეების განმავლობაში ავღანეთში რელიგია თამაშობდა დიდ როლს და განსაზღვრავდა მათ ყოფას, ცხოვრებასა და პოლიტიკურ ხედვას. ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შემდგომ ავღანეთში ჩამოყალიბდა ისლამური საემირო. ავღანეთში ჩამოყალიბებული რელიგიური მრავალფეროვნება, იძლევა შესაძლებლობას გარკვეული რელიგიური ძალები უფრო მეტად იყვნენ წარმოჩენილნი და გარე ძალების აქტიური მხარდაჭერის ხარჯზე მათ თავიანთი გავლენა გაეზარდონ. ავღანეთში დღეს წარმოდგენილი არის შიიზმი, მაზჰაბური სუნიზმი, სალაფიტები, სუფიები შესაბამისად მრავალფეროვნება გვხვდება ამ რეგიონში. საბჭოთა პერიოდში რელიგიური მიმდინარეობების წინააღმდეგ მიმართულმა ბრძოლამ უკუშედეგი გამოიღო და ამან კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ისლამისტების გააქტიურებას, ხოლო შემდგომ აშშ-ის და ნატოს კოალიციური ჯარის შესვლამ ავღანეთში რელიგიური წინააღმდეგობა კიდევ უფრო გააძლიერა და ამაში ტერორისტულ ორგანიზაციებთან ერთად სხვა გარე ძალებს მიუძღვით დიდი როლი. ისლამისტებმა თავის თავზე აიღეს ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა და დამოუკიდებლობის მოპოვება, რამაც მათდამი ნდობა გაზარდა.

მესამე კითხვას თუ როგორ მოქმედებს ტალიბების მიერ ქვეყნის მმართველობის კვლავ ხელში აღება ავღანეთის უსაფრთხოებაზე - რესპოდენტი შემდეგნაირად პასუხობს: ქვეყნის უსაფრთხოება ბოლომდე დაცული არ არის ტალიბანის ხელისუფლებაში მოსვლის მიუხედავად 2021 წელს, გარკვეულწილად, ის აკონტროლებს უსაფრთხოების პარამეტრებს, თუმცა, რეფორმები ჯერ კიდევ არის გასატარებელი და უსაფრთხოების მიღწევა არ არის მარტივი პროცესი თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, როგორც ქვეყნის ასევე, რეგიონის. რადგან ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან გარკვეული შეიარაღებული ძალები, რომლებიც ბოლომდე არ ემორჩილებიან ტალიბანის ხელისუფლებას. უსაფრთხოების საკითხების პრობლემას, რომელიც ნაწილობრივ არსებობს, ემატება პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის პრობლემა, რადგან ის ხისტი მმართველობა, რომელიც ჩამოყალიბდა ტალიბანის მოსვლის შემდგომ ხელისუფლებაში, ადამიანის

უფლებების დარღვევის მიმართულებით საკმაოდ საგანგაშოა და არ ჯდება დემოკრატიული სისტემის არცერთ პრინციპში. ამას გარკვეული დროის შემდგომ ექნება თავისი უკუშედეგი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შიდა დაძაბულობა მათ შორის სამოქალაქო ომიც. თუმცა, აქამდე რომ მივიდეს ვითარება, ჯერ კიდევ აუცილებელია მოსახლეობამ ტალიბანის გავლენის პირველი ტალღა გაიაროს, რადგანაც მათ დიდი მხარდაჭერა აქვთ მოსახლეობაში, მაგრამ ესეც ძალაუფლების შიშითაცაა ნაწილობრივ გამოწვეული. საერთო ჯამში ტალიბანი მოცემულ დროს მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს, რომლის მმართველობის სტილზე არის დამოკიდებული შემდგომში ქვეყნის ბედი.

მნიშვნელოვანია გამოიყოს, რამდენიმე ასპექტი უსაფრთხოების კუთხით: პირველი - ქვეყანაში ტერორისტული ჯგუფების გააქტიურება და თავისუფალი მოქმედებების არეალის ქონა, რაც კვლავ საერთაშორისო საზოგადოებას და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს აიძულებს ანტიტერორსტული ღონისძიებების განხორციელებას. მეორე - ნარკო და ადამიანების ტრეფიკინგის კუთხით კვლავ შესაძლო პრობლემების გააქტიურება.

რესპოდენტი ბოლო კითხვაზე - რა ტიპის სახელმწიფოებრიობის პრობლემის წინაშე დგას ავღანეთი ტალიბანის მმართველობის პირობებში აღნიშნავს, რომ წლების განმავლობაში ტალიბანის მიერ ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის, მოსახლეობის დიდ ნაწილში გამოიწვია მათდამი ნდობა. ამ პოლიტიკაში ჩართული იყვნენ ახალგაზრდები, რომელთა იდეოლოგიური დამუშავება შედარებით მარტივია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რელიგია ამ პროცესს მხარს უჭერს. ამავე დროს, პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ და დღესაც მონაწილეობენ სასულიერო პირები. ასევე, აღსანიშნავია პაკისტანის მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. მოსახლების მხრიდან საბჭოთა კავშირი, იყო აღქმული, როგორც მტერი. მალევე აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ძალების შესვლა ავღანეთში იგივე მოვლენად იყო აღქმული მოსახლეობის უდიდეს ნაწილში. ამ უკანასკნელებმა, სწორად ვერ

იმუშავეს იდეოლოგიური კუთხით, რადგან არ იყო გათვალისწინებული მათი ისტორია, კულტურა, წყობა, ეთნოგენეზისი და ა.შ. რაც აუცილებელია კონკრეტულ ერში ნდობის მოპოვებისათვის და რეალური განზრახვების დასანახად. ამას დაემატა ეკონომიკური პრობლემები და ისედაც რთული პოლიტიკური ვითარება, წლებია არის. სწორედ ეს გახდა ტალიბანის გავლენის ზრდის საფუძველი. თუმცა, კიდევ არის რიგი საკითხები, რომლებმაც ხელი შეუწყო მათი გავლენის ზრდას და ხელისუფლებაში მოსვლას, რაშიც დიდი როლი მიუძღვის გარე ძალებს.

აქვე მნიშვნელოვანია ის პრობლემა, რომელიც დგას სახელმწიფოებრიობის კუთხით ავღანეთში, რადგან მმართველობის სისტემა აშკარად არის ტოტალიტარული, სადაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მიმართულებით ძალიან რთული ვითარებაა. არსებული ხელისუფლების პოლიტიკა მიმართულია ტერორზე და ძალაუფლების კიდევ უფრო განმტკიცებაზე, მმართველობის ეს ფორმა დაფუძნებულია აგრესიაზე და ძალადობაზე, რასაც დროთა განმავლობაში გარკვეული მძიმე შედეგები შეიძლება მოყვეს. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ გარე ძალების ჩართულობას.

**რესპოდენტი N3:**

ვახტანგ მაისაია კითხვაზე - პირველ კითხვაზე - რა თავისებურებებით გამოირჩევა ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი - პასუხობს, რომ ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი არის მრავალმხრივი, რადგანა მას გააჩნია დიდი ისტორიული საფუძველი. ვინაიდან, იგი ჩამოყალიბდა ერთიან სახელმწიფოდ 1745 წელს, როგორც ისლამური საემირო. გასული საუკუნეში ავღანელი დიდი რეფორმატორის ამანულა ხანის დიდი მცდელობების მიუხედავად, ავღანეთში მაინც არ შეიცვალა კლანურ-ტომობრივი მოწყობის სისტემა, სადაც დიდი გავლენა ჰქონდა რელიგიურ დოქტრინას. ავღანეთში არის სრული მრავალფეროვნება ისლამური რელიგიური მიმართულებების - მაზჰაბური სუნიზმი (ოთხივე მაზჰაბია წარმოდგენილი), შიიზმი, სუფიური მიმდინარეობის ისლამი (ძირითადად კადირიის

ტარიქატი) და ასევე სალაფიტური ტრენდები (დეობანდიზმი, ანდიზმი და ა.შ.). ასე რომ, ისლამური რელიგია არის სრულად წარმოდგენილი ავღანეთში, განსაკუთრებით კი მის პროვინციებში (ავღანეთი შედგება ძირითადად 34 პროვინციისაგან და არის მრავალეროვნული სახელმწიფო).

რესპოდენტი მეორე კითხვაზე თუ რამ განაპირობა ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და რა გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკაზე - აღნიშნავს, რომ ისლამური მოძრაობების გააქტიურება დაემთხვა ე.წ. „საურის რევოლუციის" დაწყებას 1978 წლის აპრილში, რასაც მოყვა კომუნისტური რეჟიმის საშინელი რეპრესიები, პირველ რიგში, რელიგიური მიმდინარეობების მიმართ და შემდეგ ამას მოყვა საბჭოთა კავშირის ოკუპაცია 1979 წლის 27 დეკემბერს. ათწლიანმა ოკუპაციამ და შემდეგში ხუთწლიანმა, ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის დროს განვითარებულმა ანარქიულმა სიტუაციამ კიდევ უფრო გაართულა პოლიტიკური და სოციალური ვითარება ქვეყანაში და გამოიწვია ავღანეთში რადიკალური ჯიჰადისტური დაჯგუფებების გააქტიურება, რომლებიც ძირითადად იმართებოდნენ საზღვარგარეთიდან, პირველ რიგში პაკისტანიდან და საუდის არაბეთიდან, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაც იყო სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება, თუნდაც ისლამური ლოზუნგების ეგიდით.

მესამე კითხვას თუ როგორ მოქმედებს ტალიბების მიერ ქვეყნის მმართველობის კვლავ ხელში აღება ავღანეთის უსაფრთხოებაზე - რესპოდენტი ამბობს, რომ ტალიბანის ხელმეორედ მოსვლის შემდეგ ხელისუფლებაში 2021 წელს, მდგომარეობა დაექვემდებარა კონტროლს და ტალიბანის მთავრობამ მიიღო გარკვეული ეფექტური გადაწყვეტილებები - ქვეყანაში უსაფრთხოების პირობების განსამტკიცებლად, თუმცაღა, რჩება მოუგვარებელი სოციალური და ფინანსური საკითხები. ამ ეტაპზე, ტალიბანისთვის სერიოზულ ძალას წარმოადგენს „ისლამური სახალიფოს" ტერორისტული ორგანიზაცია დაეში და მისი ფილიალი „ჰორასანის ვილიათი".

რესპოდენტი ბოლო კითხვაზე - რა ტიპის სახელმწიფოებრიობის პრობლემის წინაშე დგას ავღანეთი, ტალიბანის მმართველობის პირობებში - აღნიშნავს, რომ ავღანეთში ტალიბანის მმართველობის ხელმეორედ მოსვლის შემდეგ, მათი მართვის სტილი არ შეცვლილა. ტალიბებმა მიმართეს იზოლაციონიზმის პოლიტიკას, რასაც მოყვა გარე აქტორებისა და მეზობელი ქვეყნების მიერ უარყოფითი განწყობები. შედეგად, ქვეყანაში შეიქმნა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სახის პრობლემები. ასევე, მათი მართვის სტილმა განაპირობა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები და სოციალურ სიდუხჭირეზე, რაც აისახა მოსახლეობის ნაკლებ განათლების ხელმისაწვდომობასა და ინფორმირებულობაზე სხვადასხვა საკითხის მიმართ. განსაკუთრებით ქალების მიმართ ტარდება რიგი რეპრესიები, მათ ეკრძალებათ განათლების მიღება, მუშაობა საჯარო დაწესებულებებში და ა.შ. სავარაუდოდ, ქვეყანა შეიძლება გადაიქცეს ტერორისტული ორგანიზაციების მფარველად/მხარდამჭერად, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს საგარეო ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებსა და გარე აქტორებთან.

**რესპოდენტი N4:**

გელა გიორგაძე პირველ კითხვაზე - რა თავისებურებებით გამოირჩევა ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი - პასუხობს, რომ ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფოს ან არშემდგარი სახელმწიფოს რეალობის გაანალიზება შევძლოთ, მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიული მონაკვეთების განხილვა, აგრეთვე, სახელმწიფოს სამი ძირითადი ელემენტის: მოსახლეობის, სახელმწიფო ტერიტორიისა და სახელმწიფო სტრუქტურების შეფასება.

ავღანეთის ისტორიის განხილვისას სამი მნიშვნელოვანი ეპოქა უნდა იქნეს გათვალისწინებული:

- 1747-1978 ჩამოყალიბების პროცესი;
- 1978-1992 საბჭოთა კავშირის მიერ ტერიტორიის დაკავების პერიოდი;
- 1992-1996 მოჯაჰედების მმართველობის პერიოდი.

სამეფოს ჩამოყალიბების დღიდან, მოსახლეობა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისგან შედგება. მოსახლეობის მრავალფეროვნება, განაპირობებს შიდა კონფლიქტების წარმოშობას, რასაც ხშირად გარე ძალები, საკუთარი ინტერესების გასატარებლად იყენებენ. მოსახლეობის მრავალფეროვნება და გარე ძალების მიერ წარმოებული პოლიტიკა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება, ავღანეთის სტაბილურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე. ზემოაღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 1801-1834 წლებში, ხანგრძლივი შიდა კონფლიქტების შედეგად, ავღანეთის სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებად დაშლა და ძალაუფლების ქალაქებზე გადაცემა. მიმდინარე ძალაუფლების გადანაწილების პროცესი, რომელიც ცნობილია, როგორც „დიდი თამაში", ავღანეთის ტერიტორიის ბუფერულ ზონად გამოყენებას გულისხმობდა. ძირითადი მიზეზი, რომელმაც ავღანეთს, სახელმწიფოს სტატუსი შეუნარჩუნა, გახლდათ ბუფერულ ზონად გამოყენების შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ავღანეთის ტერიტორია, იდეალურ პლაცდარმად გვევლინება.

რესპოდენტი მეორე კითხვაზე თუ რამ განაპირობა ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და რა გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკაზე - აღნიშნავს, რომ

ისტორიული ფაქტების საფუძველზე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ კოლონიალური ძალების ხელში ჩავარდნის შიშმა, ქრისტიანული სარწმუნოების დემარკაციამ, უცხო ქვეყნის ჯარების გაყვანასთან წარმოებულმა ბრძოლებმა და ისტორიის უმოკლეს პერიოდში, მრავალმა წარუმატებელმა მმართველმა, საბოლოო ჯამში ქვეყანა განადგურებამდე მიიყვანა, მხოლოდ მცირე ხნით შენარჩუნებული მშვიდობა, არ აღმოჩნდა საკმარისი ქვეყნის სტაბილურად განვითარებისთვის. ძლიერი სახელმწიფო მეთაურების ამაო ძიებამ, ქვეყნის ერთპიროვნული

კონტროლის ძალაუფლების არ ქონამ და მრავალრიცხოვანი ადგილობრივი მმართველების ქვეშ ტერიტორიულმა გადანაწილებამ, მოსახლეობას არ მისცა შესაძლებლობა, გაეთვიცნობიერებინა სახელმწიფო იდენტობა, შესაბამისად, არსებულმა ეთნიკურმა კონფლიქტებმა, შეუძლებელი გახადა ერთიანი და ეფექტური სახელმწიფო უწყებების ჩამოყალიბება.

მესამე კითხვას თუ როგორ მოქმედებს ტალიბების მიერ ქვეყნის მმართველობის კვლავ ხელში აღება ავღანეთის უსაფრთხოებაზე - რესპოდენტი შემდეგნაირად პასუხობს: მიუხედავად კოალიციურ ძალებსა და ტალიბებს შორის მიღწეული შეთანხმებისა, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს, „ავღანეთის ტერიტორიის სხვა ქვეყნის უსაფრთხოების წინააღმდეგ არ გამოყენება" წარმოადგენდა, ტალიბანის ძალაუფლების ქვეშ, „ალ-კაიდამ" შესაძლოა ისარგებლოს უსაფრთხო თავშესაფრის შესაძლებლობით, გამოიყენოს ავღანეთის ტერიტორია რეკრუტირებისთვის, წვრთნებისთვის და ფინანსური მხარდაჭერის მოსაზიდად. მიუხედავად ტალიბანის განცხადებისა, რომ „ჩვენ არ გვსურს რაიმე პრობლემა გაჩნდეს საერთაშორისო საზოგადოებასთან", 2021 წლის აგვისტოში ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ, უსაფრთხოების კუთხით რეგიონში არსებული დინამიკა შეცვალა.

ტალიბანის შეხედულებები და ურთიერთობები ავღანეთის მეზობელ ქვეყნებთან არაერთგვაროვანი და ამავდროულად რთულია. არსებობს მოსაზრება, რომ ტალიბანის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, პაკისტანის არსებითი ტრიუმფია, რომელიც ცდილობს ზეგავლენის გაძლიერებას ავღანეთში და აგრძელებს პოლიტიკას, რომელიც ინდოეთის გავლენის შეზღუდვას ისახავს მიზნად. იმის გათვალისწინებით, რომ ურთიერთობები ტალიბებსა და პაკისტანის მთავრობას შორის სიტუაციის ნორმალიზებისკენაა მიმართული, სადაო საკითხად ისევე, როგორც წარსულშიც, კვლავ რჩება „დურანის ხაზი". ზემოაღნიშნული ტერიტორიული საკითხი ტალიბების მიერ არ იქნა აღიარებული, რაც შესაძლოა მომავალში კვლავ იქცეს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გამწვავების მიზეზად.

ტალიბების მთავარ ამოცანას, მათი მთავრობის აღიარება წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ არავინ ჩქარობს ტალიბანის აღიარებას, საერთაშორისო საზოგადოება გამოწვევის წინაშე დგას: „რა არის ალტერნატივა და შესაძლებელია თუ არა ამ რეალობისგან თავის დაღწევა".

რესპოდენტი ბოლო კითხვაზე - რა ტიპის სახელმწიფოებრიობის პრობლემის წინაშე დგას ავღანეთი, ტალიბანის მმართველობის პირობებში - აღნიშნავს, რომ საერთაშორისო დონეზე დამკვირვებლების მოლოდინები არ გამართლდა, ვინაიდან ტალიბანმა შეძლო გარდამავალი მთავრობის მკაცრი მომხრეებით შევსება და აღადგინა სისხლის სამართლის სასჯელი, რომელიც მისი პირველი მმართველობის პერიოდშიც მოქმედებდა. კონტროლის აღდგენის შემდეგ, ტალიბებმა განახორციელეს ქმედებები, რომლებიც მოგვაგონებს 1990 წლების, სასტიკ მმართველობის პერიოდს. ადმინისტრაციული და სასამართლო სისტემის არაეფექტურად ფუნქციონირების, სათანადო ლეგიტიმაციისა და შესაბამისად, კანონის უზენაესობის გარეშე, სასურველი მიზნის „ძლიერი, სუვერენული და განვითარებული სახელმწიფოს შექმნა", მიუღწეველ ოცნებად რჩება ტალიბანის განახლებული მმართველობის პირობებშიც.

**რესპოდენტი N5:**

რომან ჯანჯულია პირველ კითხვაზე - რა თავისებურებებით გამოირჩევა ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი - პასუხობს, რომ ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შინაგანი პოლიტიკური არასტაბილურობა და ტომებს შორის კონფლიქტები. ეს ხშირად იწვევდა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას და რეგიონული ლიდერების გაძლიერებას.

ავღანეთი კულტურულად და რელიგიურად მრავალფეროვანი ქვეყანაა. მიუხედავად ისლამის გაძლიერებისა, ტრადიციულად არსებობს სხვადასხვა რელიგიური და კულტურული პრაქტიკები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ამ თავისებურებების კომბინაცია განსაზღვრავს ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების რთულ და მრავალფეროვან პროცესს, რაც დღემდე ახდენს გავლენას ქვეყნის განვითარებაზე.

რესპოდენტი მეორე კითხვაზე, თუ, რამ განაპირობა ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა და რა გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკაზე - აღნიშნავს, რომ

ავღანეთში პოლიტიკური ისლამის როლის ზრდა განაპირობა საბჭოთა ინტერვენციამ, უცხოურმა დახმარებამ, ტალიბანის აღზევებამ და გლობალური ტერორიზმის გავლენამ. ამ ფაქტორებმა გამოიწვია რადიკალიზაციის ზრდა, პოლიტიკური და იდეოლოგიური კონფლიქტების გაძლიერება, რამაც ავღანეთს მოუტანა ქვეყნის განვითარების შეფერხება და, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები.

მესამე კითხვას, თუ, როგორ მოქმედებს ტალიბების მიერ ქვეყნის მმართველობის კვლავ ხელში აღება ავღანეთის უსაფრთხოებაზე - რესპოდენტი შემდეგნაირად პასუხობს: ტალიბების მმართველობის დაბრუნებამ ავღანეთის უსაფრთხოებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. გაიზარდა შიდა კონფლიქტების და ძალადობის შემთხვევები, გაძლიერდა ტერორისტული ორგანიზაციების გავლენა, გაიზარდა ადამიანის უფლებების დარღვევების რაოდენობა და ქვეყანა აღმოჩნდა საერთაშორისო იზოლაციაში, რაც ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს იწვევს.

რესპოდენტი ბოლო კითხვაზე - რა ტიპის სახელმწიფოებრიობის პრობლემის წინაშე დგას ავღანეთი, ტალიბანის მმართველობის პირობებში - აღნიშნავს, რომ ტალიბანის მმართველობის პირობებში, ავღანეთი დგას საერთაშორისო არაღიარების,

ადამიანის უფლებების დარღვევების, ეკონომიკური და ჰუმანიტარული კრიზისის, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების დეგრადაციის, და უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესების გამოწვევების წინაშე. ვფიქრობ, ავღანეთის უკონტროლობა უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მსოფლიოზე. ავღანეთი შესაძლოა იქცეს ახალ ბაზად საერთაშორისო ტერორისტული ქსელებისთვის, რაც დიდ რისკს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას. როგორც არასტაბილური სახელმწიფო, ავღანეთი შეიძლება გადაიქცეს ცხელ წერტილად, სადაც რადიკალურად განწყობილი ტერორისტები მოიპოვებენ თავშესაფარს და განახორციელებენ მომავალი ოპერაციებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში. ამასთანავე, ავღანეთში არსებული ნარკოტიკის მოყვანის პოტენციალი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ტერორიზმის დაფინანსების წყარო, ასევე ნარკოტიკის გავრცელების გზით მსოფლიო მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის საფრთხის შესაქმნელად.

ტალიბანის მმართველობის პირობებში, ტერორისტულმა ორგანიზაციებმა შეიძლება გააძლიერონ თავიანთი მოქმედებები და აითვისონ ავღანეთის ტერიტორია, რაც საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში შექმნის ახალ გამოწვევებს.

## დასკვნა

ავღანეთის სახელმწიფოს ფორმირებამ ხანგრძლივი და რთული პროცესი გაიარა. ქვეყანა ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპზე სხვადასხვა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობის გამო, ავღანეთის დაპყრობას თითქმის ყველა იმპერია ცდილობდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ავღანელ ხალხს მუდმივად უწევდა ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და მის შესანარჩუნებლად.

აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესები, კონკრეტულად კი პოლიტიკური ისლამის _ ისლამიზმის ჩამოყალიბება და მასთან დაკავშირებული გლობალური პრობლემები, აისახა ავღანეთზეც. ისლამიზმის განვითარებისათვის ქვეყნის ნიადაგი საკმაოდ ნოყიერი აღმოჩნდა. ამის დადასტურებაა ის, რომ უკვე გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ავღანეთში ჩამოყალიბდა არაერთი ისლამისტური ორგანიზაცია, რომელთა იდეოლოგებიც „მუსლიმი ძმები" იყვნენ. ისლამიზმის გავრცელებას და ავღანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი როლის ზრდას ხელი შეუწყო ქვეყანაში, როგორც საბჭოთა ჯარების შესვლამ, ისე აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ჩართვამ.

ისლამიზმი იმდენად გაძლიერდა ავღანეთში, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყნის ხელისუფლების სადავეები ისლამისტურმა ორგანიზაციამ ტალიბანმა ხელში აიღო და დროის მცირე მონაკვეთში მთელ ქვეყანაზე გაავრცელა ძალაუფლება. ტალიბანის მმართველობის პირველი პერიოდი ხუთი წელი გაგრძელდა. ის უკიდურესად მძიმე აღმოჩნდა ქვეყნის, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის მხრივ. ვინაიდან, მათ ჩამოაყალიბეს ისლამისტური რეჟიმი და შეწყვიტეს გარე სამყაროსთან ურთიერთობა. საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ავღანეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება.

ტალიბანის მმართველობის პირველი პერიოდის დასრულება უკავშირდება ავღანეთში უცხო ქვეყნის ჯარების შესვლას და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. ამ სამხედრო მისიის მიზანი იყო დემოკრატიული მმართველობის ფორმირება ავღანეთში, ისლამისტური ორგანიზაცია ტალიბანის საბოლოო დამარცხება და მისი ჩამოშორება ქვეყნის სამხედრო თუ პოლიტიკური სარბიელიდან. თუმცა, ავღანეთისათვის რეალობა მოლოდინებისაგან მკვეთრად განსხვავებული აღმოჩნდა, რადგან ვერ მოხერხდა დასახული მიზნის მიღწევა ქვეყანაში. მოვლენების მსგავსად განვითარების ერთ-ერთ მიზეზი შეიძლება იყოს ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა ავღანეთში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმებზე (2001-2021 წწ). შეიძლება ითქვას, რომ ისინი ფაქტობრივად მარიონეტულ რეჟიმებს წარმოადგენდნენ, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ხელში. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები ვერ განვითარდა და ვერც ტალიბანის დამარცხება/შესუსტება მოხერხდა. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ტალიბები სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ არა მხოლოდ უცხო ქვეყნის საბრძოლო ქვედანაყოფებს, არამედ ადგილობრივ ავღანურ ხელისუფლებებსაც.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დემოკრატიული მმართველობის დამყარების შანსი მცირე იყო ავღანეთში. მიმდინარე მოვლენებმა ქვეყანას მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება შეუქმნა. ავღანეთი, ასევე, უფრო სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც აშშ-ისა და ნატოს შეიარაღებული ძალები გავიდნენ ქვეყნიდან და ხელმეორედ დამყარდა ტალიბანის რეჟიმი. ავღანეთი მსოფლიოში ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია _ ტალიბანი მმართავს უკვე სამი წელია.

ტალიბანმა, მმართველობის მეორე პერიოდშიც ისლამისტური რეჟიმი დაამყარა ქვეყანაში. არჩეული პოლიტიკური კურსის გამო, მსოფლიოს თითქმის არცერთი ქვეყანა არ აღიარებს მათ მმართველობას და შესაბამისად, იზოლირებული

არიან გარე სამყაროსგან. მესამე წელია, რაც ტალიბანის ახალი რეჟიმი დამყარდა და დროის მცირე მონაკვეთის მიუხედავად, ქვეყანა უკვე სერიოზულ პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ამ ეტაპზე, რთულია ზუსტი პროგნოზირება, როგორ განვითარდება მოვლენები, ტალიბები შეარბილებენ საშინაო პოლიტიკურ მძიმე კურსს და დაიწყებენ ურთიერთობას გარე სამყაროსთან, თუ შეინაჩუნებენ იზოლირებულ მდგომარეობას.

საფუძვლიანად განვსაზღვრე ისლამიზმის და ფუნდამენტალიზმის არსი. მკვეთრად გავმიჯნე ერთმანეთისგან ზომიერი და რადიკალური ისლამიზმი, რაც გულისხმობს ისლამისტური ორგანიზაცია ტალიბანის მოქმედების მიზნებისა და შედეგების განსაზღვრას

გამოვკვეთე ის საფრთხეები, რომლებიც ავღანეთში უკვე შეიქმნა ტალიბანის მიერ ძალაუფლების კვლავ ხელში აღების პირობებში. ასევე, წინა პლანზე წამოვწიე ის საფრთხეები, რომლებიც ავღანეთის სამეზობლო პოლიტიკას ახლავს თან.

დავადგინე გარე აქტორების, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური როლი და ადგილი ამ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

სადისერტაციო ნაშრომში წამოყენებული ჰიპოთეზა დადასტურდა - ორგანიზაცია ტალიბანი, უკვე დიდი ხანია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ავღანეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად გარე აქტორების დიდი ძალისხმევისა, ამ ორგანიზაციის გავლენა და როლი ავღანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ შესუსტებულა. პირიქით, ის მეტად გაძლიერდა და ბევრად უფრო ანგარიშგასაწევი ძალა გახდა, როგორც რეგიონული, ისე გარე აქტორებისათვის. ტალიბანის მიერ ავღანეთის ხელისუფლებაში კვლავ მოსვლის შედეგად, განხორციელდა ადამიანის (განსაკუთრებით ქალების) უფლებების სისტემური დარღვევა. ტალიბანმა მოახერხა ის, რომ მან შეძლო ურთიერთობების დამყარება სხვა ქვეყნებთანაც. ეს არის ნელი, მაგრამ მიმდინარე პროცესი, რითაც მათ მიერ იზოლაციონალიზმის პოლიტიკა უარყოფილ იქნა. ის მკაფიოდ გმობს ტერორიზმს და ძალადობას მსოფლიოში.

# ბიბლიოგრაფია


1. დონაძე, ვარლამ. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორია. გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1971;
2. მისია ავღანეთში, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ;
3. მოსიძე, თათია. „უსაფრთხოების კვლევები (კოპენჰაგენის სკოლა): თანამედროვე კვლევითი დღის წესრიგი“, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები: ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღის წესრიგი. I გამოცემა 2021;
4. რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011;
5. ქაროსანიძე, თინათინ. ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში ,,მუსლიმი ძმების“ და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია. გამომცემლობა ,,ნეკერი ‘’, თბილისი 2009;
6. ხოზრევანიძე, ხვიჩა. ისლამისტური მოძრაობის გააქტიურების მიზეზები ავღანეთში. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2022;
7. Abdul Qadir Siddique, Pakistan to resolve Afghan traders' problems, Pajhwok Afghan News, 5 Dec, 2010;
8. Abdul Sayed and Tore Hamming, “The Tehrik-i-Taliban Pakistan after the Taliban’s Afghanistan takeover,” CTC Sentinel, 5 May, 2023;
9. Adam Le and Sachiko Sakamaki, Karzai Invites Mitsubishi To Invest In Developing Afghan Mining Projects, Archive.today, 19 Jun, 2010;
10. Afghan Man On Terror Watchlist Arrested In United States. https://www.afintl.com/en/202306135006. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

11. Afghan Taliban publish Mullah Omar biography. https://www.bbc.com/news/world-asia-32189847. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
12. Afghanistan 2004. https://www.constituteproject.org/constitution/Afghanistan_2004. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
13. Afghanistan. https://www.usaid.gov/humanitarian-assistance/afghanistan. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
14. Afghanistan: Political Parties and Insurgent Groups 1978–2001 (PDF), Australian Refugee Review Tribunal, 7 March 2013;
15. Agence France-Presse in Islamabad, Afghan president Ashraf Ghani arrives in Islamabad to build Pakistan ties, Support the Guardian, 14 Nov. 2014;
16. Ahmed Rashid, The United States and the Failure of Nation Building in Pakistan, Afghanistan, and Central Asia, Vicing Press, viking, New York, 2008;
17. Akmal Dawi, SCO Members Lack Unity on Taliban Terrorism Concerns, SOUTH & CENTRAL ASIA, 22 Jun, 2023;
18. Alex Marquardt, Qatar's prime minister met with top Taliban leader in Afghanistan earlier this month, sources say, CNN, 31 May, 2023;
19. Alex, Kuehn, Strick van Linschoten, An Enemy We Created: The Myth of the Taliban-Al Qaeda Merger in Afghanistan, Press Oxford University, Published in thr united states of Amerika, 2012;
20. Alexandra de Hoop Scheffer, Illustration of the Post-American World that Is Taking Shape, IDEAS LIDERSHIP HOPE, 23 AUG, 2021;
21. Amin, Saikal, Modern Afghanistan: A History of Struggle and Survival, Publisher I.B.Tauris; 1st edition, 2006;
22. AMIRA JADOON, ANDREW MINES, ABDUL SAYED, The Enduring Duel: Islamic State Khorasan's Survival under Afghanistan's New Rulers, Combating Terrorism Centre, AUGUST 2023;

23. Andrew Buncombe, Bush rejects Taliban offer to surrender bin Laden, INDEPENDENT, Washington, 15 October, 2001;
24. Andrew Watkins, Timor Sharan, Europe's Engagement in Afghanistan Post-2021 Uncertainty, Pragmatism, and Continued Partnership (PDF), Friedrich Ebert Stiftung, 2021;
25. Animesh Roul, Pakistan's Anti-India Spy Network Eyes Vital Defense Infrastructure from Sri Lanka, Publisher Jamestown Foundation, 10 Oct, 2014;
26. Anthony Arnold, Afghanistan's two-party communism: Parcham and Khalq, Hoover Institution Press, Stanford University, Stanford, Calif, English, 1983;
27. Antonio Giustozzi, The Islamic State in Khorasan: Afghanistan, Pakistan and the New Central Asian Jihad, 15 Jun, 2022;
28. Asfandyar Mir, Al-Qaeda, the Taliban, and the Future of U.S. Counterterrorism in Afghanistan, Program on Extremism, 8 Sep, 2022;
29. Asia Research Unit, The US-Taliban Relations: Interests, Challenges, and Prospects, Emirat Policy Centr, 06 Sep, 2023;
30. Ayaz Gul, Taliban Takeover of Afghanistan Seen as 'Rude Awakening' for Pakistan, Search SOUTH & CENTRAL ASIA, 09 Feb, 2022;
31. Ayoob, Mohammed "The Taliban and the Changing Nature of Pashtun Nationalism". The National Interest. 10 Jan 2019;
32. Aziz Amin Ahmadzai, Afghanistan's Promise for Regional Connectivity and Peace, THE DIPLOMAT, 11 Jan, 2016;
33. Barbara Daly Metcalf, Islamic Revival in British India: Deoband, 1860-1900 (Oxford India Paperbacks), Oxford University Press, 28 Oct, 2004;
34. Barnett R. Rubin, fghanistan after U.S. Withdrawal: Five Conclusions, Carnegie Corporation of New York, 31 Oct, 2022;
35. Barry Bearak, "Former King of Afghanistan Dies at 92", The New York Times. Retrieved 19 March 2009;

36. Belquis Ahmadi; William Byrd, Ph.D. Scott Worden, fghanistan's Economy Once Again Nears the Precipice, United States Institute of Peace, 17 Nov, 2023;
37. Ben Arnoldy, In Afghanistan, Taliban kills more civilians than US, Christian Science Monitor, 31 July, 2009;
38. Bernard Lewis - The Middle East: A Brief History of the Last 2,000 Years Paperback, „Scribner", 1997;
39. Blight, James G. Becoming Enemies: U.S.-Iran Relations and the Iran-Iraq War, 1979-1988. Rowman & Littlefield Publishers, 2012;
40. Boundaries of Afghanistan. https://www.iranicaonline.org/articles/boundaries-iii. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
41. Boundless World History. https://www.collegesidekick.com/study-guides/boundless-worldhistory/afghanistan. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
42. Buzan, Barry and Ole Waever, Regions and Powers: The Structure of International Security, Cambrige Universit Press, Cambrige, 2003;
43. Buzan, Barry. People, States, and Fear: The National Security Problem in International Relations, Brighton, Sussex: Wheatsheaf Books, 1983;
44. C. Todd Lopez, Defense Official Says U.S. Remains Committed to Middle East, U.S. Department of Defense, 5 June, 2023;
45. Carter, Ralph G, Scott, James M. Choosing to Lead: Understanding Congressional Foreign Policy Entrepreneurs. Duke University Press Books, 3 July, 2009;
46. Casting Shadows, War Crimes and Crimes against Humanity:1978-2001, The Afghanistan Justice Project, 2005;
47. Charles L, The Islamic Middle East: Tradition and Change, wiley-blackwell, London, 2002;
48. Charles P. Kindleberger, The World in Depression, 1929–1939, University of California Press Berkeley and Los Angeles, Printed in the United States of America, 01 Jun, 1987;

49. Charlotte McDonald-Gibson (AFP), Afghan vote commission orders first ballots invalidated, Wayback Machine, 10 Sep, 2009;
50. Clements, Frank A, Conflict in Afghanistan: A historical encyclopedia, 2003;
51. Coll, Steve, Ghost Wars: The Secret History of the CIA, Afghanistan, and Bin Laden, from the Soviet Invasion to September 10, 2001, jurnal - U.S naval war college newport, rhode island, 2004;
52. Dan De Luce, Afghans who fought in secret CIA-trained force face legal uncertainty in the U.S., NBC NEWS, 29 Aug. 2023;
53. Dave Eggers, A Heartbreaking Work Of Staggering Genius, Publisher Simon & Schuster, New York, 12 Feb. 2013;
54. Davies, Philip MI6 and the Machinery of Spying: Structure and Process in Britain's Secret Intelligence Studies in Intelligence. Routledge. 2004;
55. Denny Roy, Return of the Dragon: Rising China and Regional Security , Publisher Columbia University Press, New York, 2013;
56. DIETRICH REETZ, Dār al-'Ulūm Deoband and its Self-Representation on the Media, Published By: Islamic Research Institute, International Islamic University, Islamabad, 2005;
57. Dr Oz HASSAN, Afghanistan: Lessons learnt from 20 years of supporting democracy, development and security (PDF), European Parliament coordinator: Policy Department for External Relations Directorate General for External Policies of the Union, Jan, 2023;
58. Dr Yu Jie, Jon Wallace, What is China's Belt and Road Initiative (BRI)?, CHATHAM HOUSE, 13 Sept. 2021;
59. EKATERINA STEPANOVA, Russia's Approach to Afghanistan Following the Taliban Takeover, PONARS EURASIA, 22 Nov. 2021;
60. ElectionGuide. https://www.electionguide.org/elections/id/353/. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

61. Esfandiari, Golnaz,"Afghanistan/Iran: Relations Between Tehran, Kabul Growing Stronger", jurnal - Pars Times, 26 Jan. 2005;
62. Federal Research Division. https://www.loc.gov/services/federal-research-division/about-this-service/. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
63. FOX NEWS, Clinton Presses Pakistan to Help Fight Haqqani Insurgent Group, 18 Sep. 2011;
64. Fox News, Karzai Issues Open Invitation to Meet With Insurgents, Published 11 Apr. 2010;
65. FRED KAPLAN, The War in Afghanistan Was Doomed From the Start, 09 DEC. 2019;
66. Germany and Afghanistan: Bilateral relations, federal forging office, 1975. Ghattas, Kim, Egypt's Muslim Brotherhood, Press BBC, 2001;
67. Global War on Terror. https://www.georgewbushlibrary.gov/research/topic-guides/global-war-terror. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
68. Good, Bad and Ugly: The Historical Evolution of the Middle East. https://thegeopolitics.com/good-bad-and-ugly-the-historical-evolution-of-the-middle-east/#_edn18. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
69. Graeme Smith and Ibraheem Bahiss, The World Has No Choice But to Work With the Taliban, foreign affairs, 11 Aug. 2023;
70. Graham-Harrison, Emma, Makoii, Akhtar Mohammad, "'The Taliban took years of my life': the Afghan women living in the shadow of war", 9 Feb. 2019;
71. Grant Farr, Iran and Afghanistan: Growing Tensions after the Return of the Taliban, E-international Relations, 23 Aug. 2022;
72. Hans J. Morgenthau, Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace, Fifth Edition, Revised, New York: Alfred A. Knopf, 1978;
73. Hoj Hansen, Kousary, Christian, Halimullah, Can Iran Get Along with the Taliban?", Wayback Machine, 07 Jun. 2022;

74. Holly O'Mahony, Junior Researcher, EIAS, EU-China security cooperation: An intersection of interests?, EIAS LATEST, 03 May. 2021;
75. Hugh Beattie, Internacional Encyclobedia of the first world war, Afghanistan, 2016;
76. Immortal, Updated Edition: A Military History of Iran and Its Armed Forces, georgiatown university press, washicton, 1986;
77. In Afghanistan, U.S. is fighting tribal insurgency, not jihad, The Baltimore Sun, 2 Mar. 2010;
78. Ishaan Tharoor, "Pakistan's hand in the Taliban's victory," Washington Post, 18 Aug. 2021;
79. Islamic world. https://www.britannica.com/topic/Islamic-world/Dimensions-of-the-Islamic-revival. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
80. Issue Papers, Extended Responses and Country Fact Sheets, AFGHANISTAN CHRONOLOGY OF EVENTS JANUARY 1995-FEBRUARY 1997, Immigration and Refugee Board of Canada, 12 Oct. 2017;
81. J. P. Garg, "Russian penetration in Third World with special reference to Afghanistan". The Indian Journal of Political Science, Published By: Indian Political Science Association, 1981;
82. JAMES CHEN, National Retail Federation (NRF): Meaning, Foundation, Membership, Investopedia, 14 Jun. 2022;
83. Jawad Sharifzadaon, Push launched against Haqqanis in border areas, Pajhwok Afghan News, 18 Oct. 2011;
84. John.D. Gresham, "The Campaign Plan – Special Operations Forces and Operation Enduring Freedom", Defense Media Network, 12 Sep. 2011;
85. Jonathan L, avganistan, Published by Reaktion Books Ltd, Printed and bound in Great Britain by Bell & Bain, Glasgow , London, 2008;
86. Jonathan Landay and Charlotte Greenfield, Exclusive: Audit fails to win U.S. backing for release of Afghan central-bank funds, REUTERS, 21 Jul. 2023;

87. Kali Robinson, Understanding Sharia: The Intersection of Islam and the Law, council on foreign relations, 17 Dec. 2021;
88. Kaplan, Robert D. Soldiers of God: With Islamic Warriors in Afghanistan and Pakistan, First Edition Publisher, 2008;
89. Karen Kaya, Turkey's Role in Afghanistan and Afghan Stabilization (PDF), MILITARY REVIEW, Jul-Aug 2013;
90. Kazem Alamdari, Why the Middle East Lagged Behind: The Case of Iran, University Press of America, 2015;
91. Khatib L. Filming the modern Middle East, politics in the cinemas of Hollywood and the Arab world, ,,Tauris", 2006;
92. Khwaja Basir Ahmad, Alleged spies say Iran's Revolutionary Guards trained them, Wayback Mashine, 07 May. 2012;
93. Kristin Roberts, Gates ups pressure on NATO over Afghan commitment, Reuters, 22 Oct. 2007;
94. Lee, Sandra S. Mountain, Joanna; Koening, Barbara A. "The Meanings of 'Race' in the New Genomics: Implications for Health Disparities Research" ,,Yale Journal of Health Policy, Law, and Ethics." (PDF), 2001;
95. Lenczowski G, The Middle East in World Affairs 3rd ed, ,,Cornell University Press", 1980;
96. Lilly Blumenthal, Caitlin Purdy, Victoria Bassett, Chinese investment in Afghanistan's lithium sector: A long shot in the short term, BROOKINGS, 03 Aug. 2023;
97. Lindsay Maizland, U.S.-Taliban Peace Deal: What to Know, COUNCIL OF FOREIGN RELATION, 02 Mar. 2020;
98. Lkhaajav, Bolor, international online news magazine covering politics, society, and culture in the Indo-Pacific region, Washington, 2021;
99. Lolita C. Baldor, US begins troop withdrawal from Afghanistan, official says, Military Times, 09 Mar. 2020;

100. Loya Jirga -- An Afghan Tradition Explained. https://www.rferl.org/a/afghanistan-loya-jirga-explainer/25174483.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
101. Mahram relatives, Who is a woman's mahram?, Islam Question and answer, 23 Nov. 1999;
102. Mark kenoyer. M, Ancient Cities of the Indus Valley Civilization, Oxford University Press, 1998;
103. Marlene Laruelle, Sebastien Peyrouse and Vera Axyonova, The Afghanistan Central Asia relationship: What role for the EU?(PDF), EUCAM-SD, Feb. 2013;
104. Matinuddin, Kamal, The Taliban Phenomenon, Afghanistan 1994–1997, Oxford University Press, 1999;
105. Mazharul Islam, Good, Bad and Ugly: The Historical Evolution of the Middle East ,,The geopolitics (TGP)", ,,Routledge", London, 2018;
106. Meena Haseeb, Afghanistan economy growth strong in 2012: World Bank, THE KHAAMA PRESS News Agency, 16 Jan. 2013;
107. Mehdi Fattahi and Isabel DeBre, As Iran-Taliban Tensions Rise, Afghan Migrants in Tinderbox, Wayback machine, 02 May. 2022;
108. Mehdi Rezaie of Daily Outlook Afghanistan, Interview with Mr. Xu Feihong, the ambassador of the People's Republic of China to Afghanistan, Embassy of People's Republic China in the Islamic Republic of afganistan, 11 Apr. 2012;
109. Mohammed Daoud Khan. https://historica.fandom.com/wiki/Mohammed_Daoud_Khan (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
110. Mohammed Omar. https://military-history.fandom.com/wiki/Mohammed_Omar. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
111. Muslim Private Law in Contemporary India: Ideas of Revision and Modernization. https://ras.jes.su/asaf-today/s032150750005572-1-1-en. (ბოლოს გადამოწმებულია - 10.10.2024).

112. MURAT SOFUOGLU, How the Taliban governs itself, TRTWORLD, December, 2021;
113. NATO and Afghanistan. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_8189.htm. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
114. Nazih Ayubi, Overstaying the Arab State: Politics and Society in the Middle East, ,, IB Taurus", London, 2009;
115. News Desk, A historical timeline of Afghanistan, PBS NewsHour, Published on 04 May. 2011;
116. Noellynn Slaughter, Islamic State Khorasan Within Taliban-Ruled Afghanistan: Dynamics and Synergies with Allies and Enemies, Government Technology & Cervices Coalition, 17 Sep. 2023;
117. Nojumi, Neamatollah. The Rise of the Taliban in Afghanistan: Mass Mobilization, Civil War, and the Future of the Region Palgrave, New York, 2002;
118. Nur Mohammad Taraki. https://www.britannica.com/biography/Nur-Mohammad-Taraki. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
119. Olivier Roy, ISLAMIC RADICALISM IN AFGHANISTAN AND PAKISTAN, CNRS, Paris, 2002;
120. Olivier, Roy, The Failure of Political Islam. Press Harvard University 1994;
121. Pakistan country profile. http://news.bbc.co.uk/1/hi/world/south_asia/8462916.stm. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
122. Panetta Tells India to Play More Active Role in Afghanistan. https://www.voanews.com/a/us-panetta-india-afghanistan/1178703.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
123. Pierre-Arnaud Chouvy, Opium: uncovering the politics of the poppy, Harvard University Press, 2010;

124. Procedural Standards for Refugee Status Determination Under UNHCR's Mandate. https://www.refworld.org/docid/3ae6ad0240.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
125. Procedural Standards for Refugee Status Determination Under UNHCR's Mandate. https://www.refworld.org/docid/530b189d4.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
126. Pugh, Michael C. Neil Cooper Jonathan Goodhand War Economies in a Regional Context: Overcoming the Challenges of Transformation, International Peace Academy, 2004;
127. Purdah. https://www.britannica.com/topic/purdah. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
128. Rashid, Ahmed Taliban: Militant Islam, Oil and Fundamentalism in Central Asia. Yale University Press, 2000;
129. Reddy, L. R, Inside Afghanistan end of the Taliban era, APH Publishing, 2010;
130. Report of the UNDP and Regional Bureau of the Arab States, Building a Knowledge Society, New York, 2019;
131. RFE/RL, Tehran Held Talks With Afghan Taliban, IRAN NEWS, 26 Dec. 2018;
132. Rise of Anti-Soviet Sentiment - History of Western Civilization II". Courses, 2019;
133. Robert O. Keohane, after hegemony, Cooperation and Discard in the world Political Economy, Published by Princeton University Press, 1984;
134. Ron Synovitz, Talks With Taliban Loom Over Pakistani-Afghan Summit, NEW, 25 Jan. 2010;
135. Rubin, Barry, The Muslim Brotherhood: The Organization and Policies of a Global Islamist Movement (Middle East in Focus), Publisher Palgrave Macmillan US, 2010;
136. Rupert Stone, Afghanistan's drug trade is booming under Taliban rule, Atlantic Council, 24.Aug. 2022;
137. Russia Declares RFE/RL An 'Undesirable Organization'. https://www.rferl.org/a/1057095.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

138. Russia increases involvement in Afghanistan. https://www.dw.com/en/why-is-russia-so-interested-in-afghanistan-all-of-a-sudden/a-36989680. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
139. S. Frederick Starr Xinjiang: China's Muslim Borderland, jurnal – OpenEdition, 2004;
140. Saikal. A, Modern Afghanistan: A History of Struggle and Survival, APH Publishing, 2004;
141. Samantha Power, "A Problem from Hell", PublisherBasic Books, May 14, 2013;
142. Senior State Department Official, Background Briefing: the Bonn Conference on Afghanistan and Meeting With European Partners, 05 Dec. 2011;
143. Shadow Wars and Corporate Welfare. https://catalyst-journal.com/2021/03/shadow-wars-and-corporate-welfare. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
144. Shaffer, Brenda, The Limits of Culture: Islam and Foreign Policy. MIT Press, 2006;
145. Shannon Tiezzi, “China signals it’s back to business as usual with Taliban government,” Diplomat, 25 Mar. 2022;
146. Shanthie Mariet D’Souza, An Iranian Reversal on Afghan Refugees, THE DIPLOMAT, 14 Nov. 2023;
147. Shehryar Fazli, The Impact of Afghanistan’s Drug Trade on its Neighbours (PDF), Serious Organized Crime & Anti-Corruption Evidence, Nov, 2023;
148. Sirajuddin Haqqani. https://rewardsforjustice.net/rewards/sirajuddin-haqqani/. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
149. Smith, Michael The Spying Game: The Secret History of British Espionage, 2003;
150. Stephen D. Krasner, State Power and the Structure of International Trade, published by The Johns Hopkins University Press, Apr, 1976;
151. Soviet–Afghan War. https://hmong.es/wiki/Soviet%E2%80%93Afghan_War. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

152. Steve Coll, Ghost Wars: The Secret History of the CIA, Afghanistan and Bin Laden from the Soviet Invasion to September 10, 2001, Publisher Penguin Books Limited, 2005;

153. Taliban announce new government for Afghanistan, RNZ News, 07 Sep. 2021;

154. Terri Moon Cronk, Biden Announces Full U.S. Troop Withdrawal From Afghanistan by Sept. 11, U.S. Department of Defense, 14 Apr. 2021;

155. The attacks. https://www.britannica.com/event/September-11-attacks/The-attacks. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

156. The Case for a New U.S. Relationship with Afghanistan. https://www.americanprogress.org/article/case-new-u-s-relationship-afghanistan/. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

157. The Debate on NATO Expansion. https://www.nato.int/docu/speech/2008/s080402b.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

158. The Durrani dynasty, Encyclopædia Britannica, 2010;

159. The Journal of Hellenic studies, Society for the Promotion of Hellenic Studies, London, 2011;

160. The Muslim Brotherhood a Terrorist Group. Today's international new york times, 02 May. 2019;

161. The Top 100 Chief Technology Officers for 2022 (Complete). https://www.thekeyexecutives.com/2022/02/28/lion-of-the-desert-columbias-deep-connections-with-former-afghan-president-ashraf-ghani/. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

162. The United States Institute of Peace. https://www.usip.org/about. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

163. The US refuses to negotiate with the Taliban, BBC History. Archived from the original on 03 Dec. 2018;

164. The US-Taliban Relations: Interests, Challenges, and Prospects. https://epc.ae/en/details/featured/the-us-taliban-relations-interests-challenges-and prospects. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
165. The Deobandi religious movement in Afghanistan: Its history in the 20th century. https://dspace.spbu.ru/handle/11701/11357, (ბოლოს გადამოწმებულია - 10.10.24).
166. Thomas Ruttig, Islamists, Leftists and a Void in the Center. Afghanistan's Political Parties and where they come from 1902-2006;
167. Tobin, Conor, "The Myth of the "Afghan Trap": Zbigniew Brzezinski and Afghanistan, 1978–1979", Diplomatic History. Press Oxford University, April 2020;
168. “Traditionalist” Islamic Activism: Deoband, Tablighis, and Talibs, https://items.ssrc.org/after-september-11/traditionalist-islamic-activism-deoband-tablighis-and-talibs/, (ბოლოს გადამოწმებულია - 10.10.2024).
169. Transcripts and Remarks, U.S. Ambassador Karl W. Eikenberry Remarks at the Lease-Signing Ceremony for U.S. Consulate Heart, Wayback mashine, 16 Dec. 2009;
170. United Against Inhumanity, Bin the rhetoric: Recapitalize Afghanistan’s Central Bank, 26 Jun. 2023;
171. United States Institute of Peace, Iran and Afghanistan Clash over Water Rights, 30 May. 2023;
172. US, China stumble on Hamas in efforts to seek peace in Middle East. https://www.voanews.com/a/1178734.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);
173. US-Western European Economic Relations, 1940-197, https://personal.lse.ac.uk/WYATTWAL/images/THEUS.pdf (ბოლოს გადამოწმდა - 08.09.2024);
174. Vogelsang, Willem . The Afghans. Wiley-Blackwell, 2010;
175. Why fiery Afghan warlord Massoud is hell-bent on ousting the Taliban -- and the heavy hand of Islamabad. http://edition.cnn.com/ASIANOW/asiaweek/current.bak/issue/is1.html. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

176. William B. Quandt, “The Middle East on the Brink, Prospects for Change in the 21st Century” ,,Middle East Institute”, Washington, 1995;

177. William B. Quandt. https://en.wikipedia.org/wiki/William_B.Quandt. (ბოლოს გადამოწმდა - 03.05.2024);

178. William T, Hickey J, Society in Focus ,,Pearson plc.”, Boston, 2005.